

807



პაპა, უფაუა

ბ რ მ ი მ ე ს ა მ ე

ვ ღ ე მ ე ბ ი

ალ. აბაშელის რედაქციით

1970

K 43.118
3



სახელმწიფო ბაზრამცემლობა

თბილისი



ქართული ენის
სამეცნიერო ცენტრი

სახელგამის 1-ლი სტამბა,
პლენანოვის გამზირი № 91.
მთავარლიტის № 1840.
შეკვ. № 113. ტირ. 5000.

1930



პაპა, უფა, ვადა

მოხუცის ნათქვამი

საგვ-2000
სამეცნიერო ცენტრი

მოხუცის ნათქვამი

1

დავბერდი, შვილო, დავბერდი,
 ამიკანკალდა მუხლები;
 ათრევას, — ზეზე დადგომას
 მთელი დღე-ღამე ვუნდები.
 მაგრამ ტიალი ე გული
 წინანდებულად ცხელია,
 მესმის რა თოფის გრიალი,
 აღარ მასვენებს, — ხელია.
 ვაჰმე, სიბერემ წყეულმა
 გრკალად მომხარა წელშია!
 რომ საქართველო თათარმა
 აიკლოს, ჩაწვას ცეცხლშია,
 ვერ მოვახტები ლურჯასა,
 ხმალს ვერ შევირტყამ წელზედა,
 ჩვენის რჯულის მტერს, მუხანათს
 ზიანს ვერ დავდებ მკერდზედა.
 ეს რა დროებას მოვესწარ?
 გამოიცვალა ქვეყანა:
 მამალიც ყივის სხვაგვარად,
 კაცსა სძულს მისვლა კაცთანა;
 ბიჭები გალაჩრებული
 ყბედობენ სიყვარულზედა;
 უმსგავსო მათი სიცილი
 ეკლად მეხევა გულზედა.
 რომ გავიარო ტყის პირად
 ჩინჩხვრების მოსაკრებადა,
 მთელ ცისმარე დღეს ერთპირად
 სხედან დუქნის წინ ერთადა.
 მათ სასიმღერო ლექსები
 მარტო ღვინო და ქალია...
 ამგვარს ვაჟკაცებს ქალებიც

თან სდევს, ვით ყანას კალია.
სცხვენოდეს ახალ-უხლებსა,
კაც იყოს, თუნდა ქალია,
რომ მთელი მათი არსება
ფუჭმა საგნებმა დალია!
კაცმა ქალობა დიიწყო,
კობტაობს, სიტყვა-ნაზია,
ფერსა და უმარილს ისომს, —
მაშ არ მომივა ბრაზია!?!...

ჩემს დროსა ქალი ვაჟკაცსა
შეიყვარებდა მაშინა,
როცა ჰხედავდა მებრძოლსა
შეუპოვარად მტრის წინა.
ჩემს დროს ლამაზი ვაჟკაცი
არ იყო ქალის პირისა,
არამედ შავი, მამაცი,
მუხლ-მგელი, გულით რკინისა.
ქალი და კაციც გჭფუჭდა —
აღარ სძევთ ძველი ფერია,
მათ გულში ქაჯი დაბუდდა,
კაცის ნამუსის მტერია.
აფსუსო, ძველო დროებავ!..
არ დაბრუნდები ნეტარა?!
რომ ამაყობდეს დიაცი
ქმრის სიმამაციით მკვებარა?

II

ერთს ამბავს გეტყვით, შვილებო,
ჩემის თვალითა ნანახსა,
მაშინდელს, როცა ტყვიის ხმას
ვეძახდით დედის ნანასა.
ერთხელ გავარდა ამბავი,
მოდის თათრების ჯარიო,
ჯარს მოთავეობს მაჰმადი,
ქრისტიანების მსრავიო...
მაშინ მეფობდა ერეკლე,
ჩვენი პატარა კახია:



ქვა-კირით არის ნაგები,
 გულთაფლი, სახით მკვახია.
 ჟინვანს მოვიდა ქალაღლი,
 მოწერილობა მეფისა:
 „აბა, არაგვო, აჩქარდი,
 შენი ერეკლე გელისა.
 ნუ მაჭმევთ თათრების ჯაგრსა,
 თქვენს მკლავებს ვენაცვალები,
 თუ აიკლებენ ტფილისსა,
 სჯობს დავითხაროთ თვალები“.
 ეს ხმა გავარდა სოფელში,
 აღელვდენ ვაჟკაცებია,
 სოფლიდამ სოფელს გასძახის
 ბუკის, ნალარის ხმებია.
 ფხიზლადა მყოფნი გუშაგნი
 მთიდამ ამცნებენ სოფლებსა,
 რომ გამოვიდნენ გულადნი,
 ექმნენ მფარველად ობლებსა.
 რა ვნახე მეფის ქალაღლი,
 გულმა დამიწყო ფრიალი:
 თვალთ მომეჩვენა ვაჟკაცთი
 ომი, შუბ-ხმალთა ტრიალი.
 ყმაწვილად ვიყავ მაშინა,
 ახლად წვერ-შემომდინარი,
 ომი ქორწილი მეგონა,
 სისხლის რუ — წყარო მდინარი.
 მკლავთა დამიწყეს თამაში,
 და მირბენს ჟრუანტელია;
 ხირიმი მიძე კალთაში,
 ხმალზედ მიჭიდავს ხელია.

III

ველი, — სადა და როდისა
 თქრიალს მოიღებს ჯარიო,
 რომ მეც მოვახტე შავრასა¹,
 პირს დავისახო ჯვარიო;

1) ცნენის სახელია.

მეც მერგოს წილად ომს ყოფნა
 მფარველად მამულისაო, —
 ისე ჰგონია მაშინ კაცს,
 ნათლული არის ღვთისაო.
 დიდი ზარი აქვს მაინც ჯარს,
 მას შეედრება ვერა-რა,
 ბუქსა, ნალარას, ბაირაღს
 ვერსად წაუხვალ, ზელარა!

არ გაუფლია დიდხანსა
 თოფის ხმამ მთანნი არია,
 ნუგეში ეცა ყველასა,
 სთქვეს: ეგ მთიელთა ჯარია.
 ცოტა ხანს შემდეგ მოისმა
 მათი სიმღერა მკენესარი...
 არწივთა მალღის მთისათა
 ნეტავ რად უნდათ მქებარი!..
 ათასფეროვნად ჩაცმულნი,
 შესახედავად კარგნია,
 დინჯმოუბარნი, გულტკბილნი,
 გაჭირვების დროს მარგნია.
 რკინას იცომენ ტანზედა,
 თავზედ მუზარაღს იღვამენ...
 თუ საქმე მიდგა ხმაღწედა,
 შენს მტერს, რო საქმეს იზამენ!
 რაც უნდა მტერი მოვიდეს,
 არვინ შეიმჩნევს ჭირაღს,
 ხმაღს აშველებენ ფარებსა,
 მტრისას დაიკვრენ ძვირადა.
 წინ მოუძლოდა დროშითა
 თეთრწვერა ხევის ბერიო,
 თითქოს მოჰქონდესთ კულუხი¹,
 სიმღერით მოსდევს ერიო.
 ჩვენებიც შაკრბენ, მოვიდნენ,
 მე მიმელიან მარტოსა;
 დედა მიმზადებს საგძალსა:
 პურსა, ყველსა და ხაჭოსა.

¹) ტაბლა.

ქალებს დაუბამ ფერხული
და გასძახიან არაგვსა:
„არაგვო, უყარაულე
ომში მიმდინარს ლაშქარსა.
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აქამე შერცხვენილს,
რომ სახლში ველარ მოვიდეს!“
წინ მივეგებეთ, დავძახეთ:
„მთიელებს გაუმარჯოსო,
ხარობდეს საქართველოი,
თათრები დაუმარცხოსო!“
იმათ იშიშვლეს ხანჯლები,
გავარდა თოფი თოფზედა,
დააფთრებული ცხენები
ჰფეთქენ, დგებიან ტოტზედა.

IV

როცა ღრმა-ღელეს გავედით,
ვნახეთ მთის წვერზედ მხედარნი,
ლამაზად ჩანდნენ გორის პირს
ჩვენისა გზისა მკვლევარნი.
თითით უღერდა ჩვენზედა
თეთრცხენოსანი კაციო,
მას სხვანი ედგნენ გვერდზედა —
არ ითქმის მათი ფასიო.
მაშინვე იცნეს ბიქებმა,
სთქვეს: „ის ერეკლეს ცხენია,
სწორედ ის არის, ღვთის მადლმა,
მეფე ერეკლე ჩვენია.“
ერთს წამს მოსხლიტეს მერნები,
მეც გამიფიცხდა ცხენიო,
მაგრამ ჯარს უკვენ მივყვები,
მოგქანჩე ელვებრ მფრენიო.
მე არ მენახა ჯერ მეფე,
მის ნახვა მეკრძალებოდა,
სალამს ვერ გაუშუბდავდი,
ნიტომ არ მეჩქარებოდა.

მეფეც დაიძრა ამალით
 პირდაპირ ჩვენკე დენითა,
 და ჩვენც დოსტოლორივ¹ მივედით
 თოფ-იარაღის ჟღერითა.
 აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი,
 მოხევე-გულდამაყრელნი:
 „შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
 შენნი ერთგულნი ქართველნი...
 მეფე გვიცოცხლოს ზეცამა
 ნუგეშად იმის ყმათაო,
 ბარად თუ მთაში წაბძანდეს,
 ჰფარვიდეს უფლის კალთაო!..“
 მე უკან ვინაბებოდი,
 როგორც ყანაში მწყერია,
 მსურდა ქურდულად შემეტყო
 მეფის ერი და ფერია.
 ის უცინოდა მისულთა,
 როგორც ძმა თავის ძმათაო,
 ჰკითხავს შინაურს ამბავსა
 თავისთან შეზდილთ ყმათაო,
 რომელთაც სიყრმე აქციეს
 სიბერედ მტრისა ლევაში,
 და წამოსულან ნებითა,
 რომ გასწყდენ ქვეყნის წევნაში.
 თითო ისეთი მოსჩანდა,
 როგორც ვეშაპი ცხენზედა;
 ზავთი² იმათი ზღვას ჰგვანდა,
 კლდე უყელყელეხსთ მკერდზედა.
 ერეკლე ცხენზედ ჰშვენოდა,
 მამაცად მოცქერალია;
 უხდება ბებერს არწივსა
 შეჭმუხვნით სახე მკრთალია.
 მთელი სიტურფე ქართლისა
 იმას ესვენა მხრებზედა,
 როგორაც შუქი მთვარისა

¹) ტყვიასებ შეუპოვრად, პირდაპირ.

²) შეხედულება.

იალბუზისა ქედზედა.
ზედ აკვდებოდა საცმელი,
წმინდად ნალესი ხმალია,
მე თვითონ ვიყავ მნახველი,
ვისაც ჰკრა, — სული დალია.

V

ერეკლეს მარჯვენა ხელი,
თავის გვერდთ ედგა ლევანი,
მამაზედ უფრო გულტკბილი,
თვალმარდი, როგორც ჯერანი...
გულით მას ვებრალებოდით,
მოეწყლიანნეს თვალები...
რადღა გვინდოდა მოზარედ
შავად ჩაცმული ქალები,
როდესაც მეფე დასტირის
ჯარში მიმდინარს ხალხსაო?!
მაგრამ რას იზამ, თუ გცემენ,
როგორ სქამ მტრისა ჯავრსაო?...
თვითონ ერეკლეს ვამჩნევდი,
ებრალებოდა ხალხიო,
მაგრამ ცრემლებსა ჰმაღავდა,
არ მგმონ პატარა კახიო;
არ დააბრალონ ცრემლები
სიმხდალე-სიბერესაო,
არა სთქვან, — სუსტი ყოფილა,
ცრემლი სდის ერეკლესაო.

VI

აქით წავედით ქალაქსა,
იქ დაგხედნენ ქართლელ-კახელნი,
პურით და ღვინით გათქმულნი,
დიდის წვა-დაგვის მნახველნი.
ყველანი შევკრბით ერთადა,
შევკარით ძმური პირობა:
„ქული ნუ ჰხურავ თავზედა,
ვინც არ იჩინოს გმირობა;
ვინაც ცოცხალი მტერს დაჰრჩეს



საყმედ და სასაცილოდა,
 ღვთისაგან წყეული იყოს
 გვართ საშვილიშვილოდა!
 თუ ვერ შევიძლოთ საცადი,
 გაგვწირონ სასიკვდილოდა,
 მოვკვდეთ — გვეხუროს მიწისა
 ნაბადი, გასათბილოდა.“
 ქალაქით კრწანისს გავედით,
 ველოდებოდით მტერსაო,
 შორს მოდიოდნენ წყეულნი,
 ცაში ადენდენ მტვერსაო.
 დაჰკრეს ნალარას, საყვირსა,
 აქოთდა გიჟი ბუკები,
 ჩვენი აქ, იქით თათრისა,
 ღვინოსებ სისხლის მღუღებნი.
 ცამ მოიღრუბლა, მიწამა
 ასტეხა გლოვა-ზარია,
 სისხლისამ მორწყო წვიმამა
 ქართველთა მთა და ბარია.

VII

როგორც ღრუბელი, მოვიდა
 მრისხანედ თათრის ჯარია;
 ისეთი ვსჩანდით იმასთან,
 ვით ზღვასთან წვიმის ცვარია...
 მაგრამ ვინ იტყვის იმასა —
 მტერი გვაჭარბებს რიცხვითა;
 ბევრჯელ უტეხავ ქართველსა
 კლდეები გულის ფიცრითა!
 შემოკვალთულნი ჩოხებში
 მტერს უცდის ქართველებიო
 და გველის-პირულს ფრანგულებს
 ადნება ქარქაშებო.
 რა ვნახეთ მტერი, მივცვივდით
 ხმალ-მოწვდით, გამალულები
 და დავინთქენით სპარსებში,
 გარს მტრისგან შემორტყმულები.
 ხმალო სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა

ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი
და თავმომწონე დროშებსა
ჰაერში გააქვს ფრიალი.
აბრაშუმზედა ნაკერი
ბრწყინვალებს ჩვენზედ ჯვარია —
იმისი შემაცქერალი
იბრძვის ქართველთა ჯარია.
იბრძვიან გამწარებულნი,
თითო ოც-ოცის მკვლელია...
მაგრამ დავმარცხდით სიმრავლით,
გაცუდდა ვაჟაკთ ხელია!
გაწყდნენ სამშობლოს ერთგულნი,
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დახუჭეს მუდმივ თვალნია.
იმათ ადგება ნათელი,
დასტირის ღამ-ღამ მთვარეო;
მათ სიამამაცის მნახველი
დღესაც ჰკენესს არე-მარეო...
არაგვის პირით წასული
მე დავრჩი ვარმად ცალია,
მიპოვნა ერთმა მეცხვარემ
დაჭრილი, ცოცხალმკვდარია.
გადავრჩი, მაგრამ სიცოცხლე,
შვილებო, ჩემთვის მწარეა:
ქართველთ ქვის სეტყვა გვეწია,
სპარსთ-კი დაუდგათ დარია.
ამ ჭირთა ჭირმა, სიბერემ
შეჭამა გული, ტვინია,
არ მომდევს ღონე, არც მუხლი,
რომ მით მოვიკლა ეინია...
ეს სთქვა თეთრწვერა მოხუცმა
და გადმოჰყარა ცრემლები,
თან ჩამოისო წვერზედა
დამქანარი, წმინდა ხელები.

K 43.118
3



Յ Օ Յ Ե Օ յ



გიგლია

I

თალალი (დედა)

პურა შაქამე, ნუ სჩქარობ,
 შვილო, სილაღეც დედისა,
 ჯერ ვერ-ოთ გადაავლიეს,
 კიდევ მასწრობ მთებისა.

გიგლია (შვილი)

რას ამბობ, დედაც, ნეტარა?
 განა ქორწილში ვარაო?...
 ხმალი რა იქნა აქითა,
 ან ჩემი თოფი ხარაო?
 აღარსად სამკლავენი ჩნან,
 აღარც ფარი და ჩაჩქანი!..
 ვინ რა-რა ჰფიქრობს გიგლიას
 გააღებინოს აღმანი?¹

დედა

შენ არ მაუკვდე დედასა,
 შენზედ არ დაეჯდე მტირალი,
 სხვა მე აქ არვინ მინახავ,
 დილას-კი იყო მყვირალი.
 აბჯარნიც თავისნი ჰქონდენ,
 თავის ლურჯაზედ იჯდაო:
 ცხენზეთ არ ჩამამხდარა,
 თამარს შენ ამბავ ჰკითხაო
 და დაგიბარა: აჩქარდი,
 წამო ახადის გზითაო;

443.118
3

¹ ფშავლების ძველის სამართლის ძალით, ვისი იარაღითაც კაცი მოკვდებოდა, სისხლი იარაღის პატრონს უნდა ეწლო, თუნდ იარაღი სხვას ეხმარა.



მე სალეკოს ყელს შეფუკრავ,
გიგლია — საყორნისასო;
ეს ორი გზა აქვს ლეკებსა...
ჯავრსაც არ შევქამთ მტრისასო.
თუ ისრე გადაავლევენ
ლეკნი გოდერძათ თინასო,
უთხროდი, თოფი დაჰკროდეს
იმ დალისტანელს წინასო.

გიგლია

მართლა, ი ქალ-კუპრ რა იქნა?
იმის ონარი იქნება!

დედა

შენს საჩოხეს სძახხს, სილაღევ,
და ცხარის ცრემლით იღვრება.

გიგლია

წადი, გამიგე, დედაო,
შორი გზა მაქვის სავალი:
მათურის-თავი, ხოშარა, —
მთები მაქვ გადასავალი.

დედა (გადის თამართან)

ქალო, გიგლია კითხულობს,
აბჯარნ შენ დაუმალეო?

თამარი

მე. ნუ გავუშვებთ გიგლიას,
წუხელ ცუდ სიზმარ ვნახეო.
ემაგას მტერი მოგვიკლავს,
ცა თავზედ დაგვეხურება.

დედა

სირცხვილი არი კაცისად —
ქვეყანა დაემღურება...
ან კი ისითა რა ჰნახე?
შენ ხომ არა ხარ მისანი?

თამარი

მე ისი ვნახე, დედაო,
სხივნი გამქრალიყვნენ მზისანი;
დალეწილები ეყარნენ
აბჯარნი ჩემის ძმისანი.
ჩვენ სახ-კარ ჩამოშლილიყო,
იღვა ოხერი, ტიალი,
თავს დაჰბრუნავდენ ყორნები, —
ჩხაოდენ, ედგათ გრიალი.
ვტიროდი, ვაჰმეს ვიძახდი,
თმანიც სუ ჩამომდიოდა;
ჩვენის გიგლიას ლურჯაი
ქალაზე შამოჰხვიოდა.

დედა

რა გაიგება. ჩვენ მაინც
ვერ დავაბრუნებთ სიზმრითა,
მდეგრად ათასჯერ ყოფილა,
ჩემო სილაღე, — იმითა.
კაცს მიტომ კაცსა ვეძახით,
უნდა წეღს ერტყას ხმალია.
მაშ რა უნდა ვქნათ, ხომ ჰხედავ.
ფშავლები მტერმა დალია?!
ახადი ლეკებს აუკლავ,
იქით წაუსხამ ტყვეები...
სუ სისხლით გადაუბასრავე
უკვენა-ფშავის კლდეები.

(თამარი ადგება, გააღებს კიდობანს და ამოიღებს გიგლიას იარაღს. დედა და თამარი გამოვლენ გიგლიასთან. თამარი ტირილით მისცემს გიგლიას: ხმაღს, თოფს, ფარს, ჩაჩქანს და სხვა საომარს იარაღს; უნდა უთხრას რამე, მაგრამ ვერ ამბობს, გული ყელში ებჯინება. ამ დროს გიგლიასთან აჩქარებით მოვარდება მეზობლის ქალი).

მეზობლის ქალი (გიგლიას)

შენს თვალით ენაცვლოს შენი და,
შე ფშავის ხევის იმედო!

წადი, დალისტნელთ აჩვენე,
 როგორს ყმებსა ზრდის ჩარგალი¹,
 სეავებს დაუგდე სადილად
 იმ ძალთი ძალლი სარდალი.
 შამასწვრას ლაშარის ჯვარმა, —
 მოხვიდე გამარჯვებული,
 გეკიდოს მტრისა ხელები,
 მხარ-ილღივ გადაგდებული.
 ჰა, გიდი, გოდერძათ ქალო,
 ლეკთა სატყვეოდ გაჰხეო,
 მეშვლად მოგივა გიგლია —
 ფშავის არწივი ნახეო.
 არწივმა მხარნი დაშალნეს,
 დაპრპიალებდეს ფრანგული, —
 მთა-კლდეთაც გააკვირვებენ
 მაგის ლეკისად დაკრული!

(მეზობლის ქალი ჩამოართმევს გიგლიას ცხენს და
 შორს გაჰყვება, გააცილებს. დედა და და გიგლიას უკან
 მისდევენ. თამარი ტირის, დედა გზას დაულოცავს).

დედა

ფშაველთ სალოცავმ შამასწროს
 უენს შინ მშვიდობით მოსელასა,
 ხერხით მაიქე მტერთანა,
 ნუ გასწევ ჯიუტობასა.
 მშვიდობით! ჯვარი გეწეროს!

II

არაგვის პირ-პირ აჩქამებს
 გიგლიას ცხენი ნალებსა;
 აქა-იქ ავლებს ლომივით
 იმ ცეცხლმოდებულს თვალებსა.
 გახდა გიგლია ხომურას², —
 საწყინარ ეტყვის მხარია.
 ცუდს ლიშანს არას დაგიდევს,

¹) სოფელია.

²) მდინარეა.

ამობუბუნდა ხარია:
 „წადი, გენაცვლე, ლურჯაო,
 ძალა მაიეც მუხლშია,
 ნათელი ჩამააყენე
 გაბოროტებულს გულშია.
 აგერ ტირიან ტყვეები,
 ელიან ჩვენსა მისვლასა,
 მალი-მალ გამაჰხედნებენ
 ყელსა ახადის მთისასა;
 ამბობენ, სუ როგორ გასწყდა
 ფშავლებში ქუდოსანიო,
 სალექოდ როგორ გაგვხადეს
 ლაშარის-ჯვარის ყმანიო?“

III

ახადს ტიროდა თმიანი
 თინიბეჭაის რძალიო:
 „აეაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
 ვაჰმე, დამიდგეს თჯალიო!
 აეაჰმე, ჩვენო ციხეო,
 ნაგებო ქვითკირისაო,
 ჩამოშლილ-ჩამონგრეულო,
 გადათელილო მტრისაო!
 მამამთილს თოფი დამიკრეს,
 დედამთილს ძუძუ მასკრესო,
 თინიბეჭანთ ბიჭები
 სუ ლუკმა-ლუკმა ასკრესო“.
 მზე გორის პირას გაჰკროდა,
 ელამებოდა ჩასვლასა,
 გაღმა-გამოღმა გრილები
 ტყეს და მთებს უდგმენ ტაბლასა.
 უკვენა-ფშავის ქედები
 დაწყობილიყვენენ ჯარადა.
 ამ დროს შამოჩნდა ქალაზედ
 გიგლია, მომსხო ტანადა.
 ირევა მალლით და ძირით
 მაგრილებელი ნიაფი,
 მიიბრძვის მხედრის ლურჯაი,

მიიბრძვის, მიაქვ თქრიალი,
სუ თან მიაქვის ფეხითა
ტყე-მთა, ნათოსი¹ ტიალი;
არ აბედენებს² კლდე-ვაკეს,
არსად სჭირდება ტრიალი.
ოფლს დახეთქილსა მკერდზეით
ქვიშაზედ ჩააქვ ჩხრიალი,
უხდება გაირმებულსა
რაბტის, უზანგის ძგრიალი.

IV

ბინდდება. აგერ გრილებიც
ასცდენ მთებს, გაქრენ ცაშია;
გიგლიაც გაჩნდა სოფლის თავს,
გადაემართა მთაშია.
ქალმა დაიწყო ძახილი,
ი რო ტიროდა კარშია:
„დაო, გვეყოფა ტირილი,
პირ დაიბანე, შეენაო³,
კმარა ამდენი ცრემლის ღვრა,
კმარა ამდენი წყენაო!
გიგლიამ შამაიარა,
შუქი მისუფედა კვალადა,
ავი შენს დამწყევს მიეცეს, —
ეგ მტერს დახვდება ავადა.
ერთს არ გაუშვებს ცოცხალსა
და არ მოკვდება თავადა.
მწედა ჰყავ ლაშარის ჯვარი
და ეყოლება კვლავადა.
სუ გასწყვეტს ურჯულოებსა,
მათ სისხლს დაჰმართებს ბარადა,
ყინჩად სამ იცის ტრიალი
ომში ჯარად და ტარადა!“

1) წყლისაგან გამორიყული ზეები.

2) არ არჩევს.

3) სახელია ქალისა.

V

მთვარე ამოჩნდა ნალევი,
 მახარობელი ქვეყნისა;
 აქა-იქ მოჩანს ნათალი
 მწვეტი წვერები მთებისა.
 გორ-გორის პირებს მისდევენ
 ჯოგი დაღისტნელთ მგლებისა,
 ხევებში ჩადგა გრილები,
 ისმის ყვირილი წყლებისა.
 კლდის თავზედ დასძინებია
 არწივს, მოყვარეს მთისასა,
 ბორბალა¹ ცინულიანი
 გულის-პირს არღვევს ცისასა;
 ერთი ბუ ვაღმით კითხულობს
 ამბავს გამოღმა ძმისასა.
 საყორნის ყელში გამოჩნდა
 ჯგუფ-ჯგუფად ხალხი რეული,
 ყოყმანობს, წინ სვლას ვერ ჰბედავს
 ლეკის ბელადი გრძნეული:
 წინაით ესმა ქვის ჩხერა,
 ნახა წინწელი² სრეული.
 სთქვა: „წინ ვერ წავალთ, დადევით,
 ყური დაუგდეთ შრიალსა,
 ვაჰ, თარეშობას ესეთსა,
 ნადავლს და ცდასა ტიალსა!“
 ოსმანამ ლაგმის ტარითა
 ცხენი დარრიჯა ყელშია,
 ხმალი მაიგდო გვერდზედა,
 დამბაჩას სინჯავს წელშია.
 გაუოხრდება ყველაი —
 სიყვითლემ დაჰკრა ფერშია!
 როგორც ცით ელვა მოარდა
 მოყმე რამ სვილის ფერია,
 ხმალს აპრიალებს გორდასა,
 მაზედ ნათელი ჰფენია...

1) მთა არის, საცა აღაზანს სათავე აქვს.

2) ნაპერწკალი.



ერთი შავარდნებრ დაჰკივლა:

„ახლა-კი ჩემი ჯერია!“
შუაზედ გასჭრა ცხენ-კაცი,
შამბს ჰკოცნის ხმლისა წვერია;
შაიღებება სისხლითა
ოსმანას ყვითელ წვერია.

„აცათ, მაცალეთ, ძაღლებო,
გეყოთ ამდენი თარეში,
ღიაც-ყმაწვილის ბოჭირი¹
არაგვზედ, ფშავლის მხარეში;
ჯერ არ მამკედარა გიგლია,
კიდევ ჯანი აქვ მკლავებში“.

ასტეხა მტერმა ყვირილი,
დადგა ფარ-ხმალის წკეპანი,
მიგორავს ლეკის თავები,
სისხლს გააქვ დაბლა შხეპანი.

შაჰყარა ერთმანეთზედა
იმ ურჯულოთა ცხედარი;
ველარ მიუვა დედასა
ოსმანა ლაშქრით მკვებარი.
„ღმერთო, უშველე“, — ოძახის
ქალი-ტყვე, ცრემლის მჩქეფარი.

„უშველე, — სხვანი ამბობენ, —
მაგ ჩვენს უცნაურს ვაჟასა,
ნუ დაჰლლი, წმინდავ გიორგი,
მაგის კურთხეულს მაჯასა!“

ცხრა მოკლა, ოთხი გაიქცა,
ერთი გადუხტა ეხშია.²

წყეულმა ერთ წამს გიგლიას
თოფი დაგვიკრა მკერდშია...

„ვაჰ, დედას თქვენსა!“! ესა სთქვა
და გადავარდა ხევშია.

ბრძამზე³ კიდებით მიგორავს,
ხმალი უქერავ ხელშია.

¹) დაწიოკება.

²) გამოქვაბული კლდე.

³) მთის მცენარეა, ურო-ბალახსავით.



გადმოხტა გალაღებული
 ლეკი, ედახის ძმებსაო:
 „მოდით, ნუ სწირავთ ტყვეებსა,
 ველარა ჰნახავთ მტერსაო;
 თოფი ვკარ, ხევში გავგზავნე,
 იქ ჰლოკს კლდეების მტვერსაო!..“
 ქვითინებს გოდერძათ ქალი,
 მთის ბალახს აბერტყს ცრემლსაო;
 მოდიან ლეკის შვილები,
 ხელს უკიდებენ ხელსაო:
 „წამოდი, ქალო, ნუ სტირი,
 დაბლა ნუ აწყვეტ თმებსაო.
 ფეხშიშველს დაგათელინებთ,
 თინავ, თოვლიანს მთებსაო“.
 წინ დაიყრიან ტყვეებსა,
 ყუითა სცემენ ხმლებსაო.
 ტყვენი გიგლიას ჰგლოვობენ,
 ტირის გოდერძათ ქალია,
 იმის ხმა-მაღლა ქვითინმა
 კლდეც აატირა სალია,
 აბიჯებს წარა-ჟგონთა,¹
 მკვდრისაკე ჰრჩება თვალია:
 „ვაჟკაცო, შენი სიკვდილი,
 ვაჰმე, რა დიდი ბრალია!
 უნდა დაიქცეს სამყარო,
 გაწყდეს ცარგვლისა ძალია.
 რად არ მე მოვკვდი შენს უწინ?
 როგორ გიგონო მკვდარია?!“
 ხევის პირზედა, ლოდებზედ
 გიგლია კვდება ხარია,
 არ უნდა გულს ხელს დაკრეფა,
 კლდეს მიუბჯენავ მხარია;
 კვდება გულს უწადინოდა,
 მტრისა მიჰყვება ჯავრია.
 როცა გიგლია კვდებოდა,
 მთებ სატირელზედ სხდებოდა;

1) წარა-მარად.

ერთი ბებერი არწივი
 ზეით ქიუხში¹ წყრებოდა,
 საყორნის თავი მაღალი
 ზედ შუა გულზედ ტყვრებოდა,
 მაღლით მომფრენი მთის წყარო
 სიბრალულისგან შრებოდა.
 ბეჩავი იმის ლურჯაი
 გიგლიას თავით ბნდებოდა,
 ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
 თვალეზში ცრემლი ჰხლებოდა.
 სამყარომ შავი ჩაიცვა...
 მყვირალი რაღას შვრებოდა?

VI

ზორს სამ საღეკოს ყელშია
 ცის-ტატნად კაცი ჩნდებოდა,
 ხან თავს დააჩენს კლდის პირზედ,
 ხან დიყიანში ხტებოდა.
 გულ უწუხს თხის-ტყავიანსა,
 ერთს ადგილს ველარ დგებოდა.
 თოფს უცვლის პირის წამალსა,
 მტერს მოუსვენრად ელოდა.
 ქალის ტირილი შავსმა
 მყვირალს, ამტეხი ზარისა,
 შემამფოთები ტყე-ველის,
 მაღლა მთის, დაბლა ბარისა;
 ქარქაშში აღარ დგებოდა
 ბასრი ფრანგული ხარისა.
 ღრუბლებში დაქსაქსულია
 მკრთალი ნათელი მთვარისა,
 გულს ჩაიმჯილავს მალი-მალ,
 მოთქომი სიტყვის მწარისა:
 „ვაჰმე, იქნება მოჰკლესო
 რჯულ-ძაღლთა ჩემი ძმობილი!
 თავზედ დავიდვა სირცხვილი,
 დაერჩე ქვეყნისგან გმობილი!

¹ წვეტიანი კლდე.



ის სამარეში ვიგულო,
 ვიარებოდე ცოცხალი!
 თუ მტრისა ჯავრი შავქამო,
 სიკვდილო, მენაც მომკალი!“

VII

ყორანმა გადმაიარა
 ყრანტალით, თავის ღებითა:
 „დაილოცენით, ფშავლებო,
 თქვენის ფშაურის წესითა.
 სანამ თქვენა ხართ ცოცხლები,
 ლეში არ დამაკლდებაო;
 ბევრს ყმას ამოვწვდი გულ-ღვიძლსა,
 ნისკარტი სისხლში წრთებაო.
 საყორნის ყელში ცხრას ლექსა
 გიგლიაც თანა ჰყვებაო.
 მე უფრო გამიხარდება,
 როცა ვაჟკაცი კვდებაო.
 ღმერთმა მყვირალსაც უშველოს,
 ხუთს ლექს მამიჭრა თავია,
 ტყვეებიც ახადს მაჟღის,
 მაჰყავ გოდერძათ ქალია.
 მაგრამა ტირის ბეჩავი,
 არ შაჰშრობია თვალია,
 იმის ნაცრემლის ნისლებმა
 მეც ამირიეს კვალია.
 იძახის: „ძმაო გიგლიავ,
 შენი სიკვდილი ბრალია!“

VIII

ციდამ ჩამოწვა ღრუბელი,
 ჩარგალს დაადგა თავზედა;
 ფშავლების ჯარი მომდგარა
 გიგლიას სახლის კარზედა.
 ფშავლის ლამაზი ქალები
 ცრემლსა აფრქვევენ ძალზედა.
 დედა გიგლიას დასტირის,
 ყორნის გაპოხრულს მკლავზედა.

გულის ამოცლაც მოუსწრავ
 იმ სატილოს წამზედა.
 გიგლია საკაცეში წევს,
 გულს უწყევად ხმალი, ფარია,
 გვერდით უწყვია გიშრისა
 ქალთა ნაწნავთა ჯარია¹.
 გაისმის აქათ-იქითა:
 „ვაჰმე, რა გვეშველებო,
 კარგები იხოცებიან,
 ბეჩავი ხელში გვრჩებო!“

ხალხში ამბობენ, მთაშია
 დარბის, დახვივის ცხენიო:
 „ვაჰმე, სადა მყავ გიგლია,
 კარგი პატრონი ჩემიო!“

1886 წ.

¹) ფშაველებს ჩვეულებად აქვთ, თავის ნათესავის სიკვდილზედ ქალი თმას მოიჭრის. ძველად ვაჟაკის სიკვდილზედ ამ ჩვეულებას მთელი სოფლის ქალები ასრულებდნენ.

მ ა ნ ა ლ ი რ ე

მონადირე

I

გენაცვლე, ჩემო ყირიმო,
 რა ჟანგი მოგიკიდეა?!

არც ისრე დავბერებულვარ,
 რო სუ კერაჩი ვიჯდეა!

სამჯერ ხომ ჩავფალ მიწაში,
 სამი ვათავე აზარი,¹

ერთი-ლა მიკლავ მეოთხეს,—
 შენი საფლავიც მზად არი.

კიდევ სად დაგეტოლები,
 გაგახმიანებ მთებშია;

ბოლიმც არ იძებნოდეს
 შენი ყორან-მთის ტყეშია!

საყვარლად მაჰრთავს ბებერი
 ნამიანს ბალახს ბოლითა,

ვალხინებ საირმეებსა
 თოფის ზედი-ზედ სროლითა.—

მიყვარს და საამურია!
 მთანი იწყებენ გუგუნსა,
 რიჟრაჟზედ თოფის მსროლელის
 დაჰლოცვენ დედის ძუძუსა.

მალე გაიგებს ყორანი,
 თავზედ დამძახებს ტიალი,

კვალზედ მაჰსდევნენ სოფები,—
 მიყვარს იმათი ტრიალი.

იზლაზნებიან ოხრები,
 თვალებს ავლებენ შმაგადა;

ხელში დამრჩაა ნადირი,
 თუ ტყვიით არი ავადა.

ირმის გულს ყორანს დავუგდებ,
 ღვიძლ-ფირტვი სვავთა ძღვენია;

¹) ასი წმინდა ნადირი.



დაძღნენ, არა მშურს იმათთვის,—
კლდეთა ბეჩაენი ძენია!

მინდოდა არწივისადაც
მეცა პატივი ბევრჯერა,
მაგრამ სხვის მოკლულს არა სჭამს
ამაყი, ლალი ჩემფერა.

მარტუა დავა მოზვერი,
არვის იკარებს ახლოსა;
თუ არ თავის ბრჯდლით ნაშოვნსა,
რჯულია, პირი ახლოსა?!

არც ვის თავისას დაუთმობს,
არცა ნდომულობს სხვისასა...
რაც მოსპარბდება, მეფურად
სოვებს გაღუგდებს იმასა.
ნეტავ ძმად რად არ მთანიობს,
ძღვენს რად არ იღებს ძმისასა?!

როცა გაძლება ვაჟკაცი,
ისრულებს გულის ნებასა,
დაჯდება შავის კლდის თავზედ,
საზარლად იწყებს ყეფასა;
თითქოს ამბობდეს: „ჩემის ბრჯდლით
მეც გავეძელ, სხვანიც გაძღენა“.

სოვებო, დაგტყდესთ სჯობია
კლანჭი და მხრები მარჯვენა!
ნეტავი ერთხელ მყეფარი
არწივი კიდევ მაჩვენა!..

II

სიზმარში ვნახე წუხელა:
მჭვარტლის წყლის კუდში ვიდოდი,
დეკიანს გორზედ შემოვდეგ,
სადაც ირმები ვიცოდი,
გადავედ ტაფ-ტუფიანში¹,
შანბ-ჭინჭარს მოვედებოდი.

ჩდილის თავს ქორაფიანი
პირს იბანს უწინ მთვართა,

1) ჩავარდნილი ადგილი ტყეში.



დაბლა წაბლის ტყე გაშლილა,
დათვის ნამტვრევი ღამითა.
იქვე კლდე ჰყუდავ ყვითელი,
მლაშობი ჰყონაეს მაღლითა...

უცხო ხმა მესმა: ჯერ სტვენა,
მემრე „ო, მამო“, — შრიალი,
ერთიან ირმების ხრომა
ჩემზე მაილო თქრიალი.

შადგნენ ცოტა ხანს მწყაზარნი,
გაფრენ-გაფრენას ღამობენ,
მესმის ხმა, სმენის გამტაცვი,
თითქო ღთიშვილნი გალობენ.

გორის პირს მაყოლოვანშია
ქალი¹ გადმოდგა მზებურა,
ია, პირიმზე² ტანთ ეცვა,
თავზე ბურა³ ეხურა.
მეტად ღამაზი რამ იყო,
საამო, სახით ღვთებურა;
ბრძამ-ლეღის წინდებსა ჰქსოვდა,
თითებს აქანებს წყლებურა,
ტანად მომცროა და თმებით
ის არე-მარე ებურა.

ირმის ხროს მოერეკება,
სახელს ეძახდა ყველასა.
ერთი რქა-მნათი ჯონქაი⁴
განგებ იყრუებს სმენასა,
მარტოკა მივა ნაპირად,
არ დასდევს ქალის წყენასა.

ქალი გაჯავრდა, წასძახა,
აჩქამდა, როგორც ზარია:
„რად მტანჯავ, ბაითალმანო,
ტყვიამც გეცემა მწარია?
ანაწერიმც ხარ აგრია

1) ნადირთა პატრონი.

2) ყვაილია.

3) ბორხვენა, მცენარეა ერთფოთლიანი,

4) მეტი სახელია ირმისა, ალერსის გამომხატველი.





ზეგვე თორღვის თოფისა...
 რა ჭირი გეცა, რა არი?
 ბალახ თუ სჷამე ცოფისა?!“
 გამამელვიდა ზედაცა,
 რასწამს დასრულდა სიზმარი.
 კარჩი გამოვედ, ჟინელღავედა,
 ამომხდარიყო ცისკარი.
 მრავალან ჩაბძანებულან,
 მთანი ივარცხნენ თავებსა,
 ნისლები გადასწოლია
 ჭიაურაის მხარესა.

III

წუხელ ნანახი სიზმარი
 მითც არ მოცდება,—ცხადია.
 ამ სიზმრით ბევრჯელ თორღვამა
 ირმებს სუკები ვწვადია.
 ჭანდრის ძირს ცეცხლი შავანთე,
 დავაშიშინე მწვადია;
 ეხლა ხარები ყვირიან,
 ღვრივაზე წასვლა მწადია.
 ღმერთო, მას ნულარ შამამთხვევ,
 რაც რომ შამამთხვა ერთხელა,
 ნეტავ თოფს არ ავსდევიაყავ,
 მონადირობა მეწყეველა.
 აღრევ წამოველ სხლოვნითა¹,
 მას აქათ ხუთი წელია,
 ივრისას ჩამოვიარე,
 ვერანა² ვადმოვსთელია.
 მზე კიდევ იღვა მთებზედა,
 არ დაძრულიყო ნიავეი,
 ყორან-მთის გადასახედში
 ხარმა დაიწყო ღრიალი;
 სუ დაძრა ჩრდილი, გორ-გური,
 დააწყებინა ზრიალი.
 ბევრი რამ გამიგონია,

¹) სოფელია.

²) სოფელია.

ბევრიც მინახავ თვალითა,
ირმის ყვირილზე ლამაზსა
ვინ მაიგონებს,—საითა?!

ამოგმინდება ტიალი
სურვილით სავსეს გულითა,
მემრე ზედი-ზედ დაჰკენესებს
ფურის მძებნელი სულითა.

სადაც-კი იმას გაუვლავ,
ასუნებულა ვნებითა,
დგნალი და შიმელაები
გადუღვერია რქებითა.

ნაბოტარს¹ დაულეგია
ის არე-მარე ტყებითა,
თოფი ვაშიშველე ჩულშიით,
ახლო მიუჯე ქშენითა.

ტაფში მიდამო ბრუნავდა,
უწინ უნახე რქის წვერი,
მემრე სრულ ამააჩინა
რქა ნათლიანი, ტყის ფერი.

ტანი არ უჩნდა ოხერსა,
შიმელაები ჰფარვიდენ,
თოფი არავინ დაჰკრასო,
თითქოს იმიტომ ჰმალვიდენ.

გავსტეხე ერთი ნალეწი²,
დავიბუხუნე³ სამჯერა.
ფური ვეგონე, მოარდა,
უნდოდა გული ეჯერა.
კინალართ გამანადგურა,
კინალ პირდაპირ მეძგერა.
ვაჟკაცის ილეთი⁴ ჰქონდა,
სქელი კისერი ეღერა.

კაცის ხასიათს ვინ იცნობს?
გასაგებია ძნელადა,

¹) ნ ა ბ ო ტ ა რ ი,—ირემს ყვირილობის დროს საშინელი მქისე სუნი მოსდის; სადაც-კი გაივლის, ყველგან, ზალახებზე და მცენარეებზე, აბნევს ამ საზარელს სუნსა.

²) ხმელი ხის ტოტი.

³) აჩქამება ისე, როგორც ფური ირემი გადაეძრახება ხარ-ირემს.

⁴) შნო.



რაც გვიყვარს, რაც რომ გვებრალებს,
თუკი ჩავიგდეთ ხელადა,
არ დავინანებთ, გავქელავთ,
მოვეციდებით მგელადა...

მყისვე ჩახმახი დავლრიჯე,
გულზედ დავადევ ლიშანი...
კორაში¹ ვნახე, დაემხო²,
წვერნ გადიქნივნა რქისანი.
მე რა ვიცოდი იმ რქათი,
თუ ნაკურთხნ იყვნენ ღვთისანი!

წამოიწია კვნესითა,
მუხლის კვერებზე მდგარია,
ვნახე რომ რქებზე ჟიკჟიკებს³
სანთლები, ვარსკვლავთ გვარია,
ყურთ მომელანდა წყრომის ხმა,
მითამ გაელო კარია.

თვალნ დამრჩნენ გაღმა გორზედა,
ვნახენ ხავსიან ყორენი,
საყდარს გუმბათივ დავატყე,
ზედ ხენი ორნი სწორენი.

ჯავრობა ისმის იქითა,
გადმოდგა ვინმე ბერია,
თოვლივით წვერი გულზედ სცემს,
სულ ანგელოზის ფერია.
ხელშია ყავარჯენივით
ჯოხი რამ დაუჭერია,
მიძახა: „რა ჰქენ, თორღვაო,
რაად მამიკალ ზვერია!?
კარგი,—ჰნახოდი, ბექშია⁴
შენი ცოლ-შვილი სწერია!“

ეს სთქვა, მაშინვე მიბრუნდა,
ველარა ვნახე თვალითა.

¹) გასახედი თოფისა.

²) დაენარცხა, დაასკდა დედამიწას.

³) ჰბრწყინავს.

⁴) მთის ხალხსა სწამს, რომ წმინდა ცხოველის, შინაურის, თუნდ გარეულის ბექში, ვისაც იგი ეკუთვნის, ან მოუკლავს,—სწერია კაცის ავი და კარგი თავგადსაველი.



გავზრი და დავდნი ელდისგან,
წიფელს ვხვევივარ მკლავითა;
თოფი წინ გადამგარდნია...

გამამელევიძა ლამითა,
სეტყვა და წვიმა მომსქდარი
მომგუბებია თავითა.

სქექდა, ელავდა წამ-უწუმს,
წყალი თავს დამდის ღართა,
გაეინთული ვარ ერთიან
ცივის ნაწვიმის ცვართა.

გავიქე, ჩაველ ხევშია,
ღავჯე, დავიწყე ტირილი...
ცეცხლი დავანთე, არ დავსდევ,
თუმც მესმის ირმის ყვირილი.

ადგილის დედის სამხვეწრად¹
სანთელი მედვა უბეში,
ჩამოვქენ სამი ნაჭერი,—
გაჭირვებულის ნუგეში.

მივედი დილით ნასაყდრალს,
შემოვუარე ჩოქითა,
კარზედ სანთლები მივაკარ
ცრემლის ღვრითა და ლოცვითა.

შაუთქვი ერთი მოზვერი,
საუკეთესოდ კვებული:
შამინდე, აგრემც იქნები
ქრისტიანთაგან ქებული.

საშვილიშვილოდ დამედვას
შენი წლის თავზედ კურატი,
ოლომც-კი ნუ გამიწყრები,
ნუ დამალონებ ნურათი...

IV

შენს მტერს! მოკეთეს აშოროს,
რაც მაშინ ვსჭამე ჭირია!

¹) მონადირეს ჩვეულებად აქვს, როცა უცხო ადგილს მიდის სანადიროდ, სანთელს წაიღებს, „ადგილის დედას“ დაუნთოს, რომ იმან ხელი მოუშართოს.



ჩემს დღეში ჯავრ-უნახველმა
ცრემლით ვიბანე პირია!

მე რა ვიცოდი, ირემი
თუ იქნებოდა ხატისა;
ნადირი ტყეში ათასი
სუ წარა-მარად დადისა!

ვარ უსამართლოდ დასჯილი,
ამით მიკვდება გულია.
ღმერთი და ხატი მგონია
ჭკვით და გონებით სრულია...
მაშ რად დამტანჯეს დალოცვილთ,
რად დამიდაგეს სულია?

რაც სინანული შამეძლო,
თავი არ დამიზოგია;
არცა ვარ ქურდი და ბოზი,
არც ავი, როგორც ზოგია.

ხუთს წელს ვინანე, თოფისად
ზედაც არ შამიხდენია,
ჰია რა არი, მისთვინაც
სისხლი არ გამიღენია.

რად გამიმეტა ბატონმა,
რაზედ მამიდვა გენია?!
უნდა დავლიენე სიმწარით
ჩემნი სიცოცხლის დღენია...

ორის წლის უკვენ ჩემს სახლსა
ჩემს მეტი არვინ ჰრჩენია.
სამი ვაჟკაცი დავმარხე,
სამნივე საქორწილონი,
ცოლი,— და ქალსა ბატარას
ჯერ არ მიელო მირონი.

მაინც ხომ ჩემი სახელი
ცოდვილთა რიცხვში სწერია,
ბარემ მეც სული ამამხდეს,
გული ვერ დამიჭერია.

მინდარის გაგიჟებითა,
ვიხილო ირმის კვალები,
მოვედო კიდევ გორ-გურსა,
ვაცეცო ირგვლივ თვალები,



ავაყაყანო მეზობელთ
ბაღლი, კაცი და ქალები.
მწყურის სთქვან: კიდევ თორღვასა
გუშინ მაუკლავ ხარია;
გაგვიზიაროს ჩვენაცა
სუკი, ან ერთი მხარია.

1886 წ.

ԳՐԱԳՐՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՎԵՐՈՒՄՆԵՐԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

ՄԱՍԻ

გოგოთურ და აფშინა

(ძველი ამბავი)

I

ამბობენ, ბლოელ¹ აფშინა,
 მინდოდაურის გვარისა,
 სცარცვავს რჯულიან ურჯულოს,
 მარჯვედ მომხმარე ფარისა,
 ჭერხო აავსო უნჯითა,
 როგორც სალარო ხანისა.

თანაც იტყვიან: გოგოთურს
 ჯანით ვერ შეედრებო,
 ნეკით გასტყვარცნის, აფშინა
 ხე და ქვათ შეეცხებო.
 მეფესაც უთქვამ: „გოგოთურ
 ათასს კაცთანო ვადარე,
 ათასგანა მყავს ნაცადი,
 ათასგან ომში ვატარე;
 გოგოთურს რკინის გული აქვ,
 მკლავი ხო გადამეტია,
 რამდენჯერ მარტომ შაბერტყის
 მტერი ქვიშაზედ მეტია.
 ომში სიკვდილს ჰგავ გოგოთურ,
 შეუბრალები, უკვდავი,
 მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,
 როგორაც სულთამხუთავი...
 ისე ავორებს მტრის რაზმებს,
 როგორც ნავს ტალღთა დენანი,
 ალბათ სწყალობენ ვაჟკაცსა
 ის ანგელოზნი ზენანი!“
 რამდენჯერ სთხოვა ბატონმა
 დარჩომა მეფის კარადა,

¹⁾ ბლო, — სოფელია ხევსურეთში.



მაგრამ ვაჟკაცი ეტყოდა:
— მეფევე, ვერ გავძლებ ბარადა.
თუ მთის ნიაღვი არა მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
არ მინდა პური, არც წყალი,
ალარც გაღება პირისა!
მამეხიზლება გუნება,
ვერა ვარ გამძლე ჭირისა.

გოგოთურ ამაზედა სწუხს,
ხმა აღარ ისმის ომისა,
მიწურვილია,— თავდება
ყამი ზაფხულის ორისა.
შინაც ხომ უქმად არ არი,
მუშაობს, მიწის მხენელია.—
ამბობს: „ომის დროს ვიომოთ,
არა-დ,— ვიქნიოთ ცელია,
ნადანელით, ნაყაჩაღართ
კაცის დარჩომა ძნელია“!

არაგის ახსოვს, ფშავშია
ხმა-მალლა ასძრახდომოდეს,
განალამც საცარცვაეადა
გზად ვისმე გადასდგომოდეს.
ვეება ჭანდარს აიღებს,
წიწკრად გაიდებს მხარზედა,
ყალიონს პირით არ უშვებს,
მიიტანს თავის კარზედა;
ირმებსაც დაედევნება
ყოფჩის გადაღმა კვალზედა.

შემოლამდება, შინ მოდის,
ჩამაუჯდება კერასა,
დაიწყებს შესაქვევრად
დიდის ყალივნის წევასა,
ფანდურსაც შააქლარუნებს,
თითს ააჩქამებს ბერასა.
ხანდახან დაიბუბუნებს,
ჭერი დაიწყებს ნძრევასა,
თან ფეხს დაუცემს ვაჟკაცი,
მიდამო იწყებს ნოქრევასა.



II

ძველადგანვეა ნათქომი,
 რო დედაკაცი ყბედია,
 მიჰყვება გულის ძრახვასა—
 ვნებიანობით რეტია,
 წაიტყვის უგვანს სიტყვასა
 მოუფიქრელი, ცეტია.
 ქმრისად სახელის მძებნელი,
 სხვას არ დავიდევს არასა;
 მტყუანი იყოს მის ქმარი,
 თუნდ ხალხს სცარცვიდეს შარასა,
 ოლომც იქნევდეს ფრანგულსა,
 არ ჰლალატობდეს ხარასა¹,
 ცოლსაც სწყალობდეს, აცმევდეს
 წითლის დარაის კაბასა.

ცოლი აუტყდა გოგოთურს:
 — რად გინდა დიდი სხეული,
 თუკი ზღუბლს არ გასცილდები,
 როგორც სახადით სნეული?!
 რად გინდა თოფ-იარაღი,
 ბასრი ფრანგული, წყეული,
 ათასგან სისხლში ნათრევი,
 კაცების ჟლეტას ჩვეული!
 აბა, დაჰკვლიე, უტირნავ,
 ცრემლი აქვ პირზე მცვრეული!

წადი, შენც ვინმე გაცარცვე,
 არ გინდა სარჩო ნეტარა?
 ქისტებს თავები გაჰბალთე,
 ხევსურთ დაადევ ბეგარა.
 ამბობენ, აფშინაის ცხენს
 ტანი სრულ ვერცხლით ეფარა.

— ნეტავ რას ამბობ, დიაცო,
 ჰკვას რად არ ატან სიტყვასა?
 საქმე თუ გამოგლევია,
 რატუ არ იტყვი იმასა?!
 რად მინდა მაშინ სიცოცხლე,

1) თოფია.



ლუკმასა ესჰამდე სხვისასა?

შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ,
თოფისასა და ხმლისასა?..

შენ უნდა საჩეჩელს ეჯდე,
ან არა, — ჰქსოვდე წინდასა...
ხმლის ქნევას მადლი მაშინ აქვ,
როცა ხმალს ჰხედავ მტრისასა!

ჯერ მეფის სიტყვა არა სჩანს:—

„შემოგვესია მტერიო,
ფშავით მოიდეს ლაშქარი,
ჩემი ერთგული ვრიო,
წინ გამაუძღვეს გოგოთურ,
ჯერ არ-ოთ არი ბერიო“.

მითც არ მოჰსვლია ჩემს ხმალსა
სისხლით შეღებვის ჯერიო.
ჩემი ფრანგული მტერსა ჰკლავს,
ძმაზედ არა აქვს ხელიო.

უწინ შინ როდის დამდგარვარ,
როსც დაგვცემია თათარი,
მტერს წინ მე მივგებებივარ,
როგორაც ჯერნებს აფთარი.
ომში რვა ხმალი გავცვიოთე,
მეცხრე თეთრ-ტარა ხანჯარი...
თუკი ავსული არა ხარ,
ეგ საყუედური რა არი!?

— მე იმას ვამბობ, ბეჩავო,
სახლისადა ხარ ურგები;
რა სარჩოდ გამოგადგება
თათრების დაქრილ ზურგები?
ლაშქრობით რა მოგიტანავ,
ტანზე წყლულების მეტია?
მარტო სახელი რას გიზამს,
თუ სარჩოც არა ჰხვეტია?!

დალონდა მეტად გოგოთურ,
ხმალს მიაწვდა ხელია;
ლაფნის¹ საბმურით შაიბა,

¹) ლაფანი ი, — ცაცხვის, ან თელის ქერქის შიდაპირი.

მაგრა შაიკრა წელია;
 მარცხნისას ფარი გადიგდო,
 მარჯვნივ—სიათა კრელიო,—
 უზარმაზარი, ძელსა ჰგავ,
 კაცის საზიდად ძნელიო.
 დედაკაცს დაათათბირებს:
 — უნდა მიმოველო ხმელიო,
 რასაც შენა მთხოვ, იმისა,
 წავალ, ვიქნები მქნელიო.
 მოყვრებში გამაემართა
 ამის დაცინვით მოქმელიო.

III

გაზაფხულ იყო მაშინა,
 ახლად ყოოდენ იანი,
 მწვანის ქათიბით კოხტაობს
 მთების კალთები ტყიანი;
 ბექ-ბუქში თოვლი დამდნარა,
 მიწა გამხდარა წვნიანი,
 მწვანეს ეწვდება ფოთოლსა
 ხარი-ირემი რქიანი.
 გალაღებულან ფრინველნი,
 ისედაც ლალი-ზნიანნი;
 არაგვიც მოჰქუხს მრისხანედ,
 ამ დროს შავფერად მდინარე,
 იღვიძებს, იფშენეტს თვალებსა
 მის არე-მარე მძინარე,
 კლდეებიც წყალსა ჰკონავენ,
 სრულად დამდნარა მყინვარე...

კოპალის ქეასთან გამოჩნდა
 კაცი მთასავით მძვინვარე,
 მაიზლაზნება ზოვივით,
 პირქუში, არა-მცინარე.
 ზენაით მეორე მოსჩანს,
 იმღერის,—მთანი ხვივიან,
 მათქვეყნებს ლურჯასა,—
 ნალნი რიყეზე წივიან;
 მაეზაყება ცხენზედა



გამარჯვებისა ჩვეული,
უხდება წითელს ჩოხაზე
ფარი და დაშნა რწქული.

გოგოთურს ჰხედავს აფშინა,
გულშიაც ჩაეცინება,
ზედ მიჰვარდება ცხენ-და-ცხენ,
უდივრად შაიგინება,—
აფშინას ბაწარაულის¹
შუქი შორს გაიფინება:

— იარაღნ მამცენ, ფშაველო,
რად გი², არ იცი ხმარება!—
პირდაპირია აფშინა,
ვაჟაკს არ უყვარს პარება.

რა გაკვირვებით მიყურებ?
აფშინას მეძახიანო!
ჰა, თორთ შავთხოვ ფრანგულსა,
ხმალო, გამიჰერ, ფხიანო!

გოგოთურ ჰტიქრობს: ვეჩვენო,
აცა, აფშინას საწყლადა;
ვენგეწო, თავი ვიდაბლო,
ამის რას მიზამს ნაცვლადა?
აქებენ, შამიბრალებსა,
თუ გადამაქცევს ნაცრადა.

— რადა, ძმობილო,—რად აგრე?
გან დიაცი ვარ ორსული?
დედამ გამზარდა მენაცა,
ნებგჩი არა ვარ მოსული!
თუ მართლა აფშინაი ხარ,
იარაღთ რად მყრი, ძმისაო?
უიარაღო გამიშვა,
ხათრი არა გაქვ ღვთისაო?
მიწაზე როგორ ვიარო,
მზე როგორ ვსინჯო ცისაო?
ჯალაფნი არ მეტყვიანა:
„ჰაი, შე ტყლაპო მტრისაო?!“

1) ხმალია.

2) შემოკლებული „გინდა“.

სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაჭმევ, ძმობასა,
ქუდმოხდილს ქვეყნად ნუ მავლევ,
პირში ნუ მიმცემ გმობასა.

კაცი ხარ სახელიანი,
რად მიწევ ეგრე მტრობასა?
ოლომც იარაღთ ნუ ამყრი,
რა ვქნა, გაგიწევ ყმობასა.

— ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა შაიხსენ ხმალია,
სიათაც გადმამაწვადე,
კარგი ექნება ძალია;
ერთი კვირაა, შენს მეტსა
ვერავეს დავკარ თვალია.
ჩქარა შაიხვენ აბჯარნი,
არა-დ,—გალოკებ ქვიშათა,
მიგცემ, გათრიონ ყუნჭივით
ტალღთა არაგვის წყლისათა.

მისცა ხმალი და სიათა,
ფარი, ნაჭრევით ფარული.
ცხენის აღვირსაც უსწორდა
მოყმე, დისწული ყვარული.

აფშინამ ლურჯას დეზი ჰკრა,
იგიც გაფრენას ლამობდა;
გოგოთურს თმენა გაუწყდა,
გამოცხადებით ჯავრობდა:

— მაშ მიგქონ ჩემნ იარაღნი,
კიდევ არ შაირცხვინია?
დადეგ, შე უნამუსოვო,
ქვაზედ გინაყო ტვინია!
გაწყრა, გაჯავრდა გოგოთურ,
გულში აეძრა ჭინია.

ხელი გაავლო აფშინას,
დადვა, დაბეგვა ძალიან;
გადაფითრებულს აფშინას
სატირლად აღარ სცალიან;
მაგრა შაკონა ბეჩავი,
ისე დააგდო გზაზედა.



ჩაეუბნება ჭკვიანად:
— შენ გაგერშილხარ სხვაზედა.
გინდოდა გოგოთურსაცა
წამასჯდომიყავ თავზედა?

შენ რო ჭკვიანად მოგეჭე,
გვედრე, არ შამიბრაღია,
ეხლა მე შერთყას წელზედა
შენი ზიკზიკა ხმაღია;
ცხენიც მე მყვანდეს—ლურჯაი,
თანაც ეს შენი ფარია;
ჩაჩქანი, რკინის პერანგი
შენზედ არამი არია.

— რა ვქნა,—ამოთქვა აფშინამ
წვერმოტეხილის ენითა,
თან დნება ლურჯად, შავადა,
გულში ბოროტის კბენითა,—
რა ვქნა, გავბრიყვდი, ვერ გიცან,
თუმც-კი გიცნობდი შორითა;
ბეჩავსა ვისლაც გამსგავსე,
დონდლედ აგებულს ყორითა.
გაქებდნენ, კარგი ყოფილხარ,
კარგი გქონია მარჯვენა,
ფიც-ვერცხლი ვჭამოთ, გოგოთურ,
ჩემნ იარაღიც მამცენა.
მრცხვენიან, ამას რო ვამბობ,
მიძმე და მომეც აბჯარი,
თუ არა, ბევრად მირჩვენავე,
რო გულში დამცე ხანჯარი.

— კი ყოფილაა ადვილი
სხვისად მიცემა აბჯრისა,
სხვის წელზედ სინჯვა თვალითა
თავის ხმლისა და ხანჯრისა!
კაცისად იარაღისა
აყრა სიკვდილთან სწორია.
ეხლა-ლა მოხვედ ჭკვაზედა,
ეხლა მაიეც გონია?
ხომ იცი, საქართველოა,
ყველა კუთხიდან მტრიანი,

მგზავრს მიშვებ უიარალოს,
 კაცი არა ხარ ღვთიანი?
 რას დასწრწი, რას დაეთრევი,
 შე უნამუსოვ, ფაფხურა,
 რო წისქვილებში მსუნავი
 ქურდი, ქოფაკი, შავყურა?
 გშიოდა, რატუ არ მითხარ,
 გაქმევედი, გაგაძლებდია,
 იარაღს როგორა მყრიდი,
 ღმერთი არ არის შენშია?
 თუ არა, რაად გინდარის
 ვერცხლი, ნადები ქვევრშია?
 თუ მაინც გიყვარს ხმლის ქნევა,
 ქროლვა, ქორებულ ტევება,
 მე სამ გამამყევ, გაჩვენო
 მტერი საჟლეტად ვეება;
 დაგეცეს მარტოს ათასი,
 გცემდენ, მოგიგდონ შუაში,
 მაჯა დნებოდეს შრომითა,
 ხმალი ტყდებოდეს ყუაში.
 გასძელ, სხვა ხმალი იშოვე,
 მტერი დააფრთხე თხებურა,
 მარტომ მისდიე მრავალსა
 პიროფლიანმა მგლებურა.
 მაშინის ვიტყვი, ღირსი ხარ
 წელზე ხმლის, თავზე—ქულისა;
 არა-დ—გებუროს ჩიქილა
 თავზე დიაცის ცულისა!
 შენ გიცარცვია, ვინაცა
 საბრალო არი, ბეჩავი,
 თვის დღეში ომ-უნახველი,
 დიაცთ ნალახის მხვეტავი;
 არ შავგვედრია შავფერა,
 მკლავ-მსხვილი, რკინის მკენეტავი.

მე შენ იარაღნ რად მინდან,
 სიმრუდის გზაზე ნავალი?
 შინაცა აქვის გოგოთურს
 ფარი და ხმალი მრავალი.



აჰა, აბჯარნი, ცხენიცა,
 წადი, მშვიდობით ვლიდია,
 საცა შენი სოქვა ბიჭობა,
 იქავე ჩემიც სოქვიდია.
 გარისხებ ხახმატის ჯვრითა,
 აი, კოპალაც ეს არი,
 რო ყველა სიმართლითა სოქვა,
 რაც რო დაგედვა ბეგარი...
 თანაც გაუხსნა ხელები,
 წამააყენა მხედარი.

ადგა ბეჩავი აფშინა
 თვალ-მოცრემლვილი, ლურჯია.
 — შეგონა თავი, ამბობდა,
 გაუტეხელი ბურჯია;
 ეხლა სჯობს სახჩი ვიმალო,
 თავზე დავირტყა გურჩია.
 მოდი, გაკოცო, გოგოთურ,
 სიკეთისათვის შუბლჩია.

ხელი მაჰხვიეს ერთმანეთს
 გულახდით, არა ძალადა;
 აფშინას ხურჯინშიითა
 ტიკჰორა მააქვ ჩქარადა.
 მიიპატიეა გოგოთურ,
 დასხდნენ ვაჟკაცნი ხის ძირა;
 აფშინამ ყანწი აავსო
 და ილოცება წინ-წინა:

— სანამ იცოცხლე, გოგოთურ,
 სანამ ცასა სდის ნამია,
 სანამ მზე ათბობს ქვეყანას,
 დილა-სალამოს ჟამია;
 სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი,
 მიწა ამცენებს მწვანილსა,
 სანამ ჯინქველა ქალაქით
 ზურგით მაიტანს მარილსა;
 მიგწიოს ლაშარის ჯვარმა
 მუდამაც გულის წადილსა!

ახლა გოგოთურმ დალოცა:
 — გწყალობდეს, ძმისაგ, ხატია,



შენც ჯანიანი ჰყოფილხარ,
 როგორც წელანის გცადია.
 ღმერთმა გაშოროს ბოროტი,
 ავ საქმე, ავი წადილი...
 ნუ მოგვიშალოს უფალმა
 ძმობა და ერთად ხადილი!
 აფშინამ ხანჯრის ბუნისა
 ვერცხლი არაყში ჩათალა,
 ორთავ დალიეს ერთადა,
 ორივემ ყანწი დაცალა.
 იფიცნეს. ეხლა ძმანია,
 ვით ერთის დედის შვილები...
 ახლა უმღერეს ზედაცა
 ერთურთს სამღერი ტკბილები,
 მემრე წავიდნენ ცალკ-ცალკე
 თავ-თავის გზაზე გმირები.

IV

უკუნეთია. არ ისმის
 კრინტი არსითგან არ-რისა.
 სუდარჩაცმულნი მთანი დგან,
 ფიქრის მზიდველნი მწარისა,
 სუ მუდამ ყინულიანნი,
 არ-როს მნახველნი მწვანისა;
 ცხადად ერჩევა საჯიხვე,
 ქმნილი კლდისაგან სალისა.
 ჩქაფუნი მოდის მწყრომარე
 იქ ხევსურეთის წყალისა
 და განაპირად სოფლისა
 ისმის რაკუნთ კარისა;
 თან ხმაც გაისმა მწუხარე
 გადმონადენის ჯავრისა!
 — გაგიწყრეს ჩემი გამჩენი,
 მადლი ხახმატის ჯვარისა!
 რა დროს ძილია, ბედმწარე,
 შე უდავლათოს გვარისა?!
 აფშინას ვერ შეაწონვი,
 როგორც მზეს შუქი მთვარისა.



აჰა, წაიხვენი აბჯარნი,
 ცხენს ნუ დაუყრი თივასა;
 ვინც ხვალ პირველად მოიდეს,
 ყველა ეს მიეც იმასა;
 ჩემ ცხენიც იმასა ჰყვანდეს,
 ფასს არ ვსთხოვ, არცა ჭირასა.
 ხო გესმის, რას გეუბნები,
 თავს რასა ჰკიდებ ძირასა!?
 მე კარჩი ველარ გამუალ,
 ძმად უნდა ვყვანდე ჯინასა;
 ჭირი შამყრია უწამლო,
 კაცს, ხევსურთ ბადალს, წინასა.

აგერ სამი თვე სრულდება,
 არა სცილდება ბინასა,
 ლოგინად ჩავარდნილია,
 უნდება კვენესას, გმინვასა.
 მალა და ველარ დამალა
 აფშინამ წყლული გულისა,
 არ ეთქვა, აღარ შეეძლო
 ვაჟკაცს მობრუნვა სულისა.
 ცხენი, აბჯარნი სხვას მისცნა,
 გახდა ერთგული რჯულისა.

V

მოგროვილიყვნენ ხახმატსა
 ხევსურთ ვაჟები ხმლიანნი;
 სალუდის კარზედ მოჩანან:
 მინდი,¹ მამუკა² მტრიანნი;
 ხირჩლაიც მოდგა ხატის კარს,—
 ვაჟკაცი სახელიანი.
 განს, მოშორებით დამდგარან
 დიაცინი მანდილიანნი.
 ლუდის სმა არი, ღრეობა,
 ცხვრის თავები ჰყრაფ ყორედა;
 ხევის-ბრის დიდება ისმის,—

¹) სახელია კაცისა.

²) სახელია კაცისა.

აფშინა არის სწორედა!
ხალხს ხატს ახვეწებს ტკბილის ხმით,
იწვევს მფარველად ქვეყნისა:
„მწყალობელ იყოს გიორგი,
ხალხო, ოჯახის თქვენისა;
მტერზედამც გაგემარჯვებით,
სიკვდილს გაშოროსთ მწარესა,
გამარჯვებითამც გივლიათ
ყოველგნევ ხმელეთის მხარესა“!...

ამბობენ: ქვითინი მოდის
ლამ-ლამ ბლოს თავით კაცისა:
„ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!“

1887 წ.

სულა და კურდღელა

სულა და კურდღელა

ძველი ამბავი

გატეხილისა ვაჟისა
 ყორანმა ლეში არ ჭამა,
 გაუტეხელის ვაჟისა
 წინ-წინ მკლავები დაჭამა.
 (ხალხური)

ჩემი სულაი-დ კურდღე-
 ლაი ჩარგლის-კარს წვანან
 დაჭრილები, ხმლით ყორ-
 ნებს ულაღვენ ერთმანეთსა.
 (დედის ტრილი)

დღევანდლამდისა შალის მთის წვერზედ
 ციხე-დარბაზის ნანგრევი არი.
 ხავსით მორთულსა ციხის ლოდებზედ
 გაუწყვეტელად ქვითინებს ქარი...
 ციხის ძირს ჩაშლილ-გაოხრებული
 დიდი სახლკარი მოიყურება,
 გულზელ-დაკრეფილს ჩამოსდის ცრემლი,
 გმირთ საუბარი არ ეყურება.
 ერთი სიცოცხლის მომასწავები
 ციხის მფარველად მუხა მოსულა,
 მაგრამ ღრუბლებთან მეზობლობითა
 ეღვა-მეხისგან დაობლებულა.
 ჩამოწოლილი მეხისგან იგი
 სდგას ვით მოზარე წინაშე ცხედრის;
 სტირის, რომ მასაც მოჰსვლია ჯერი
 იქცეს ფეხის მტვრად მთურგენელი ხვედრის.
 ფშაველნი თაყვანს სცემენ გმირთ სადგურს,
 თუმც ახლო ვერვინ ვერ მიუდგება;
 წარსულის დროის შემლალადებლებს
 დიდი სიწმინდე იქ ეგულება.
 იქ ეგულებათ ორი სამარე,

ორის გმირისა—სულა-კურდღელის:
 დღე-ღამ მებრძოლნი სამშობლოს მტრებთან
 გამხდარან მსხვერპლად თათრების ხრმლების.
 ამ წმინდა ადგილს არ ჰყავს მფარველი,
 სხვა მას არსება არ ეკარება;
 მხოლოდ აქ ბუდობს მაცდური გველი,
 ლოდებზე თბება, როცა დასცხება.
 ათასში ერთხელ შავი ყორანი
 მხრების ტყლაშუნი თავზე გადუფლის,
 ერთს დაჰყრანტალებს ხმით ამაზრზენით
 არე-მარისი და კაცის გულის.
 ღამ-ღამ ზამთრობით, როს ბუნებასა
 მოუსვენარის ძილითა სძინავს,
 ყველა მცენარეთ, ცელქსა-ნაკადსა,
 კლდიდამ მომჩქერალს, იმონებს, ჰყინავს;
 თოვლით მოსილნი ამაყნი მთანი
 უქმყოფილოდ იცქირებიან;
 მათ უბეებში არწივნი, სვანნი
 გასაწყლებულნი იმალებიან;
 ლეგა, მიხრწნილი სიმშილით მგელი,
 მიეთარება ნანგრევთა გვერდზედ,
 ღმუის გაბმითა თავალებული,
 ვიდრე არ მოჰკრავს რიჟრაჟი მთებზედ...
 ხალხში ხმა არის: შუალამის დროს,
 როცა სიჩუმე ჰსუფევს სოფელში,
 აღმოსავლეთით მოდის ვარსკვლავი
 და ჩაეშვება ამ ნანგრევებში.

ერთი დრო იყო, ამ ადგილასა
 ბრწყინავდა მკვიდრად ციხე ნაგები;
 აქ ბინა ჰქონდა ორს ლომგულს ძმასა,
 მათ აწუხებდათ სოფლის ამბები.
 ძმებს სიყრმიდანვე თან დაჰყოლია
 სოფლისთვის შრომა, სოფლისთვის ბრძოლა,
 ამიტომ კიდევ თავს მათ სწოლია
 ქვეყნის მტრებისთვის ისრების სროლა.
 ქორ-შავარდენნი მალღის მთისანი
 სოფელს მთებიდან თვალს ადევნებდნენ,

ხალხის შველისთვის გულდამშეულნი
 საჭირო ადგილს მიიჭრებოდნენ.
 როგორაც მეხი ცხვრისა ფარასა,
 რიყედ გაჰფენდნენ ურჯულოს ჯარებს,
 გაქცეულს ხმითა დასცემდნენ ზარსა
 და უციებდნენ მუხლებში ძარღვებს.
 მტრისგან აღძრული ქალთა ქვითინი
 და ბაღღთ წივილი დაიძინებდნენ,
 სადც გაისმოდა მათ ცხენთ ბიბინი,
 „ჩვენ აქ ვართ მეშველად!“ დაიყვირებდნენ.
 რა ხალხის მჟღეტი, გულგრილად, მტრები
 დამარცხებულნი გაიბნეოდნენ,
 სისხლში მოსვრილი, დაღალულები
 ძმები ციხეში დაბრუნდებოდნენ.
 ოფელში გაწურულთ ცხენთა ქიხვიანზედ
 დედა უღებდა ციხის კარებსა,
 მოევლებოდა შვილებსა თავზედ,
 გამოჰკითხავდა ომის ამბებსა.
 სულა, კურდღელა შავად ჩაცმულნი
 ძვირად აძლევდნენ დედას პასუხსა;
 სხედან ვით მთანი ნისლით ბურვილნი,
 არ აჯერებენ წვრილს ბრძოლას გულსა;
 გმირებს სწყურიათ მედგარი ბრძოლა,
 გული იჯერონ მტრების ჟღეტითა;
 ჰსრავდნენ ისეთ მტრებს, არ აქენდესთ თრთოლა,
 როს ჩაცვივიან ხმლების ქნევითა.
 დედა შვილების გასართობადა
 ხელში აიღებს ხმატკბილს ჩონგურსა
 და მაღალის ხმით ვაჟკაცურადა
 დამღერს, შვილები უგდებენ ყურსა:
 „ომ-უჩვეველსა ვაჟკაცსა¹
 ომი ქორწილი ეგონა;
 ხმლის ქნევა, ფარის ფარება
 ფარიკაობა ეგონა;
 ჯარად მოდენა ისრისა
 ცით ხორხომელა ეგონა;
 გულზედ დაჩნევა წყლულისა

¹) ეს ლექსი ხალხურია.



კოცნა დედისა ეგონა;
 დადება საკაცეზედა
 თავის ლურჯაი ეგონა;
 მიტანა სამარის კარსა
 თავის სახლკარი ეგონა;
 ჩადება სამარეშია
 თავის ლოგინი ეგონა;
 ზედ შავის ლოდის დადება
 თავის ნაბადი ეგონა;
 ქალისა, რძლისა ტირილი
 იმათ სიმღერა ეგონა“.

მგზავრთა გააგდეს სოფლად ამბავი:
 „შემოსეულა თათრის ჯარიო,
 და უთვალავი ღებება არაგვზედ
 დასამარხავი ქართველის მკვდარიო.
 უკაცურს ჩინთში ზედ გზისა პირზედ
 ჩალურ ქოხის წინ წევს ორი მკვდარი,
 ხელხანგლიანსა დედაკაცს ყელზედ
 შემოჭხვევია ძუძუთა ბაღლი.
 აქა-იქ ტყეში წვერშეხავსული
 დაქრილი ბერი ღრმადა კენესისო,
 ტრაპეზი უდგას წინ დანგრეული,
 ხელის გაპყრობით სიკვდილს ელისო.
 სად მუშას იმ დღის ნაწოგ-ნადაგსა,
 წამოეწევა ურჯულოს ჯარი,
 მიესევინან, სცდიან ხანჯლებსა,
 მის თავით ხარობს შუბისა ტარი.
 ურჯულოს უთქვამს, უნდა წავიდე
 და გავამტვერო საფშავეთიო.
 უნდა მთიულებს შემოგხსნა ხმალი,—
 დაბლა მენა ვარ, მაღლა—ღმერთიო“...
 ეს ხმა მივიდა უწინ იმ ადგილს,
 სად დღეს სიცოცხლის არს მხოლოდ კვალი.
 სულა, კურდღელა ჰკაზმვენ ცხენებსა,
 ვეფხვებს უჭირავთ ბარისკე თვალი;
 დაიხურიან თავზე ჩაჩქანი,
 წელს შაიბიან ნაკურთხი ხმალი.
 ბანზედ აივსო თათრის ჯართთა,



კლდით მოზღუდული არაგვის ქალა;
 არავინა სჩანს მტერს გზა შეუკრას,
 ან სიტყვა უთხრას,—იხმაროს ძალა.
 სულა, კურდღელა მტერს წინ დაუდგნენ
 და შეუთვალეს: „უკან წადითო;
 ან ჩვენ დავრჩებით სეავთა საკმელად,
 ან მათ სადილად თქვენს ლეშს გაეხდითო.
 ვინ მოგცემსთ ნებას, ურჯულოებო,
 ფეხქვეშა სთელოთ ქრისტიანები?!
 მაშ რისთვის გვინდა ფარი და ხმალი,
 რისათვის გვსხია ტანზე მკლავები,
 თუკი უომრად მოგცემთ ნებასა
 ჩვენს ხალხს დაადვით ხარჯი, ბეგარი;
 დააწიოკოთ წვრილი ბაღლები,
 ჩვენებს უქციოთ სახლი და კარი?!“
 თათრების ხანი განცვიფრებული
 უგზავნის გამირებს კაცსა კაცზედა:
 ნუ მასხარაობთ, შინ წასვლა გიჯობსთ,
 მინამ თავები გზიით ტანზედა!
 ძმებმა ხმაღს ჰკითხეს, ფარი იფარეს,
 ცხენების ბორგენას მისციან ნება;
 კარი გაიღო თათრის ჯარისა,
 გუბე და გუბე სისხლისა დგება.
 სისხლი ხმლის წვერმა ზეცას აწვიმა,
 მერე მიწაზედ დაიწყო ღენა,
 როგორაც წყალმა ნადენმა კოკით.
 მაშინ-კი ბელადს გაუწყდა თმენა:
 „შეიპყართო ორივე ცოცხალი!“
 ალლახის რისხვით შეპრისხა ჯარი,
 მაგრამ ვაჟკაცი თუ ვერ იმარჯვებს,
 თავს არ შეირცხვენს, მტერს ჰრჩება მკვლარი.

სულა, კურდღელა დარჩენ დაქრილნი,
 ველმა დაუგო ჭრელი ფარდაგი;
 თავს დასტირიან გამირებს ცხენები,
 და ტოტით გაქნეს მათ გარს ალაგი.
 მტერი წავიდა, დაბნელდა ქალა,
 მთებმა მოიხსნეს თავიდან ვარდი

და, როგორც მწყემსნი ჯოხს დაბჯენილნი,
 ჩასცქერენ ხევებს, პირს უჩანთ დარდი.
 გამოლმით, გაღმა ხენი კლდიანნი
 ცვალებადს ბედსა ემდურებიან.
 მთებს დაეკიდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
 ცას მიწის ამბავს ეუბნებიან.
 ისმის არაგვის მწარე ქვითინი,
 ბოლო არა აქვს იმის კვნესასა,
 შეყრილა ორი ბუ, საბრალონი,
 სწყყევლიან თავის ბედისწერასა.
 აგერ ლოდინით დედა დაღლილი
 გვერდს მოსდგომია ციხის კარებსა;
 შუბის ტარზედა სთვლემს დაყრდნობილი,
 ჰხედავს სიზმარში თავის შვილებსა:
 ციხის კარს მოდგნენ თეთრის ცხენებით
 მისი შვილები, სულა, კურდღელა,
 თეთრად მოსილნი უიარალოდ,
 და დაუძახეს დედას ნელნელა:
 „მშვიდობით დედა, მტრის სიმრავლესა
 ველარ გაუძლო ჩვენმა მხნეობამ;
 სოფლის წესითა სჩანს სიმართლეზედ
 უნდა იმარჯვოს მუდამ მრეობამ.
 მარტო დარჩები, მტერი ბევრი გყავს,
 არ დაგინდობენ მოსაკლავადა;
 მანამ თმას იწნავ, ქალის ფერი გაქვს
 და სული გიდგას—იყავ ქალადა.
 როდესაც მტერი ჩამოესევა,
 დააწიოკებს საწყალ სოფლელებს,
 თუ მასთან ბრძოლა არ შეგეძლება,
 გულს ნუ დაიკრეფ ამოოდ ხელებს.
 გადადეგ იქით, მორთე ქვითინი,
 ცრემლი აღინე მთასა და ბარსა,
 ჩენიც შეგესმის სამართ ბანი,
 წყვდიადში მოვრთავთ გლოვას და ზარსა...“
 ერთი იკვილა საბრალო დედამ
 და გაახილა უცებ თვალები:
 გარიჟრაჟია, მალლის მთებიდამ
 ჩამოდის თავქვე ყორან-სვაეები;

დედა მიჰყვება ფრინველთა გზასა,
 ჰხედავს მდელოზედ ზემორტყმულს ტყითა,
 მისი შვილები წვანან შამბებში
 და უსხდებიან სვანნი თავითა.
 უდგა ყორნებსა მათზე ყიჟინა,
 ამოუთხრიათ ძმათთვის თვალები
 და ტანჯულთ მხსნელი დაუქამიათ
 ორის გმირისა მსხვილი მკლავები.
 ხმლები, შუაზედ გადატეხილნი,
 დახრულს თითებში მაგრად უპყრიათ...
 რილასთვის უნდათ, ქმნილან უგრძნობნი,
 თავისი გული ხელთ არ უპყრიათ.
 ვერ მოიქნევენ მაღლიან ხმალსა
 ტანჯულის ხალხის დასაცველად,
 ვერ აახელენ არწივებრ თვალსა
 სამშობლოს მტრის გზის გასაკვლევად.
 რაც გადაურჩა ფრინველის ნისკარტსა,
 ის უნდა ჩაღბეს შავს მიწაშია;
 ვაუხარდება გველს და ჭიასა,
 ჩასახლდებიან გმირთა გვამშია...
 მგრძნობელი გული დაღბება ფუჭად,
 არ აღეგზნება სიბრალულითა;
 გახდება ენა გმირების მუნჯად,
 გულს ვერ აუვსებს სიხარულითა
 ხალხსა, როდესაც მას მტერი ჟლეტავს
 და ცეცხლში დნება მისი სახლები:
 „მტრის ჯავრს არ გაჰმევთ, ხალხო, ნუ სტირით,
 მანამა გვსხია ტანზე მკლავები“.
 შემეკრთალი დედა დასცქერს შვილებსა,
 არ მოსდის ცრემლი, საკვირველია,
 თუ ეშინიან ხალხის აზრისა:
 „სუსტი ყოფილა, ცრემლი სდენია!“
 დედას არ ჰშევენის შვილის ტირილი,
 როცა შვილს ჰხედავს ბრძოლაში მოკლულს,
 უნდა უჩინოს ჭკვაში სამალი
 ცრემლსა მყივანსა თვალებში მოსულს!
 საბრალო დედაგ! შენ ნუ იტირებ,



გამოუჩნდება მაგათ მოზარე,
 ხალხს მუდამ ახსოვს და ეხსომება
 მისი მფარველი, თანამგრძობარე.
 აგერ უფროს შვილს თავს დაედირა
 და გულზედ უკრეფს შექმულს მკლავებსა,
 ხელში უჭირავს ჩიქილის ტოტი,
 იმითი უწმენდს ნაწიწკნს თვალებსა.
 თან დასჩურჩულებს კვეთების ხმითა:
 „შენ გენაცვალე, იმედო სოფლის,
 შენზედ დედის რძე არის ალალი,
 პატრონო, მცველო ბეჩავის, ობლის,
 ჩამოღალულო ქვეყნის გულისთვის,
 ღვარად მდენელო სისხლის და ოფლის“.

ეს რა ხმა ისმის: ლიტონი მთები
 თითქოს სტირიან, ის გეგონება;
 აგერ გახედეთ, ქალი და კაცი
 დიდის ციხის ძირს ერთად გროვდება.
 ხალხის შუაზედ ორი საკაცე
 ძევს, ასვენია ზედ ორი მკვდარი,
 თვალე-დათხრილთა, მკლავებ-შექმულთა
 გულზედ აწყვია ნაწნავთა ჯარი.
 ქალი და კაცი იხოკენ პირსა,
 მკვდრებს ევედრიან გაღვიძებასა,
 მაგრამ ბუნებას გრძნობა ვერ შესცვლის,
 ვერ დაუმონებს თავის ნებასა.

1888 წ.

ალუდა ქეთელაური

ალუდა ქეთელაური

(ხვესურების ცხოვრებიდან)

I

მაცნე მოიდა შატილსა:
 — ქისტებმა მოგვეცეს ზიანი,
 დაგვიწიოკეს მწყემსები,
 აენია, ავი-ზნიანნი.
 ალუდა ქეთელაური
 კაცია დავლათიანი,
 საფიხნოს თავში დაჯდების,
 სიტყვა მაუდის გზიანი;
 ბევრს ქისტს მამკრა მარჯვენა, —
 სცადა ფრანგული ფხიანი.
 ცუდას რად უნდა მტერობა,
 კარგია მუდამ მტრიანი!
 ქისტებს წაუსხამ ცხენები,
 ალუდაისიც ფთიანი.
 გუმან აქვ, გადაავლიონ
 არხოტის თავი მთიანი,
 გადაბერტყინონ ნალითა
 ქუჩი მთებისა ცვრიანი.
 ეს რო ალუდამ გაიგო,
 თოფს დაუპირა ტალიო;
 აისხა იარაღები,
 გააფხავიდის ხმალიო;
 გაუშინჯიდის ვადანი,
 ხმალს არ მაუტყდეს ტარიო.
 ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
 კლდის შავარდენი ჩქარიო.
 გათენებისას ჭიუხში
 შურთხმა დარეკა ზარიო,
 ძალღებს-კი სძინავ თეოზე,
 ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.



მალე შააგდო ალუდამ
ქისტების ნავალს თვალიო.
მარჯვედვე გადაეწია,
თოფმა გაიღო ჩქამიო:
ერთს ქურდ-კანტალას ღილღველსა
ცუდი დაუდგა წამიო;
გადავარდება ცხენზეით,
ყელ-თავქვე ეკიდებისა;
ნატყვიარი სჭირს ბეჭის თავს,
ზედ ცეცხლი ეკიდებისა;
ამხანიგ-მოკლულ ღილღველი
ჩახმახსა ეზიდებისა.

გამასტყვრა მუცალის თოფი, —
კლდის პირი დაიშლებოდა,
ნაძოძი ტყვიის ალუდას
კალთაში ჩაეშლებოდა.
— არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?! —
მუცალი ეუბნებოდა.
— ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა.
ხმა ალუდაის თოფისა
ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.
— არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო? —
ისევე ეძახის იმასა.
— მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო, —
ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა...
— ოჰო, ქუდ გაუხერეტია,
წვერებსა სტუსავს თმისასა.
— მაღლა დაგიცდა, ბეჩავო,
კენჩხას არა სჭირს ძელისასა.

გამოსტყვრა მუცალის თოფი,
ტყვია ჩქამს იზამს მჭისესა,
გაუტეხს ქეთელაურსა
საპირის-წამლეს რჭისასა.
— არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო!?! —
ზედაც დაჰვედრებს იმასა.
— არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა,

გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,
 ძალს შაახვეწებს ღვთისასა.
 გულს არ ჰხედა, ნუ გეგონების,
 ამტვრევდა წამლის ქისასა.
 რაკი სრევაზე მიდგება,
 ჯაერს არც მე შავჰამ მტრისასა.
 შატილიონის ნასროლი
 ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.
 — არც ახლა გქირსა, რჯულ-ძაღლო?! —
 შამაუჭყივლებს ქისტასა.
 — გულში მქირს, გულში, რჯულ-ძაღლო,
 ვაჰ ცდასა მუცალისასა!
 ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,
 რა ვუთხრა მადლსა ღვთისასა?
 მუცალს არ სწადის სიკვდილი,
 ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
 მაჰგლეჯს, დაიფევეს წყულულშია
 წვანეს ბალახსა მთისასა.
 ერთიც ესროლა აღუდას,
 ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.
 თოფიც აღუდას გადუგდო,
 ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
 — ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,
 ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.
 სიტყვა გაუშრა პირზედა,
 დაბლა გაერთხა მიწასა.
 აღუდას თოფი არ უნდა,
 ატირდა როგორც ქალიო;
 არ აჰყრის იარაღებსა,
 არ ეხარბება თვალიო.
 თავით დაუდვა ხანჯარი,
 ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
 გულზედ ძეგლიგი¹ დაადვა,
 მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
 მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
 იტყოდა: ცოდვა არიო;

1) თოფია.

ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
 ღმერთმა გაცხოვნოს მკვდარიო.
 მკლავზედაც გებას მარჯვენა,
 შენზედ ალალი არიო,
 შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
 ნუმც ხარობს ქაფის კარიო,
 კარგი გყოლია გამდელი,
 ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!“
 სიგძივ გაჰხურა ნაბადი,
 ზედ გადაადვა ფარიო.

II

მზემ აიწია ცაზედა,
 ნისლებმ დაწირეს ხევები;
 მისჯარებიან ცის კიდეს
 კავკასიონის დევები.
 აშლილან სანადიროდა
 ქორებ, ფრინველთა მღვევლები;
 სოვნი არწივებს მასდევენ,
 მუქთად ჭამისთვის მხლებლები.

ჯიხვნი მამებნენ მყინვარსა,
 მადლი რქათ ადგა ღვთისაო.
 ხევი-ხევ შამოყრანტალებს
 ყორანი ავის ხმისაო:
 „მამკვდარა ქისტი მუცალი,
 თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო,
 გულ-ღვიძლი ამოვარიდო,
 კალთა დავხურო მხრისაო“.

შატილს ჯერ არ ჩასწდომია
 შუქი შუადღის მზისაო,
 არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
 ცა ახურია კლდისაო.
 ყმა მოიდოდა გორი-გორ,
 არ ეწონება თავია;
 პირს დასწოლია ნისლები,
 გულით ნადენი, შავია.
 ტახტაზე დაუკიდებავ
 მუცალის ძმისა მკლავია,



ვერცხლით მორთული ბაზალა¹, —
ეგ ხოროსნული ხმალია.
მეება ჭიუხიანსა,
სადაც იმედას ქავია,
ზაფხულს თოფის ხმას იყურებს,
ზამთარ ჩამუდის ზეგავია.
ბევრჯელ მასწრო დელგმამა,
ჰყეფდა ყორანი შავია.
დაჰვამფალეზდა თავზედა
გაუმადლარი სვავია,
ვერვინ მაჰრივა იღბალი,
ვერავინ უყვა ავია.
ურჯულოს ხელებსავე აღნობს
ზედ მზის სხივები მწვავია.
გველმა ვერ გასჭრა ლიბოი,
დღესაც ცოცხალი არია.
ზოგჯერ ავდარი დადგება,
ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.
რა უყვათ, ბევრი უნახავ
ულვაშ-აშლილი მკვდარია!
ბევრჯელ წასულა საქალოდ
დახოცილთ სისხლის ღვარია;
შაულებია წითლადა
ავი არდოტის წყალია.
ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლეგდეს,
პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს,
მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწყრიოდეს ჯარია.

1) თოფია.

სისხლში დაიგოს ლოგინი,
 გვერდს დაიწვინოს ცალია.
 ბევრი იყოლოს შვილები,
 ბევრი ვაჟი და ქალია;
 იქვე საფლავი გათხაროს,
 იქ დაიმარხოს მკვდარია.
 შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
 მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

შატილს გადმოდგა ბანებზედ
 ხევსურთ ქალი და რძალია,
 გამეფებნენ ალუდას
 ძმა, ძმისწულები სამნია.
 ბევრს უნდა ამბის გაგება,
 ბევრნი მოვიდნენ სხვანია.
 მიულოციან ალუდას:

— სახელიანიმც ხარია!
 ბებერი ჰკითხავს უშიშა
 ალუდას ამბავს ცდისასა.
 უამბობს ქეთელაური
 ამბავს ლილღელის მგლისასა:
 „აქით წასულმა, უშიშავ,
 კვალი შავაჭერ მთისასა,
 მოკლელავ გადავწვივე,
 ნავალ დავატყვე ქვიშასა.
 ორნ იყენენ, თოფი ვიხმარე,
 წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა.
 იმ ცხონებულსა მუცალსა
 რკინა სდებიყო გულადა!

— რას ამბობ? ქისტის ცხონება
 არ დაწერილა რჯულადა.
 — მით ვაქებ ვაჟაკობასა,
 არ იყიდება ფულადა.

სამ მე ვესროლე, სამ — იმან,
 მესამით დავასრულია.
 მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა
 გაუნადოდა გულია.
 ნატყვიარს ბრძამით იფევედა,
 ისრე დალია სულია.

სულს არ აცლიდა ამოსვლას,
 კიდევ მიხსენა რჯულია.

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
 მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
 ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
 კუპრში მიელის ქშენანი.
 ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
 ღთიშვილთ უკეთეს იციან.
 ყველანი მართალს ამბობენ
 განა, ვინაცა ჰფიცვიან?!

ვერ გავიმეტე მუცალი
 მარჯვენის მოსაჭრელადა,
 გული გამიწყრა, არა ჰქნა,
 რაც საქნელია ძნელადა:
 „დაე დააკლდეს სახელსა,
 მე გირჩევივარ მრჩეველადა“.

ხევსურთა ახალ-უხლები
 გადაიქციან ტყემლადა,
 ავად შაჰხედნეს აღუდას,
 შაუძრახნიან ხმელადა:
 „მოკვდი, სიკვდილი გირჩევენა,
 რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
 აიხსენ გველის-პირული,
 დიაცთ გადუგდე ცხემლადა;
 ფარი—ქსლის ჩასაბეჭავად,
 ხირიმ — გაუდვან გარადა;
 დამბაჩა გამოადგებისთ
 საბრუნლად, თითისტარადა!
 გამოჰქცევიხარ ქისტიშვილს,
 გადუქცევიხარ ქალადა.
 მაჰკალ, მარჯვენა არ მასქერ,
 უკვენ მისდევდი მა რადა?!“

ზურგი აქციეს აღუდას
 პირითა ჯავრიანიითა;
 თავ-თავის სახლებს მიჰმართეს
 ჭერხოთით კარიანიითა.
 გაწირეს ქეთელაური
 გულითა ნარიანიითა,

სახელსა აღუდაისას
იძახდენ ბრალიანითა.

შატილს მინდიაც მოიდა
ზერდავით რვალიანითა,
წელზე ნარტყამის ფრანგულით,
მკლავითა ფარიანითა,
თორმეტის ქისტის მამკლავი
შუბითა ტარიანითა.
ირემს ჰგავ მინდის წითლად ¹
შუბლითა მთვარიანითა.
აღუდას აუგს ეტყოდენ
სიტყვითა შხამიანითა.
იწყინა, შუბლი დაკეცა
ნაოჭით ზარიანითა.

— ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს
ენითა ქარიანითა.
ადვილად მტერი მოგიკედესთ,
ადვილ გავიგო მართალი.
ბევრ დაღონება არ გვინდა,
ერთი დღის მეყოს საგძალი,
გზა-კვალი არ ამერევა,
ყოველ მხრივ ვიცი სავალი,
დღესავე მოგივათ მინდია,
მანამ დაბძანდეს მრავალი.
ქუსლი ჰკრა, წითლა გამაღდა,
ნიავექარივით მავალი.

III

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღამისა;
დროა ვარსკვლავთა თიკეთის,
მცვრევა ბალახზედ ნამისა,
მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის,
დრო მათ სიმღერის წყნარისა.

დევნი გამოვლენ კლდიდამა,
ხევ-ხუვში ეხეტებიან.

¹) ცხენი

ყველამ ივახშმა და ახლა
 საძილედ ემზადებიან.
 — პურ მიირთვით, — ალუდას
 და-დედან ეხვეწებიან.
 — მე პურ არ მინდა, დედაო,
 გული შამეკრა რადამე,
 წუხელ ცულ სიზმრები ვსინჯე,
 რიგში ვიყოდი სადამე.
 წინ გვედვა მიცვალეული,
 ხევსურნ შაწყენის ისხდენა.
 სალაშქროდ დამზადებულნი,
 ზოგნი კარებზე იდგენა.
 მენაც იქ ვიყავ, ვტიროდი,
 როგორც წესია კაცისა.
 გუმანი მქონდა სალაშქროდ,
 ხანიც მოვიდა წასვლისა.
 ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
 ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
 შავხედენ, მუცალი იყო,
 ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
 გულზე ემჩნევა ნიშანი
 მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
 ეფინა ნატყვიარშია
 ლეგა საფევი ბრძამისა.
 კლდედ იდგა, გაუტეხლად,
 ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.
 „მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
 მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
 თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
 მე-კი წავიდე ქვეყნითა,
 დაძელით, ხევსურთ შვილებო,
 ლაშქრობით, ხმლების ქნევეითა“.

დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,
 კაცის ხორც იყო წვნინი,
 ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ლა
 კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
 რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
 უმსგავსი, შაჩვენებული.



„ჰამეო, რამამ მიძახა,
 ნუ ჰხდები გაშტერებული:
 კიდევ მიმირთვით ალუდას
 წვენ-ხორცი გაცხელებული“.
 მიმატეს კაცის უღვაშით
 წვენ-ხორცი შანელებული...
 სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ
 გუნება-აღელვებული.

IV

თერდება, მთის წვერნ დაწითდენ,
 ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
 დგება, იღვიძებს სოფელი,
 მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.
 სოენი სამგზავროს წავიდენ,
 მთა-ბარს მათვლეს თვალია;
 რამდენს ფრაშ-ფრაშში არიან,
 ცას ვერ გაავლეს კვალია!
 ვინ მოდის წითლის ცხენითა,
 გამაიარა წყალია?

— მოხველ მშვიდობით! — მინდიას
 ხევსურთა შაუძრახნიან. —
 რა მაიტანე ამბავი? —
 შორითვე დაუძახიან.

— ახლებო, სისხლი გიფუისთ,
 სჭრითა და ჰკერავთ გულითა,
 გულს ათრევინებთ გონებას,
 თავს აჭრეინებთ ცულითა,
 ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
 მის ვაჟკაცურის რჯულითა!
 ერთურთს ნუ დააჩავგრინებთ,
 გული-დ გონება ძმანია.
 მართალი არი ალუდა,
 თავს არ დამექცნენ ცანია!
 თუ არა გჯერათ, ქისტისა,
 აი, მოჭრილი მკლაფია.
 ენა ქარქაშში გეჭიროსთ,
 ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,



ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,
 არა ვარგაო, იმასა!

ხელი ალუდას მიართვის:

— წაილ, მიაკარ ქავადა!

— თუ ხელის მოჭრა მდომიყო,

გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?

ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,

საქმე მოგიერთავ ავადა;

რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,

არ გამოდგება ფარადა;

მთაში წავილო, არ მითიბს,

არც მარგებს თივის კავადა.

წაილე, თუ გწამ უფალი,

ნულარ მაჩვენებ თვალითა.

კაის ყმის მარჯვენა არი,

გული მეწვება ბრალითა.

რაად სწყრებიან ხეესურნი,

რადა ტყვრებიან ჯავრითა?!

მტერს მოვკლავ, კიდეც არ მოვს რი

მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!

„წესი არ არის მტრის მოკვლა,

თუ ხელ არ მასჭერ დანიითა“.

ვაი ეგეთას სამართალს,

მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

V

ჟამი მოვიდა საუფლო.

ხალხი ხატობას დიოდა:

უნდა აცნობონ ბატონსა

ვისაც-კი რამა სტკიოდა.

მოქუჩდა ქალი და კაცი

სახვეწრით ცხვრით და ხარითა;

მიართმევდიან ბატონსა

სახვეწარს ბელლის კართა.

ეს ვინ-ლა მოდგა, ნისლივით,

თითბრით ნაზიკის ხმალითა?

ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,

დადგა დახრილის თავითა.

— ვის ამწყალობნებ, ალუდავ,
 ამა კურატით შავითა?—
 ჰკითხავს ალუდას ხუცესი
 გადაწეულის მკლავითა.
 დიდია ჩენი ბატონი—
 გუდანის ჯვარი თავითა,
 საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,
 ლეთითა და ლეთისა ძალითა.
 კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
 წყალობა ემეტებისა;
 ვაჟკაცნი იმედიანნი
 ჩენს ბატონს ებედებისა.
 მითხარ სახელი, ვის სწირავ,
 იმასამც შეეწირება.—
 ხანჯარს აიძრობს, დიდების
 სათქმელად დაეღირება.
 — ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
 ძოღან მოკლულის ქისტისა.
 მუცალს ეტყოდენ სახელად,
 მაუნათლავის შვილისა.
 კარგადაც დამიწყალობნე,
 გამიმეტებავ მისთვინა,
 როგორც უნდომლად მოკლულის
 თავის ლამაზის ძმისთვინა.
 — გაურჯულეებულს არჯულეებ,
 შენ ეგ არ შავიხდებისა,
 ქისტისად საკლავის დაკვლა
 კარგად არ მოგიხდებისა.
 მამით არ მოდის ანდერძი,
 პაპით და პაპის-პაპითა,
 გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
 ურჯულოვდები მაგითა;
 ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა
 როგორ ამოგცდა ბაგითა?!
 რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე
 ხელეებ ჯღრღესავით ჰკიდია,
 ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის,
 მარჯვენების ხილია;

ციკანიც არვის დაუკალ,
 განლამც კურატი დიდიან.
 როგორ ვახვეწო უუვალსა
 ძალი, ძალეების ჯიშისა,
 მანამ სჯობს, ცანი დამექცენენ,
 ზურგი გამისკდეს მიწისა,
 ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,
 სადილი ვსჭამო ქვიშისა!
 ფერი ედება ბერდიას,
 ფერი სხვა-რიგის შიშისა.
 — ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
 მაღლი თუ გწყალობს ღეთისაო,
 ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
 ხევსური თქვენის წყლისაო,
 მითომ ერთნი ვართ, ბერდიავე,
 მცხოვრებნი ერთის მთისაო.
 — ტყუილად სცდები, აღუდავე,
 ტყუილად იცვეთ პირსაო.
 გაჯავრდა ქეთელაური,
 ფერი დაიდვა მგლისაო;
 ხელი დაიკრა ფრანგულსა,
 შუქი ამოხდა მზისაო.
 უქნივა მოზვერს ქედზედა,
 თაყი მიგორავს ძირსაო.
 თან შეხვეწა ბატონსა,
 ნუ შამიცოდებ შევლსაო,
 აღლადა ჰქონდეს მუცალსა,
 მაგ მოუნათლავ გმირსაო.
 ბერდია ჯაგარაშლილი
 ხალხისკე იზამს პირსაო.
 — გაგონილაა, — იძახდა,
 ასრე ავდება რჯულისა:
 საკლავს თვათონ ჰკლავს აღუდა,
 მამხსენე ქისტის სულისა.
 ხალხო, მინდარის გავიგო
 პასუხი თქვენის გულისა.
 დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,

ყველანი—დიდნი, მცირენი,—
 სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
 ალუდას სახლის დირენი;
 ნუ დაინანებთ, ექმნენით
 ცოლ-შვილის ამატირენი.
 მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
 ცა-ღრუბლის შანამზირები.
 წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
 სახლისა, ციხის კარები.
 ცეცხლი მიეცით საძნოვარს,—
 ცასა სწვდებოდეს ალები,
 სათემოდ გამოირეკეთ
 ცხვარი, ძროხა და ხარები.
 შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
 გუდანს— შინშნი და ქალები;
 ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
 არ არის შასაბრალები.

ამის გამგონე მინდიას
 მაუწყლიანდის თვალები,
 ველარასა ჰშველს ალუდას,
 გულზე გადიწყვის მკლავები,
 შასმულებმ ხევსურთ შვილებმა
 მიიმარჯვიან ფარები,
 უნდა სცან ქეთელაურსა,
 კაპასად ჟღერენ რვალები.
 ჯარად დამსხდართა ხევსურთა
 თავზედ წაადგა ბალლები,
 ერთს ხელში დაუჭერია
 მარჯვენის ნახრავ ძვალები.
 — ვაჟო, ვინდომებ თქვენთვისა
 წყალობას ბატონისასა,
 საკარგემო დამალეინეთ,
 მოვიტანთ ხელსა მტრისასა.
 ყორანს მიჰქონდა ბრჯღალითა,
 ყურეს უმარჯვედა კლდისასა.
 იმ დროსა ვსტყორცნე ისარი
 ლალად მიმავალს ცისასა;
 მართალ გამოდგა ნასრევი,

ყორანს უვლიდა ფრთისასა;
კლანჭით გაუშვა ნადავლი,
გადმეესრია მიწასა.

— მუცალის მარჯვენა არი,
მიზეზი ხევსურთ რჩევისა,—
წყრომით იტყოდა მინდია,—
მიზეზი იმათ წყევისა;
მე მივუტანე აღუდას,
ფერი დავადევ წყენისა;
რო არ მიიღო აღუდამ,
სიღრმე ვაჩვენე ხევისა.

— წაიღეთ,—ამბობს ბერდია,—
ტოტი ურჯულოს ძაღლისა,
არა ვართ ხევსურთ შვილები
ყმანი ეშმაკის, აღისა.

ძაღლს მიუგდიან საქმელად
ხელი მუცალის მკლავისა.
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისა.

ხევის ბერ იტყვის ბერდია:
— ხევსურნო, ნახეთ თვალითა:
ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო,
თქმულია იმავე თავითა.
ქისტის მარჯვენას ბაღლები
დაბლა ათრევენ კავითა.

VI

თოვლი სთოვს, ქარი ზობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოვები,
ჩამონასხლეტნი კლდებისა.
გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,
მიუნაქრია ერთიან
ვიწრო სავალი გზებისა.
ვის მასწყენია სიცოცხლე,
გზას ის ვინ გაუდგებისა?
წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს,

ხუთიც უკვენა ჰყვებოდა.
 სიმშლით შაწუხებული
 მთას ღმუის ჯოგი მგლებოდა.

„კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო,
 ერთი დიაცი სწყრებისა.
 „ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
 ქვა-ქვაზე აღარ დგებო,
 ციხეზე, ჰერხოს ბოძებზე
 ეხლა ყოვები სხდებო“.

დედა ეტყოდა ალუდას:
 — შეილო, იარე ნელაო,
 შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა,
 ვერც შენი ცოლი ლელაო,
 ბალღები აგვიბოჭირდა,
 ხელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
 ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
 ვაჰმე, როგორა ბნელაო!
 ნეტავ არ დასჭირდებოა
 ხევსურთა შენი შველაო?!
 ვის რა წყალ-ქალა გვისტუმრებს,
 სად რა-რა დავიღვევითა?
 უბინო, უსახ-კარონი
 სხვაკანაც დავიწყევითა.
 ველარ მიუვალთ ჩვენს სახ-კარს,
 გაღმა შატილის ხევითა.
 თავის მიწა-წყლის გაწირვა
 ძნელი ყოფილა მეტადა;
 მამაკვდაღს დავფერებოვარ,
 გონი გამხდია რეტადა.
 მუხლებ არ მამდეგს, გულშია
 ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
 ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
 კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!

ჯავრობით ეტყვის ალუდა:
 — დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
 მოდით, მამყევით, ვიდინოთ,
 ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
 ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,



ნუ გადიქცევით ცეტადა!
ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხეივლი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

1888 წ.

კ მ ბ ა ლ ა

კოპალა

(ძველი ამბავი)

I

მთვარე არა ჩნდა ცაზედა,
 ვარსკვლავნიც მიჩქმალულიყვნენ;
 ნისლნი, დაღლილნი ცურვითა,
 მთის ყურეთ მიმალულიყვნენ;
 მთანი მალლაით დასცქერდნენ,
 ღრმა ფიქრით შაბურვილიყვნენ:
 ბეჩავებს ბევრი ეტირნათ,
 სრულ ცრემლად დაწურვილიყვნენ.
 არაგვიც ჩუმად მასჩქეფდა,
 თვით ცრემლსა ცრემლი სდიოდა,
 ბუნდრად და გაურჩეველად
 კლდეთა კალთაზე ხვიოდა.
 ხელუხლებელსა, უღრანს ტყეს
 ბუფი საბრალო ჰკიოდა.
 ბეჩავე დღესაც ხომ სტირის,
 მაშინაც გული სტკიოდა!
 ხავილ-წკნავილი ნადირთა
 ცათა კიდემდე დიოდა;
 მივარდნილს ჭოუხებშია
 შავარდენიცა წიოდა.
 ჩუმად მოვიდის ირემი,
 დასწაფებოდა მდინარეს,
 მაგრამ ტყესავე მიჰმართის
 სიყრუე-სიჩუმით მძვინვარეს,
 რა ნახის კვალი დევების
 გარს მოსდებოდა იმ არეს.
 უცბად გაჩუმდა სუყველა,
 მხეცთ ხმა არ ისმის ტყიდანა,
 უცხო ხმა გაჩნდა, ღრიალი,



აქეთ მთით, იქით მთიდანა;
 გამოჩნდნენ შავნაბდიანნი
 გაღმა-გამოღმა კლდიდანა;
 შავ-ბნელთ და უზარმაზართა
 გრგვინვით ჩამოვლნეს ქალანი,
 კაცისა სისხლით ეღებათ
 ხელ-ფეხი, პირის-ბალანი;
 სინჯავენ წყლის კიდებზედ,
 ხომ არსად არი კვალია,
 კაცმა, ან მხეცმა იღუმალ
 წყალი ხომ არვინ დალია.

გაბლანტებულა სოფელი,
 მკვდართ ბინას დაჰფერებოდა;
 კარში ვერავინ გამოდის,
 ხალხი ჭერს მოჰფარებოდა.
 ნადირთა მთის წვერთ მიჰმართეს,
 ნიავსა სომდენ მთისასა;
 ფრინველნი აიყარნიან,
 ნამსა ჰკრეფდიან ცისასა.
 მიწაზე ვერვინ დაჰლევდა
 წვეთსა, ერთს ცვარსა წყლისასა.
 შრება გული და გონება,
 ძმა სისხლსა სომდა ძმისასა.
 ძმას ძმები შამაელივის,
 სისხლსა ეძებდის სხვისასა.
 დევთ დარბაზობას რაც მოჰჩა,
 იმათ ლაშ-პირსა მგლისასა,
 ციხეს აგებენ დევები,
 ციხეს კაცების ძვლისასა.

ცრემლით ვინ ვის-ლა იტირებს,
 თავი გაჰხდია ჭირადა;
 ხელის შაქცევას ვერ ჰბედვენ
 ხელშეუქცევის მტრისადა.
 როცა გადმოჩნდის ღრუბელი,
 წვიმამ დაიწყის შრიალი,
 დევთ ლახტი მიუღირიან
 და ასტეხიან ღრიალი;
 გაჰქრის წვიმა და ღრუბლებმა

უკვე იწყებდა ტრიალი.
 ლამის სიკვდილმა სიცოცხლის
 დაისაკუთროს სახელი,
 გაჰქრეს ღვთის მახსენებელი,
 არცინ ანთოს სანთელი.
 ლამის სიყვარულს დაეწვას
 ტურფა გვირგვინი იისა;
 ყველა, რაც ამკობს სიცოცხლეს,
 გახდეს საკმელად ჭიისა.
 რად-ღა ვის უნდა მაშინა
 ან მზე, ან მთვარე ცაზედა,
 ხშირად ყვავილით ნაქარგი
 მწვანე ბალახი მთაზედა;
 გაზაფხულს მოსვლა მერცხლისა,
 ჩქეფა, ჩქრიალი ხევისა,
 დღის წასვლა, ლამის დადგომა,
 სიტკბო ბუღბუღის სტეენისა?!
 დარჩეს მარტოლა ღრიალი
 გაუმძღარის დევისა?!

უხალხოდ ან დევს რად უნდა
 ძალა, დევობა წყეული?
 რატომ არ ჩნდება უფლისა
 მეშვლობა ციდამ სრეული?
 რად არ იშლება დევების
 შხამით ავსილი სხეული?
 ღმერთმ რად გახადა ქვეყანა
 დევთა სათრეველად ნეტარა?
 მითამ იმედად ისა გვყავ
 განსაცდელის დროს, ყველგანა,
 მითამ ის არის მფარველი
 განუშორებლივ ჩვენთანა.
 არ-ოთ გასწირავს ქვეყანას,
 არ გაასწორებს მტვერთანა!

II

ლამესა უფრო აღამებს
 დიდი ტყე ფიქვ-ნარიანი:
 თელა, ვერხვი და წიფელი,



ცაცხვი ტანჯავარიანი,
მიყრით ერთურთში დაქსულნი,—
მუხა თავკარავიანი.
მზის სხივით არ იპოხება
დიდი ტყე შალდაყიანი,
ხელუხლებელსა მიდამოს
არსად სჩან ნაკაფიანი;
აქ ცულ არ აჩქამებულა,
ფეხ არ დადგმულა მუშისა;
ნადირთ ულახავ ბალახნი,
მისდევს ნავალი შუნისა,
მოსცმია გარსა, მიდამოს,
ნისლი ყვაეილთა სუნისა.
გორი-გორ შასდევს დამთხვრისა
გრძელი ნაფრენი ირმისა;
ვეფხვებს უთელავ ტერფებათ
ბტყელი ფოთლები ღიმისა.
ჩადის, ჩატირის ხევი-ხევ
ტალლა ნაკადის ცივისა.
ჩაიკლავს გულში ვარამსა,
ბუვი საბრალოდ ჰკივისა.
მაშ, ეს საყდარი რისაა
დახავსებულის ჯვართა,
უდაბურს ადგილს მდგომარე
გათლილის სიპის კართა?!
ციდამ ღვთისაგან იფარვის,
დაბლა — იფნების ჯართა.
შიგ ის ვინლაა მოხუცი
მხარ-ილღივ წითლის ფართა?
მარჯვენით ლახტი უჭერავ,
მარცხენას ამკობს ჯვართა?
რამ აატირა მოხუცი
ეგრე ცრემლითა ცხართა?
რას ევედრება უფალსა
სულთქმა-ოხვრითა ჩქართა?!
ეს ვინ მოდიან ციდამა
ხელში ხმლით, ალვის ტანითა?
განათდა მთელი ქვეყანა

ცხრის მზითა, ოცის მთვარიითა.
 ღვთიშვილთ უძახეს კობალას:
 „ღმერთმ ნება მოგცა, ძალითა
 დალიე ქვეყნის მღვდლები,
 ლახტი იხმარე ტარიითა!“
 დევთა ასტეხეს ტირილი
 მაღლა მთით, დაბლა ბარიითა:
 „დაგვწვით, ნათელმა დაგვწვა
 სახე, თვალეზი ტანიითურ,
 ჩვენი გუნება ირევა,
 მოვიწამლენით ჯანითურ“.

III

მიწა დაძრა მთებიდამ,
 ქვეებს მოაქვს ხევში ჩხრიალი,
 სდგას ბობოქრობა დევების,
 ყურის მგლეჯელი გრიალი.
 მოდის ნასროლი ლოდები,
 ისრის ზროს მააქვ ძგრიალი.
 იძაბვის ძალი მშვილდისა,
 აგერ მოგორვენ დევები;
 აივსო დევთა ლეშითა
 ტყე-ველი, დაბლა—ხევები.
 რამ რა დაზარდნა ესეთნი,
 თითო გერგეტის სწორია;
 რა ტყე ჰფარვიდა ამათა,
 ან რა სჩრდილაედა გორია!
 ერთი ნაკრავი როგორ ჟღეტს
 ერთის მოხუცის ბერისა?!
 რად არ ხელახლად სდგებიან,
 ცამდი ამშვებნი მტვერისა?!
 ველარ დევობენ, რა ჰხვდებათ
 ლახტი სხვა-რიგის მტერისა!
 ვერც თავს მაიბმენ ხელახლად,
 ვერც გულს გაქვერეტილს ისრითა.
 სული ამაჰხდათ, წყდებიან
 უძეოდ, მწარის ფიქრითა.
 აყროლდა მიწა, ბნდებოდა



ბრიყვის დევების მძოვრითა,
 შავი გამოდის გველები
 დევთა სისხლისა მორვითა.

„გასწყდით, დამლევნო ქვეყნისა,—
 ზედ დაჰვედრიდა ბერია:
 გასწყდით, კაცთ ტომის მწამლავნო,
 სიკვდილი თქვენი ჯერია.
 მოკვდი, სად მირბი, ბელელავ,
 ფშავი კარგა ხანს გჰქერია,
 დაიქცეს, ახლა დრო არი,
 დევთ მეუფება ზენია!“

დევთ სულნი დაკოდილები
 ქვესკნელში ჩაიყარნიან,
 წინ მადგებნენ მაცილნი,
 პირისპირ შაიყარნიან;
 დევთა ამბავსა ჰკითხავდენ,
 დოინჯი გაიყარნიან.

დევთ სულთ ასტეხეს ტირილი,
 თვალს ხელნი დაიფარნიან:

— ზეცამ დაგვლივნა, ტიაღმა,
 ცისა ნათელმა მწვავემმა,
 ერთის მოხუცის ბერისა
 ლახტის ცემამა მწარემმა;
 ნათელმა დაგვწვა თვალეზი,
 ჯანი დაგვიდნო ტანისა;
 ზესკნელს ჩვენ აღარ გვეცხოვრის,
 ბნელი აღარ გვშველს ლამისა.

დევთ თვალნ დახუჭნეს, დაიდვე
 ბნელი ქვესკნელი ბინადა;
 მაიგონებენ ძველს დროსა,
 დაიკვნესებენ ხშირადა.
 მიწა ექცევათ თავზედა,
 დასდით წვიმა და ღვარია,
 ათრთოლებთ ტანში სიცივე,
 ჩამოსდით ცრემლი მწარეა.
 წასასვლელ არსაითა აქვთ,
 ყველგნით დახშული კარია.
 აღარსად იმათ ლახტები,

აღარც ხმალი და ფარია,
 აღარც ადგომის იმედი
 იმათთვის არსად არია!

IV

თენდება. ნამი დაჰყრია
 მიწასა აღმასიანი.
 არაგვსა პირი უცინის,
 ტანი უშვენის ხმლიანი.
 ულოცვენ გამარჯვებასა
 მისნი კიდენი კლდიანნი.
 მოსქდა მითითა და ბარიითა
 ოთხით მავალნი-დ ფრთიანნი, —
 წყალსა სმენ არაგვისასა
 ჯიხენი, ირემნი რქიანნი.
 ჩამოდის დევთა ლეშხედა
 სოვნი უმსგავსნი, ბჯღლიანნი, —
 რა მადლი არი, წყლით დაძღენ
 შვლებიც თვალ-ლამაზიანნი!
 გადარჩენიან წყურვილსა,
 თუმც ბევრი ექმნათ ზიანი.
 მოდგა დიდი და პატარა,
 კოკები მოაქვთ წყლიანი.
 ჰლოცვენ ხელგაშლით თავის მსხნელს,
 ვინც მოჰკლა ძალა ტიალი.
 ქვეყანამ, გზა-კვალ-აშლილმა,
 წალმა დაიწყო ტრიალი;
 ხეებსაც ძირი დაუღბა,
 ფოთოლთ დაიწყეს შრიალი;
 ვეფხვიცა ჰხვრებდა გუბესა,
 გული გააღბო მწყურვალი.
 მიკვირს, რით გასძლო, არ გატყდა
 წყლით უგრილები, მხურვალი!
 კლანჭებსაც იბანს როსტომი,
 ტყის სიდუმილის მკურნალი.
 ხშირნი მოდიან ღრუბელნი,
 ლალად მიდგიან-მოდგიან.
 ცამ გადიწმინდა, ტურფანი



წვირილი ვარსკვლავნიც მოდიან.
დაულბა გული ქვეყანას,
ისევ სიცოცხლით ხარობსა,
დამთვრალი ქვეყნის შვენებით
გალმა ბულბული გალობსა.
მადლობა შენთვის, უფალო,
ბუნება აღარ წვალობსა!
ტურფა დაესხა ისევა
დამჭენარს ფოთოლი იასა,
აღარ აშინებს დევის ხმა
მავ სადედუფლოს თმიანსა.

V

ასტყდა ელვა და ქუხილი,
წვიმამ დატეშა გორები.
— სად მიჰრბი, ნეტავ, ბელელავ,
სასჯელს რად გაეშორები!?
საყდარს ეკედვლის ბელელა,
დაპვიწყებია სწორები;
საყდრის კარს დაუჩოქია,
გულზედ უწყვია ტორები.
— მომირთმევია, კოპალავ,
ძღვენად ფარი და ხმალია,
დეეთ საომარი აბჯარი,
ოქრო, ვერცხლი და თვალთა.
ცხრა ეხი სავსე ოქროთა,
ვერ-სით ჩაუვა წყალია;
ხმალშეუვალნი ბექთარი,
გაუტეხელი რვალია.
რაად დაგვლუბე, კოპალავ,
დეეთ რად წაგვართვი ძალია?!
დევთაცა გვქონდა ფიქრადა
ზეცას მიგვეპყრო თვალთა
და დაგვექდია ქედზედა
ღვთის საამური ვალია.
მინდა ღმერთს შენებრ მივაჩნდე,
შენებრ სიწმინდის მქონია;
დევობის ძალა რომ მერთმის,

მინდა სხვად მქონდეს ღონია.

უძალღონობას, სისუსტეს
 ვერ თვისობს ჩემი გონია.

რალა შენ მოგცა უფალმა
 ძალი, არვისგან ძლეული?

ასჯერ დიდი ვარ შენზედა,
 ასჯერ მეტი მაქვს სხეული!

სიზმარში ვარო მგონია,

ვერა ვარ გამორკვეული...

მიშუამავლე უფალთან,

შენებრ შამმოსოს ძალითა,

მეშვლად გედგები ბრძოლაში

ძმურად, ძლიერის მკლავითა.

— სიტყვა ადვილად ითქმევა,

ბილწო, აესილო შხამითა.

ვერ მოატყუებ უფალსა,

მოხეტიალევ ღამითა.

სიკეთეც გინდა ხელთ იგდო,

ძლევით გახდილო ავადა,

ორივეს ამუშავებდე,

ბოროტს—ხმლად, კეთილს—ფარადა?!
 ნუ ცრუობ, შავო, შავ ბნელო,

უნდა ჩამაჰდნე შავადა.

შენში კეთილი იმავ წამს

გადაიქცევა შხამადა.

გცდი ჯვარით, შხამის გუდაო,

გამოგცდი ემავ ჟამადა.

ჯვარი აიღო კობალამ,

უთხრა:—ემთხვიე ამასა.

ბელელამ ღაშნი მიჰმართნა.

ვერ სწვდება... იჩენს ძალასა.

ვერ ახლო პირი, არ იქნა,

ჯვარად გადაბმულს კალასა;

ცეცხლი დაეცა ზეციდან,

მოედვა, როგორც ჩალასა.

დაიწყო ღმეჭა ბეჩაემა,
 შექნა საბრალო ღრიალი;
 გზინვა უსასო სიკვდილის,
 გულის მომწყეღელი ხრიალი.
 დევთა მეუფის დიდისა
 ფერფლი-ლა დარჩა ტიალი.
 ფერფლიდან გაჩნდნენ უმსგავსნი
 'შაენი ბუჭყანი-ღ' ჭიანი;
 წკრტიალით ტყესა მიჰმართეს,
 სადაც ხარობენ იანი.

ია თალხ-კაბა ა'ოვა,—
 ქალი მგლოვარე ძმაზედა.
 ზაფხულის ცქერა სწადიან,
 პირის დაბანა ნანზედა.
 არ დააცლიან, იცოცხლოს,
 მიუხედებიან კარზედა,
 შმაგად უჭამენ ფესგებსა,
 მერმე გადავლენ თმაზედა.
 მოკლე სიცოცხლე იასა
 იმ ჟამით აწევს თავზედა.

დილა საღამოს ნიშნს უგებს,
 დღე ღამეს ებრძვის ძალზედა,
 ნისლნი, ათას მხრით ზომღგარნი,
 დაისვენებენ მთაზედა.

1889 წ.

0 0 0 6 0

ე თ ე რ ი

I

რა უდაბური ქალაა,
 როგორ დიდრონი მთებია,
 მაგრამ სოფელი არსად სჩანს,
 არსად სავალი გზებია!
 ქალაში ერთი ქოხია,
 შამბმოხვეული გარზედა;
 გვერდს უდგა დიდი ქანდარი,
 ქოხს დასცქერია თავზედა.
 ტყესავით იდგა მის გარსა
 დიცი და შუპყა მწვანია;
 კაცის ხმით არა ხმიანობს:
 ქალა, ველები, მთანია.
 მთათა და ნადირთ ჟრიამულს
 ეს მხარე შაუქამია.
 სთვლობით გულ-გაცოფებულმა
 ირემმა დაიღრიალის;
 ან მოსქდის ზოგი მთიდანა,
 დაიძრის, დაიხრიალის:
 ახავლდის შველი დამთხვარი,
 კოდალამ დაიკრიალის;
 ქალას აძრახდის ხოხობი,
 ზარივით დაიხრიალის;
 ზღაპარს უამბობს ნიაგი,
 ფოთლებმა დაიშრიალის.
 ამ არე-მარეს სთელავდენ
 მარტო ნადირნი ტყისაო
 და მწყემსი ქალი, ობოლი,—
 ყვავილი ედემისაო...
 ეტყობა მიწას ლამაზი
 ნავალი ეთერისაო.
 ქოხს ოთხსავე მხარეს არტყია



დიდი ბარდები ბურჯადა,
 ზედ ყვაველები ჰყვავეიან
 წითლად, ყვითლად და ლურჯადა.
 ღამ-ღამ აქ მოდის ბულბული,
 მოსთქვამს დაკარგვას დისასა;
 თან ატანს გულის ვარამსა
 ნიავს, მონაბერს მთისასა.
 რა გულდადებით ყურს უგდებს
 ეთერი იმის სტვენასა,
 მიმჯდარი ქოხის კარებთან,
 როგორ იფხიზლებს სმენასა!
 „გენაცვლე, ჩიტო, — დუდუნებს, —
 ლამაზად ჰხმარობ ენასა...
 ნეტავ რას ამბობ, ვიცოდე,
 ნეტავი გამაგებინა;
 შენსავით გული უფალსა
 ჩემთვინაც ჩაადებინა!
 ან მკვდარსა შენი ტკბილი ხმა
 გულზე ქვად დაადებინა.
 ნეტავ ბულბულად მაქცია,
 შენთან ვიფრინო ველადა..
 ტიტველი აღარ ვივლიდი,
 დალონებული ყველადა,
 და მოვრჩებოდი ამ ბებერს,
 ჩემთვის გაჩენილს გველადა!“
 დილაა ისევ, სისხამი,
 ნამი ხშირად ძევს ნამზედა...
 ნახშირის ფერი ბებერი
 ბობოქრობს ქოხის კარზედა...

II

დედინაცვალი (ეთერს)

რა ხანი არის, გათენდა,
 აღე, გარეკე საქონი,
 რას გეცრემლება თვალეზი,
 რა გაგხდომია საგონი?
 რას ეშმაკს დაუჭერიხარ,
 გამაგებინა ნეტარა?...

გასწყდა ცხვარ-ძროხა სიმშილსა,
 შე მეხ-დაკრულო, მედგარა!
 ხო მხედავ, მუხლი არ მომდევს,
 თვალთ ვაჭრეინებ ველარა...
 რა გაქვის საფიქრობელი,
 ნეტავ ვიცოდე, მაგდენი?
 თან-თან ეშმაკად მაიქეც,
 გაგიწყურეს ჩემი გამჩენი!

ეთერი

ვაჰმე, რა ძნელი ყოფნაა
 ყოფნა, სიცოცხლე ობლისა!
 სრულ წყევა-კრულვა ჩემს თავსა,
 არსად ალერსი მშობლისა!
 ნეტავ, ან სახე მახსოვდეს,
 ან ხმა მახსოვდეს დედისა!
 ნეტავ, ტირილით შამეძლოს
 შეცვლა ამ შავის ბედისა! —
 დღე-და-ღამ ფეხზედ ყუდილი,
 გადაყრა წვიმა-შხეპისა,
 სიმშილი, ლალვა ნადირთა,
 თმენა ლანძღვის და ტყეებისა!
 რა ლანძღვა მინდა, რა კრულვა
 დალახერულს შავის დღისაგან,
 წილ-ბედ დალეულს სოფელში,
 თავდანებებულს ღვთისაგან!..

წამოდგა ქალი ეთერი,
 მთვარე ამოჰყვა პირზედა;
 თავით ბალიშად ქვა ედგა,
 ლეიბად — შამბი ძირზედა.
 თვალეზში ჩაჰქსოვებოდა
 ზღვა-ხმელი ერთიანადა,
 მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს
 თავის ხატ-ღმერთიანადა.
 გვირგვინად ტრფობა დასდგმოდა,
 სხივს გვფენს წამწებების ხიდითა,
 ცასა და მიწას მალღს ჰფენდა
 უხვევებით კიდის-კიდითა;



ყელი მიუგავს ჯერანსა,
 გამომაღებულს მინდვრითა.
 ტანთ შაეი ჯუბა აცვია,
 შაეი მანდილი თავზედა,
 ვერ ჰნახავ ერთ მიძვის, ან ღილსა
 ეთერის ლერწამ ტანზედა;
 მხოლოდ ყაპყატოს კალათა
 გადაუგდია მკლავზედა.
 ცხვარ-ძროხას კარი გაუღო,
 გაჰყვა ნაბიჯით ნელითა.
 ეხლა-ღა ვნახე, გიშრის თმა
 მიჰქონდა ეთერს წელითა:
 სარტყლად წელს ნაწნაენი ერტყნენ
 ორ-პირად, როგორც წნელია...
 გაუშვას თავისუფლად,
 თან სატარებლად ძნელია;
 ტყეში ან ჯაგი გაეზას,
 ან მოეჩვენოს გველადა!
 ცოდვება თმების დაწყევლა
 პატრონისავე ხელადა!
 მიტომ ირჩია გოგომა
 თმა წელზე პრტყემოდა წნელიადა...
 თავდახრით მიჰქსოვს წინდასა,
 თან დაჰლილინებს ნელიადა.
 რა კარგი სანახავია
 ქალი, გასული ველიადა!

III

გარეკა ცხვარი და ძროხა
 ვერხვიანს გორის ძირასა,
 დიდის მთის კალთა რო მოსდგამს
 და სხვანიც წვიანან მზირასა.
 იდგა ჰანდრების ჩრდილშია
 დიდის მდინარის პირასა;
 ძაღლების ყეფა მოესმა,
 ჰყეფდიან ხშირა-ხშირასა.
 ისმის კივილი... კაცები
 აყვირებდიან სტვირებსა...

ნახა, — მობოდა ირემი,
 ეფარებოდა თხილებსა.
 ცხენ-და-ცხენ მოსდევს ჭაბუკი,
 ისრებს მოესვრის ნწკრივასა;
 ხარი ირემი წაიქცა,
 შედგა თავსა და ყირასა.
 ეთერი სულგანაბული
 ეფარებოდა წბილასა.
 თვალი შაასწრო უცნობმა,
 შედგა, უცქერდა შტერადა;
 ხელი მიეპყრო შუბლზედა,
 თავი გადგდო ცერადა;
 ირემი დაჰვიწყებოდა,
 ხედ ქცეულიყო ხმელადა.
 ბალახით გამოსხლეტილი
 ცეცხლი თუ მოჰხვდა მწველადა!
 ქალი იწვება სირცხვილით,
 ვერ იხედავდა, ვერადა;
 ყმამ გადაყარა ისრები,
 მწვილდიც, ნაჭერი ხელადა.
 კრძალვით გადმოხტა ცხენილამ,
 მიდის მთრთოლარის სახითა,
 შაქრიანს ეტყვის სიტყვასა
 შუბლშეკვრით, სახით მკვახითა.
 დნებოდა ქალი, ვით გნოლი,
 ქორ-შავარდენის ნახვითა.
 ეალერსება გოგოსა
 კაზმული ძვირის კაბითა;
 ეალერსება გოდერძი
 ეთერსა ტკბილის ენითა;
 ესაუბრება წყნარადა
 სიტყვებით გულსაკბენითა.

გოდერძი

ნუ მიწყენ, ქალო, ვისი ხარ?
 ტყე-ველთ რას დაიარები?
 დედა არა გყავს, ან მამა?
 ტანზე რადა გცვაავ ჩვარები?

ეთერი ამ დროს მუნჯობდა,
 ეჩვენებოდა ყრუადა.
 გოდერძიმ არ დაიჯერა,
 ხმალი უქნია ყუადა:
 „ნამდვილ მეჩვენე, რაცა ხარ,
 თორო გაგჭერი შუადა!“

ეთერი

რა გითხრა უცხომ უცხოსა,
 ეგ სადაური ძალია?
 რა შნოებაა ვაჟაკაცის,
 ქალზე იხმაროს ხმალია!
 რა დავაშავე ისეთი,
 რა მაქვს ისეთი ბრალია?

გოდერძი

მითხარი მაინც, გეთაყვა,
 ვინა ხარ, ვისი ქალიო?
 მითამა დაღლილისათვის
 გისმევაგ ჩემთვის წყალიო.

ეთერი

მე არც დედა მყავს, არც მამა,
 არცავინ თვისის ტომისა,
 ჩემი ძმები და დედ-მამა
 მსხვერპლნი გამხდარან ომისა.
 აი ეს ერთი ქალი ვარ,
 მყავს დედობილი ბერია;
 ვმწყემსობ, ცხვარ-ძროხას ვაძოვებ,
 ხელთ ჯოხი დამიჭერია.

გოდერძი

იქ რას გაჰხედავ? სხვაენისკე
 თავი რას გაგიჭერია?
 ცუდი ხომ არა მითქომს-რა,
 რად მალე გამიწყერია?!
 მიტომ გულდიდობ, რომ მთვარე
 თვალებში ჩაგიწყერია?

მენაც კაცი ვარ შენფერი,
 განა მძოვრი და მტვერიო?
 ამასთან, ღმერთმა ხომ იცის,
 არა ვარ შენი მტერიო.
 ქალო, ეხლა გთხოვ იმასა,
 მითხრა სახელი შენია;
 შენს სიტურფესთან იქნება
 ისიც რამ შესაშვენია!

ეთერი

ახლა სახელსა ჰკითხულობ,
 კი მაინც არა გრცხვენია?

გოდერძი

შენის დედ-მამის ცხონებას,
 შენთ ძმათ სულთ განათლებასა,
 მითხარ, — გულს ნუ მომიმატებ
 დარდსა და მწუხარებასა.

ეთერი

ეთერი მქვიან... რად გინდა
 ჩემი სახელი წყეული?
 რაც-კი რამ სახელგებია,
 ყველაში გამორჩეული?
 ხომ იცი, რაა „წაეთერ“,
 ხომა გაქვს გამორკვეული?
 მაშ, მე ვინ მეტყვის: აბძანდი,
 მეტყვიან — აეთერია,
 ათას-ფრად, ათას კილოზე:
 გაეთერ-წაეთერია!

გოდერძი

ეკრე უღმერთო ვინ არის?
 რა არსებაა ისეთი?
 შენებრ ტურფასა აწყემსებს,
 ხატი არა სწამს, ან ღმერთი?
 შიშველ-ტიტველი რადა ხარ,
 ცით ჩამოსულო მთვარეო?..



მოდო, ერთს გეტყვი, მისმინე,
 ცოლად გამამყევ ბარეო!
 მე ძე ვარ გურგენ მეფისა,
 ესე ადგილიც ჩვენია.
 გამამყევ, — უთხრა მეორედ: —
 რად ჰკრთი, რად მოგიწყენია?
 ორსავე გვზიდავს მუხლადი
 ეს ჩემი შავი ცხენია...
 სიმწარით ყოფნას, არ გიჯობს,
 იხილო ტკბილნი დღენია?
 რა ლამაზი ხარ, ეთერო,
 რა მომხიბლავის ფერისა!..
 სალოცველია კაცთაგან
 ფერფლიც შენთ ფეხთა მტვერისა.

ეთერი

ბეჩავს რა ელამაზება?
 ვინ მისცა იმის ჟამია?
 ტანთ არა აცვაყ და ფეხთა....
 დღეც იმისათვის ლამია...
 იმის ყოველი ნაბიჯი
 განგებას მოუშხამია.

გოდერძი

სთქვი რამა, შენი ჭირიმე,
 გულისა მსალბუნებელი!
 ეს ჩემი გულწრფელი თხოვნა
 კი არის საწუნებელი?
 ცოდვაა ოხრად დამჰკნარი
 ყვავილი სასუნებელი!

ეთერი

ღირსი არა ვარ, ხელს გბანდე,
 განალამც გყვანდე ცოლადა;
 მეფე ხარ, რატომ არ ჰფიქრობ?
 საქმეს რად იჭერ ყროლადა?
 მიგყვეარ ჯუბიანი,
 მქონან ტიტველნი მკლავნია;

ხომ გაწყრა შენი დედ-მამა
 და დაგემდურნენ უმანია.
 ამასაც გეტყვი, ვაჟკაცო,
 იცოდე, საცოდნელია:
 ალექმა მივეცი უფალსა,
 ფიცის გატეხა ძნელია;
 ალუთქვი: — ქალწულად დავრჩე,
 არ-როს შავირთო ქმარია;
 ვიკმარო ესე ცხოვრება,
 ტკბილი არის, თუ მწარია;
 ვიარო მთასა და ბარსა,
 ვაძოვო ძროხა-ცხვარია.
 მთაში ნიავე დამატკობს,
 ბარად — ყვავილნი მინდვრისა;
 სახლად და დასაფარადა
 ხეები ტოტებს მიხრისა.
 გარეთ ვარ დაბადებული,
 გავზდილვარ ნადირივითა;
 არცა-რა მისწავლია-რა,
 ემ კლდეთა ნაპირივითა...
 ესაა, ვათენ-ვალამებ
 ცხვარ-ძროხის ნახირივითა.
 მეც ემ ბალახით ვსაზრდობ,
 რითაც ცხოველნი ყველანი,
 დედინაცვალიც ავი მყავს,
 იმისგან მესმის წყევანი...
 ხშირად ტანთ არა მაცვია,
 დავდივარ ფეხშიშველათ,
 მაგრამ სიმდიდრე, სიდიდე
 ფუჭია ჩემთვის ყველათ.
 ბევრს ნუ მაუბნებ, თუ ძმა ხარ,
 ნუ დამაღონე ძნელათ.
 ვაჰმე, რა ძალიან დამცხა,
 როგორ ძალიან ცხელათ!..
 ნაწნავით ოფლსა შუბლზედა
 ეთერი იწმენდს ნელათ.
 თვალთავან ცრემლიც ჩამოსხლტა,
 ვით მარგალიტი თლილია.

ცამ ჩამოხარა ღრუბლები,
 წვიმამ დააღბო თხრილია.
 თითო წვეთს თითო ყვაველი
 ამოჰყვა, როგორც ღილია;
 ეთერი ჰქვიან სახელად
 თვითვეულს ყვაველთაგანსა,
 იმათზე ტურფას ქვეყნადა
 ველარა ჰნახავთ საგანსა...
 ნეტავი ქვასა და ქვიშას,
 ეთერის ცრემლით ნაბანსა!

გოდერძი

ოღომც შენ ნუ ასტირდები,
 ცრემლით ნუ გაიბანები,
 აღარას გეტყვი, ლამაზო,
 წავალ და დავიკარგები.
 მაგრამ სად წავალ ბეჩავი?
 ველარსად წავალ, სწორია...
 უშენოდ ჩემი სიცოცხლე,
 მალალ ღმერთს ვფიცავ, ჭორია.
 ვერ გავსძლებ, თავსა მოვიკლავ,
 შენთვის რა მოსაწონია?
 ცას ერთი ღმერთი ამშვენებს,
 მემრე—მნათობი ორია...
 და ქვეყნად მეფეთ დიდებაც,
 ვფიქრობ, რომ მოსაგონია.
 აი, ეს ძალა ჩემია
 ქვეყნადა ფასობს შეტადა,
 ტრფობის და ყველა სიკეთის
 ჩვენ, მეფენი, ვართ მხვეტლადა;
 უფალს ჩვენ დაუწინიწივართ
 კარგ-უკეთესის მკვნიტლადა;
 ჩვენს ბრძანებაზე ათასნი,
 ათი-ათასნი დადიან,
 რასაც ჩვენ ვეტყვი, ისინიც
 სწორად იმასა სჩადიან.
 სიცოცხლე-მოწყურებულთა
 ვჟღერებ, თუ მეფეთა გვწადიან.

ჩვენ—მეფეთ—თავზედ ძლიერი
 ქვეყნად არა რა გვგონია...
 ვხედავ და მიკვირს, მეფის ძე
 მწყემსმა ვით დამიმონია!
 მიკვირს, რით დაიმორჩილე
 ჩემი გული და გონია?
 მეფე შენა ხარ... გაუქმდა
 მეფის ძალი და ღონია!
 უარს ნუ მეტყვი, გეთაყვა,
 მისმინე, შამიბრაღია.
 ცხენზე შაგისომ, წაგიყვან,
 ჯვარსაც დავიწერთ ხვალია.
 მეტი რა გინდა, არ ვიცი,
 ვისზე გიჭირავს თვალია?
 სასიყვარულოდ არ კმარა
 განა მეფისა ძალია?
 სახით არ ვარგვარ, თუ მკლავით?
 გგონავ, არ მიჭრის ხმალია?
 შენ რაზე უნდა მწუნობდე,
 ცეცხლზე დამისხა წყალია?

ეთერი

კარგი ხარ, ძმაო, ლამაზი,
 მზე, შემომჯდარი მთაზედა;
 მიწაზე ცალი არა გყავს,
 როგორც მზეს მალლა ცაზედა;
 ვაი, თუ მალე მოგწყინდე,
 მალევე გამცვალო სხვაზედა;
 ღვთის ფიცი გამატეხინო,
 ჭირი მომიგდო კარზედა!
 მთელმა გულით და ნამუსით
 თავი ვიტკივნო რაზედა?
 შენი საფერი არა ვარ,
 შენთან ვით დავჯდე ჯარზედა?!

გოდერძი

მავ სიტყვას ნუ გამაგონებ,
 ნულარ ახსენებ ღობასა,

ეგრე რად გეადვილება,
 ღვთისას რომ ჰბედავ გმობასა?
 ღმერთი გამიწყრეს, ეთერო,
 ცოცხლად დამმარხონ მიწასა,
 თუ შენს გარეთ საყელოს
 მე მოვეხვიო სხვისასა!
 მიწა გამისქდეს, ჩამულაპოს,
 ტანზე მომედოს გენია,
 თუკი დაკარგოს გოდერძიმ
 გულით ტრფიალი შენია!
 ღმერთი მრისხავდეს მაღალი,
 მეფედ გამჩენი ჩემია,
 თუკი შენ სხვაზე გაგცვალო,
 სხვასაც მოვჭიღო ხელია.
 არ იცი, ქალო უცდელი,
 ტრფიალი როგორ ძნელია!
 ქუდი რად მხურავ თავზედა,
 ტანზე რად ვირტყამ ხმალსაო,
 თუკი ტყუებას დავუწყებ
 შენფერას ბეჩავს ქალსაო.
 ან ფიცის, აღთქმის მოცემის,
 განა ვინ მატანს ძალსაო?
 თუ ავი მედვას გულშია,
 არც-კი გაგცემდი ხმასაო,
 ხმლის ყუას გცემდი და ისრე
 შავიყენებდი გზასაო.
 ვისი მეკრძალვის? ჯარები
 მრავალი მიღვა მზასაო.
 ჩემს გულს ის უნდა, რომ შენი
 გულიც აძლევდეს ბანსაო:
 ჩემს ალერსს, ჩემს სიყვარულსა
 არ გაურბოდე განსაო.
 ისევა სტირის ეთერი,
 დაბლა დაჰბრიდა თავსაო.
 წამწმებს, დაწვდილებს შუბის წვრად,
 ეთერის წამწმებს შავსაო,
 ზედ მარგალიტი დაესხმის
 შავის მელნის ტბის თავსაო...

გული ქალისა გონებას
 რადღაც არ აძლევს ზავსაო.

IV

შორით ისმოდა ძახილი,
 საყვირებს აყვირებდიან;
 უმეტესძეოდ შინ წასვლას
 ყმანი ვერ აპირებდიან.
 აქით ხმა მისცა გოდერძიმ,
 დიან მხლებლები მისია,
 აავსეს წყლისა ნაპირი
 და გარეშემო ტყისია.
 ხელში ეჭირა ყველასა
 მშვილდი, ისარი ხისია.
 ყველაზედ მეტად უბდებათ
 ჩაბალახები მგლისია.
 სპასალარს—ვეფხვის ტყავისა,
 ვეზირთ—ჭიუხის თხისია.
 ეთერს რა ჰხედვენ, ჰფიქრობენ:
 „ნეტავ ეს გოგო ვისია?
 ეს ქვეყნიური არ არის,
 სწორედ ასული ცისია!“

მეფის ძემ ყმათა უბძანა:
 დრო აღარ არის ცდისია.
 მოემზადენით, წავიდეთ,
 აი ეს დავლაც ჩვენია;
 ეს ჩემი ცოლი იქნება
 და დედოფალი თქვენია!

გოდერძიმ აღტაცებითა
 ქალს გადაჰხვივა ხელია:
 „მადლი ღმერთს, რაკი ამიხდა
 ეს სანატრელი ჩემია!“

ეთერი სტირის იღუმალ,
 ცრემლი ჩამოსდის ცხელია.
 გოდერძიმ ყმებსა უბძანა,
 მოერთმეინათ ცხენია.
 მეფის ძე ცხენსა მოახტა,



ქალიც ზეისო გავასა,
 ეთერი წინანდებულად
 აღარ უწევდა დავასა.
 ყმათა დალოცეს ორივე
 ბედითა ბედნიერითა,
 უკრავდენ თავსა ეთერსა
 მუხლმოყრით წესიერითა.
 ღმერთს სთხოვდენ ცოლ-ქმრის დღეგრძლობას,
 ვედრებით ნებიერითა.
 მხოლოდა ერთი ვეზირი,
 სახელად ერქვა შერია,
 გოდერძის შემოჰხედნებდა,
 როგორც მოსისხლე მტერია;
 ვეზირი შესცქერს ეთერსა,
 ფერი ფერადად სდიოდა,
 ვერ ისვენებდა ერთს ადგილს,
 აქათ-იქითა ღიოდა.
 დამნახველს ეთერისასა
 ეხლავე გული სტკიოდა.
 ველარ ჰბედავდა შეხედვას,
 თუმც შახედნება ჰშიოდა;
 ქალის სიტურფემ დააბა,
 მუხლის ძარღვები სცვიოდა.
 გარეთ არ იმჩნევს, გულში-კი
 მეფის ლალატი ჰყიოდა.
 გულში ჩაუჯდა შერესა
 ეშმაკი ლალატიანი;
 შეჰხვდა უწამლო ჭირადა
 ქალი მკლავ-კალათიანი.
 შური და სიყვარული ჰკლავს,
 ცეცხლი სწვავს აღ-ათიანი.
 ცხენებს და ჯორებს აჰკიდეს
 ნანადირევი მრავალი:
 ხოხობი, გნოლი, ირემი,
 ფსიტი, კლდეებში მავალი.
 ერთს ღამეს გამოიარეს
 სამისა დღისა სავალი.
 მღერის მეფის ძე გოდერძი,



მღერიან იმის ყმანია,
 ვალმა-გამოღმით პირქუშნი
 ბანსაც მოსცემენ მთანია.
 მხოლოდ არ მღერის ეთერი,
 ცრემლი ჩამოსდის მთოვარი:
 საქონელს გლოვობს თავისას
 უფლისთვის შემათხოვარი;
 ბატკნები, ხბორები დაპრჩნენ
 ჯერ ისევ ძუძუმწოვარი,
 ეთერის დანი და ძმანი
 სათირებ-სალაღებიო,—
 სთხოვს,—არ გახადოს უფალმა
 ყოვ-ყორნის წასაღებიო.
 ცაზედა ბუტუნ ვარსკვლავნი,
 ქვეყანა არის ჭირითა.
 ღამესა სძინავ ისევა,
 ჯერ არ გამძღარა ძილითა.
 ცას არ გაუხსნავ გულ-მკერდი,
 შაკრული ცეცხლის დილითა,
 ჯერ არ შეცვლილა წყვდიადი
 პირმოღიმარის დილითა.

V

თენდება. მზისა სხივები
 მთის წვერებს ეფინებიან,
 მთით ჭალას ჩამოსასვლელად
 ფრინველნი ეღირებიან.
 ლეშის საქმელად ტივლები
 ერთმანეთს ეპირებიან.
 მალევე გაეგო ყორანსა,
 დაჰსისინებდა ჭალასა,
 დაჰლალოდა წყეული
 აქ მომხდარ ხათაბალასა.
 ეთერის ცხვარს და ძროხასა
 დაჰსხმოდა ჯოგი მგლებისა,
 ჭალა აეცოთ ლეშითა,
 ყორე დაედგათ ძვლებისა.
 ფრინველთაც დენა დაიწყეს,

მოგელავება მხრებისა:
 ორბი სიესივით მოვიდა,
 სოვი დაუხვდა ქშენითა,
 ლეშზე მჯდომარე ყაჯირი
 ორივეს უცქერს წყენითა;
 გავაზი ქორწილს ამშვენებს
 ფიცხელის გადაფრენითა,
 სისხლში ამოსვრილს კლანჭებსა
 ვეფხვი ილოკავს ენითა,
 დაუძახებლად მოსულებს
 დათვებს იგერებს ღრენითა.
 ეთერის დედინაცვალი
 უცქერის ცრემლის დენითა.
 გატიალეზულს საქონელს,
 უვარგის მწყემსის ქცევითა.
 ღმეჭილს პირს უფრო იღმექდა,
 ეთერს ახსენებს წყევითა.
 თავგადაგლეჯით დარბოდა,
 მალი-მალ შედგის გორზედა
 და გადაჰკივლის მაღლიდამ
 დაბლა ჭალაზე სწორზედა.
 ეთერის ნაეალს ეძებდა
 მწყობრად ამოსულს მოლზედა
 და, მთის კუდებში ასული,
 აცქერდებოდა ზოვზედა,
 იქნებ იქ მაინც გაეგო
 ეთერის კვალი თოვლზედა.

VI

მეფის გურგენის სრა-სახლი
 იდგა დიდის ზღვის პირადა;
 ქავი და ციხე-ბურჯები
 გარს შემორტყმოდნენ ხშირადა.
 მოქიშპე გურგენ მეფესა
 გამოსჩენია ძვირადა.
 გალავანს შიგით ბალია
 ფერად ყვავილით წყობილი,
 იას და ნარგისს გვერდს უდგა



ვარდი, სიტურფით ცნობილი,
 ვარდს ხშირად ბულბული უმღერს —
 მისი სატრფო და ძმობილი —
 და ნარგიზს იადონი ჰყავს
 ყელზე ყელ-გადაქდობილი.

მეფე ბალში სჩანს პირქუშად,
 ჩიტთა ვალობით სტკბებოდა,
 დილა ადრიან სპასპეტიც
 დაუბარებლად ჰხლებოდა.
 ჩოქით სალამი მიართო,
 მის წინ კრძალვითა სდგებოდა:

„ნუ მიწყენ, მეფეე, ძლიერო,
 თქვენს უნებლიედ მოსვლასა,
 მაქვს თქვენთან მოსახსენები,
 თუ სმენას მისცემ მოცლასა.

უნდა გახარო, მეფეო,
 სახარობელი ძვირია,
 თქვენმა ძემ ცოლი ითხოვა,
 მთვარეს მიუგავ პირია.
 თქვენის ძის ბედად მოსულა,
 სამოთხე გაუწირია.

თვით ღმერთსა სასძლოდ თქვენთვისა
 ეთერი ზაუწირია.

ისეთი არის, მეფეო,
 მაღალს ღმერთს ვფიცავ ცისასა,
 რომ ცილობასა გაუწევს
 სიმშვენიერეს მზისასა.

არ ვიცი, მსგავსი იმისი
 ჰლაზავს-ლა ვინმე ქვიშასა,
 ან ჩვენს შემდეგ-ლა იგემებს
 გემოსა დედის რძისასა!?

ქვეყანა სხვას ველარ ჰნახავს
 სიტურფეს ეთერისასა!

იქნებ გეწყინოს, უშენოდ
 საქმე რად დაუქერია,
 მაგრამ თუკი ღმერთს, მეფეო,
 თქვენს ბედად დაუწერია,

ხომ ვიცი, ბედი ყველასთვის
 ღმერთს აღრე გაუწერია!“

ამის გამგონეს მეფესა
 პირზე ეცმევა სულარა,
 ეწყინა ესე ამბავი
 და სპასილარის მუღარა.
 იკითხა: მეფის ქალია?
 სისხლით ვინ არის, ჯიშითა?
 — ეგ რომ არ ვიცი, მეფეო,
 ვინა ჰკითხავდა შიშითა?
 ტყეს ჰპოვა, წამოიყვანა:
 მოსწონებოდა ძლიერა
 და ღლესაც ისევე უცქერს
 თვალით და გულით მშიერა.
 კაცნი რას ვიზამთ, ხელმწიფევე,
 თუ საქმე ხდება ღვთიერა!

მეფე (სპასპეტს)

უბძანა: „ლომო, რას ამბობ,
 ნულარას მეტყვი, ნულარა!..
 წადი და ჩემს შვილს უთხარი
 მამის წყრომა და მუქარა:
 როგორ გაბედა უჩემოდ
 საქმე საძნელო ფრიადა,
 მე მეფე აღარ ვგონივარ,
 იქნებ მივაჩნდე შვრიადა?!
 შენ იცი, ლევან მეფესა
 მივეცი აღრევ ფიცია,
 აკვნიდამ ჩემი გოდერძი
 მის სიძედ დანამტკიცია.
 ბალღივით აღთქმა გავტეხო,
 მეფისთვის შენაფიცია?
 წადი და უთხარ, სპასპეტო,
 რაც რომ ჩემგანა გსმენია.
 შვილის ურჩობას ვერ დავსთმობ,
 არცა-რა დასათმენია.
 უნდა, რომ ჯიში შებღალოს
 ჩემთ მამა-პაპათ ძველია!

მაგას ვერ დავსთმობ, სპასპეტო,
ეგ დასათმობად ძნელია.
ან შენგან მაგგვარი თხოვნა
რა ჭკვაში მოსასვლელია?!
წადი და უთხარ ჩემს ძესა,
რომ უხედნელი კვიცია,
უთხარი, მამაშვილობას,
რომ მე აღარა ვიცი.
უთხარი, აღარ მეჩვენოს,
აღარა ვნახო თვალითა,
ან ისარს დავკრავ პირშავსა,
ან შუა ვავკვეთ ხმალითა.
ვასწავლი, როგორი არის
მოქცევა თავის ძალითა.“
წაბძანდა მეფე სასახლეს,
სად ედგა სავარძელია;
სპასპეტმა ფეხი უკუდგა
მეფისგან შენაწყენია.

VII

გოდერძიმ სახლი აიგო
მამისგან უარყოფილმა,
კერძო იჩინა მან ბინა,
ვით უკანონოდ შობილმა.
დაჭკარვა მემკვიდრეობა,
ტახტის მემკვიდრედ ცნობილმა.
მაინც თავს ბედნიერად რაცხს
ეთერის მფლობელობითა,
არ იტეხს გულსა ქალზედა
ქვეყნისა მგმობელობითა.
დიდნიც მიუდგნენ მეფესა,
იმასთან ერთად სწყურებიან;
ნამეტნავ, როცა მეფესთან
სათათბიროდა სდგებიან.
გოდერძისთანა შემბრალედ
მარტო დედა თქვეს მისული,
შვილისთვის მიერთმეინა
ფხაშეუშლელი მისრული,—

რძლისათვის—ოქრომკედითა
ნაკერი გულის-პირია;
არშიად ევლო გარშემო
მარგალიტები ძვირია.
სიუხვე მეფეებისა
ან-კი რა დასაყვირია!

დედა (გოდერძის)

შვილო, ვერ დაგწყევ, გოდერძი,
რაც უნდ საქმე ჰქნა ცუდია,
შვილი ხარ ჩემი, ნუგეშად
ჩემს გულში ჩანაბუტია.
სხვა რა ვსთქვა: ღმერთმა გიკურთხოს
გვირგვინ-კავშირი, ბედია,
იფრთხილე, აღარ გადასთქვა,
რაც ერთხელ დაგიუბედია.
თავი არ გაიმსუბუქო,
რაც სიმსუბუქე გაკლია,
გადანაფურთხის ალოკვა
კაცისთვის დიდი ნაკლია!
ჯერ, კარგი იყო, გეკითხა,
გეთხოვა ჩვენთვის რჩევაო,
უფალს დალოცვად შესმის
შვილის დედ-მამის წყევაო.
შვილს არას აწყენს მშობლების
დარიგებისა ძლევაო.
შენ შეგვარცხინე ლევანთან,
ნაფურთხი აგვალოკინე;
შვილო, მოგვიგდე მდინარე,
მშობლები წააღეკინე.
დაგვარჩე... სისხლი თავისი
წუმპეში დააღეკინე.

გოდერძი (დედას)

მე არც არავინ დავარჩე,
არცვინ წყალს წავადებინე,
ჩემს ცოდვა-დანაშაულში
არცვის-რა გავადებინე.

ჩემს გულსა მხოლოდ საწილო
 თავისი ავალეზინე.
 ჩემს მშობლებს გულის წადილი
 უკანვე ჩავაგებინე.
 ნეტავი გამაგებინა,
 იმით რა წავაგებინე,
 რომ ცოლი ისე შავირთე,
 მშობლებს არ ვავაგებინე.
 გაჩენის ნება თქვენ გქონდათ,
 ვაჩნდი და მე ვარ, მეობით.
 წადილი სხვა მაქვს და გრძნობა
 გეკუთვნით მხოლოდ ძეობით.
 რად გიკვირსთ, მე დავიწუნო,
 რაც თქვენ გასურსთ ანარჩეობით?
 მგონი, წინათაც ვითხარი
 მეფის ლევანის ქალზედა,
 რომ მე არ მინდა ის ცოლად,
 ჯვარს არ დავიწერ მაზედა.
 მე განა სიზმრით ვავიგე,
 თვითონა ვნახე თვალითა,
 იქ ნადირობად ნამყოფმა
 თვალი შეევასწარ ჭალითა,
 როცა ის გადმოსცქეროდა
 ჩვენს ყაფალობას სარკმლითა.
 ან მამაჩემი რად მიკვეთს,
 ან შენ რად სწყრები, დედაო?
 ღვთის მადლმა, თქვენს სამაგნებლოს
 მე არაფერსა ვბედაო.
 თუ ლევან მეფემ იწყინა
 და აგვიტეხა შარია,
 ჩვენც, ვგონებ, კაცები გვქვითან,
 ჩვენც საკმაო გვყავს ჯარია,
 ვგონებ, რომ არ დაძაბუნდეს
 ჩვენი ხმალი და ფარია.
 მკვიდრია მაინც, დედაო,
 ჩვენის სამშობლოს კარია,
 ეხლაც ისევე დავიცავთ,
 ვით წინათ დავგიფარია!



VIII

გურგენი იჯდა სასახლეს,
 კარში არ გამოდიოდა.
 ნაღვლობდა შვილის ურჩობას,
 ცრემლები ჩამოსდიოდა...
 თითქმის ორი თვე ატარა
 ესრე ოხვრით და ვიშითა.
 მსახურნიც ველარ ჰბედავდენ
 მეფესთან შესვლას შიშითა.
 მეფემ ერთს ლამეს მოიხბო
 ნაზირ-ვეზირნი ყველაო,
 შესჩივლა თავისი დარდი,
 ბოსთხოვა იმათ რჩევაო.
 ბრძანა: „ხომ იცით, ვეზირნო,
 მე რაც გულს მაძე ლოდადა!...
 ლევან მეფისა თავს დასხმა
 არ მზარავს ბეწვის ოდნადა.
 ის მიკლავს გულსა, რომ შვილმა
 ჩემმა დაამცრო გვარია,
 ცა რად არ ჩამოიქცევა,
 არ სქდება მთა და ბარია,
 უფსკრულს არ ჩაიყოლია
 ვარსკვლავნი, მზე და მთვარია.
 მეფის ძე მონას ქალთანა
 ნეტავ რა შესაყარია?!
 თქვენ ერთსა გკითხავ, რას მეტყვით,
 მირჩიეთ გულით წრფელითა,
 რომ ჩემს შვილს უჯიშო ცოლი
 გამოვაცალოთ ხელითა.
 ჯერ შევაძულოთ როგორმე,
 გულში მოვუკლათ ტრფიალი...
 ვის როგორ მოგწონთ ეს აზრი
 ჩემს თავში დანატრიალი?
 ვეზირთ სთქვეს: „ფრიად კარგია,
 კარგადა ჰბრძანებთ, სწორესა,
 მაგრამ ეგ გრძნეულთ საქმეა,
 ჩვენს ძალ-ღონეზე შორესა.

ვიკითხავთ ყველა კუთხეზე
 მისან-მკითხავთა ყველათა;
 ვფიქრობთ, ვიშოვნოთ წამალი
 ტრფობისა დასაწველადა“.

—„მაგ საქმეს, დიღო ხელმწიფევ,
 თვითონ მე ვიღებ კისრადა,
 მისნებს ვიშოვნი, თუმცა მე
 არ ვარ, არც ვიყავ მისნადა,
 ძვირად თუ ისარს დავაცდენ,
 რაც ამოვიღე ლიშნადა“ —

შეჰკადრა მეფეს შერემა
 ერთგულებისა ნიშნადა.—

„მხოლოდ ერთს გკადრებ, მეფეო,
 ნუ გამიწყურები ამაზე:

ცოტა გულჩვილი გახლავარ,
 გულგრილი ავა-დავაზე;
 არ მინდა ჩემის მიზეზით
 ვისმე რამ წაუხდებოდეს.
 გახსოვდეს, როცა თქვენს ძესა
 და ეთერს გაუხდებოდეს,
 ქალს ნურას ავნებთ, თქვენს მადლსა,
 იმისი არა ბრალია,
 მთა-კლდეთ გაზდილი მხეცებრივ
 ერთი ბეჩავი ქალია.
 თუნდა მე მომე, ნუ მოჰკლავ,
 ცოდვაა, შეიწყალია“.

— შენ გყვანდეს, — მეფემ უბრძანა, —
 თუ შესძელ ნაბრძანებია,
 შენ გყვანდეს, ჩემო შერეო,
 მეფისგან ნაქრთამებია!
 მწყობრადა თავი დაუკრეს
 ვეზირთ და გავლეს კარები.
 შერეს-ლა დაჰრჩა საქმედა
 მეფისგან დანაბარები.
 ხმლები შეირტყეს წელზედა,
 ჩამოიკიდეს ფარები,
 წესისებრ ძველთა დროთასა,
 აივანს დანაყარები;

ხელში შუბები ეჭირათ
 ტარგძელი, შესაზარები.

IX

ცხრას ზღვასა, ცხრას მთას იქითა,
 უდაბურს ადგილს, მთიანსა,
 სცხოვრობდა ერთი ბებერი
 გამოქვაბულსა კლდიანსა,
 გველი, შხამი და ბოროტი,
 ყველას ის აძლევს ზიანსა.
 ქაჯთათვის სული მიეცა,
 ქაჯებში იყო გართული,
 დევთა და ალთა შორისა
 ზემოთა თავში ჩართული.
 ქარს ის აჩენდა და ღვარსა,
 სეტყვას და დელემას მეხითა,
 თუკი ერთს დაიწვივლებდა,
 ან მიწას სცემთა ფეხითა,
 ხმელს მოხრილს ზურგზე დადგმულის
 ეშმაკთ-ცხენაის კეხითა.
 შავია, როგორც ნახშირი,
 როგორც ფისი და კუპრია,
 სუყველა იმაში ბუდობს:
 ანგარება და შურია;
 ერთხელ არ იტყვის, სხვას ვარგო,
 მუდამ სხვის ვნება სწყურია;
 ცოდვებით ვერ შეედრება
 ქრისტეს გამცემი ურია.
 თვალები ცეცხლისა უსხდა,
 კბილები ჰქონდა მინისა,
 ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა
 ტყავად ფურცელი რკინისა;
 ფეხები ჰქონდა კაცისა,
 ხელებად ბჯღლები ციცისა,
 და, თმის მაგივრად, სულძაღლსა,
 მოკლე ფაფარი კვიცისა.
 საცა რამ კეთილი ხდება,
 სუყველა იმან იცისა,

და უცდის, დრო მოუვიდეს
 კარგის ჩამშლელის კლინძისა.

ერთს დღეს ეს ავი ქმნილება
 იჯდა მთათ შორის, ხევშია;
 ძაფები სახათაბალო
 იმას ეჭირა ხელშია.
 ჩაჰკირკიტებდა ჯადოსა,
 ორად მოხრილი წელშია;
 ამ დროს აქ გაჩნდა შერეცა,
 მალლა გადმოდგა მთაზედა,
 ცხენს მჯდომი გადმოსჩხაოდა
 კუდიანს ბებერს თავზედა:

შერე (ბებერს)

ჰეი, გრძნეულო, სადა ხარ,
 მოხუცებულო, ხნიანა?
 საქმე მაქვს შენთან საძნელო,
 მინდა რომ გაგეხმიანო.
 ვინძლო ეცადო, სულელი
 მეფის ძე დაგვიჰკვიანო!

კუდიანი ბებერი (შერეს)

გურგენ მეფისა ვეზირო,
 გულდაკოდილო შერეო,
 რაღას მეძახი შორითა,
 აქ, ჩემთან, ჩამეერეო.
 აღრევე გაგიგე წადილი,
 ორი კვირაა გელიო.
 რას ჩამამყმუი გორითა,
 როგორც მშიერა მგელიო?!

შერე (მიდის ბებერთან)

სალამი შენთან, მოხუცო,
 დიდის ჰკვა-გონებისაო!
 მიშეელე რამა, გეთაყვა,
 ჰირი მჰირს ღონებისაო.
 ჩემს სულს შენ მოგცემ, არ მცხვენის
 მე იმის მონებისაო.

დღე აღარ არის ჩემთვის დღე,
 სიცოცხლე მეშავეთება;
 ხომ კარგად იცი შენაცა,
 მჭირს ერთის ქალის ფეთება;
 თავიდან გონი წამერთო,
 დამთვრალი დაეღეტება.
 ცოცხლად საფლავში ვიმარხვი,
 ზედ შავი ლოდი მედება!..
 რას ნიშნავს ჩემი ესეთი
 უფლისგან გამომეტება?!

ბებერი

მე მაშინათვე გავიგე,—
 რაწამს ეთერი ჰნახეო,
 მეხად დაგეცა თავზედა
 მაშინვე ქალის სახეო,
 და მეც აქ ჩემთვის წყნარადა
 დავკარ-დავაგე მახეო;
 ჩემისა სულის სანთლადა
 ჯადოც მყის გამოვჩნახეო!
 რა გინდა? მითხარ, რას ეძებ⁶
 მითამ არ ვიცი, მითხარი,
 რამ აგაღელვა ვაჟკაცი,
 რად გტკივა გულის-ფიცარი?

შერე

რალა ვსთქვა, განა არ იცი,—
 ჩემი წამწყმედი ის არი,
 იმან დამაბა, თვალ-მზემა,
 გულს გამიყარა ისარი.
 სხვას ვერას გეტყვი, მოხუცო,
 ველარას გეტყვი, ველარა,
 ენა მებმევა, სიტყვასა
 ვერ გამოაგებს, ველარა.
 ეკლებზე მძინავს, რო ვწვები,
 ველარ ვისვენებ, ველარა:
 პური გველია, რო ვიღებ,
 ყელს ვერ ვაცილებ, ველარა.

დაედვა გულსა ობოლსა
 მკვდარის სიცოცხლის ბეგარა
 და სულიც ასულებული
 სასულეს ამამეჩარა!!.

ბებერი

ნუ ჰკრთები, შერეე, ნუ სწუხარ,
 ყური დამიგდე ბებერსა,
 მალედვე მიგწევ საწადელს,
 ხელში ჩაგიგდებ ეთერსა.
 რაც მე გასწავლო წამალი,
 აწამლე იღუმალადა:
 ფეტვს მოგცემ, დევთა ნათესა,
 მოსულსა დევთა ქალადა;
 ის ურწყავს სისხლსა კაცთასა,
 დევთაგან ნახმარს წყალადა;
 შიგვე დედის რძე ურეევე
 ქაჯთი, მაცილთი კვალადა.
 შიგვეა ფერფლი იმ სულთა,
 ჩვენ რომელიც გვხვდა წილადა,
 ვინც თავის მეუფესთანა
 გამოჩნდა განაწბილადა;
 შიგვე ლაფია იუდის,
 ქრისტეს გამცემის სულისა
 და ანაფხეკი სასყიდლად
 მის მიღებულის ფულისა.
 ან-კი რას მარგებს ბებერსა
 ესეთი გახსნა გულისა;
 დახე, რომ ორგული ვხდები
 ჩვენის გრძნეულთა რჯულისა.
 დაგიწნავ ქაჯის ქალმანსა,
 შიგ ჩავეყრი, ჩავაწკრიალებ,
 შიგ ჩავლეს გრძნეულთ სიტყვასა,
 რა ენას დავატრიალებ,
 საქმეს გავჩარხავ, გოდერძის
 დავწოვ და ავაბრიალებ.
 წაილე... მეფის ძის სახლის
 საცა ლიბო და ძირია,

იღუმალ ამოაფარე,
 არ დაუჩინო პირია.
 ჰნახოდით მაშინ ეთერი
 სიტურფით გასაკვირია!
 ჰნახავთ, რო მატლი დაედვას
 ბროლს ყელზე ათასობითა,
 თვალ-წარბს ჭიები უჭამდენ,
 დასხმულნი კაპასობითა;
 მკერდზე გველები გადერტყას,
 ძუძუზე ჰლოკდენ ენითა,
 სცდილობდენ, ვერ აშორებდენ
 მანქანებით და ხელითა.
 ჰბანდენ და რეცხდენ პატარძალს,
 მატლები უფრო ხშირობდენ
 და თავის უძღურებასა
 მეფის ეჭიმნი ჰკვირობდენ.
 მაშინა ჰნახე გოდერძი,
 მისი გული და თვალები...
 მაშინ შენ შენი ეცადე,
 გზა ჰპოვე დასაკვალები.

შერე

მე რად-ლა მინდა, რომ დამრჩეს
 მარტო დახრული ძვალები?

ბებერი

ვინ გეუბნება მაგასა?
 გამომიწოდე ხელები,
 რომ მოგცე თმები აღისა,
 ჭია ღუების მწველები,
 რომ ქალს მოჰშორდეს მკერდიდამ
 გადახვეული გველები.
 როცა შენ დაგრჩეს ეთერი,
 შეწუხებული ჭირითა,
 მოუსვი ტანზე და ისევ
 გამოგინათებს პირითა.
 ჩვენ გავიხაროთ და სხვებმა
 ხორცი იგლიჯონ კბილითა!

შერემ წამლები იზოვნა
და გამოსწია ღამითა
ახმიანებდა კლდეებსა
ცხენის ნალების ჩქამითა.
უკან გამოჰყვა ალ-ქაჯის
წკნავილ-ღნავილი ხრამითა,
ჩოღროს გზას მოუნათებდენ
ქაჯნი კბილების ალითა,
მოსძახდენ: „ძმაო შერეო,
როდის-ღა გნახოთ თვალითა?!“

X

მოსდევდა შერე მდინარეს,
ბნელს ხევზე ჩამდინარესა,
ცრემლები ჩამოსდიოდა
სვინიღის ნამძინარესა;
ერთის მხრით გულით უხარის
შერესა ნამტირალესა.
ჩავიდა უღრანს უფსკრულსა,
ესმოდა ქოთი, ღრიალი,
დევთა ღზინის და მღერისა
შესაზარები ზრიალი.
ცეცხლი დაენტოთ ძლიერი,
გარს უსხდნენ ყოტებივითა,
თავ-ცხვირი წამოეშვირათ
სალის კლდის ლოდებივითა;
დაღრენილი აქვთ ლაშები,
სალუდეს ქობებივითა.
წითელს იქნევდენ ენებსა,
გრძელებსა შოთებივითა,
მსახურად ედგნენ ჭინკები,
ჰყიოდენ ქოტებივითა.
დევთა ხელთ ეპყრათ პირ-დიდი
ჭურჭლები კოკებივითა.
ღვინის მაგივრად სისხლს სვამდენ
დევები სწორობაზედა.
საცა ვისთვისმე მოესწოთ

ხევში, ან გორობაზედა,
 არჩობდენ, ეზიდებოდენ,
 დამდგრები ღორობაზედა.
 სისხლი, ნაწური კაცების,
 ჭურჭლებში ედგათ ღვინოდა,
 მეჯლისში სისხლით თვრებოდენ,
 სისხლს სვამდენ მოსალხინოდა.
 შერეს უკივლეს: „ტვინთხელო
 შერევ, სად მიეღეტები?
 რატომ არ მოხვალ ვახშმადა,
 რო თავში დაგცხოთ კეტები?
 მაინც ხომ სული ჩვენ მოგვეც,
 ხორცითაც ჩვენკე ი არე,
 პირ-წბილად რას იყურები?
 გამოსწი, გამოიარე.“

შერე (დევებს)

სული გეყოფათ, ავსულნო,
 ლემს რალას მოეტანებით?
 ცოტა ხანს კიდევ დამითმეთ,
 მერე დაჭერით დანებით,
 თუნდ კუპრის ცეცხლში ჩამაგდეთ,
 დაძებით ჩემის წვალებით,
 რო სულიც ხორციან იწვოდეს,
 გარს შემორტყმული ალებით!
 „კარგია, მშვიდობით, წადი,
 ხუთს წელს ილხინე გულითა
 და მერე სრულად ჩვენი ხარ,
 სრულად ლეშით და სულითა“. —
 მოსძახდენ შერეს მორბინალს
 დევნი ხმით ბაბაყულითა.

XI

შერე, ნატარი უცხოეთს
 დიდხანს მრავალის ტანჯვითა,
 უმარჯვებს სატახტო ქალაქს
 მშობელის მიწის კლანჭვითა.
 მიადგა გაშლილს მინდორსა



ბილწის ფიქრების ხელანჯვითა.
ჯერ დილა იყო ისევა,
შერემ შენიშნა შორითა,
ჯარი გამოდის მინდვრადა,
მოდიან გროვა-გროვითა.
მოფრიალებენ ჰაერში
ალამ დროშები ხშირადა,
სამგზავროს უკრვენ ბუკებსა
გულისა გასაგმირადა
და ცხენთა ფეხის ტყრიალი
მიმწვდარა ცის ნაპირადა.
მუზარადები ელავდენ,
მიწას ჰკაზმავდენ ფერთა,
არას უშლიდა ზედ სისხლი,
ნაფშრუკი მიწის მტვერითა;
ცას უპირობდენ დალაშქრვას
გრძელი შუბები წვერითა,
ფარები, მხრებზე ნაკიდი,
თავში საცემის კვერითა,
ყინულის ფერი ჯაჭვები,
თილისმა დანაკერითა;
მკლავები სამკლავეებით,
მათრახებ დანაქერითა;
ხმლები მტრის დასამარცხების
ლოცვების წანაწერითა
და ზურგზე ისრის ქოჯონნი¹
კილოთ ცას ანაქერითა,
რა კარგი სანახავია
ლურჯის ცის დანაფერთა!
ლაშქარს წინ მაუძღვებოდა
გურგენი შავის ცხენითა.
სიცილი, ზოგთა ტირილი,
არ გამოითქმის ენითა.
ჯარს უკან გროვა მოსდევდა
ხელდაკონილის ტყვისია,
არ დაითვლება მათ რიცხვი,

1) კონა, გროვა.



როგორც ფოთოლი ტყისია.
 მოროყინობდენ აქლემნი,
 მოკელაობდენ ჯორები
 და სპილოებიც მოსჩანან,
 როგორც მთები და გორები,
 ნადავლით დატვირთულები,
 მრავალის ოქრო-ვერცხლითა.
 სულ უკან ჯალათებია
 თვალში მპრქყვინავის ცეცხლითა,
 შამკობილი აქვსთ ხმლის ვადა
 კაცთა კბილით და ფერცხლითა.
 გურგენს და ლევანს გაჰხდოდათ
 პირობის დარღვევაზედა.
 ლევანი წამოსულიყო
 გურგენის დარბევაზედა,
 საქმე მივიდა უთუოდ
 ერთურთის დაქცევაზედა.
 ლევანი იმედულობს
 გურგენის გაქცევაზედა.
 მწყობრს ჯარსა გამაუძღვება,
 წამოვა მუქარაზედა,
 მაგრამ დაჭრილი წაიღეს,
 ნადები სუღარაზედა...
 შერე უცქერდა ხშირის ტყით
 ნაცნობებს მწუხარებითა
 და ისველებდა კალთებსა
 მომსქდარის მდულარებითა.
 უნდოდა ჯარში გარევა,
 გული უშლიდა ტიალი,
 იმ გაყიდულის სულისა
 გამოთხოვების წკრტიალი.
 თვალსა სტაცებდა ბეჩავესა
 თეთრის დროშების ქღრიალი,
 გამარჯვებულის ჯარისა
 მოუსვენარი გრიალი.
 მაგრამ თავს ურიცხად ჰხედავს
 ლაშქარში ჩასარევადა...

ქურდულად გამოიპარა
ცოლ-ქმრობის ასარევადა.

XII

გაეჭრა შერეს წამალსა,
ქვეყანა არეულიყო,
სიყვარულისა ფიალში
ბალღამი ჩარეულიყო.
ეთერსა ფერი ეცვალა,
ტანზე მატლები სდიოდა,
აცლიდენ, მოცილის ადგილას
ათასი ამოსდიოდა.
გოდერძის, ამის მნახველსა,
ხომ სული ამოსდიოდა;
თვალთგან, ვით კლდეზე ჩანჩქარი,
ცრემლები ჩამოსდიოდა.
შეცვლით რა ნახა ეთერი,
მაშინვე ელდა სცემოდა,
ლოგინად ჩაეარდნილია,
პურს-წყალს არ ჰნახავს გემოდა.
ვით ცვილი ჩამომდნარიყო,
დარჩენილიყო ძვლები,
მაგრამ ეთერსვე ეძებდენ
მის დახოცილი თვალები...
ქალი არავის დაუთმო,
კოშკს ეჯდა დაფარულადა
და მისნი ერთგულნი ყმანი
გარს ედგნენ ყარაულადა.
ეთერსაც შემოეთვალა:
„რად ამომაგებ ჭირითა?
კოშკს არ მამწყვდევედე პატიმრად,
წყალს მაინც ვზიდავ ვირითა.
ჩემო ნუგეშო, გოდერძი,
ჩემო მზეო და მთვარეო,
ჩემო ლხინო და სიცოცხლე,
სიცოცხლე გავიმწარეო.
მე ვარ მიზეზი... თავმკვდარი,
საით რას შაგეყარეო.“



რატომ არ მოგკვდი ადრევე,
მანამ გნახავდი ბარეო.
მაშინვე გითხარ, მე და შენ
ქალას რო შავიყარენით,
და ეხლაც იმასვე გეტყვი,
ეხლა, როსც გავიყარენით:
არ ვარო შენი საჟური,
გეუბნებოდი ბეჩავი,
ვიცოდი, ადრე თუ გვიან,
შევიქნებოდი ბედ-შავი!
არ ვიყავ შენი საფერი...
ლმერთმაც დამწყევლა ამითა,
რომ ფუფუნება ვარჩიე
ცხოვრებას თავის ჯანითა!“

XIII

შეიქნა დიდი ჩოჩქოლი
ერთს ლამეს სასახლეშია:
მეფის ძე გოდერძი კვდება,
სული მოადგა ყელშია.
დედა დაპბრუნავს თავზედა,
კრემლს ჰღვრიდა, ეკონებოდა.
მაგრამ სნეულსა ამითი
ტანჯვა არ ეფონებოდა
გოდერძიმ უთხრა დედასა:
„შენი ჭირიმე, დედაო,
ხომ იცი, შენი გაზდილი
ვისაგანაცა კვდებაო.
ხვალვე, ან ზევა, უგრძნობი
კუბოში ჩაიდებაო.
სამართ ველარას ვნახავ,
ზედ ლოდი დაიდებაო.
მანამ რასმე ვგრძნობ კიდევა,
მანამ თვალითა ვხედაო,
მინდა რომ ვნახო ეთერი,
მისი ტანი და პირია,
როგორ მინდარის... მის ნახვა
ჩემთვის რა ძვირად ჰღირია!

თუნდა ცოცხალი არ იყოს,
სხვა რამ მაჩვენეთ იმისი,
თმის ბეწვი მაინც იპოვნეთ,
ან ანაგლეჯი პირისი.

მაჩვენეთ რამა, გეთაყვა,
ჩემის მამკვლელის ქალისა,
ნაშთი მის ხელის, ან ფეხის,
ან მადლიანის თვალისა.

ვიცნობ, არ მომეტყუება
ფერფლიც-კი იმის ძვალისა!“

გოდერძის დედა წავიდა,
მეფეს შესთხოვდა ჩოქითა,
შესთხოვდა რასლაც გულმწუხრად,
ცრემლის დენით და ოხვრითა.

გურგენმა შერე მოიხმო...

მოვიდა ნაცარივითა,
ფერ-გონი გამოჰლეოდა
შავეთში ნატარივითა.

მეფემ უბრძანა: „შერეო,
მეფეთა დასადარებო,
შენს იქით კაცსა ვერ ვპოვებ,

ერთს კიდევ დაგავალებო,
მამა ვარ, განა არ იცი
წესი მშობლურის გულისა?
ლვთისაგან მირონცხებული,
მორწმუნე ქრისტეს სჯულისა.

მე როგორ გავხდე მიზეზი,
დამლევად შვილის სულისა!
ისიც ხომ ვიცით, გოდერძის
რისაგანაც სჭირს ჭირია...

საცა წამალი იშოვნე,
პატლით აუვსე პირია
იმ ლვთისგან წყეულს გოგოსა,—

ყველანი გაგვაკვირია,—
იმის წამალიც გექნება,
როგორმე მოარჩინია.

ნახოს ბედკრულმა გოდერძიმ,
იქნებ ეწამლოს ამითა.

გულს ეს ურჩევნავ სხვას წამალს,
 სახმარს სმითა და ჭამითა.“

შერესა გავერანებულს
 ხმა შემოესმა გვამითა:
 „გახსოვდეს, ნუ დაივიწყებ,
 ფიცი რომ მომეც ღამითა;
 გახსოვდეს, კარგად გახსოვდეს
 ჩემდ მოცემული პირობა,
 გამაგრდი ციხესავეითა,
 გამოიჩინე გმირობა!“

ჯერ ხმა არ ისმის შერესი,
 თავდაკიდებით მდგარისა,
 რომ ხმა მოვიდა მწუხარე
 სამგლოვიარო ზარისა.
 ზარს ჯახა-ჯუხი ბანს აძლევს
 მეფის სასახლის კარისა.
 გუნდი მოერთყა სრა-სახლსა
 შავად ჩაცმულის ჯარისა.
 ისმოდა „ვაი“-ს ძახილი,
 ხალხის გლოვა და ქვითინი.

მეფე (შერეს)

შერევ, ეს რა ემბავია,
 ეს რის ხმაა და ბიბინი?

შერე

გლოვაა... აღარც გლოვაა...
 სალხინო მგონავ ლილინი.

მეფე

აბა, შეიტყე, კარებთან
 ვისილაც მესმის ტიტინი...
 შერე რა გასცდა მეფესა,
 უფრო გახშირდა ყვირილი,
 ისმის მეფესთან მისულის
 სახლთუხუცესის ტირილი.
 პირსისხლიანი მოხუცი,
 თავზედ დაყრილის ქვიშითა,

სამძიმარს ეტყვის მეფესა
 კენესით და ოხვრა-ვიშითა:
 „დაიქცა თქვენი ღუშმანი,
 თქვენი მტერი და ორგული,
 როგორც თქვენის ძის გარდაცვლამ
 მე დამიდაგა სულ-გული.
 და განა მარტო ერთისამ?...
 ეთერიც მასთან მკვდარია.
 რამდენი ომი მინახავს,
 რამდენი სისხლის ღვარია,
 მე სხვა აღარა მინახავს
 ამაზე შესაზარია.
 რაკი გავიგეთ, მეფეო,
 ის თქვენი დანაბარია,
 ეთერი გამოვიყვანეთ
 თქვენის ძის სანახავად.
 მოკვდავმა წამოიწია
 მის გულში ჩასაკრავად.
 ხელი მოჰხვია კიდევ
 ცხოველის პირის-კანითა,
 სიცოცხლე ველარ დაიძვნო
 გამოღეულის ჯანითა
 და, ჩვენს უცნობლად, ეთერმაც
 თავი დააკლა დანითა.
 ჯერაც გულშივე ურქვია
 დანა შავის რქის ტარითა“.
 ამის გამგონეს გურგენსა
 პირზე დაედვა ჯანლია:
 „ვაჰ, ჩემო ყოფნავ, სიცოცხლევ,
 სამეფო დამრჩა კარ-ლია!
 ლიბო ამ ჩემის ქვეყნისა
 ღმერთმა რად გამაარღვია?
 რად შეიშურა ჩემთვისა
 გამოუტყდელი ბაღლია!“

XIV

მზე მალლა წამოსულიყო
 პირითა მოცინარითა,

თუმც მას ქვეყანა უცქერდა
 თვალებით მოტირალითა.
 ძაძა ჩაიცვა ქალაქმა,
 სატახტომ გურგენისამა.
 ცრემლების წმენდა დაიწყეს
 ხელებმა უხვებისაჲ.
 მეფის სასახლის კოშკებზე
 შავი ფრიალებს აღმები
 და იმ სარიგოს ცეცხლისა
 სვეტ-სვეტად ადის კვამლები.
 მეფის სასახლის ეზოში
 ლაშქარი იდგა მდუმარე,
 ჯარის წინ ხმალს დაბჯენილი
 ლომი სპასპეტი მწუხარე;
 თვალთაგან გადმოსდიოდა
 ყველას ცრემლები მდუღარე.
 ჯარს აეყარა ფარ-ხმალი,
 შუბებიც გადაეყარათ,
 იქვე დაესქოთ დროშები,
 ზედ ძაძა გადაეფარათ.
 არსით ისმოდა ბუკის ხმა,
 დაფის ფიცხელი კიყინი,
 მგოსანთა მღერა ტრფობაზე
 და ლაშქრობაზე ლილინი.
 ბულბულს, იადონს უბრძანეს,
 საქმე მივარდა წყენაზე,
 გულში ჩაეკლათ გრძნობანი,
 ხელი აეღოთ მღერაზე.
 ჩამოხსნეს მათი გალია,
 სარდაფში დადგეს კერაზე.
 მთელი ქალაქი მომსქდარა,
 ყველა: დიდი და მცირია;
 კაცი და ქალი ურჩევლად,
 მდიდარი, გლახა, მწირია,
 უცდიან, ნახონ ცხედრები,
 დღეს მათ დამარხვა სჭირია,
 დღეისად დასაფლავება
 თვით მეფის დანაპირია,

მეფისგან გამონაცხადი
 შიკრიკის დანაყვირია.

აგერ გამოჩნდენ მოძღვრები,
 თან ვეზირებიც მწყობრადა,
 აქ მხოლოდ შერე არა სჩანს,
 მარტოდ რჩენილი ობლადა.
 ორს კუბოს მოასვენებენ,
 ერთს ხისას, სხვა-კი ძვირია,
 ძვირფასად შეხამებულსა,
 თეთრს, ვით თოვლი და კირია...
 გაუდგა ხალხი კუბოებს
 გროვად, გროვები ხშირია,
 ალბად საერთო ჭირი სჭირთ,
 რომ ყველა ანატირია!
 მოძებნეს ერთი ადგილი
 უდაბნო, განაპირია,
 მეფის ძის ანდერძისამებრ,
 ტყიანი მთისა ცხვირია.
 დამარხეს ერთად, ცოტას-კი
 ერთურთზე მოშორებითა,
 როგორც უბრძანა მეფემა.
 რომ არ ვსთქვათ მოჭორებითა.

საკვირველს ამბავს იტყვიან
 ამ ადგილს ნანახისასა:
 ია უზრდავის წლით-წლამდე
 ამ ბეჩავს კუბოს ხისასა,
 და ვარდი პირმოლიმარი
 სამარეს გოდერძისასა.
 იას შორს ყოფნა არ უშლის,
 ვარდს ეკონება პირითა
 და ამ საფლავთა ფეხითთა,
 ცოლ-ჭმრის სამარის ძირითა,
 უკვდავებისა წყარო დის
 ძვირფასის ოქროს მილითა.
 ამ ადგილს ბულბული უმღერს
 სალამოთი და დილითა;
 ვისაც-კი ის წყალი უსვამს,
 ურჯულოს, რჯულიანითა,

იმას არ უვლავ ქვეყნადა
 გულითა წყლულიანითა.
 იმან არ იცის სიბერე,
 არც მომაკვდავად სწერია;
 ვინც უნდა იყოს, ვინც უნდა,
 თუნდ სულ უბრალო მწერია!

XV

— ბეჩავი შერე სადღაა,
 სიცოცხლე-გაარმებული?
 — კარზე ზის, დანასა ჰლესავს,
 გონება-გააფთრებული.
 — დანა რად უნდა ვეზირსა,
 რა აქვის გასაკეთები?
 სთქვი შერეს იღუმალ ყოფნის,
 საქმე მის განაკეთები?
 — დიდი ხანია გლაზაკობს,
 თვალებით დანაფეთები.
 ბოლოს და ბოლოს დასჩემდა
 სიგიჟე, რაღაც ფეთები.
 მან ვეზირობა უარჰყო,
 დააქვს ტიტველი ფეხები
 და ხმას არ იღებს, როს თავში
 უფაჩუნებენ გლეხები.
 ტანზე ქილობი აცვია,
 სახე აქვს შესაზარები.
 კაცის დანახვა აშინებს,
 მირბის, ემაღვის ყველასა;
 ხრამებში, მთაში და ღრეში
 ჩხავის, აჯავრებს მელასა
 და დაიყმუფლებს მგელივით,
 თითქოს ღმერთს სთხოვდეს შველასა.
 ხან ლეკვივითა წკავწკავებს,
 ძალივით ხმარობს ენასა.
 ხან ბუისავით გაჰკივლებს
 საწყალად, ბეჩავურადა;
 იმ დროსვე გადაიქცევა
 ახლა მჩხავანა ტურადა;

ხან მითამ მოჰკვიანდება,
 ტყე-ტყის პირთ დადის სტვირითა;
 თან თავის ფარ-ხმალს ატარებს
 ერთის კუდალა ვირითა.
 თქვენს დუშმანს ესეთი ყოფნა,
 როგორც შერეა ჭირითა!
 ყველას აშინებს მისი ხმა
 საბრალო, საშინელია,
 აშინებს მისი სამყოფო
 უდაბური და ბნელია.

— მარტო ტურა-მგლობს, ეგ არის,
 მარტო სიბილწის მქნელია?

— ერთს წელს უდაბნოს წავიდა,
 სულის მოგებას ჰლამობდა,
 ბერებთან ერთად მარხულობს,
 იმათთან ერთად გალობდა,
 მით შერემ ვერ დაისვენა,
 მაინც ისევე წვალობდა.

— დანა რად უნდა, რომ ჰლესავეს,
 შერესა დაჟინებულსა?

— თვალებს დაითხრის ბედკრული,
 თვალებსა დაშინებულსა;
 მოსძაგდა სინათლის სინჯვა,
 მოსძაგდა ყველაფერია,
 დღეს მხოლოდ სიბნელე უყვარს,
 ვერ ნახოს ვერაფერია!

დატანილი ვიზუალი

დაპრილი ვეფხვი

(ამბავი)

თოვლი ლხვებოდა პირ-მზითში,
 ბარდანი ჩამოდიოდა.
 ნამარილევი ჯიხვის ხრო
 პირ-ალმე შემოდიოდა,
 თან მოსდევსთ თავის პატრონი,
 ნებ-ნება შემოჰკიოდა.
 მალევე მოვიდენ სიმაგრეს,
 ფარი იფარეს კლდისაო,
 იქ მონადირე ვერ მიდის,
 ვერც კლანჭი სწვდება მგლისაო,
 გულდასვენებით არიან,
 შიში არა აქვთ მტრისაო.
 დაბლა ირმების ხრო გაჩნდა,
 სწრაფად გადავლეს გორია,
 დაუჩნდა მონადირესა
 მარტო ხარ-ფური ორია.
 ვაჰ თუ სიათამ უმტყუვნოს,
 მანძილი კარგა შორია.
 არ დაიშალა, ესროლა,
 ბოლი გაერთხა თოვლზედა,
 ირმები დაფრთხენ, წავიდენ
 თოფის ხმაზე და კომლზედა.
 მოცადი ბიჭი არ იშლის,
 ისევ გაჰყვება კვალზედა.
 უყელა ორგან, სამგანა,
 ოფლი სდიოდა ძალზედა,
 მაგრამ სათოფრად ვერ დასწვდა,
 ვერ მოიყარა ხევშია,
 ერთი მაინც და მაინცა
 ხო დარჩებოდა ხელშია.
 თუ ვიწროს ადვილს მოესწრო,



ან გადასავალს ყელშია,
ვნახავდი მონადირესა
გაცინებულსა წვერშია,
მწვადს, ხის შამფურზე აგებულს,
დამცვრიანებულს ცეცხლშია.

დიღხანსა სდია იმ დღესა
აღმა და დაღმა, ფიცხადა.
ამაოდ... გული უწყრება,
ელამვის გასაკიცხადა.
დაოსდა, პურიც მოჰშიკდა,
ბანდულიც სძვრება ფეხითა,
წრიაპიც¹ გვერდზე მოექცა,
სტანჯავდა წვივზე ხეხითა.
წასულსა საქმეს რას უშველს
ოხვრითა, თავის ტეხითა!

უკვირდა მონადირესა
მარცხი დღევანდლის დღისაო,
ეს დღე წავიდა, დასამზრდა,
მთას პირი სწვდება მზისაო.
საცაა ჩამობნელდება,
ჯოგი ასტყდება მგლისაო,
წყვდიადს დაერთვის წყვდიადი
ამ უდაბურის მზრისაო.
„ლამის ვერ მოვკლა ნადირი,
ჯაგრი შავსკამო მტრისაო.
ადგილის დედავ, მიშველე,
შენ მომიმართე ხელია,
ნუმც გაცრუვდება, შენს მადლსა,
სიზმარი წუხანდელია.
წინად თუ გამცხადებია,
ეხლა ცხადდება რაობით,
მე ხომ ამ სიზმრით ვნადირობ,
ნადირს ვხოც იმავე თაობით?“

გულში ჰლოცულობს თვარელი
და პურსა ჰლოღნის ხმელსაო,

¹) რკინისაა—ფეხის-გულზე ამოსადები, რომ ფეხი დაიმაგროს გვერდობზე კაცმა.



თან ოვალს აყოლებს პირდაპირ
ხევის ნაპირსა გრძელსაო.
ადვილსა ჭიუხიანსა,
დეკიან-ლვივრიანსა,
ურძნით და ჩადუნით მორთულს,
ღუკიან-დიუიანსა,
თვალდაშტერებით უცქერის
კლდის თავსა ფიჭვიანასა.
კლდის პირზე წყარო ჩამოდის,
ხმას იწმენდს ხრინწიანსა,
და ქაფს უსომდა კლდის პირებს
წითელსა, სისხლიანასა.

იქიღამ კვნესა მოესმა
გულიღამ ამობერილი,
ჰხედავს: ვეფხვი წვეს ტოტ-გაწვდით
კლდის თავს, გულგამობერილი,
და მონადირეს უცქერის,
მისკენ თვალგამოჰერილი,
წელსა და ტოტებს უმშვენებს
ზოლები ჩამოწერილი.

კლანჭი სტკიოდა ბეჩაქაა,
გულს ბოლმა მაერეოდა,
სისხლი ნადენი ტოტითა
მდინარეს შაერეოდა
და წყალთან ერთად ისიცა
უფსკრულში ჩაერეოდა.
კვნესოდა, როგორც ვაჟაკი
მტერზე ჯავრ-ამოუყრელი,
მუღამ მდებარე მტრის ფეხ-ქვეშ,
ვით მთა ჯანლ-გადაუყრელი.
— რას უცდი, მონადირეო,
დაჰკარ, ხომ ვეფხვიც მხეცია!
— არ დაფკრავ, ძმაო, რო მამკლა,
როდი გახლავარ ბეცია!
ეგეც ჩემსავით ნადირობს,
კალთები აუკეცია,
ნადირობაში მაგასაც
მთა-ბარი დაუკეცია.



ნადირმა იცნო თვარელი
მონადირისა წესზედა,
მივიდა მასთან კოკლობით,
ტოტი დაადეა ფეხზედა.
მონადირემაც გასინჯა
თავის ძმობილის წყლულია
და ამოულო კლანჭიდაძ
სიპი მომსხო და სრულია,
ნაშალი კლდისა სალისა,
ნაგალი ღვართა, ზევისა,
და გაღესილი ნისკარტით
ლამის მთეველის სვავისა.
ნადირობაში შაეჭრა
ვეფხვსა მამაცი ტოტია,
ჯიხვისად დატევებულსა,
იქ სადაც ქვა და ლოდია.
თვარელმა წყლული შეუჭრა
ვეფხვსა ნაკუწით ჭრელითა
და ჩირქიც ამოუფხიკა
წყლულიდამ დანით მჭრელითა.
ვეფხვი გაბრუნდა მაშინვე
კუდის მოქნევით, ჭრელითა,
და გაღირბინა მთა-ბარი,
როგორც მიმინომ ფრენითა.
თვარელი ბანდულს ისწორებს,
უკვირდა მოხილებული,
ვეფხვი მოსული ზავითა,
მშვიდი და მოჭირვებული.
ამ დროს მოესმა ფეხის ხმა,
შაესმა რაღაც დგრიალი,
იმისკე მიმართულია
ფეხის ხმა, ფოთლის შრიალი.
უცბად იმის წინ ირემმა
დაიწყო რქების ტრიალი...
და მონადირის თოფისაც
სტუმრად დაუხვდა გრიალი.
თოფი გავარდა, კლდეებსა
სალამი მისცა ჭეჭითა,

და ჩამოგორდა ხვეისკე
 ხარი-ირემი ბეჭითა.
 ეს რაა? ირმის ნადგომში
 ვეფხვი გაბრუნდა ზნეჭითა.
 ერთი-კი დაიღაღღუვა
 და გაემართა ზეფითა.
 ცოტა ხანს შემდეგ დაძრული
 ქვიშა მოზოვდა ზეფითა.
 კლდის თავს გადმოდგა ხარ-ჯიხვი.
 გამოქცეული ქვეითა.
 თვარელმა მოკლა ისიცა,
 ჩამოაგორა ხვეშია.
 ჯიხვის ნადგომზე ვეფხვს ჰხედავს,
 ვეფხვი ტოტს იცემს მკერდშია...
 თვარელი მიჰხვდა ეხლა-კი,
 სთქვა: „გენაცვალე ღმერთშია!“

დაღამდა, ვეფხვი აღარ სჩანს,
 უკუნი აწევს არესა,
 სიბნელეს როგორ გაჰფანტავს,
 რა შაუძლიან მთვარესა?
 გულჭირიანი ობლობით
 დაბლა ჩხაოდა მეღია,
 აღბათ თუ გასჭირებია,
 საქმე თუ ადგა ძნელია.
 ნობათად მომირთმევია
 თქვენთვის ამბავი ძველია.

1890 წ.

1 3 0



ი ლ ო

(ძველი ამბავი)

1

ესე ამბავი
ჰმოწმობს ძველ ხანას:
უცხო ქვეყანას,
სახელად ზმანას,
სცხოვრობს თავადი,
სახელად დავით,
განთქმული ყველგან
ქ(ვევითა ავით.
იმას ჰყავს ცოლი,
როგორაც გნოლი,
მშვიდი და წყნარი.
მაინც არ იშლის,
სულ სტუქსავს ქმარი.
შეძლებით დიდი,
დავით არს მშვიდი.
მაგრამ თუ ერთი
გაუწყრა ღმერთი
და აეშალა
მას თავის ქინი,
გული აშფოთდა,
ასტეხა ღრინი,
თუნდ ცოლის მშვიდი
შაესმას ხვრინი,
გაიფრენს გარეთ
ლამეში ბნელში,
ჩიბუხის ტარი
უჭირავს ხელში
და უტყაბუნებს
თავში და წელში.
სარჩო აქვს ბევრი,—
ცხვარი და ღორი,



სად ტყე, მინდორი,
 სად მთა და გორი.
 დავითს არა ჰყავს
 თავისი სწორი.
 ერთი დარდი აქვს:
 არა ჰყავს შვილი,
 რის გამო დავითს
 არ მოსდის ძილი.

II

განგებამ მისცა
 თავადსა ვაჟი
 და მოიხადა
 ამით მის ბაჟი.
 ყმაწვილი გაჩნდა
 ხუჭუჭთმიანი,
 ლულუნებს ტკბილად,
 არის ჭკვიანი.
 ოქროს აკვანსა
 ურწევდა ძიძა,
 ილოს ანგელოზს
 ეძახის ბიძა,
 ჯერ პატარაა,
 აღმასის კვრინწა.

III

წამოიზარდა,
 წამოიჩეჩა,
 ილო შეიქმნა
 შვიდი-რვის წლისა.
 კეთილი გულით,
 უმანკო სულით
 მაგალითია
 ყველასთვის ისა.
 კუმეტ თვალეზში
 ჩაწერილი აქვს
 ლოცვა-კურთხევა
 მალაღის ღვთისა.



გულის მქენჯნავი
დარდი აქვს ბავშვსა,
თუმც თავის დარღზე
ვერ იღებს ხმასა:
ილოს უყვარდა
სოფელში რბენა,
სოფლის ბიჭების
სიმღერის სმენა—
იმათთან მღერა,
თევზების ჭერა.
გლების ბიჭებთან
ხბორებში დადის,
ისიც იმათთან
ცელქობს და დახტის.
იმათ გულისა
მას უყვარს მჭადი,
ბოზბაშებისა
არა აქვს დარდი.
მამამ ამისთვის
ბევრჯელ გალახა,
უვარგი ქცევა
მით დაიანახვა.
ბევრჯელ თოკითა
დააბმინა,
ფეხში ბორკილიც
გააყრინა.
თანაც ეტყოდა,
ღიალ ეთქმოდა:
შენ ბატონი ხარ,
ეგენი ყმები,
ბიჭებთან ყოფნით
როგორ არ ჰკრთები;
გვარს რაზე არცხენი,
შვილო, რას შერები?
იმათ მჭადითა
როგორა სძლები,—
რომ აგიწითლო
ეხლავე ყბები?!



ილო მაინცა
როცა დროს ჰნახავს,
სოფლის ბიჭებთან
სიმღერას ჩმახავს.

IV

ერთხელა ილო
მივიდა შინა,
წინ მიეგება
თავისი ფინა.
ილო დაღლილა,
ოფლი სდის ძალზე;
დედას მოჰხვია
ხელები მკლავზე
და უთხრა დედას
გულამოკვნესით,
ბოლო დროს დართო
ცრემლების დენით:
— მე აღარ მიყვარს,
დედილო, მამა.
— რისათვის, შვილო,
გაწყინა რამა?
— დღეს მამა-ჩემმა
კიკოლას სცემა,
გული მომიკვდა
მით, ჩემმა მზემა;
ცხვირიდამ სისხლი
საწყალს აღინა,
ესეთი საქმე
რად ჩაიდინა?
როგორ შეგხედო
იმის შვილს პირში,
როცა კიკოლას
მამამ სცა ცხვირში.
— ვაი, სულელო,
ეგ თუ გეწყინა?
შენ რა გაწუხებს,—
იმას ეტკინა.
ილომ უფროცა



მორთო ტირილი,
რომ არ მიიღეს
მისი ჩივილი.
გულს კი ღრმად შერჩა
ესე ტკივილი.

V

ერთს დღეს დავითი
აივანს იჯდა.
თავის მამულებს
აქით სინჯავდა.
კენჭსაც კი ჰხედავს,
თუმც არის შორი.
მინდორს დასცქერის,
როგორც მწყერს ქორი;
აქედამ ჰხედავს,
რაც ხდება ქალას,
და აგრძნობინებს
ყველას თვის ძალას.
ჩიბუხსა სწევდა,
კვამლს კვამლში ჰრევდა.
რა ჩიბუხია
და ან რა ტარი?
ტარია სწორედ
აღვის ხის გვარი.
თვითონ სტამბოლს ზის,
ჩიბუხი განჯას,
ტარის წყალობით
იქ უწვდენს მაჯას.
იჯდა ამგვარად
ხალხის საზარად.
უგვანს ფიქრებში
იყო გართული
მის ჟანგიანის
ტკუის მავთული.

VI

ხეზე შემოჯდა
ჩიტი პატარა,



სხეულით ნაზი
ტურფა, ნაცარა
მშვიდის თვალების
კარი დაჯარა.
მოხდენით ბოლო
გააცანცარა,
და იწყო კენესა
ჯერედ წყნარ-წყნარა,
მერე გააბა
ტკბილი ჰანგები,
თითქოს ათას მხრით
დაჰკრეს ჩანგები.

სამოთხე არის
ჩიტისა მღერა,
მკედართა აღმდგენი
მის გულის ძგერა.
თუმცა ეს დავითს
ეაშა ვერა.
ბიჭს დაუძახა
ჯავრობით ჯერა,
მაგრამ ბიჭსაც რომ
ვერ გაავონა,
მაშინ ხერხადა
ეს მოიგონა:
აილო ლოდი,
ჰკრთებოდა როდი!
უმიზნა თავში,
მოარტყა ბეჭში
ჩიტს მგალობელსა,
საწყალობელსა.
მოჰკლა თავისი
დამლონებელი,
მის მყუდროების
დამარღვეველი,
დაუძახებლად
შემაქცეველი.
დასვენდა გულით,
ამაღლდა სულით,



ამ სიმარჯვისთვის
კაცი მედგარი.
ჩიტს დაეფარა
შავი ზეწარი.

VII

ამგე სალამოს,
ვერად საამოს,
მოხდა ამბავი
ბნელი და შავი.
მესამე დღეა,
რაც ილო ჯაქვით
დაბმული სახლში
ცრემლს აფრქვევს ტანჯვით.
მამა არ უშვებს
ილოსა კარში,
ნებას არ აძლევს
ჩავიდეს ბაღში.
ილო სარკმლიდან
გასცქერს გორებსა,
იქ იგი ხედავს
თავის სწორებსა,
რომ აძოვებენ
ცხვრებს და ხბორებსა,
ფერხულს აზამენ,
„გოგონას“ მღერენ,
თავისუფლადა
ბალახსა სთელენ.
ატირდა უფრო
და ამბობს ამას:
„ჩემი იქ ყოფნა
რაღა სწყინს მამას!
მეც ხომ კაცი ვარ,
ისინიც ისე:
ერთხელ არ უთქვამთ
მათ ჩემთვის მქისე
სიტყვა აროდეს.
როგორ ვუყვარვარ,



მიცქერენ ძმადა,
მაშ მამა-ჩემი
შვილს მტანჯავს რადა?!
არა მინდა-რა,
წამერთვა მადა,
რა მეშველება,
წავიდე სადა?!
ასეთ სიცოცხლეს
ყოფნა სჯობს ქვადა.
სწორედ მამა-ჩემს
მოვკვდე ის უნდა,
ამოდენასა
იმიტომ სწუხდა,
ჩემთვის ბიჭებში
ყოფნაც-კი ჰშურდა!
სჯობს ჩემის ხელით
მე თვითონ მოვკვდე,
არ ვაწუხებდე,
თავიდან მოვსწყდე.
რომ არ ვაწუხო
ჩემი მშობლები,
ყელს გამოვიჭრი,
ეხლავ მოვკვლები.“
ჯიბეში ჰქონდა
კალმისა დანა,
ხელი ჩაიყო,
ამოიტანა.
აილო დინჯად,
წაისო ყელზე
და მიესვენა
მარჯვენა ხელზე...
სისხლის მორევი
ყმაწვილსა ჰსვამდა...
მკვდარი ილიკო
ანგელოზს ჰგავდა.

VIII

აგერ დავითი
 თავს ადგა შავად,
 გადაქცეულა
 ცრემლისა ღვარად.
 დედა გამხდარა
 ელდისგან ავად.
 დავითი მოსთქვამს,
 ჰყვირის, ტრიალებს,
 შვილს გარზე ურბენს,
 თავს დასტრიალებს.
 გამჭრალ სიცოცხლეს
 დაატრიალებს?!
 ილო დამარხეს,
 იმის სამარეს
 ჩრდილავს ყვავილთა
 ძვირფასი გუნდი.
 ფერად, ვით ლალი,
 ვით იაგუნდი.
 ყინვა ვერ აზრობს,
 ვერა სწვავს სიცხე,
 ყველამ ესა სთქვა,
 ვისაც-კი ვკითხე.
 და ერთი ჩიტი,
 ტურფა ნაცარა,
 დაუსვენებლად
 უმღერს წყნარ-წყნარა.

1892 წ.

გ ა ს ტ რ ი მ ე ნ ი



ბახტიონი

I

დღემ დაიხურა პირ-ბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები.
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვლები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები.
გული ვერ მოუფხანიათ,
ცრემლი სდისთ ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს
მთების გულ-მკერდი კლდიანი.
გაცოცხლდა, ცას ემუქრება
ღრმა ღელე, წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი,
ქუჩი გაწირეს ცვრიანი.
გაიფსო რძითა მთათ ძუძუ,
დაუშრომელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და ღვიანი!
თქვენგანა გულობს ეს გული,
შიგ გრძნობა უდღულს ღვთიანი.
თქვენი მიწოგავ მეც ძუძუ,
ლალიან-ბარაქიანი.
ნუმც გაჯავრდება პირიმზე,
ნუმც დამწყევლიან იანი,
რომ იმათ დედის ძუძუთა
ვსუქდები ცოდვილიანი.
მეც მიგემებავ იგი რძე,
რითაც თქვენ დაიზარდენით;
თქვენავე გარგებსთ, დობილნო,
თუ უხვად დაიხარჯენით!

II

გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად,
 მუხა-იფნებით ფარული.
 იქ ჰყრია დიდი ლოდები
 შავფერი, ციხის-კარული,
 ლიბო-დათხრილი კოშკები,
 უმზეოდ ჩამოგვალული.
 ბერი ტიროდა დიაცი,
 ისმის ქვითინი ქალური.
 რამდენი სიპეტი აწყვავ!
 მოსჩანს აკლდამის პირები.
 გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
 სამთხვევლად დაველირები.
 ეს ფშაველთ სალოცავია,
 დღეს დღეობაა ამისა.
 არ ვიცი, თვალი მატყუებს,—
 მიშლის წყვდიადი ღამისა!
 ხალხს ნუთუ დაჰვიწყებია
 წმინდა გიორგი თავისა?!
 ეს რაღაც ცუდს საქმეს ჰნიშნავს,
 მომასწავებელს ავისა.
 საჯარეს დიაცს რა უნდა?
 არ თუ ეშინის დავისა?
 მარტოს აუნთავ სანთლები
 და ხატიც უდიდებია;
 მარტოს დაუკლავ საკლავი.
 თვითონვე უტყავებია;
 მარტოდ-მარტოკას დიაცსა
 ხატ-ღმერთი უხსენებია!
 აქ არც ხევისბრის ხმა ისმის,
 არსად ფშაური ღრეობა.
 ვინ გიჟი იტყვის იმასა,
 რომ დღეს აქ იყოს დღეობა?!
 ბრალადა ბეუტავს სანთელი,
 ცრემლი წინ უდგა გუბედა.
 მტრისამც დედასა გველი ჰკბენს
 და ჩაუძვრება უბედა,—

გმირთა აღმზდელთა ძუძუებს
 გაიხდის თავის ბუდედა!

III

უცბად გაისმა ფეხის ხმა,
 კაცი გამოჩნდა უცხო რამ,
 ჩამოკლეჯ-ჩამოწეწილი,
 ერთი ყარიბი, უშნო რამ.
 სანთლისა შუქზე წამოდგა
 დატანჯულისა ფერითა,
 მხარზე თოფ-გადაგდებული,
 გაბუდებულის წვერითა,
 დანჯღრეულ ქარქაშიანი
 ხმალი წელს ერტყა წნელითა.
 ადვილად საცნობი იყო
 კაცი ფშაურის ერითა.
 დადგა, დაეყრდნო თოფის ტუჩს,
 ცრემლებს იწმენდია ხელითა,
 იზიარებდა ბებრის დარდს
 სახის შეკუმუხვნით ხმელითა.
 თავის დარდებში გართული
 დიაცი მიჰხვდა ვერასა,
 ტიროდა, ეძღურებოდა
 ხოშარელთ ბედისწერასა.
 გულს იმჯილავედა, ჰკითხავდა
 ნანგრევებს ცრემლის დენითა:
 „სრულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
 კენესა რად ისმის ჩვენითა?
 როდემდის უნდა ვსტიროდეთ,
 მიწა ვასველოთ ცრემლითა?
 ან მიწა რად არა ძლება
 დამდნარის გულის წვენითა?!
 როდემდის უნდა ვიბანოთ
 სისხლით პირი და ხელები?
 შვილთა მაგივრად დედებსა
 ძუძუს გვიწოვდეს გველები?!
 როდემდის უნდა ფეხითა
 ვლახოთ ჩვენივე წელები,

ცეცხლები გვერტყას ათასი,
 გულის, გონების მწველები?!
 ვაჰმე, გაგვიწყდა, აღარ გვყავს
 ამ ფშავის ხევის მცველები!“

დიდხანს უცქირა უცნობმა
 მოხუცის მოთქმას მწარესა;
 მიჰხვდა, რომ უბედურება
 სწვევია ფშავის არესა.
 ათრთოლებულის ხმით ჰკითხავს
 უცნობი უცნობს დიაცსა:

მგზავრი

ვინა ხარ, ნეტარ, დედილო?
 ვისას რა მოსთქვამ ზიანსა?—
 ვერ გაიგონა ნათქვამი,
 ისევ ზარს ამბობს ხმიანსა...
 — შენ გეკითხები, დედაო,
 რად ჰსვამ ბალღამით ფიალსა?

სანათა (ბებერი)

მადლობა ღმერთსა, თუ კიდევ
 კაცი ვიხილე თვალრითა.—
 ადგა და ჯოხზე დაეყრდნო
 ხანხალით, ძალის-ძალითა.—
 — მოხვედი, შვილო, მშვიდობით.
 შვილო, წყალობა ხატისა!
 აღარ მეგონა, თუ მამრი
 კიდევ მიწაზე დადისა...

მგზავრი

შენიმცა მწყალობელია,
 შენთა შვილთა და ქმარისა.
 ერთს გკითხავ, დედა-შვილობას,
 მითხარ პასუხი ამისა:
 დიაცს ვინ მოგცა ის ნება,
 საქმე აკეთო მამრისა?
 ვფიქრობ, დროება დამდგარა
 იმ მეორ-მოსვლის წამისა.

ხომ არ აყრილან ფშაველნი,
 ჩქამ რო არ ისმის ხალხისა?
 როგორც მინახავ, არ არის
 ლხინი კაცის და ქალისა.
 შენობა მინდა გავიგო,
 ვარ თქვენის მიწა-წყალისა.

სანათა

ჩემ რა იკითხვის, დედილას,
 უკლოსი, ბედით შავისა,
 დავკარგე ყველა თვის-ტომი,
 ვინაც-კი მყვანდა თავისა...
 წარღვნა დაგვეცა ხოშარელთ
 წყუელის თათრის ჯარისა.
 მამრთა შაკლეს მტერს თავი,
 ხსენება გასწყდა კაცისა.
 გასუქდა ხოშარის გორი
 სამარეებით ხშირითა.
 ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
 დახოცილებსა ვსტირითა.
 ჩვენ რო გვნახავენ მტირალთა,
 ბალებიც ატირდებიან;
 გლოვის მიზეზსა გვეკითხავენ,
 დედებს რო გვაკვირდებიან;
 არ მიიღებენ პასუხსა,
 უფრორე აყვირდებიან;
 ძუძუთ ვათირებთ ბალებსა,
 რძისთვინ რო აბირდებიან!
 რად გვინდა დედებს შვილები?
 რაზე ვსწვალდებით ნეტავი?
 გაჰზდი, გალაღებს ვაჟკაცი,
 ლამაზი, გორის მდრეკავი.
 გალაღებს, მაგრამ ტყუილად:
 დღეს მთელი, ხვალე მკვდარია;
 მოვა, წაიღებს უეცრად
 სისხლისა ნიაგ-ღვარია!
 პირსისხლიანის მსინჯველი
 შვილის, დუშმანიმც არია!



სანათაი ვარ მე, შვილო,
 აფხუშოური ქალია.
 აქა ვარ გამოთხოვილი,
 ბერიძე მყვანდა ქმარია.
 შვიდი გავზარდე ვაჟკაცი,
 თითო ლომისა დარია.
 შვიდივ გამიწყდა ერთს დღესა,
 მამაც იმათთან მკედარია.
 ხოშარის გორზედ დავმარხენ,
 თავზე დასტირის ქარია.
 ორს კვირას საფლავებ ვსთხარე,
 იმათ თავშესაფარია.—
 რა ეს სთქვა, ამოქვითინდა,
 ღვარა ცრემლები მწარია.—
 ჩემს ქმარ-შვილებთან ბერს სხვასა
 გამოეჯარა კარია.
 ვინ ემსახუროს, მაშ, ხატსა?
 მაშ ვინ აუნთოს სანთელი?
 მაშ ვინ დაგვიკლას საკლავი?
 ვინ მოაკმიოს საკმელი?!
 უკაცურთ კაცობა გემართებს,
 მანამ სული გეჩრავ პირშია.
 ხატიც შაგვინდობს ცოდვასა,
 რო გვნახავს გასაჭირშია.
 ეხლა ის მითხარ, დედილას,
 სადიური ხარ, ვისია?
 იქნება ჩვენობა გეთქმის,
 იქნება იყო სხვისია?

მგზავრი

დედაო, დედა-შვილობამ,
 მეც ბევრი ვნახე ჭირია.
 ოცს წელს სრულ სხვიშვილადა ვარ,
 სამშობლო გამიწირია,
 მათურელი¹ ვარ ძირადა,
 სახელად მქვიან კვირია,

¹) თემია.



ჩემფერა უკეთურები
 ყუნჭებიც ბევრი ჰხირია.
 ფშავს უბინადროდ რჩენილი,
 წაველ საძებრად ბედისა,—
 ვაჰ, მოგონება ჩემის დღის
 დამსხმელი არი რეტისა!
 მზიდველი არი ეს ქელი
 ტანჯვისა მეტის-მეტისა.
 ჩემი ამბავი შორს წავა,
 მოკლედ რო მოვსჯრა სჯობია:
 ვინ არ გეტყოდა ჩემს ამბავს,
 ვინაც-კი ჩემი მცნობია;
 ობლობის, ბეჩაობისა
 დღესაც ზედ მაძე ობია.
 სად სიცივეში ვგდებულვარ,
 ორ-კვირაობით მშიერი,—
 არც ისე დროულიცა ვარ,
 უცხოს ვგონივარ ხნიერი...
 ოცი წელია წყემსად ვარ,—
 თუშეთს, უცხოსა მხარესა,—
 და ფშავის ხევის სტუმარსა
 მარტო ვხედავდი მთვარესა.
 საბაროდ გადმამავეალთა
 ამბავს ვკითხავდი წეროთა,—
 რა წერილობას გაგვიწევს,
 თოვლზე ამბავი ვწეროთა?
 ოცს წელს მიწა მაქვ ლოგინად,
 ცა მახურია საბნადა;
 ავდარში შავი ნისლები
 ტანზე მეხევეა ნაბდადა.

სანათა

მიკვირს, ან ეხლა რო მოხვალ,
 ოცს წელს ნამყოფი სხვაგანა?

მგზავრი

საქმე გაჭირდა, დედილო,
 ურჯულო თათრებისგანა:

დათარეშობენ... კახეთი
 მისცეს ქარსა და ნიავსა;
 საცა ჰსურთ, ყურძენსა სჭამენ,
 საცა—ჭანჭურს და ქლიავსა.
 აწიოკებენ ქალ-რძალსა,
 ნამუსსა ჰხდიან ძალადა.
 ჰკრეფავენ ურჯულოები
 სილამაზესა ღალადა.
 არა ჰზოგავენ, დედილამ,
 ვინც-კი მაუათ თვალადა.
 მთელი კახეთი ქცეულა
 ჩიქილა-მოხდილ ქალადა.
 არა სჩანს ხელის შამქცევი,
 მტრის ამომყრელი ჯავრისა,
 კაცი არ ჩნდება შამყრელი
 და წინ გამძლოლი ჯარისა.
 იქ, ჩვენთანამდის მოდიან,
 ცხვარსა ფარობით გეტაცებენ.
 არვინ გადურჩათ რჯულ-ძალთა,
 ყველას ბეგარას აღებენ.
 ვისაც ჰკვლენ გზა-გზის პირებზე,
 თავებს მარგილზე აგებენ.
 შადიან სხვისა სახლშია,
 კარს უკრძალავად აღებენ.
 დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს
 ქვეყანა ნაოხარია.
 პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის
 ზეზვაი საოცარია.
 სუყველამ ტანზე აისხა
 აბჯარი საომარია.
 მე გამომგზავნეს საჩქაროდ
 ფშავს და ხევსურეთს მზირადა
 და დამაბარეს ხვეწნითა
 სიტყვა, სათქმელი პირადა:
 „ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ
 სისხლით, ხორციით და რჯულითა.
 მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,
 გაუტეხელნო გულითა.



უბაროდ, განა არ იცით,
 მთანიც რო ვერა გვარობენ.
 გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო,
 ბარზე თათრები ხარობენ.
 ჩვენის საყდრების ტრაპეზთან
 ეხლა მოღები გალობენ.
 ბევრია დაღონებული,
 უთხარო: ბევრნი წვალობენ!“
 მახსონდა, ამ დღეს ხოშარელთ
 აქ გექნებოდათ ხატობა;
 ვიცოდი, ეწყინებოდათ
 კახეთის რბევის შატყობა.
 ღმერთმა აცხონოს ისინი,
 ჩვენც იმათ მივდევთ კვალზედა.
 იქნება ამ ორს კვირაზე
 შავხვდელ შავეთის კარზედა.
 მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვყავ,
 ბევრად სჯობს ვიყვნეთ ცდაზედა.
 როცა დრო მოვა... და გაქრეს
 ბედის ვარსკვლავი ცაზედა!
 ცოცხალს კი უნდა ეხუროს
 ვაჟაკსა ქუდი თავზედა.
 სიცოცხლეს აუფიანსა
 სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.
 როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება,
 ჩემი ცოლი და შვილები,—
 თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს,
 მე თვითონ გავიგმირები.
 დედა-შვილობას, ნუ სჩივი,
 ღმერთმა აცხონოს გმირები,
 რომ არ წაიღეს საფლავში
 ლაფით მოსვრილი პირები.

სანათა

ეგებ ინებოს ბატონმა,
 გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
 თუ ამას გავიგონებდი,
 არ ვიტირებდი მკვდრებზედა:



იმავე დღეს, შვილო, დედილამ,
ქრელს ჩაეცომდი კაბასა,
არ ვიგლოვებდი იმიერ
ჩემს ჯულურას და საბასა;
ჩემს წარბ-დაღურბვლილს ივანეს,
კარგა ხმარობდა დანასა;
ვენაცვლე იმის გულ-მკერდსა,
შაიხდომლებენ შანასა;
ჩემს ტანა-დაბაღს ხუმარას
ბატარას, შუბიანასა.
ვაჟაკის წესი სკოდნიყო,
არა ჰვავ ჯუბიანასა;
მეხად დაეცა მტრის ჯარსა,
მისთიბდა, როგორც ყანასა.
ეცადა, მაგრამ ვინ დაჰლევს
რიყეზე ქვებს და ლოდებსა!
ვინ დაჰლევს თათრის ლაშქარსა,
უთვალავს, გასაოცებსა?!
თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც-კი მოვიგონებდი,
რაღა მიჰქარდა, თუ მტრისას
გაჟლეტას გავიგონებდი.
გულიდამ ეკლის საღტასა
მაშინის მოვიფონებდი.
შვილო, დედილამ, მე თვითონ
წავალ, შავტირებ ფშაველთა;
ყველას შავტირებ ჩემს დარდსა,
ვისაც შავხვდები გზა-ველთა.
მე თუ რვა სული შავსწირე,
თითოს ვერ გაიმეტებენ?
ფშაველნი აიშლებიან,
თუ მტერს სამ დაიმედებენ...
ღმერთო და ჩვენო გამჩენო,
ხატებო ფშავეთისაო!
აავსეთ თათრის სისხლითა
ველები კახეთისაო.
შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა,
დავლათო ახმეტისაო!

გვაკმარე, ღმერთო, ზარალი,
 გვეყო, რაც სისხლი გვიღვრია,
 გვეყო, რაც ბტერთან ბრძოლაში
 ძვლები გადაგვიყრია.
 გვეყო ამდენი ცრემლის ღვრა,
 დაუშრომელი ვაება;
 არ თუ ვებრალვით საყმონი,
 რო აღარ გვწყალობს ღვთაება?!
 გვიშველ, ლაშარის ჯვარო,
 დაგვიჭირდა შენი თავია;
 შენის ფრანგულით აკურთხე
 თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია;
 ნუმც დაელუბვისთ, შენს მადლსა,
 ზღვაში შასული ნავია.
 ჩაუძველ, ლაშარელაო,
 ტანზე შაიბი ხმალია,
 გვიჭირს და გამოგვაყენე
 შეუმუსრაფი ძალია.

ასე მოსთქვამდა დიაცი
 თავ-დაკიდებით მდგომარე:
 გვიშველე. — სულ ზოლოსა სთქვა: —
 შენა ხარ ჩვენი მომხმარე!

მგზავრი

ამინ! გიშველოს უფალმა,
 ღმერთმა გიცხონოს შვილები;
 გაცხონოს, ჩემო დედაო,
 ღვთისგანმც ნუ გაიწირები!
 დიდხანს საუბარს ვაგრძელებ,
 სვლას-კი არ ვუიქრობ რადა მე?

სანათა

ძნელადა ბნელა, დედილამ,
 ველარსად წახვალ ამ ღამე.

მგზავრი

ხევსურეთს მინდა გადასვლა,
 მეტი არ არის ჩარაო;



მიტანა უნდა იმ ამბავს,—
რაც ზეზვამ დამაბარაო!..
უნდა ჩავუდგე სოფლებსა,—
ვთარო კარი-კარაო.

სანათა

ღვთით ხელიმც მოგემართება!
წადი, იარე ჩქარაო.
მეც სულელი ვარ, ბებერი,
წასვლას რო გირჩევ ზვალაო.
პური-ოთ გშიან, დამწვარო,
ნამგზავრ-ნატანჯი ხარაო...
აილო ქადა-პურები,
მთლიანად ჩააბარაო.
— ნეტავ მაჩვენა კიდევა
ფშაველის ჯარის ფარაო!
მგზავრმა ჩაიდვა საგძალი,
პირ-თავექვე ჩაეფარაო.
ქვეით გაისმა ლოდებზე
მგზავრის ხმლის ბუნის ჩხარაო.

IV

ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის მთვარესა,
მთანი, თავ-ჩაჩქნიანები,
ფიქრს მისცემიან მწარესა.
ცა თვალს უცემდა სატრფოსა,
გრიალი მოდის შორითა;
მოდის ხმა ჟრიამულისა
მარჯვნივ და მარცხნივ გორითა,
თან გამოისმა ხარის ხმა
ლაშარის ჯვარის გორითა.
ცხრა-ათ კუთხილამ მოდიან
ფშაველ-ხევსურნი რბოლითა...
თითქოს გასწყდენო, ფშაველთა
იტყოდენ აღარ ყოლითა!...
არა, ყოფილან კიდევა,
გადარჩომიან რბევასა,

თათრების უბრალებლობას,
 იმათს ხმალ-ხანჯრის ქნევასა.
 ფიქრობენ ხოშარელების
 სისხლის თათრებზე ზღვევასა.
 იესება ლაშარის გორი
 ქორ-შავარდნების ფარითა;
 დროშები გზას უკუერთხებენ
 ჟღერით, აწვდილის ტარითა:
 როშკით მოიდენ ხევსურნი,
 სუმელჯაურნი ცხრანია,
 ამლითა—ბათაკის ძენი,
 კინჭარაულნი ძმანია;
 გუდანელთ ჩამასძლოლია
 ხოშარეული ხარია;
 ხევსურთ, რო ზეაგმა მთისამა,
 წინ მაიმძღვარეს ქარია;
 ქორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
 ღულელებიცა სტანია.
 ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ
 შააზრიალა მთანია;
 მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
 მოკლედ გადმოვლეს გზანია.
 თითოს ხევს არაგვისასა
 თან მოსდევს ლაშქრის ღვარია.
 ფშავლის შვილებიც მოიდენ,
 სულთქმა თან მოჰყვა ჩქარია.
 რა საამური დრო არის,
 რა საამური წამია!
 მოიდენ აფხუშელები,
 მცოდნენი თათრის ზნისაო;
 წინდაც უცდავ თათრები,
 როს დრო ყოფილა ცდისაო.
 ბერი მაუძღვა ლუხუმი,
 ლურჯამ მაილო თქერანი,
 პატრონის გულის მცოდნეა
 თვალმოვლვარე ჯერანი.
 წითელს ფარს აჯიელავებს

მახინცაური ვერანი.
 ძმობამ, რო კარგი ჰყოლია,
 არც იმას ჰმტყუვნობს მერანი!..
 კლდეთაც კი ესმისთ, სალს კლდეთა,
 მათურელთ გულის ძვერანი...
 ცაბაურ-გაბილოურთა
 ცხენთაც მაილეს ტყერანი.
 მოგროვდენ ყოველის მხრიდამ
 ვაჟები ლომის ფერანი.
 დიაცთ-ლა დაჰრჩათ მარტოთა
 მატყლის სართავად კერანი.

V

მთაზე დაენთო ცეცხლები,
 როგორც ვარსკვლავნი ცაზედა;
 თავმობდით სდგანან მხედარნი
 თავის ბატონის კარზედა.
 ბრჭყვინავენ აღმასივითა
 დროშები ცეცხლის აღზედა.
 ცივი უბერავს ნიავი,
 ლაშქარს ნამს აყრის თავზედა.
 მდუმარედ სდგანან, პირქუშად,
 სულთქმაც-კი გაიგონება,
 მხედართა გულის პასუხი
 ერთს ფიქრად შაიკონება:
 ხატი რას ურჩევს ლაშქარსა,
 რა გამოუთ ბრძანება?
 ქადაგი ხატს ეკითხება,
 ჩურჩული მოდის საჯარეს.
 მხედართ, საუბრის გამგონეთ,
 მუზარადები დახარეს.
 მუხლმოდრეკილნი ჩამოსხდენ,
 პირს ჯვარი დაისახიან,
 ციურის კრძალვა-შიშითა
 პირები შაიჩმახიან.
 აგერ ქადაგიც გამოჩნდა
 განაცრებულის სახითა;
 შემკრთალი იყო ისიცა

ხატის პირისპირ ნახვითა.
 შემოუძახა ლაშქარსა
 ხმით მედიდურით, მკვახითა:
 „უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
 მის კარს რო შავიყარენით,
 ქვეყნის წამწყემდთან საომრად
 მალევ რო ავიყარენით.
 წინ მომეგება სიცილით,
 ბელლის კარს მოდგა მზებურა,
 ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი,
 თავზე ჩაჩქანი ეხურა.
 დიდია ჩვენი ბატონი,
 მადლით ცას სწვდება მთებურა;
 თან გვატანს თავის ლოცვასა,
 ფრანგული ამეეწურა.
 გვიქადის გამარჯვებასა,
 წინ წაგვიძღვება თავადა.
 ჰნახავთ,—ნუ გაგიკვირდებათ,
 სიტყვას ნუ ჰკადრებთ ავადა.
 გაიგებთ იმის წაძლოლას,
 მიჰხედებით კილა-კავადა.
 რო ჰნახოთ, ქება უთხროდით,
 საღმით იყენოდეთ, სალადა.
 ლურჯს ცხენზე მჯდომი იქნება,
 წინ მოარული ლალადა“ .

—ვენაცვლეთ მაგის დავლათსა!
 ღირსნიც არა ვართ ნახვისა!
 რად კადრობს ადგილით დაძვრას,
 საყმო რად ვყევართ თავისა?—
 ამოსთქვა სულთქმით ლაშქარმა,
 ცეცხლ-დანთებულმა პირზედა.

— უყვარან ფშაველ-ხევსურნი,
 დამდგარნი ერთსა პირზედა,—
 უთხრა პასუხად ქადაგმა,
 მდგომმა საჯარის თბრილზედა.

ლომი საომრად მზადდება,
 კბილს ააჩქამებს კბილზედა!

VI

სამლო ქნეს ფშაველ-ხევსურთა,
 დაკლეს ხარი და ცხვარია.
 ჩამოსხდენ, ბელელს საჯარეს
 გარს შემოერტყა ჯარია.
 ყველას თან უდგა საგზაო,
 საჩქაროდ ნადუღარია.
 აღიდეს ლაშარის ჯვარი,
 თამარის ნაჩუქარია;
 აღიდეს დიდი თამარი, —
 ის ღმერთთან წილნაყარია, —
 თავის ოფლით და ამაგით
 ხმელეთი დაუფარია.
 მოიხსენიეს მხედარნი,
 ვინც ველზე დარჩა მკვდარია.
 არსადა მათთვის სამარე
 და მიწა ზედ საფარია.
 ყორნებს რო უთხრავ თვალები,
 სვავთ მხრებით დაუფარია,
 მაგრამ იმათი სახელი
 დროთ-სვლას ვერ მოუპარია!
 ხევისბრობს ბერი ლუხუმი,
 ხმა-ტკბილად მოუბარია.
 გმირთა ქებით და დიდებით
 გული ვერ მოუფხანია.

VII

ყველა პურსა სჭამს, საუბრობს
 აესა თუ კარგსა მქუხარედ.
 მარტო კვირია არა სჭამს,
 სდგას ჯოხ-დაყრდნობით, მღუმარედ.
 ჩასჩერებოდა მიწასა
 ყელ-გადაგდებით, მკმუნვარედ.
 რას ფიქრობს ობოლ კვირია,
 ამის გამგები ვინ არი?
 არა მელავნდება გულიდამ
 ფიქრები ამამღინარი.



— ობოლ კვირიავე, ძმობილო,
 პურა შაქამე ბატარა,
 იქნებ შაგცივდა, ობოლო,
 აოაყათ შაჰსომ რად არა?
 ჰა, ვაჟო, ცოტანი შასვენ,
 აჰა, დაიჭი მათარა.
 დღეს თუ რას შავსქამთ, თორო ხვალ
 ვისლა სცალიან საჭმელად,
 ერთურთის საპატიჟოდა,
 ტკბილის სიტყვების სათქმელად?

ამას ეტყოდენ მხედარნი
 კვირიას მუდარებითა.

ახლა კვირიამ მიუგო
 ოხვრით და მწუხარებითა:

— არა, კვირია გენაცვლოსთ,
 სასმელს არ დავეკარები.

საჭმელსა, თუკი მშვიოდეს,
 აროდის დავეზარები.

წელანის ხალი¹ შავსქამე,
 გულაშიც მიძე მრავალი.

თუ ვის გინდარისთ, მიირთვით,
 თუ ვის გაკლიათ საგძალი.

— იქნება ცუდ სიზმარ ჰნახე,
 გულზე დაგაწვა ისაო?—

შაჰკითხა ბერმა ლუხუმმა,
 ვადა უტაცა ხმლისაო.—

— რა ჰნახე, ჩემო კვირიავე,
 აგრემც მიტირებ ბერასა,
 გვითხარ და ნუ დავგიმალავ,
 ლუხუმი მოგხდის წერასა.

კვირია

რა გაიგება სიზმრისა,—
 მე მაინც გეტყვით ვერასა.

¹) ქუმელი.

ლუხუმი

თუ არ გვიამბობ, კვირიავე,
 ჩამოგყრით დროშის ჭერასა,
 სიზმრის დამალვა გირჩევენავ
 ამდენის ხალხის წყენასა?!
 სთქვი წუხანდელი სიზმარი,
 მითამ-კი ჰხმარობ ენასა,
 საპოხი უნდა, ობოლო,
 მხედართა გულის კბენასა.

კვირია

ვიამბობთ, თუ ვიამებათ,
 მე რაცა ვნახე, ეს არი:
 დღე იყო მეტად მრისხანე,
 ცა მოღრუბლვილი, მჭებარი...
 მივდივარ ტრიალს მინდორზე
 თავ-მამწონარი მხედარი.
 შავს ცხენზე ვიჯე, მიჰქროდა,
 მეგონა, ვზივარ ქარზედა.
 სამი დაენტო სანთელი
 ჩემის ფრანგულის ტარზედა.
 შუქი ციური ჯვარადა
 გამომესახა ფარზედა.
 მინდორი იყო ტრიალი,
 არა რაი ჩნდა ხაზედა
 ყოილი, ხშირი ყოილი
 დაფენილიყო გზაზედა...
 გავხედე, მინდვრად მოცურავს
 შავი ვეშაპი ქშენითა,
 ყოილთან მიწას მაჰლოკდა
 ცეცხლის მსროლელის ენითა.
 პირითაც ცეცხლი სდიოდა,
 საზარელ იყო მეტადა.
 მნახა, გულზეგავად მომმართა,
 ვუნდოდი დასაკენეტადა.
 პირი დაალო ვეგება,
 ჩასაყლაპავად მიტია,

მაგრამ ხმლითა ვეც, გავუპე
 თავი, როგორაც ფიტია.
 მოკლულმა შემომანთხია
 ბოროტი სისხლი პირზედა.
 ცხენი წამექცა, თვითონაც
 მიწას დავეცი ძირზედა.
 გონი წამსელიყო... გონთ მოვედ,
 მეოცა სახილვებელი:

ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი,
 ტკბილადა საძინებელი,
 გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი,
 ცრემლითა სატირებელი;
 თავს მედგა დიდი ჭანდარი,
 სიცხეში საჩრდილებელი;
 ზედ იჯდა ბერი ქედანი,
 დამლულუნებდა თავზედა.
 მზეც ამობრწყინდა... მეჩვენა,
 მნახა, გაბრუნდა წამზედა,
 წითლად გაწირა ხოლოდა
 ობოლი სხივი მთაზედა.
 გაბრუნდა, თვალთ დამიბნელდა
 და მიმეძინა მკლავზედა.

რა დაასრულა კვირიამ,
 ჩაიკასკასა ტკბილადა.
 ეწყინა ლუხუმს სიზმარი,
 ცრემლები მოსდის წყვილადა:
 — კეთილად ახდეს!— მაინც სთქვა
 გულ-აყუჩებით, რბილადა.

VIII

სიზმრის თქმით ყველა ჩაფიქრდა,
 დაბლა ჩაჰკიდა თავია...
 გამოერკვივნენ მალეღვე,
 გაჩნდა სხვა სანახავია:
 ქვიშის ჩხრიალი მოისმა,
 თან ფეხის ჩქამი ცხენისა...
 ეს ვინ-ლა მოდის, ნეტარა,
 ჩუმაღ, უძრავად ენისა?

დადუმდენ, ზოგნი წამოდგენ,
 იჩით მიაპყრეს თვალია...
 თამამად, ვაჟკაცურადა
 თავს წამოადგათ ქალია.
 ცხენს იჯდა მამაცურადა,
 წელთ თუმც არ ერტყა ხმალია;
 ხელთ ეპყრა შუბი წვერ-ბასრი,
 მამისთვის მონაპარია.

უცხო ქალი

ხელ მოგიმართოსთ, მხედარნო!
 მადლი ხატ-ღმერთის თქვენზედა!
 გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი
 გასულეებს ბრძოლის ველზედა! —
 ღიმილითა სთქვა ლელამა,
 შუქი გამოჰხდა პირისა. —
 საამურია საცქერლად
 ვარდზე ევარები დილისა! —
 ქალი ჰგავს სამოთხის ყვავილს,
 ნარწყავსა უკვდავებითა;
 ხორცშესხმულს სიყვარულსა ჰგავს,
 აუწყველს უწყავებითა.

ლუხუმი (ლელას)

ვისი ხარ, შვილო, რას დახვალ?
 მტრობა გგულავდეს იქნება?!..

ლელა

სამოყვროდ მოველ, მამილამ,
 თუკი უფალმაც ინება.
 შანშეს ქალი ვარ ბაჩლითა,
 მენაც თქვენს კვალზე დამდგარი;
 ავად თუ კარგად, ღმერთმ იცის,
 დედათ ჯარზეით ამდგარი.

ხოშარეული

ეს სწორედ მოჩვენებაა,
 ეშმაკეული ხმა არი!..

ახლა რო ასდევ, დიაცო,
 ადგომის მიზეზ რა არი?

ლელა

სხვა არა მინდა, გენაცვლეთ,
 თქვენს მტერს გულსა ჰხვდეს ლახვარი
 და ჩაეყაროს უსურმაგს
 ბოროტს თვალებში ნაცარი!
 (ლაშქარში ჩოჩქოლი ისმის:
 „ეს სადიური, რა არი?!“)
 ვერ მიჰხვდით? პირდაპირ გეტყვით:
 თათრებთან ომი მწადიან,
 მინდა რო ჯავრი ვიყარო,
 ბევრს სამ ავს საქმეს სჩადიან:
 იკლებენ საქართველოსა,
 ზუმბარეზობით დადიან.
 რად გიკვირსთ, ფშაველ-ხევესურნო,
 იქნებ მიწუნებთ ქალობით?
 ჩემთ ძმათ ცხონებაჲ, გარგებდით,
 ჩვენთა სალოცავთ წყალობით!
 ხმლის ქნევით ვერ გაგაკვირვებთ,
 ფარ-შუბის დაგვლებითა,
 მაგრამ ჩემს საცდელს მაინცა
 ვეცდები გამგვლებითა.
 ნუ გავიწყდებათ, ბახტრიონს
 ციხე სამ უდგათ მაგარი,
 შიგითაც მოწყობილი აქვთ
 სანგალ-საყუჩიბ-საფარი;
 კარებსა, მაგრა დაკეტილს,
 ათას მხრივ უდგა ჩაფარი.
 ნეტავ იქ დედასთან მომკლა,
 თათრებისაა საპყარი!
 მაგ ძალთ ძმათ სისხლიც მიმართებს,
 უნდა ვიძიო იგია.
 სისხლის აღება, ხო იცით,
 მუდამ წესი და რიგია.
 ან უნდა თათრის ხმლით მოვკვდე,
 მე თავი გადამიღვია.

ლუხუმი (ლელას)

მამა სადა გყავ, სულ-კრული?
 ქალს რადა გგზავნის ომშია?
 რაკი არ გვიჭირს მხედარი
 ამ სულის მხუთავს დროშია!

ხოშარეული (თავისთვინ)

დიაცს უყურეთ, სულელსა,
 უნდა გაგვრეკოს ფონშია...
 კაცრი დედაკაცს რა უნდა?
 რად არა ფიქრობს გონშია?

ლუხუმი (ლელას)

მაშ, არა თქვაა შანშემა,
 ჩამეეშველოს ლაშქარსა?
 მაშ, არ თუ ჰკმაზავს ლურჯასა,
 ტანთ არ ისხამსა აბჯარსა?

ლელა

რაკი არ უნდა ბეჩავსა,
 რაკი არ ერჯის გულია!
 ლოგინშია წევს... საბრალოს
 მრავალივა სჭირს წყლულია.
 თქვენი პირის-ქნა გაიგო,
 ცა გაუწითდა სნეულსა,
 მაგრამ რას იზამს, რო სული
 ველარ ერევა სხეულსა.
 აბჯარნი მიმატანინა,
 შამაკმაზვინა ცხენია;
 ზედ შაჯდა, მაგრამ დასუსტდა,
 დაბლავე გადმეერია.
 თქვენს მტერს, რო იმის ყოფნაა,
 მე ვშველ, გვერდს უქცევ ხელითა;
 მკლავშიაც ხომ სჭირს ნაჭრევი,
 ველარ მუშაობს წელითა.
 რა ეს სთქვა, ლელას ცრემლები
 წამოუვიდა ხშირადა:

„ვინ იცის, იქნებ მამიკედეს,
 გამიხდეს დასატირადა!“

სუმელჯი (ლელას)

შენ, ჩემო დაო, გირჩევნავ,
 მამასვე ჰყვანდე გვერდითა:
 ან წყალს მიაწვდი, ან წყულულებს
 შაუხვევ ნაკუწებითა.
 ჩვენაც ვეყოფით თათრებსა,
 ჯავრს არ შეგაკმევთ მტრისასა;
 უერთოდ აღარ დავლახავთ
 ბილიკებს ჩვენის შთისასა;
 ჩვენ ვიძევთ სისხლსა, ნუ სწუხარ,
 შენი დედის და ძმისასა.

ლაშქარი

სუმელჯიმ კარგი გირჩია,
 წასვლა გირჩევნავ, ქალო,
 შენის ყოლით და არყოლით
 არ გვიბედენებს ძალო.
 ჩვენაც ვგვიანობთ, გზა გველის,
 ეს საუბარიც კმარაო,
 ზოგი ხო დღეს ვიუბენით,
 ზოგიც ვიუბნოთ ხვალო.

ლუხუმი (ლელას)

ჩემს ძმას უთხოროდი, შანშესა,
 ყოჩალად იყოს, ფხიანად,
 ყველაად ვკმარვართ მტრისადა
 სადავლოდა და ზიანად.
 ლუხუმმა დამაბარაო,
 კარგა უამბე, ჰკვიანად.

ლელა

როგორ წავიდე? ვერ წავალ;
 სიზმრებსა ვსინჯავ ავებსა...
 კაცი რამ მოდის კუბრივით,
 დაათრევს კაცის თავებსა;

მოდის, წინ მიწყობს ღრეჭითა
 ჩემთ ძმათ სისხლიანს მკლავებსა.
 ის რო წავა და — სხვა მოვა
 დიაცი მზისა ფერია;
 მეტყვის: უთხარ რამ, ლელაო,
 ეგ არის თქვენი მტერია!
 ამ ტანჯვაში ვარ სულ მუდამ,
 ძილი არაა ჩემთვისა... —
 ესა სთქვა განაცრებულმა,
 ცრემლებიც ჩამედიდნა.
 ცხენი მოღრიჯა, გასწია,
 ქვითინი გაჰყვა კვალდა;
 წავიდა გულ-ჩათუთქვილი,
 მივალის ძალი-ძალადა.
 ქალის ქვითინსა მდულარეს
 მთანი იწერენ მკერდზედა;
 ცრემლით ატირდენ წყარონი,
 ჩამომდინარნი გვერდზედა;
 დაბერებულა პირიმზე,
 კუზი ეტყობა წელზედა...
 ოცნება ტანჯულის ქვეყნის
 ქვითინებს მთისა წვერზედა.

IX

ლელეს ჩავიდა მწუხარე
 ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი;
 უძრავი ჰხურავ თავზედა
 ყვავილიანი საბანი.
 მოულოდნელი ხმა ესმის,
 კაცის კივილი შორითა,
 ჩამორბის, ჩამოუძრახნებს
 კაცი ახადის გორითა:
 — მოიცა, ქალო, და-ძმობას
 ცოტას იარე წყნარადა.
 რა გაქვითინებს, ბეჩავო,
 იყავი უწყინარადა!
 ლელა ჩამოხდა ცხენიდან,
 ცხენი მიაბა ხეზედა,



ჩამოჯდა დაღონებული,
 შუბი დაიდვა გვერდზედა.
 აგერ გამოჩნდა ისიცა,
 ვისიც ესმოდა ძახილი,
 ქალთან პირდაპირ მივიდა,
 ვით ამოწვდილი მახვილი.

კვირია

შენ და ზ მე ძმა, ლელაო...
 თუნდა მიმიღე მამადა.
 ჩემს ესე დატევებასა
 ნუ ჩამაძარტემევ ავადა.
 მე კვირია ვარ, მიტირე,
 თუშეთით მოსულ მზირია,
 თუმცა-კი თქვენის წყლისა ვარ,
 ფშაური მიდგა ძირია,
 გოგოლაურთა დისწული,
 მათურელ გივის შვილია...
 შენი ბ-სუხი მესმოდა,
 იქვე ლაშქარში ვეოიე,
 უფროსთა საუბარშია
 მე ველარ ჩამოვერიე.
 თუმც-კი დამიჯდა ჭკვაშია
 შენი გაყოლა თანაო...
 აჩქარდენ, იუკადრისეს
 დიაცის წამოყვანაო.
 რო ხერხი ღონეს სჯობია,
 ლაშქარი ჰფიქრობს განაო?
 საცა ჰოს უნდა ამბობდენ,
 იქ იძახიან: არაო!
 როდი ჰფიქრობენ, – ბახტრიონს
 ბევრი თათარი სტანაო;
 ჯერ შასვლა არი საჭირო,
 რო კაცმ იხმაროს დანაო.
 საქმე ციხეა, უფრო-კი
 მაგარი ციხის კარები,
 რომ ლაშქარს ჰქონდეს მტრისაკე
 გზა, ლალად გასატარები.

მე და შენ, დაო, ესრე ვქნათ,
 მეც თავს არ ვზოგავ, იცოდე:
 ჩვენ ჯარზე უწინ წავიდეთ,
 შენაც ჩემთანა ხვიდოდე.
 ჩვენ ორნი წავალთ ერთადა,—
 მივმართოთ თათრის ბინასა;
 მივესალმები ყარაულს,
 სხვებზე თავს მდგომს და წინასა.
 თან ვეტყვი: ყვინს მოვართვი
 ფეშქაშად ტურფა ქალიო;
 გთხოვთ მანუგეშოთ მენაცა,
 კაცი ვარ შესაწყალიო.
 კარს გაგვიღებენ ციხისას,
 მარჯვედ მოვხვდებით შიგითა.
 შენ თუნდა ხელსაც ნუ გასძრავ,
 ჩვენს ჯარს მე ვუშველ იქითა.
 ჯარი ხვალემდე არ მოვა,
 ჩვენ სრულ წინდაწინ ვიაროთ;
 მზას ვიყვნეთ, ციხის კართა
 საქმე წალმ დავატრიალოთ.
 ცისკრის ხანს მოვა ლაშქარი,
 ჩვენც იქ დავხვდებით მარჯვედა;
 ვეცდები კარი გავუღო,
 თუნდ დამკლან ციხის კარზედა.
 შენ რაღას იტყვი ამაზე,
 ვამბობ თუ არა ჭკვაზედა?

ლელა

მზადა ვარ, შენი ჭირიმე,
 როგორც სჯობ, იცი უკედა;
 მე-კი გონება არ მიჭრის,
 გამხდარს დარდ-ბოლმის ბუდედა.
 მტრის ჯაგრი გულში მიდგია
 შავს ალაზანის გუბედა.
 ეგრ იყოს, როგორც შენ ამბობ,
 უარს არ ვიტყვი მაგაზე.
 ოლომც დააბას ჩვენმ ჯარმა
 თათრები ვირის ბაგაზე.

იმოდენს როგორ არ შევძლებ,
რო დამკლან დედის კალთაზე...
ამ პირობაზე დამდგარნი,
ორნი გორი-გორ ჩადიან;
ოღომც ეშველოს ჩვენს ჯარსა, --
ორსვე სიკვდილი სწადიან.

X

ცამ გადიბანა პირიდამ
მური, ნაცხები ღრუბლისა,
გადაეფინა სამყაროს
ლოცვა-კურთხევა უფლისა.
შუქი დაეცა ლაშქარსა
მთების ბრწყინვალის შუბლისა.
ლაშარის გორზე წავიდა
ლაშქარი დროშის ქლერითა.
„შადღვით“, ჰყვირის ლუხუმი,
სამკლავიანის ხელითა:
„ვერა ჰნახეთა, ბატონი
წინ მიგვიძღვება ცხენითა!?“

პირველი მხედარი

ენახე, ცის ტატნად დავატყვე,
მთა გადალახა სწრაფადა;
გარს ეგლო შუქი ბრწყინვალე,
ციდამ მოსული ძათადა.

მეორე მხედარი

ლურჯს ცხენზე იჯდა, ლამაზი
სხივი თავს ედგა ღვთიური;
რო ენახე, გულში ჩამიდგა
სიამოვნება ციური.

მესამე მხედარი

მე ტრედის-ფერად მეჩვენა,
სხივი მისდევდა მზიური;
შორს გაანათა ელვასებრ
ასი ბარული დღიური.

მეოთხე მხედარი

ჯერაცა ვხედავ, მივალის
ტურთა, სიტურფით ქსოილი;
ისრ ჰშვენის ცხენზე. ვით ველზე
გაზაფხულისა ყოილი.

ლაშქარი (ერახმად)

იდიდოს შენი სახელი,
ჩვენო ბატონო, ძლიერო!
ჩაგვიძველ, მოგდევთ ჩვენაცა,
საყმოს საშველად მშიერო!
ადიდე ლაშარის ჯვარო,
ცისა და ქვეყნის იერო!
ნეტავ, რა მტერი იქნება, —
ეხლა გაგვიძლოს, ბიჭებო,
ჩვენი კვალი ხარ დღეს შენა;
ლურჯაის დანაბიჯებო!
ლაშარის ჯვარის ცხენისა
ნატერფალია ელვარე;
აღტაცებულსა ლაშქარსა
გული გაჰხდია მღელვარე.

XI

იეიერიბანდა, ცისკარი
სულს ჰლევს, თანდათან ჰქრებოდა, —
ნეტავი ყველა ლამაზსა
ესრე სიკვდილი ჰხედებოდა!
დღეს მკვდარი, ხვალე დილითა
ცოცხალი წამოდგებოდა;
სრულის ჯანით და იერით
თვალებს წინ დამიდგებოდა.
ნეტავი ცეცხლი ციური,
ვისაც-კი გულში ჰნთებია,
ჯერ არ გაუქრეს, თუ გაქრეს,
ისივაც ამოჰგზნებია!
მკვდარია უგრძნობი კაცი,
უსაზარლესი მკვდარზედა,

მით რომე სიცოცხლე უდგას
 სალის ყინულის ტახტზედა.
 არ ეზრალემა მოყვასი,
 მის წინ რო აცვან ჯვარზედა.
 ისე მოკვდება, ვერ შედგეს
 ერთს წამს ტრფობისა მთაზედა.
 შორს არის, მეტად შორს არის
 დაშორებული მაზედა.
 ქაობში არის ჩაფლული,
 ვიცნობ მოწამლულს ხმაზედა.
 საზარელია დადგომა
 უგრძნობელობის გზაზედა!

XII

გადვიდენ ალაზნის თავსა,
 მთების წვერები ჩნდებოდენ.
 საცა გაჰხედავ, ყოველგან
 გასაშტერონი დგებოდენ:
 ზოგნი ცის გულ-მკერდს ჰკოცნიან,
 ზოგნი უკანა რჩებოდენ;
 იმათ ჩაუთქამ ქვეყანა,
 ბუნების სისხლით ძლებოდენ;
 ნამძინარევი დევები
 ისევ ბურანში არიან,
 ერთს ადგილს დგომით ტანჯულნი
 შეჭირვებულან ძალიან.
 მზე რომ მოვალის, მაშინის
 შავს ნისლებს გადაიყრიან,
 თუნდ მთლად ქვეყანა დეცესთ,
 აბჯართ არ ჩამაიყრიან.
 გულ-მკერდს ერთმანეთს აბჯენენ,
 წარბ-შეუხრელად მდგარნია,
 წვანან ხმა-ამოუღებლად,
 როგორც საფლავში მკვდარნია.
 ნეტავ ბუნების ქმნილება
 სხვა მათ რა შეედარება,
 მალ-მალე შავი ჯანღები

თავზე რომ დაეფარება?
 ნისლი ფიქრია მთებისა,
 იმათ კაცობის გვირგვინი,
 მიყვარს შეუდრეკს მათს მკერდზე
 ხშირის ბალახის ბიბინი,
 ტიალის ობლის ნიავის
 გულის მგმირავე სისინი.
 არწივნი დაფართაშობენ,
 უფსკრულს ავლებენ თვალეზსა,
 მალლიდამ ჩამოჰხარიან
 თავისგან დახრულს ძვალეზსა;
 ლალი შეილები მთებისა
 ერთმანეთს ეძრახებიან;
 ამ დროს ომში მყოფს გმირებსა
 ტიალნი ემსგავსებიან.
 უყვარსთ, რო ჰხედვენ ერთურთსა,
 იმიტომ ეხასებიან!
 ლაშქრისა გულიც აივსო
 სიამოვნებით სრულითა,
 ყველა დაჰხედავს კახეთსა
 ათრთოლებულის გულითა.

XIII

ლაშქარი შედგა ცოტა ხანს,
 ხმა გამოისმა კითხვისა:
 „კაცნო, კვირია რა გვექნა?“
 ყველა ამასა სჩივისა.
 ენთება ხოშარეული,
 როგორაც ბურღო თივისა.

ხოშარეული

იფიქრეთ, ფშაველ-ხევსურნო,
 ეკრე არ გარგებთ ტარება,
 მზირმა მზირობა არ გვიყოს,
 თავს არ მოგვხვიოს წვალება.
 ვინ იცის, ნათრევ კაცია,
 არ იყოს ღალატიანი,
 დუშმანი არ გაგვიფრთხილოს,
 საქმე ქნას ნახლართიანი.

ლაშქარი

რა გაიგება, იქნება
 ბრიყვმა გაგვყიდოს ფულზედა,
 ფიცი გატეხოს უსირცხვოდ,
 ხელი აიღოს რჯულზედა,
 ცოცხლად დაგვმარხოს, თვითონვე
 მიწა გვაყაროს გულზედა.

ლუხუმი

კაცნო, რას ამბობთ ნეტარა?
 რად ჰგრებთ დიაცებრ ქორებსა?
 ფარ-ხმალით მოკაზმულები
 აჰკიდებიხართ ჯორებსა!
 რად არ გაჰხედნებთ, ბრიყვებო,
 ჩვენის სამშობლოს გორებსა?
 ვის გაუგონავ, სად თქმულა
 ამბავი, ძველად თხრობილი,
 მითხარით, ნუ დამიმალავთ,
 ვინც-კი კაცი ხართ ცნობილი,
 ეგრე მუხთალად ღალატი,
 ეგრე უღმერთოდ ტყუება,
 მტრისა სალხენად ძმებისა
 შინაით გამოტყუება?!
 სრულ სიცრუევა, ნუ იტყვით,
 თქვენ გენაცვლებათ ლუხუმი.
 არ რადმე მეჭაშნიკება
 სიტყვა კოჭლი და ლუგუმი.
 კაცს მაგის მეტად ვერ იცნობთ,
 მაგის მეტ არ გაქვთ შნობა?
 თავის ფიქრიდგან შემკრთალთა
 ეხლავ მოგკიდათ ცხროება.
 ღალატს რა უნდა ჩვენშია,
 როგორი გვადგა დროება?!

სუმელჯი

ფიქრმა თვითონ საქვა, რაცა ვსთქვით,
 ეს ნურვის გაუკვირდება;

ყველაც კი იტყვის ამასა,
 ვინც საქმებს დაუკვირდება.
 არც კაი ბოლო იმათ აქვ,
 ვინც ერთურთს აუხირობდა.

ლაშქარი (ერთხმად)

არა, ტყუილად ნუ ვიტყვით,
 ცოდოს ნუ ვადებთ კისრადა,
 მშვილდზე ნუ ვაგებთ კვირიას,
 ნუ ვათამაშებთ ისრადა.
 კვირიას ლალატ არ უნდა,
 სხვა რამ ფიქრი აქვ წყეულსა,
 თვალ-ცრემლიანსა, ობოლსა,
 გულზე ეკლებით ხეულსა,
 ეგრე ქურდულად გაპარულს,
 ერთბაშად გადათხეულსა,
 ვის ეწადება ლალატი
 სწორჩიით გამორჩეულსა!?

ლუხუმი

ეგრე თქვით, მაგას მოგელით,
 სიტყვას წყნარსა და რჩეულსა.
 ლუხუმიც მალე შეატყობს
 ცრუვს, ლალატობას ჩვეულსა...
 თანდათან ცნობას მოვიდა
 გული-გონება ლაშქრისა.
 სპეროზიის კლდიდამა
 ცივი ნიავი მაჰქრისა.
 მიდიან ფეხ-შეუშლელად,
 კალთა ჩაკეცეს მთებისა,
 რაკი დაუშლის მგზავრობას
 მოსახვევები გზებისა.
 გაღმა-გამოღმა მწყრომარე
 ხვივილი მოდის წყლებისა
 და ალაზანიც, ბარს დინჯი,
 მთაში მეტადა სწყრებისა;
 ძირს უთხრის სალსა კლდეებსა,—
 თავზე ჩაჩქანი ჰხდებისა!..

XIV

ნაქერალაში დამდგარან
 თუშები თექიანები;
 გულ-შაუდრეკნი ომშია,
 ლაშქრობას ბედნიანები.
 გარს სანგლად შემოუვლიათ
 ხევები ბექიანები.
 ელიან ფშაველ-ხევსურთა,
 თვალი იმათკე სქერიათ;
 წინ მიეგებენ ლხენითა,
 დროშები დაუქერიათ.
 ლუხუმმა ცხენი გაქუსლა,
 წავიდა თამაშობითა;
 შამაუძახა თუშებსა
 შუბლ-შეკვრით, კამათობითა:

ლუხუმი

სადა გყავთ, თუშნო, ზეზვაი,
 რად არ მაჩვენებთ თვალითა?
 მე დ' იმან უნდა ვიომოთ,
 ნაქებ რო არი მკლავითა.—
 აღარა ზუმრობს ლუხუმი,
 მკერდ-შედლობილი ფარითა.—
 მე ჯერ თათრებთან რა მინდა,
 მაგისი სისხლი მწყურია,
 დულს და გადმოდულს გულიდამ
 მაგის მტრობა და შურია.

შეჩერდა თუშის ლაშქარი,
 გულზე წაესო მურია:
 ფიქრობენ: რამ გააგიჟა,
 ლეკიაა, თუ ურია?
 შველის მაგივრად, თავხედსა
 ჩვენივე სისხლი სწყურია!

ზეზვამ მყის იცნო ძმობილი,
 ვეფხვი ხმალ-და-ხმალ წავიდა,
 გაეკინკლავენ ერთმანეთს
 ხმალ-შუბლებით და ფარითა;

მემრე აკოცეს მხურვალედ,
ამბავსა ჰკითხვენ ძმურადა.
ერთმანეთისა სურვილი
ორსვე ჰქონიყო წყლულადა.

ლუხუმი

გენაცვლე, ძმაო ზეზვაო,
რო თვალით გნახე კიდევა.
მიყვარს, ძმობამა, ხმალ-და-ხმალ
შენი მტრისაკე მიწვევა.
კაცო, შენც დაბერებულხარ,
გაგზირებია ჭალარი;
ცხენი სადა გყავ, მიტირე,
ი შენი ცხენი—სალარი?

ზეზვა

ლაშქრობამ ჩამამაბერა,
ძალღ-უმადურად გდებამა,
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ძუძუს მამსხლიტა დედამა.
ჯერ შენთან, ძმაო ლუხუმი,
რამდენჯერ ვიყავ ომშია?..
წელში ორჯელ თუ დაებმის
ჩემი საფერხე გომშია.
სალარი მაგათ მამიკლეს,
ვისაც დღეს უნდა უტიოთ,
მაგ ძალთი ერთი ცოცხალიც
გარეთ არ გამოუტიოთ.

ლუხუმი

სრულ მაგონდება, ძმობამა,
საცა რა გადაგვხედიდა;
უნდა გადაგვხდეს კიდევაც...
ეს არის ჩვენი ბედია.

ზეზვა

მეც მაგონდება ბევრი რამ,
ერთი-კი უფრო ცხადადა:

ერთხელის, საბუის ბოლოს,
 ლეკებ რო ვაცხვეთ ქადადა.
 თუ გახსონს, ერთს ლეკს ხმლითა ვეც,
 ჭიმად მოვწყვიტე თავია!

ლუხუმი

შენის ფრანგულის ნაქრევი
 ისევ ისეთი მწვაია?

ზეზვა

თავი გაგორდა მიწაზე,
 ტუჩებმ დაუწყაო კაპუნი,
 იტყოდი, სარეკელასა
 წისქვილზე გააქვ რაკუნი.
 შენ შაგებრაღა ურჯულო,
 მოგიწყლიანდა თვალები;
 უთუოდ, საით ენახვე,
 მოგაფურთხებდენ ქალები.
 მე არ მებრაღვის, ლუხუმო,
 მოუნათლაღვი აროდის,
 მაგათ სიწუნტის ნალველი
 ყელში დღელილით ამოდის.
 ვისაც ჩვენ არ ვებრაღებით,
 ჩვენ შავიბრაღოთ რისაღა?
 სიკვდილი თვითონ უფაღსა
 გაუჩენია მტრისაღა!

ერთურთს საღამი მიართვეს,
 ფიცით შაიკრა ჯარია.
 მაღლიღამ მაკურთხებელი
 თავზე დაადღათ ჯვარია.
 შაიღებება სისხლითა
 ქართვეღთა მთა და ბარია.
 დიღის მზის სხიღით იპოზენ
 ქედებს კახეთის მთანია.

XV

ხუთშაბათ დიღა გათენღა,
 სისხღისა ნიავ-ღვარია,

ბახტრიონს თათრის შვილებსა
 დღე გაუთენდათ მწარია.
 გადმოდგა ბორბალაზედა
 თავისუფლების მთვარეა.
 ალაზნისაკე წავიდა
 ურჯულოს სისხლის ღვარია.
 ნალექის ფრანგულებისა
 ცასა სწვდებოდა ალია.
 სრულ სისხლით დანაბეჭდია
 მეომართ დანაკვალია.
 კარავ-საჩეხი მტრებისა
 მინგრეულ-დანაგალია.
 გასწყვიტა ჩვენმა ლაშქარმა
 მტერი, უღმერთოდ დალია.
 მიჰკივის თათრებს ზეზვი,
 შეუპოვარი, მალია;
 გულ-რკინას ხოშარეულსა
 შუა გადუტყდა ხმალია!
 ცრემლი ერევა თვალეზზე,
 სწუხს ამისაგან, მწყრალია.
 ლუხუმმა თოფი გამაჰკრა,
 არ აუფეთქდა ფალია;
 დროშას მიუძღვის ლომივით,
 ამაიწვავდა ხმალია.
 შამაუძახა ლაშქარსა,
 გულდინჯმა, ომში ცხარია:
 „მამყვეთ, ვისც ქუდი გხურავთ,
 ვინაც არა ხართ ქალი!“
 აივსო თათრის ძვლებითა
 იმ ბახტრიონის არეა.
 ციხე-გალავნად ეგება,
 ისე გამრავლდა მკვდარია.
 ეს ის დრო იყო, როდესაც
 მთასა ჰლოცავდა ბარია,
 როს სალოცავად მიაჩნდათ
 მთიელის ხალხის გვარია...



XVI

— საით მოსდიხართ, ფშავლებო,
ცხენ-ხეთქით, რიალითაო?
ლრეობით, მზიარულადა,
ჩაჩქნების კრიალითაო?
ლაშარის ჯვარის დროშისა
საამო წკრიალითაო?!

— საით და კახეთს ვიყვენით,
ბახტრიონს ჩავიყარენით;
ჩვენა, თუშნი და ხევსურნი
პანკისში შავიყარენით.
ვაცადეთ ჩვენი საცდელი,
ეხლა კი გავიყარენით.

— რა გქონდათ, კაცნო, საცდელი,
რა გქონდათ საომარია?

— არ თუ გაგიგავ, კახეთი
თათრების ნაოხარია?
თათრები ვხოცეთ, მოგვიდის
ცხენები ნაოფლარია;
გავწირეთ გულსისხლიანი
ყენი ნათოფარია;
სალაშარიჯვროდ მოგვაქვის
ზინათი ნაშოგარია
და გადმოვლახეთ საფშაოდ
ტბათანა ნათოგარია;
სავსეა თათრების ძელითა
ფშავლების ნაომარია.
მეფემ გვიბოძა საჩუქრად
სახნავი დ' საძოვარია.
სახელს უმატეთ სახელი—
ძვირფასი საპოვარია.

— საკაცით ვინლა მოგაქვისთ,
ნაბდებში შახვეულები?

— კვირიაი და ლელაი,
ჩვენთვის სისხლ-დანთხეულები.
ღმერთმა აცხონოს ესენი!
ამათ გაგვიღეს კარები!

რო შავიჭრენით შიგითა,
 ჩვენ წინ ეყარნენ მკვდარები.
 მოგვაქვს დავმარხოთ იქავე,
 სად მამა-პაპა ჰმარხია,
 სადაც აბარავ მიწასა
 იმათ გული და სახია.
 მძიმეა თავის ქვეყანა,
 თავის წყალ-ჭალა ძლიერა!
 მიწაც ტკბილია მშობლური,
 გულს რომ ეყრება ფხვიერა.
 — ვის მოგილოცოთ სახელი,
 ვინა ხართ სახელიანი?
 — პირველ—ობოლი კვირია,
 სახე აქვ ნათელიანი;
 მეორე—ლელა ბაჩლელი,
 ქალი ხელ-ფარტენიანი;
 მესამე—ბერი ლუხუმი,
 კურთხეულ გამდელიანი;
 მეოთხე—ხოშარეული,
 არწივი მხარ-კვერიანი;
 მეხუთე—გივი სუმელჯი,
 მოგვყავის ნაჭრევიანი.
 — თუშჩი ვინ ვარგდა, მითხარით,
 კაცად ვინ უფრო არია?
 — ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი
 მთელის თუშების დარია.
 არა ყოფილა გაზდილი,
 მომცრო სდგომიყო ტანია.
 ისა ყოფილა ვაჟკაცი,
 ღირსი წელთ ერტყას ხმალია.
 ლომია, უფალსა ვფიცავთ,
 სწრაფი, ვით ელვა-ქარია,
 ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა
 დაზარნიშული ფარია.
 მაგრამ დაგვიჭრეს რჯულ-ძალთა,
 გაწირეს ცოცხალ-მკვდარია.
 თუ გაჰზდის,—ფურმა გაზარდოს
 აი მისთანა ხარია!



ვერ ვნახეთ, რო დაეკვნესოს,
ან შეცვლილიყოს სახითა.

თუმთ შაიჭირვეს ძალიან,
ცრემლით ატირდენ ცხარითა.
თავით დაურქვეს დროშიაი
მისივე შუბის ტარითა.

— ახლა ისა სთქვით, მოყმენო,
ვინ დარჩა სირცხვილიანი?

— წიწოლამ ლაფით გაგვთხიფა,
გაგვექცა სირბილიანი!

ნეტარ სად დაიმალება
სიცოცხლით სიკვდილიანი?

ფშავში როგორღა მოაღის
ღიაცი ჩიქილიანი?

არ ვარგა მაგათი გვარი,
უჯიშო, სიცილიანი!

ხალხში როგორღა გამოვა?
ხატში როგორღა მოდგება?

უკლოს, უკეთურს, ბეჩავსა
სად დაეკარგა გონება?!

რად არ ირჩივა სიკვდილი
და თათრებისა მონება?

ვინღა გაივლევს ახლოსა,
ჩააქვავებენ დედანი.

მიწამ შაჭამოს ცოცხალი
ე მაგისტანა მხედარი!

ომშიით გამოქცეულსა
მეხი დაეცეს, მედგარი!

არ ვარგა, იმიტომ თქმულა,
კაცი, ქალებში მკვებარი.

— ბერი სადღაა ლუხუმი,
დამრიგებელი ფშავისა?

— ეხლა გაგიტყდეთ ჩვენაცა,
აუგი გითხრათ თავისა:

იმისა ვერა გავიგეთ,
გულში ესა გვაქვს ჯავრადა.

მტერი რო მთა-ტყეს მოეცა,
ჩვენ თან მისდევდით ჯარადა.

მისი ველარა გავიგეთ,
 იქნებ თუშთ გაჰყვა წვეულად;
 ზეზვაის დაჰრა ეწყინა,
 ძმობილს თან ჰყავდეს ძმეულად.
 ვერა ვიცით რა, ესა გვწყინს,
 გვრცხვენინან, ჭირად გვქცევია;
 დაკარგვა ჩვენის პატრონის
 საგონად გარდაგვქცევია.

XVII

ლამესა სძინავს მთა-ბარზე,
 ბუნება დასვენებული,
 მანათობელი ქვეყნისა
 მთვარეც ხომ ჩასვენებული.
 მოისმის ივრის ჩხრიალი,
 სიზმარს უამბობს ქალასა,
 ერთად ჰკეცს საუბარშია
 ცისა და ქვეყნის ძალასა.
 ცა თავისათვის მყუდროდ სდგას,
 მკერდ-სუფთა, ვარსკვლავიანი.
 მუხაზე ჩამოკიდული
 კაცი სჩანს სამკლავიანი.
 თავი დაურჩევ მხედარსა,
 თუ იყო გულჯავრიანი?
 იორი ყურსაც არ უგდებს,
 ნელად აქანებს ტალღებსა,
 არ ედარდება, დაობლდენ,
 მამა აღარ ჰყავ ბალღებსა.
 თემისგან უარყოფილსა
 გადაუგდებენ ძალღებსა

XVIII

სხლოვანს ატირდა ბებერი,
 მოსთქვამს ზარს ზარიანადა:
 „ნეტავი თავზე დამეცეს
 მთა-ღელე ბარიანადა!
 ნეტავ არც შვილი მყოლიყო,
 არც გავჩენიყავ დედასა,

თუ ამას შავესწრებოდი,
 ამდენ სირცხვილის კრეფასა!
 შეილო, სირცხვილი მაქმიე,
 ძუძუ დასწყევლე დედისა!
 თვითონ შენა ხარ მწამლავი
 თავის უბედო ბედისა.
 რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩაეო,
 რად ხარ ყელ-საბელიანი!?
 რად არ მამიხვედ, წიწოლავ,
 პირნათლი, სახელიანი?!
 გასწირე თავის ხსენება,
 საწყევარ-სარბევანი!
 — მარტოდ რად სტირის დიაცი,
 გვერდით არა ჰყავ სოფელი?
 არ ისმის მოზარეთ ზარი,
 გულს ლახვარ-დამასობელი?
 — თასი დაღვარეს ხატშია:
 ახლოს მიუდგეს არვინა,
 წიწოლას დანაშაული
 აწეულია ცამდინა,
 დაამცრო ჩვენი სახელი,
 მთელს ლაშქარს გული ატკინა.
 არც ვინ სამარეს გაუთხრის,
 არც ვინ შაუკრავს კუბოსა;
 მარტომ იტიროს დედამა,
 ცრემლი წინ დაიგუბოსა!

XIX

იტყვიან: მალლის მთის ძირსა,
 უღრანს, უდაბურს ტყეშია,
 ლუხუმი იწვა დაქრილი,
 ნატყვიარი სკირს მკერდშია.
 იქვე მალალი კლდე იყო,
 გამოქვაბული შავადა,
 ხავსით მორთული, პარქუში,
 მრისხანე სანახავადა.
 იქა ბუდობდა ვეება
 გველი, მორთული ჯაგრითა,

ბევრისა ცოდვის მოქმედი,
პირზე ღორბლეგის დაყრითა.
ბევრი ჩაენტქა ტიალსა
მონადირე და მხეცეები.
იწვა, უცდიდა დავლასა
თვალეზით დანაცეცეები.
გადაძთხვალიყვნენ იქიდამ
ნადირნი გულის თრთოლითა.
ვერ გაჰხედნებენ იმ ალაგს,
ისე ეშინისთ შორითა.

ერთს დღესა გველი, ვით ნისლი,
გაწოლილიყო ხეზედა,
წიოდა გულჯავრიანი,
თანაც თბებოდა მზეზედა.
ამ დროს შაესმა კენესის ხმა
ჯაგარ-აშლილსა გვერდზედა.
გაჰხედა, ნახა,—კაცი წევს,
სულის მაბრძოლი, ეული,
გასცქერის ცისა სივრცესა
სასომიხდილი, სნეული;
მკერდზე ატყვია მიმხმარი
სისხლი წყლად ამორწყეული.
გველს შეებრაღა ლუხუმი,
მისკე წაეიდა ზღაზენითა,
მიაშრიალეგს ხმელს ფოთოლს
დიდრონის ტანის გლარზენითა.
ზედ დააშტერდა სნეულსა
თვისის გველურის სახითა,
დასცქერის სულის მაბრძოლსა
გულის მზარავის თვალითა.
დაფიქრდა გველი ძლიერად,
გული ევსება ბრალითა.
ბევრის ცოდვების მოქმედსა
გადაუბრუნდა გუნება:
რა სიბრალულით იმსჯვალვის
მისი გველური ბუნება!
ზედ გადააწვა, მკერდზედა
წყლულსა ულოკდა ენითა.

თან მკერდს უსველებს მზედარსა
ცრემლებს ჩამოდენითა.
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხვრითა რამოდენითა!

მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვა,
კეთილი დაუქერია!
საქმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლალის მთისასა;
ლამ-ლამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა.

ამბობენ: შაადლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა;
ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შედგომა!

1892 წ.

მეზლისი ლომისა

მეჯლისი ლომისა

(არაკი)

I

ერთხელ ლომს, ნადირთ მეფესა,
 ხარი მოეკლა ირემი,
 მოსთრავდა თავის ბინისკე
 ნადავლი, ნანადირები.
 ეტყობა სისხლი ირმისა
 თოვლზედა დანადინები.
 ამ ნასისხარსა მალედვე
 მშვიერი შეჰხვდა მელია.
 მისდევს სისხლის კვალს, აწუხებს
 მუცელი ცარიელია:
 იქნება ერთი მაინცა
 ჰხედეს ლუკმა გემრიელია.
 ცოტას ერთს ადვილს შეჩერდა,
 რა ნახა ნაბოტარები;
 არ ეჭაშნიკა, როგორღაც,
 ლომისა ნატოტარები,
 მაგრამ სთქვა: წავალ, შევედრებ,
 თავს შევაბრალე მეფესა,
 ჩემს დამმარებას ვუამბობ
 ტყეში სიმდიდრის მკრეფესა;
 ვეტყვი, რომ მშვიან ძალიან,
 ველარსად გავხდი ლონესა;
 თავგებმა, ჩიტუნებმა
 დამტანჯეს, დამალონესა.
 გავუგორდები ფეხებ-ქვეშ,
 მუხლზე ვაკოცებ ძლიერსა;
 ისე თავს როგორ შეირცხვენს,
 არ გამომადლობს მშვიერსა?!

II

მელამა ნახა შორიდამ,
 ლომი ატყავებს ნადირსა,
 აწყობდა ასო-ასოდა
 ლეშს თავის სოროს ნაპირსა;

თან კბილი გაჰკრის ირმის ხორცს,
 აწლაკუნებდა თან პირსა.
 რა ფიცი მინდა ავისთვის,
 მელა ვერ მიდის ახლოსა;
 იმდენი გული ვინ მისცა,
 რო ლომთან მისვლა შაჰსძლოსა.
 ესეთი ყოფნა ვაებით
 რა გულმა უნდა გაჰსძლოსა?
 თუმცა კარგა ხანს ითმინა,
 ბოლოს ამოთქვა მეღურად,
 ყელ-მოღერებით, რიხითა,
 დიდი ხმით, ხევისბერულად:
 — ოჰ, ვენაცვალე შენს კლანჭებს,
 ჩვენო მცველო და ბატონო,
 ობლის, ქერივის და საწყლისა,
 გაჭირვებულთა პატრონო!
 კარგი ნადირი ნოგიკლავს,
 ღმერთსა ვსთხოვ, მოჰკლა მრავალი,
 ხელმომართული გატაროს,
 საცა გზა გქონდეს სავალი.
 ნუ გამიწყურები სალმისთვის
 და ნუ შემრისხავ მელასა,
 თვის ფეხთა მტვერი დაზოგე,
 შენის ცოლ-შვილის ღხენასა!
 შენ რად ირჯები, მეფეო,
 რად არ მიბრძანებ შეველასა?!...

ლომი კარგს გუნებაზეა,
 გართული ლომურს ფიქრებში,
 ისე კარგს, ესეთს გულზედა
 არც-კი ყოფილა თვის-დღეში.
 მელს გადაჰხედა დინჯადა
 ცეცხლის მსროლელის თვალებით;
 მელი მის თვალთა ჰჰყვრიალსა
 იტანს ტანჯვით და წვალებით.
 — მელო, შენ?!... საით გივლია?
 მადლობელი ვარ სალმისა.
 მიკვირს, რომ გაგიბედნია
 ლომის დავლება თვალისა?



იქნებ სურსათი დაგაკლდა,
აგასაუბრა იმანა?
— განა შენსაებ, ბატონო,
უფალი მწყალობს ციდანა?
გუშინდელს აქეთ დავდივარ,
ვაწყდები ღობე-ყორესა.
არ გატყუილებ, ლეთის მადლმა,
სულ მოგახსენებ სწორესა.
ვერაფერს გავხდი, ამაოდ
ავსდევ და ჩავსდევ გორებსა.
ვერცა-რა თვითონ გიახელ,
ვერცა-რა უძღვენ სწორებსა.
ამ თოვლ-ტიალამ დამლუბა,
მიწა დაფარა მაღლიდამ;
რა შემინახავს, თუ სარჩო
არ ამოვსთხარე დაბლიდამ.
ჩიტები ხეზე შეფრინდენ,
სოროში შეძვრენ თავგები;
აღარ იხედვენ გარეთა
სიცოცხლე-გასაშავები,
რო მომერთმივა შენთვისაც
იმათ მსუქანი თავები.
— ჯერ ხომ არ დავებერებულვარ,
რას მოედები მელო?!
მოდო, საწყალო, გაგაძლო,
თავუნების მტერაო...
ერთს რასმე საქმეს გავალებ,
მაგრამ გაძელი ჯერაო.
შენ რომ შიკრიკად დაგნიშნე,
იქნება არა გჯერაო?
მელია მოდის კანკალით,
მიცოცავს ნელა-ნელაო.
ჩოქით სალაში მიართო,
თვალეები შეაჩერაო.
ლომმა გადუგდო მელიას
ერთი ნაგლეჯი ფილტვისა
და თანაც თავისებურად
მელის სასმენლად იტყვისა:

— მეჯლისის ვაპირობ, მელიავ,
 ხვალე მექნება სადილი,
 ხომ იცი, არ შაიძლება,
 არ ავასრულო წადილი,
 ამიტომ მინდა ტყეებში
 ჩემ ყმა-ვეზირთა ძახილი.
 დამიპატიე სოროდამ
 ის ბანჯღვლიანი დათვები,
 მგლები, კილდონნი, კატუნნი,
 ფხიზლად გეჭიროს თვალები.
 ვეფხვი არ მინდა, ავია,
 არ არის დასაზავები.
 შენ იცი, ჩემო შიკრიკო,
 როგორაც დაეჩქარები,
 ასრულდეს უნდა სასტიკად
 მეფისა დანაბარები.

— შენ თუ მიბძანებ — სთქვა მელამ,
 თან ეზიდება ხორცსაო, —
 სულ შემოვირბენ ამაღამ
 ცხრას მთას, ცხრაათას გორსაო.

— აჰა, ეს ერთი ნაწლევიც,
 კარგი ატარე დროება;
 ვინძლო ყოჩაღად მოიქცე,
 გამოიჩინო შნოება.
 ფიცხად, თუ არ მოგდომნია
 სიცოცხლის გამოთხოება.
 ხომ იცი, გარდსახვეწელი
 გზა არსით მოგეპოება!

ლომის წესია ალერსი,
 თან დატანება რიხისა,
 უამისობა არ ვარგა,
 მეფემ ეს კარგად იცისა.
 ეფიქრებოდა, რა ექნა,
 მელის ხრიკის და ქლინძისა.

— შემომიკრიბე სტუმრები,
 შენაც მეწვიე მელია,
 აბა, ხვალ, შუადღისასა
 ჩემი სტუმრებით გელია.

მელა მარდად წამოხტა,
 კბილით მიათრევს ნაწლევსა,
 თავს დიდად ბედნიერად ჰრაცხს,
 დიდად აფასებს ნაძღვნევსა.

III

მელა მიმორბის ტყეებში,
 ჩხავის, იძახის ძლიერა:
 ხვალე მეფეს აქვს მეჯლისი,
 უფალმა გააძლიერა.
 დათენო, გამოდით სოროდამ,
 მგლებო, დასტოვეთ ჯაგები;
 კილდონნო,—ციხე-დარბაზი,
 სალის კლდისაგან ნაგები.
 ვეფხვი არ უნდა მეფესა,
 იმაზე მოსდის ბრაზები.
 კატუნნო, თქვენაც მობძანდით,
 ნათესავნი ხართ ლომისა;
 იმისებრ ჰხმარობთ კლანჭებსა,
 იცით მის წესი ომისა.
 ტურებო, ჩხავანებო,
 ყური მიეცით სმენასა,
 თქვენაც წამოდით, მხოლოდ-კი
 კბილი დაადგით ენასა.
 ლომთან არ მოჰყვეთ ჩხავილსა,
 მე გამიგონეთ მელასა.
 თავაზიანად იყავით,
 გეყურებოდეთ ყველასა.
 შაიძრა მთელი ქვეყანა,
 შაიძრა მთა და გორია;
 ყველა ერთმანეთს ეხალა,
 დათვი, მგელი და ლორია.
 ამ ყვირილის დროს მელასა
 თავს წამოაწყდა შველია.
 თვალდაფეთებით მორბოდა,
 კისერი აუშვერია.
 — ლომის მეჯლისში მობძანდით,—
 უკან მისჩხავის მელა.

— შენმა მზემ, ეხლავ იქა ვარ,
 თუკი არ დაუჯერია.
 შხამად შეერგოს, რაც იმას
 შველები დაუჭერია.
 გადახტა, გაინავარდა
 კამარეების სახვითა;
 გული ივსება სილალით
 მხოლოდ სილალის ნახვითა.
 მორბოდა ხარი ირემი,
 ტყე ამოსვლია თავზედა,
 გუშინ ტოლისა დაკარგვით
 ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.
 იმასაც ისე მისძახა
 ლომის შიკრიკმა, ცბიერმა.
 მშვიდის თვალებით შეხედა
 ხარმა ირემმა ხნიერმა,
 ხმა თუმც არ გასცა ლამაზმა,
 შეხედულობით ძლიერმა.
 გაფრინდა, როგორც ისარი,
 რქებმა წაიღო წკრიალი;
 უამდა დედამიწის გულს
 იმის ნაფრენის გრიალი.
 შემორბის არჩვი დამთხვარი,
 მორბის და უსტვენს თანაო,
 ნადირის „ვაის“ მელიამ
 თავის ხმა დაატანაო:
 — ლომთან წამოდი სადილად,
 შენც გეშინიან განაო?
 — როდის იფიქრე, მელიავ,
 სიზმარში მოგეზმანაო?—
 ამ პასუხს აძლევს არჩვიცა,
 ტყისაკე გაეჭანაო.
 მელა იცინის ჩუმ-ჩუმად:
 რა კარგი მოვიგონეო,
 თუ არ დამთანხმდენ, ხომ მაინც
 დავაფთხე, დავაღონეო.

IV

მოგროვდა ნადირთა გუნდი,
თავმომწონედ სდგა მელია.
წინ გამოუძღვა მხეცებსა,
თან კვერთხი დაუბჯენია.
წინ მოდის მელა ამაყად,
ვით უძლეველი სარდალი,
თავი ნამდვილად ჰგონია
ლომისა ჩამონათალი.
მხეცთ ლომს სალამი მიართვის,
მეფეს ულოკვენ ტოტებსა;
მეტისა სიხარულისგან
ცრემლიც-კი მოსდის ზოგებსა.
მიიპატიჟა სუფრაზე
ლომმა მხეცები ყველაო;
თვითონ დაბძანდა თავშია,
გვერდით დაისვა მელაო.
ამ პატივითა მეთავე
ტარიელს დაეფერაო;
თუმც ლომის სიახლოვითა
გააცივ-გააცხელაო.
მარჯვნივ დათეები დაისვა,
დარბაისელნი არიან,
მარცხნისას მგლები, —საქმლისკე
კბილებს ილესენ ძალიან.
ბოლოზე კილდონ-კატუნნი
ჩამწკრივებულან გვარიან.
გახშირდა მხეცთა ნადიმი,
კბილების კაწა-კუწია;
ძვალსაც აღარა სტოვებენ,
გაუდისთ კნაწა-კნუწია.
საზარი ხმაურობაა,
ფშვინვა და ლაწა-ლუწია.
ლომმა სთქვა: ტოლუმბაშადა
ამირჩევია მელია.
ვაი მას, თუ რამ დამალა,
სწორი არ გაუმხელია...
მელი წამოდგა ფეხზედა,



ხელში აღიპყრო ყანწია,
დაიწყო სიტყვა მელური,
ლომი ზეცამდე ასწია.
ბოლოს სთქვა:—ჩვენო ბატონო,
მხეცებს გვიყვარხართ იმითა,
რომ შენს სიძულვილს ვერ ვბედავთ
შენის კბილ-კლანჭის შიშითა.
ბოლოს თვალები მიაპყრო
იმ ორასის წლის დათუნას,
თავი რომ დაჰსივებია
ბანჯღვლიანს, ლაშებ-ჰყულაპუნას.
—მეორე შენ გადღეგძელოს,
ჩვენო მხცოვანო ბიძია,
შენც ბლომად ცოდვა გიქნია,
ამას არ უნდა ფიცია;
ბლომად შასჰამე შენაცა
ცხვარი, ძროხა და კვიცია.
დაგსივებია ცხვირ-პირი,
ხმაც მიტომ დაგინხრიწია.
არ გენაღვლება, ათასი
საქმე რო ჰქმენი ბილწია...
თქვენც გადღეგრძელოსთ, მგლის ლეკვო,
ცხვირი რომ აგიჰერიათ;
თქვენც, რა თქმა გინდათ, მრავალი
ბატკანი დაგიჰერიათ.
საამურია, როცა თქვენ
გორებზე მოჰრთავთ ყმუილსა;
სიმშილი მუხლსა ვერ მოგკვეთსთ,
ვერც გათქმევენებსთ ტყუილსა.
თქვენც გაგიმარჯოსთ, კატუნო,
და თქვენც, კილდონო, ერთადა
ბიძაშვილებო ლომისა,
ცნობილნო იმის გვერდადა;
მაგრამ, ვით ლომი, ნუ ჰფიქრობთ,
თქვენაც გაგხადოთ ლმერთადა.
მეც მადღეგრძელოს თქვენ შორის,
უმცროსი ძმა ვარ თქვენიო.
თქვენაც ხომ უწყით, რომ საქმე

ბევრი საგმირო ვქმენიო.
ბევრს თავვსა და ჩიტს ვადინე
ზურგზე ბურტყლი და მტვერიო.
ვიხსენებოდე ძმებშია,
მეც მადლეგრძელოს მელიო...
ეს ყოვლა-წმინდაც გეწყალობდეს,
ციდამ მხეცების მცველიო.

ლომმა გადუსო მელიას
ძლიერი ტოტი თავზედა:
ყოჩალ, რომ არ შემარცხვინე,
კარგად მოიქეც სმაზედა,
მადლობელი ვარ, შიკრიკო,
კარგის სიტყვების თქმაზედა.
ამიერიდგან ჩემს შემდეგ
შენ თავს დაადეგ მხეცებსა,
სწურთნიდე მახვილი რჩევით
მოუხეშავებს, ბეცებსა.

ეს სთქვა ლომმა და წამოდგა,
ამით გათავდა მეჯლისი.
ყველას გულს წყლულად დააჩნდა
მხეცებთან ქცევა მეფისი:
მელიას გაზვიადება
და დამცირება სხვებისი;
შურისძიებით ივსება
გული დათვთა და მგლებისი.

V

ერთმა თვემ ჩამოიარა.
მელა მიგოგავს ველზედა.
ესწრაფვის დარბაზში მისელას
კობტა ქოჩორა სერზედა.
მიდის ვაჟკაცი ამაყად,
ლილინებს „თარუნანოსა“.
შეესმა მგლების ლავ-ლუვი
იქვე ტყის პირად, ახლოსა.
მგლებს ერთი ძროხა მოეგდოთ,
ჰგლეჯდენ და სწეწდენ ბეჩავსა,
უყურეთ მელსა, რომ ამ დროს
მგლებთან მისელასა ჰბედავსა.

გაღუჩნდა მგლებსა შუბლ-შეკვრით
 და შეუჭყიყლა მამაცად:

„ვინ მოგცათ ნება, მოიქცეთ
 ეგრე ბრიყვად და კაპასად?!...

მე თქვენ გიჩვენებთ სეირსა,
 აბა, პატა ხანს დამაცათ!

აღარ გახსონვართ, ვინა ვარ,
 ლომის მარჯვენით მჯდომარე;

იმის ბრძანებით თქვენზედა
 ყველასა თავსა მდგომარე?!

მე თქვენ გიბრძანებთ სასტიკად,
 ხელი გაუშვათ ძროხასა,

თორემ გაგაძრობთ ყველასა
 ტყავებთან ერთად ჩოხასა.

— ჰაი, შე წუნკო,—სთქვეს მგლებმა,—

შე ქეციანო, შენაო,

ლომისა ქებით გაჰლომდი

და დაგიგძელდა ენაო...

ლომთან მარჯვენით ჯდომითა

ლომის ისწავლე კბენაო!

ათასი გაქონ, ის დაჰჩი,

ისევ ის წუტი მელაო...

ერთს შეუთვალეს თავის წევრს:

აბა, ეძგერე, მგელაო!..

ერთბაშად ნუ კი წაარჩობ,

გაწკიპე ნელა-ნელაო.

შენაც ეყოფი ბეჩავსა,

ჩვენი რად გინდა შეველაო?!

ჩვენც გადავუხდით მაგიერს,

რაც გვაგონდება წყენაო.

თითო ტოტს ჩვენაც ვუთაქებთ,

თუკი ექნება თმენაო.

ამ ბრძანებაზე მგლის ლეკვი

სწრაფად ეძგერა ვეზირსა;

გაჰკრა კბილი და გაჭიმა,

წამოაქცია ხის ძირსა,

ხან ტოტსა სცემდა თავშია,

ხან უჭირებდა ბასრ კბილსა.



მელა ევედრის ძირიდამ,
სიტყვას ეტყოდა კვლავ ტკბილსა.
მაგრამ სად იყო შეწყალვა,
სად იყო მელის დაზოგვა?!
ახლა სხვა მგლები მიახტენ,
ეს არ აკმარეს გაროზგვა.
თითოჯერ სხვებმაც წაჰკბინეს,
თითოც უთაქეს თავშია,
ეტყოდენ: არ ჩაჰვარდები,
ლომის ვეზირო, ჰკვაშია?
დაბუბნეს მელი უწყალოდ,
შემოახაეს ქათობი;
მელის ბეწვები გაშალეს,
როგორც ბალახი ნათობი.
— ნუ მამკლავთ, თქვენი ქირიმე,
ალარას ვიტყვი უგზოსა;
რადა მკლავთ, არ შემიბრალებთ
უამხანაგოს, უძმოსა?!“ —
მგლებს ევედრება მელია,
თანა ტიროდა, ჰყიოდა.
რა ექნა საწყალს, ტანზედა
მრავალი წყლული სტკიოდა.
დასტოვეს მგლებმა უგონოდ
მელი მიწაზე რდებარე.
გაფუქდა გმირი უეცრად,
გაფუქდა თავის მქებარე!..
მობრუნდა მელა... თვალს ავლებს
გარშემო არემარესა.
წავიდა ტანდამტვრეული
თავის წასასვლელს მხარესა.
მიდის ტყე-ტყე და მიათრევს,
აქა-იქ აწყვეტს თეძოსა,
შეუდგა თვალ-ცრემლიანი
ერთს ჩადუნნიან ფერდოსა.
დაყუნტდა პატარას სერზე,
მწარედ დაიწყო გოდება:
„რას მარგებს მეტიჩარობა,
ლობე-ყორეთა მოდება.“



ძმობა ლომისა რას მარგებს
 უსულჯანოს და უძლურსა,
 მგლებისა წურთნა არ ძალმიძს
 ამ უხეიროს, ბედკრულსა!
 არ მეყოფოდა სახელად,
 რაც ლომმა მიძღვნა ქებაო?!
 ეხლა სახელის მაგივრად
 მხოლოდ სირცხვილი მრჩენაო!
 დახედეთ, როგორ გავბრიყვდი
 ჭკუით ნაქები გმირიო!
 ახლა-კი ლომის აყოლით
 ნამდვილად გავხვდი ვირიო.
 ლომმა რომ ისე შემაქო,
 მე რად დამეზნა გონება?
 ლომს რო გონება-ძალი აქვს,
 მე რად ვინ დამემონება?!“

ასე სტიროდა სერზედა
 დაყუნტებული მელია,
 უდროო სინანულისა
 ცრემლი ჩამოსდის ცხელია.
 მას ეს თავისი დაჩაგვრა
 არვისთვის გაუმხელია.
 აღთქმა სთქვა გულამოსკვნილმა:
 „აღარ გავივლი ლომთანა;
 იმისგანა მჭირს, რაცა მჭირს,
 შევრცხვი ძმებთან და ცოლთანა.
 ვიქნები, ის სჯობს, ჩემს ქერქში,
 თუნდ სულ უსაქმო, მშიერი;
 ხეირს ვერ ჰნახავს ვერ როდის,
 სუსტს რომ ძმადა ჰყავს ძლიერი!
 სხვისა იმედით მცხოვრები,
 ბრიყვი იქნება, ტიალი,
 ხელიდან არ ჩამოერთმის
 ტანჯვა-წვალების ფიალი.“

გაეგო მელის ამბავი,
 ლომი სიცილით კვდებოდა,
 როცა მაძლარი ლეშითა
 სასეიროდა დგებოდა.

თეთროვ ბიორგანი, უვილი რა მიყავ?

თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ?

(ბალლადა)

I

თეთრ გიორგიში მლოცავი მიდის,
 გზაზე ურმები მიჭრიალებენ,
 რამდენი კიდევ ქვეითად არის,
 ბევრნი ცხენებით მისრიალებენ.
 ვედრება ღვთისა დიდი საქმეა,
 გამწმედელია გულ-გონებისა,
 წამალი არის საუკეთესო
 გულის ტკივილის, დაღონებისა.
 ნენემაც შვილი გაგზავნა ხატში,
 ტანჯვა-წვალებით გაზდილი ილო,
 თან დააბარა: „ფთხილად იყავი,
 ლეკები არსად დაგხვდენ, შვილო;
 თუ დაგხვდა მტერი, შენსას ეცადე,
 ვინძლო, რომ დედა არ გააწბილო!“
 საგძლით გაუვსო დიდი ხურჯინი,
 ტიკით ჩაუდგა წითელი ღვინო,
 ჯიბეს ჩაუდო სანთელ-საკმელი,
 ზღვნად მისართმევი ხატების წინო.
 კიდევ აბარებს: „თავს გაუფთხილდი,
 ნასვამმა ბრიყვად არ დაიძინო,
 თბილად დაიგე და დაიხურე,
 გაფთხილდი, შვილო, არ შაიციო;
 ავად არ გახდე, ქარ-ცეცხლს არ მიმცე,
 და არ დამლუპო, არ დამაქციო!“

ილომ შეიბა წელზედა ხმალი,
 გადაიკიდა თოფი მხარზედა,
 და მამაცურად მოახტა ცხენსა,
 ელოდა პატრონს ისიც კარზედა;
 „მშვიდობითა“-ო, დედას მისძახა,
 და გადახედა შვილურად ერთი,



ცხენს გაუჯავრდა, დეზი შემოჰკრა,
გაუდგა გზასა, ახსენა ლმერთი...

II

მგზავრი გზას მისდევს, მიეშურება,
დაბურულს ტყეში აცეცებს თვალსა,
დიდრონ ხეების გაწვდილი მკლავი
მკერდს ებჯინება ბრწყინვალეს ცასა.
გულ-გადადილულს ნიავისათვის
შუბლი მიეპყრო პირდაპირ მთასა.
ქედანი დვრინავს, წმინდა თევდორეს
შესთხოვს ოქროსას ბოლოს და ფრთასა,
და ქვეით კოხტა-ტალღებიანსა
ჩქაფ-ჩქაფი გააქვს იმ ილტოს წყალსა.
მგზავრი ბუნებას ყურს როდი უგდებს,
გზის ნაპირებსა არ რიდებს თვალსა.
საშიში არის ამ ადგილებში—
ლეკები მგზავრებს აქ უკვრენ გზასა —
ზოგი მიუდისთ დალისტინისაკენ,
ზოგს, როგორც ცხვარსა, მოჰკვეთენ თავსა.
რა სვინიდისი ხელს შეუკავებს,—
ნუ შვრებით ცოდვას, ნუ სჩადით ავსა!
ილომ მოიგდო თოფი ხელშია,
გამოუცვალა ჩახმახს ფალია,
საქირო დროსა არ მოუცდინოს,
არ აურიოს გზა და კვალთა;
კარგადა სინჯავს, ხომ მაგრა არის,
დაპირულობა თუ არა ტალი.
და სწორედ ამ დროს გზაში გადმომხტარს
ერთს ბრუციან ლეკს შეასწრო თვალი.
აგერ მეორე, კიდევ მესამე,
სხვანიც მორბიან, გაკეთდა ჯარი,
შემოუკივლეს: „გაჩერდი, გურჯო,
ველარას გიშველს თოფი და ხმალი!“
ილო არ შედრკა, თოფი ესროლა,
ერთს ლეკს მკერდზედა აჰვარდა ალი,
დაეცა პირქვე, ველარას უშველს
ვერც წყლულის ხვევა, ვერც ცივი წყალი.

თოფს კიდევ სტენავს, ომი სწადიან,
 დედისა სიტყვა თვალწინ უდგება,
 მაგრამ ამოდ. მტერმა შეიპყრო,
 კითილს ბოროტიც ჩამოუდგება.
 ლეკებმა ჯერ სთქვეს: მოდი, დავკლათო,
 შეესწიროთ იმას, ვინც ამან მოჰკლა,
 მერე არჩიეს: ჯერ დავაცადოთ,
 ახლა რას გვარგებს ამისი მოკვლა,
 ცოცხლად მივართვათ მაჰმადის ცოლსა;
 თვითონ დაადოს იმან სასჯელი,
 იქ საღმთოსათვის გამოგვადგება,
 სადაც მბრძანებლობს დაღისტნის მცველი.
 როს გაივსება მიურიდებით
 ჩვენის ლამაზის სამშობლოს ველი,
 სჯობს იქ შეესწიროთ მაჰმადის სულსა,
 სჯობს იქ მოვაჰკრათ მარჯვენა ხელი.

III

კვირა გავიდა, მეორეც მოდის,
 არ მოუვიდა ნენესა შვილი,
 ლამეს ლამეზე თეთრად ათენებს,
 დედას არ მოსდის ფიქრისგან ძილი.
 სიზმარიც ნახა რალაცა ცუდი,
 რომ ჩამოჰვარდა მას წინა-კბილი.
 მლოცავებს ჰკითხავს შვილის ამბავსა,
 ყველა მას ამბობს: „ვერა ვნახეო,
 ნამდვილად ლეკებს ტყვედ ჩაუვარდა,
 იმათ დაუგეს სწორედ მახეო.“
 დედა ატირდა ცხარის ცრემლითა,
 ჭკვანხედ შეცვლილს ჰგავს, უგზოდა ჰბოდავს.
 „რად უნდა დედას შვილი ამ დროსა,
 რისათვის უნდა, რისათვის შობავს?!“
 მოზარეები ბანს მისძახიან:
 ბაბაღე, თეკლე, რძალი, თინია:
 მოზარეების ხმას აპყოლიან,
 დაჰქვითინებენ პეტრე, ნინია;
 „საწყალო ილო, საწყალო შვილო“!—
 ყველას ერთი ხმა დაუყინია.



IV

შვიდი თვე არის ამ ამბის შემდეგ,
 ღამეა შავი, ღამეა ბნელი,
 თეთრი გიორგის წმიდა ტაძართან
 ხმა გამოისმის გულისა მწველი.
 ილოს დედაა, საყდარს შეჰბლავის:
 „თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ?
 შენს სალოცავად გამოვგზავნევი,
 შენ-კი ტანჯვაში თავი ჩამიყავ.
 შენ გეკითხები, ტანჯულთ პატრონო,
 თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ?!“
 ბობღვით გარს უვლის საყდრის გარშემო,
 შეჰკენეს: „გიორგი, შვილი რა მიყავ?“

V

უმწეო დედა კერის პირას ზის,
 ცრემლსა დაუწვევ დამტკნარი სახე,
 ასჯერ მოკლულსა ჰგვანდა მოხუცი,
 გული მომიკვდა, როცა ის ვნახე.
 მოისმა რაღაც ხმა საზარელი
 ცხენის ფეხისა, ერთი დგრიალი,
 ცა იქცევაო გეგონებოდათ,
 მიწას გაჰქონდა დაბლა ზრიალი.
 ქარი უბერავს ჭექისა მსგავსად,
 საშინელია მისი ხმა ბოხი.
 ვილაცამ ჩუმად, ხმა-გაკმედილმა,
 ქოხის კარებსა ატაკა ჯოხი,
 და საკვირველის ბრწყინვალეებითა
 განათდა კერა, განათდა ქოხი.
 ნენე წამოდგა ზარდაცემული,
 თეთრ-ცხენიანი კაცი სდგას კარზე,
 ღამაში იყო, როგორც სამოთხე,
 გუგა სინათლის გარს ევლო ტანზე.
 — ჰა, შენი შვილი, სასომიხდილო,
 ოღომც ნუ დამგმობ, ნუ გამცვლი სხვაზე.—
 ეს სთქვა უცნობმა, თოვლივით თეთრმა,
 დი გაქრა ერთს წამს ამ სიტყვის თქმაზე.

ნახა დედამა თავისი შვილი,
მხიარულადა წაადგა თავზე.
ყელს მოეხვია ნენე ილოსა,
უკოცნის ხელებს, უკოცნის პირსა.
„შენ გენაცვალე,—თან გაიძახის,—
სად მიმემალე, ვის ჰყვანდი, ვისა?!“
მაგრამ ნენესა მუხლთ მოეკვეთა,
გულიც რომ მისდის, ეშვება ძირსა.
„მადლობა ღმერთსა, თუ თვალით გნახე“!
ლოლულღებს, მანამ დალევდა სულსა.
ბედკრულს უხარის, რომ სამარეში
არ მიიყოლებს წყლულიან გულსა.

1893 წ.

სტუმარ-მასპინძელი

სტუმარ-მასპინძელი

I

ღამის წყვედიადში ჩაფლული,
 გამტყნარებულის სახითა,
 მოსჩანს ქისტეთის მიდამო
 სალის კლდეების ტახტითა.
 ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე,
 გულამღვრეული ჯავრითა.
 გადმოხრილიყვნენ მთანიცა,
 ხელ-პირს იზანდენ წყალზედა;
 ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე,
 სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა;
 ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,
 კაცი რამ მოდის გზაზედა.
 გზას ვამბობ, თორემ რა გზაა,
 ვიწრო ბილიკი კლდეზედა?
 სავალად მეტად ძნელია,
 ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა.
 გაღმა სჩანს ქისტის სოფელი
 არწივის ბუდესავითა, —
 საამო არის საცქერლად,
 დიაცის უბესავითა.
 სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა
 დაფიქრებულის სახითა.
 ყურს უგდებს არე-მარესა,
 გულ-ლალობს სანახავითა.
 სტუმარი ცოტა ხანისა,
 ხვალ სხვაგან წავა აქითა.
 წავა, გადივლის გორებსა,
 ქედებსა ყინულიანსა;
 აბნელებს, უხილავად ჰქმნის
 ქვეყანას ხილულიანსა.
 თუ მონადირეს ატირებს,

გზა-დაკარგულსა კლდეშია,
ალაღებს მგელსა და ქურდსა,
მოარულთ სიბზელეშია.

II

ზევიდამ ვინღაც უცნობმა
კლდის ლოდი გადმოაგორა,
მგზავრმა შეჰხედა პირ-ალმე,
წინ უდგას მალალი გორა.
ყურს უგდებს... ცოტა ხანს შემდეგ
მოესმა ქვიშის ჩხრიალი.
მგზავრი სიათას იმარჯვებს:
მტერი არ იყოს ტიალი.
შესცქერის გაფაციცებით
ფეხზე შემდგარის თოფითა,
ჰხედავს, რომ მოალაჯუნებს
კაცი ორ-კაპის ჯოხითა.
შავი რამ მოსთაუავს პირ-თავექვე,
ქვიშა ქანავდა იმითა.
არას ამბობდა უცნობი,
სიტყვა არ მოსდის პირითა.
უპრყვეინავს სალტა თოფისა,
ვით წვიმის ცვარი დილითა.
— ვინ ხარ, რა სულიერი ხარ,
რას იარები ამ დროსა?
— ვინ ვინღა? მონადირე ვარ,
კაცს შენ ვერ გხედავ სანდოსა.
— რაობით სანდო არა ვარ?
სიტყვას რად ამბობ მცდარესა?
ვითომ, რომ დავხეტიალობ
შენებრ ამ კლდიან მხარესა?
მეც მონადირე გახლავარ,
დღეს-კი ვეხეტე უბრალოდ.
— წესია მონადირისა,
ხომ მაინც დაჰრჩი უვალოდ?
— ესეც ვალია, ძმობილო,
ძლივს-ლა დავათრევე ფეხებსა,
სულ დავიარე ჭიუხი,

არა ესტოვებდი ხევებსა,
 ზედ შავი ნისლი ჩამოწვა,
 ნიავი მოსცა ძლიერი,
 ხევებით შემომღმუოდა,
 როგორაც მგელი მშვიერი.
 თვალ-წინ გზას ველარ ვირჩევდი,
 კლდეზე გადაარდნას ვლამობდი,
 ხამად ვარ, გეზი არ ვიცი,
 ამით ძლიერა ვწვალობდი.
 ბევრგან დავაფთხე ნადირი,
 ცხადად ფეხის ხმა მესმოდა,
 ან როცა გადაფრენილის
 ჯიხვის რქა კლდეებს ესმოდა.
 ის იყო გულის საკლავი,
 თვალით ვერაფერს ვხედავდი,
 სროლას, ან მოკვლას ვინ იტყვის,
 წინ სვლას ველარა ვხედავდი.

უცნობი ახლოს მივიდა,
 შორი-ახლოსა მდგომარე,
 „გამარჯვებო“ მისძახა,
 „ნუ სჩივი, ნუ ხარ მწყრომარე“.
 — შენც გაგიმარჯოს, ძმობილო,
 ჰხოცო ნადირი მხტომარე.

— აი ნადირი, რას სჩივი?—
 უჩვენა ჯიხვი რქიანი,—
 მკვდარი, რქებ-გადაგდებული,
 დაღუნებული, ქკვიანი.
 თუ გინდა ეხლავ გავიყოთ,
 როგორც ამხანაგთ, ორადა,
 ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,
 გავინაწილოთ სწორადა.
 ამაღამ ჩემთან წამოდი,
 სახლი არ მიდგა შორადა.
 სადაური ხარ, ძმობილო?
 სახელიც მითხარ შენია.
 ნუ სწუხარ, საზრდო შენთვისაც
 დღეს უფალს გაუჩენია.
 წილი გდებია შენაცა

ამ ჩემგან მოკლულს ჯიხეშია.
 რად გიკვირს, არ გეხუმრები,
 არც გეფერები პირშია.
 მაშ, თუ ეს ასე არ არის,
 რად შამეფეთე ამ დროსა?!
 შაპრცხვეს, ჩენს თავად, ვინც შენა
 ნაწილი დაგიკარგოსა.
 რა გქვიან? სახელი მითხარ.
 ხვესური სჩანხარ იერიით.

— ნუნუა მქვიან, ძმისაო,
 გადმოხვეწილი ქიელით,—
 იცრუა ზვიადაურმა,
 თვისი სახელი დამალა.
 რა ქნას? მის სახელს იცნობენ,
 ქისტებს ბევრს სისხლი ავალა;
 ბევრს ქისტს მოაჭრა მარჯვენა,
 უდროდ საფლაფში ჩალალა.

— შენი სახელიც მასწავლე,
 ჩემი ხომ გითხარ მართლადა.
 — ჯოყოლა მქვიან, ძმობილო,
 ალხასტაისძე გვარადა;
 არ მოგვიხდება, ერთურთში
 სიტყვა ვიღუნოთ მცდარადა.
 სახლი აქ ჯარეგას მიდგა,
 ქავი და ციხე კარადა.
 ამალამ ჩემთან წამოდი,
 მე გაგიძღვები თავადა.
 თუ კარგად არ დაგიხვდები,
 არც დაგიხვდები ავადა.
 ხვალ თითონ იცი, ძმობილო,
 საითაც გინდა, იარე.
 ზოგს მე გიამბობ ჩემს დარღსა,
 ზოგიც შენ გამიზიარე.
 — საცა არ მიხნავ, ძმობილო,
 იქ ვმკო— ეს სადაურია?
 ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
 ფეხებიც ჩატყაულია.
 გესტუმრო, უარს არ გეტყვი,

გიშველი ჯიხვის ზიდვასა,
 წილს-კი არ მოგთხოვ, იცოდე,
 თავს არ ვაკადრებ იმასა.

შამოატყავეს ნადირი,
 წავიდნენ ჯარეგაშია,
 ბევრი იუბნეს ამბავი,
 ერთუროს გაეცნენ გზაშია.

III

მივიდნენ, კოშკები დახნდა,
 აქა-იქ ჰყეფენ ძაღლები;
 კარებში იცქირებიან
 ცნობისმოყვარე ბაღლები.
 დაეტყო ცხადად კლდის მსგავსად
 სიპით ნაგები სახლები.

— აი, ეს ჩემი ოჯახი,
 ჩემი ციხე და სახლია;
 მობძანდი, როგორც ძმა ძმასთან,
 ნათლიმამასთან—ნათლია.

ცოლს დაუძახა ჯოყოლამ:
 —გამოიხედე კარშია!—
 ეტყობა თავმოწონება
 მასპინძელს საუბარშია.

სდგანან დერეფანს, უცდიან...
 კეცხლი ჰკრთებოდა ღველფზედა,
 ჩონგურს უკრავდა, დროული
 კაცი რამ უჯდა გვერდზედა.
 დაჰმღერდა გმირობისასა,
 მამა-პაპათა ცდისასა:
 როგორ არბევდენ ფშავ-ხევსურთ,
 სისხლს არ არჩენდენ ძმისასა;
 ყველგან მადლობას სწირავენ
 მარჯვენას კაის ყმისასა.

გამოჩნდა ქალი ლამაზი,
 შავის ტანსაცმლით მოსილი,
 როგორაც ალყა ტანადა,
 ვარსკვლავი ციდამ მოცლილი.

— აი, სტუმარი მოგვევარე,—



ღვთის წყალობაა ჩვენზედა, —
როგორც დაგვხვდები, დიაცო,
ეხლა ჰკიდია შენზედა.

ქალმა სალამი მიართო:

— სტუმარო, მოხვედ მშვიდობით!

— შენდაც მშვიდობა, გაცოცხლოს
თავის ქმრითა და წილობით!

სტუმარს აბჯარი წაუღო,
მიიპატიეხს შინაო;

ქალი მისდევდა უკანა,

ჯოყოლა მიდის წინაო;

თან მისდევს ზვიადაური,

ძმობილი გაიჩინაო.

IV

კაცი რომ სჩანდა სახლშია,
ქალარ-შერთული, ხნიერი,
წამოდგა ისიც ფეხზედა,
როგორც კლდის ვეფხვი, ძლიერი.
სტუმრად მოსული უცნობი,
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,
ფეხზე ადგომა წესია,
წესს ვერ დაარღვევს მთისასა.
მაგრამ; როს ნახა უცნობი,
ფერი დაედო მგლისაო;
ადვილად აიცნობოდა,
რასაც ჰფიქრობდა ისაო.
არ ეჭაშნიკა დროულს ქისტს
დანახვა უცხოს ყმისაო.
გული სცემს ბრაზმორეული,
სახეც არ ჰმაღავს ამასა,
ხანჯრისკე ხელი მიუდის,
ჩუმად სინჯავდა დანასა,
მაგრამ სტუმარი სხვის სახლში
ვერ გაჭშლის ხათაბალასა.
ადგა და ჩუმად გავიდა,
თითზე იკბინა მწარედა,
სამჯერ ჩაიკრა გულს ხელი,

როცა გავიდა გარედა.
 წავიდა. კარი-კარ დადის,
 ენასა ჰლესავს შხამითა:
 „ქისტებო, ჩვენი მოსისხლე
 შემოგვეპარა ღამითა.
 სჩანს, რო ჯოყოლა ვერ იცნობს,
 არ უნახია თვალითა
 ეგ ჩვენი ამომგდებელი,
 ჩვენი მრბეველი ძალითა;
 გაუმადლარი მუდამ უამს
 ჩვენის სისხლით და ძვალითა
 დღეს ჩვენს ხელთ არის, ვეცადოთ,
 ვაგემოთ გემო მწარია,
 მაგათ მოკლული ამ ზაფხულს
 გვყავს უპატრონო მკვდარია.
 სთქვით, თუ არ ვამბობ სიმართლეს,
 თუ ჩემი სიტყვა მცდარია?!
 გაიგოს ჩვენმა ღუშმანმაც,
 არ გვაქვს უჯიშო გვარია.
 მიკვირს ჯოყოლას ჭკვისაგან,
 მტერს რად გაულო კარია,
 ვისა ჰმასპინძლობს ჭკვათხელი,
 ცნობაზე რად არ არია?!
 ცხვირიდამ უნდა ვადინოთ
 ზვიადაურსა ძმარია,
 თუ არა, დიაცთ დაუთმოთ
 ჩვენი ხმალი და ფარია“.

აღელვდენ ქისტის შვილები,
 ყველამ შაიბა ხმალია,
 აღელვდა მთელი სოფელი:
 ბალღი, კაცი და ქალია.
 უნდა შასწირონ თავის მკვდარს
 ზვიადაურის თავია;
 უნდა მტრის საფლავზე დაკლან,
 როგორაც წესი არია.

გაგზავნეს ერთი მზვერავი,
 თან აბარებენ ჩუმადა,
 მივიდეს ჯოყოლასთანა



მეზობლურადა, ძმურადა;
 სოფლის განზრახვა არა-გზით
 მას არ ჩაუგდოს ყურადა.
 ივანშმოს, იმუსაიფოს,
 გაიგოს სტუმრის ლოგინი;
 ღამე დაესხნენ, შაკონონ,
 არ უნდესთ ბევრი ლოდინი.

მივიდა მოყურიადე
 ლაქარდიანის ენითა,
 სახელს ულოცავს ჯოყოლას,
 ლაღობს, არ არის წყენითა.
 ხალბათობს, ამბობს ამბებსა,
 ენას აკვესებს კვესითა.
 ვინ იცის, გული სავსე აქვს
 გველის შხამით და გესლითა.

ივანშმეს. თვისი სტუმარი
 მასპინძელს მოსწონს გულითა.
 „კარგი ვაჟკაცი ეტყობა“, —
 ფიცულობს თავის რჯულითა:
 „ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა,
 ერთად შევთვისდეთ სულითა“...
 მიიპატიჟა საძილედ,
 დაუთმო თვისი ლაშანი.
 — არაო, — სტუმარი ეტყვის, —
 არ მინდა ლეიბ-საბანი.
 მე დერეფანში დავსწვები,
 შინ ძილს არც-კი ვარ ჩვეული...

ასრულდა მისი წადილი,
 გულიდამ ამოწეული,
 მოყურიადეს ეს უნდა,
 ამაღ არს აქ მოწეული.
 წავიდა გახარებული,
 შეატყობინა ყველასა.
 მამლის საჯდომი თუ იცის,
 მეტი რა უნდა მელასა?!

V

— რა ამბავია, დიაცო?
 ხმალი მინდა და ხანჯარი!

სახუმრო საქმე არაა,
თავზე დაგვესხა მტრის ჯარი!
ნამდვილ აკლებას გვიპირობს,
გვლალატობს ჩენი სტუმარი;
ძმობით და მეგობრობითა
შემოგვაპარა ლაშქარი!
სუ, დაიცადე!.. მოვსტყუვდი...
ჩენი ქისტები არიან.
რისთვის მოვიდნენ ამ დროსა,
რას ბჭობენ, ვის რა სწადიან?!
ყური დაუგდე კარგადა,
კაცისა მესმის ხრიალი.
რა მქისე ხმაურობაა,
რა საზარელი გრიალი!
ჩემს სტუმარსა ჰკვლენ, სწორედა,
უდგასთ ხანჯრების პრიალი.
უყურე უნამუსოთა,
ჩემს ოჯახს როგორ ჰქელავენ!
ჩაიგდეს ჩემი კაცობა,
დებს ქვეშ ტყლაპივით სთელავენ,
გავიგო, აბა, წავიდე,
რაზე, რისთვისა ჰლელავენ?!
ეს სთქვა ჯოყოლამ, წამოდგა,
ხელ-ხანჯრიანი წავიდა.
გაალო სახლის კარები,
შეუპოვარად გავიდა.

— რას სჩადით?— შემოუძახა:—
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტებთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?
ჩემს სჯულსა ვფიცავ, სისხლს დავღვრი,
განანებთ ბრიყვულს ქცევასა,
განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
ჩემის კაცობის ქელვასა!..

— რას ამბობ, შტერო, რას ამბობ?
რად არ მოდიხარ ცნებასა?
მოსისხლე სტუმრის გულისთვის

ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?!—
 შემოუძახეს ქისტებმა
 ერთხმად, ძლიერად, კეჭითა:—
 შენ და შენს სტუმარს, ორივეს
 ერთად გადგისვრით ბეჭითა.
 თემს რაც სწადიან, მას იზამს
 თავის თემობის წესითა.
 მთელის ქისტების ამომგდე
 სტუმრად რადა გყავ სახლშია?
 ზვიადაურის სახელი
 ბავშმაც კი იცის მთაშია.
 ეს იყო მუდამ, ჭკვათხელო,
 ჩვენის გაულეტის ცდაშია,
 მგლურად რო გვეტევებოდა,
 რო გვიჯდებოდა გზაშია.

ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა,
 პირს სინანული წაესო,
 თითქოს ნატყორცი ისარი
 ზედ გულის კოვზზე დაესო.

— თვით ამან მოჰკლა შენი ძმა
 არყიანებში თოფითა,
 ჩვენ ვიცნობთ მაგის სახესა,
 გადალესულსა ცოფითა.
 „გახლავართ ზვიადაური!“—
 ჩამოგვეკიოდა გორითა;
 სულ კარგად ვიცით, ცხადადა,
 თვალს ვადეგნებდით შორითა.
 აავსო ფშავ-ხევსურეთი
 აქით წასხმულის ძროხითა.
 უკან გაუდგა ლაშქარსა
 ფეხმარდი, ლეგის ჩოხითა.
 თავს რად იშურტლავ, ბეჩავო,
 გაუმადლარის ღორითა?
 გული როგორ არ გერევა
 მაგასთან ჯდომა-ყოუნითა?!

— ეგ მართალია, იქნება...
 რა უნდა მითხრათ მაგითა,
 მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა



თქვენს გულისთქმასთან ძაფითა,
 დღეს სტუმარია ეგ ჩევი,
 თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
 მითაც მე ვერ ვულალატებ,
 ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
 მე გთხოვ გაუშვა, ბუსაო,
 ნუ სტანჯავ უდიერადა,
 როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
 იქ მოეპყარით ავადა.
 ვის გაუყიდავ სტუმარი?
 ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
 რა დავაშავე ისეთი,
 რომ მომიხედით კარადა?
 თვის რჯული დაგვიწყებიათ,
 მიტომ იქცევით მცდარადა;
 ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
 სახლში ხართ, განა შარადა!
 ვაი თქვენ, ქისტის შვილებო,
 მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!
 უიარალოს აწვალვებთ,
 გული რასა ჰგრძნობს თავადა?

მუსა (ჯოყოლას)

შენაც ამასთან შაგკონავთ,
 თემის პირს რომ სტებ, თავხედო!
 ჩვენის ნარჩევის დარღვევა
 შენ როგორ უნდა გაჰბედო?
 აჰყუფდი ქოფაკივითა,
 აბღა-უბღაობ შტერადა;
 ამ გიაურის გულისთვის
 ძმებსაც ეპურობი მტერადა.
 არ იცი, რომ შენი საქმეც
 დღეიდგან წავა ცერადა?!

ჯოყოლა (მუსას)

რაო? ქოფაკო?! შენ ამბობ?
 ახლა ძალღადაც გამხადე!?. —
 იძრო ხანჯარი, მუსასა

გულში უმარჯვა ვადამდე.
— უყურე თვით ძალღს, უყურე,
გამითამამდა სადამდე!
ჩემის კაცობის დამქცევნო,
ლანძღვასაც მემართლებითა?
აღლახსა ვფიცავ, გაგმუსრავთ,
მანამ ამკათავთ ხმლებითა,
გრისხავდესთ ცა-ქვეყნის მაღლი,
უსამართლობას შვრებითა!

— რა ქნა უღმერთომ, რა ქნაო,
გაგიჟდა, კკვაზე მცდარია... —
ჯოყოლას თავზე დაეცა
მთელი ქისტების ჯარია,
ხელი შაუკრეს... არ მისცეს
ნება, ეხმარა ხმალია...
ხელ-ფეხშაკრული დერეფანს
დაავდეს, როგორც მკვდარია.
წყევლა ხალხისა ჭეჭაა,
ნაფურთხი—წვიმის ცვარია.
წამოიყვანეს დაჭრილი,
ზვიადაურიც სტანია.
რას ამბობს ზვიადაური?
სახე რადა აქვს მტკნარია?
ბოღმა მიტომ ჰკლავს ვაჟკაცსა,
რომ ხელთ არა აქვს ხმალია:
„ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო,
კარგი დაგიდგათ დარია“.
ამას ამბობდა დინჯადა,
სხვად არას მოუბარია.
მიჰყავდათ სასაფლაოზე,
სადაც ქისტების მკვდარია,
უნდა თავის მკვდარს შესწირონ,
რომ იქ უზიდოს წყალია,
მსახურად ჰყავდეს, მორჩილად,
და გაუბნდოს ჯღანია...

VI

სოფლისა გაღმა გორია,
დამწვარი, ქვიშიანია.



ბევრი წევს იქა ვაჟაკი,
გულ-ლომი, ჯიშინია.
ძირს მისდგამს ბექი მდუმარე,
ნაღვარი, თიხიანია.
ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთი
არა სძგერს გული მაგარი;
იმათ სქამს მიწა უენო,
სასტიკი, გაუმაძღარი;
მასში ეშლება ყველასა
ადამიანის იერი...
ვერ გვიხსნის სიკვდილის ბჯლალით
ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.
ბუნების ცოდვა ესაა,
მუდამ საწყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არავინ გადღურჩენია.
ყველა მგზავრთათვის ინთქმევა,
როცა იღუპვის გემია!..
მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,
არ დაებერა ნიავსა,
დაბლა არ ჩამოეფინა,
ურიცხვი კაცი და ქალი
ქალაზე შამოეფინა.
მოჰყავდა ზვიადაური
ხელშეკონილი გროვასა,
ყველას უხარის მის მოკვლა,
ან ვინ დაიწყებს გლოვასა!?
სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან;
კაცნი ვერ ჰგოდნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან.
რამდენი ავსული ვიცი,
წარბშეუხრელად დადიან;
თავის მტანჯველის შემუსრვა
ან კი ვის არა სწადიან?!

VII

აი საფლავიც ქისტისა,
 ხალხი მოერტყა გარსაო,
 მოლა მოჰყვება ლოცვასა,
 იხსენებს თავის მკვდარსაო:
 „ნუ იტანჯები, დარლაო,
 ნუ შეიწუხებ თავსაო,
 მოვსდევით შენი მოძმენი
 შენის სამარის კარსაო,
 მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
 არ გაკმევთ მტრისა ჯავრსაო“.

—ძალღ იყოს თქვენის მკვდრისადა!—
 ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
 ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
 როგორაც ვეფხვი — თმასაო.
 საკირის ცეცხლი ეღება
 სამსხვერპლოს გულის-თქმასაო.
 რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლილსა,
 ქედ-ჩაქანგებულს მთასაო!
 აქცევენ ზვიადაურსა,
 ყელში აბჯენენ ხმალსაო:
 „დარლასამც შეეწირები“,
 ყველა დასძახის მასაო.
 „ძალღ იყოს თქვენის მკვდრისადა!“—
 უპასუხებდა ხალხსაო.
 არ იდრიკება ვაჟკაცი,
 არ შეიხრიდა წარბსაო.
 გაოცდენ ქისტის შვილები,
 ხალხი დგებოდა ყალხსაო.
 „ლამის რომ არ შეეწიროს,
 ერთი უყურეთ ძალღსაო!“ *)

*) სისხლის აღება, მკვლევლობისათვის მოკვლა, ყველა მთიელებსა აქვს წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამგვარად „შეწირვა“ მაჰმადიან მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ არ შედრკა, მკვდრისათვის „შეწირულად“ არ ჩაითვლება.

ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
ყელში ურჭობენ ხმალსაო.
„ძალღ იყოს“, ყელში ამბობდა,
მანამ მოსჭრიდენ თავსაო!
„უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
არ ახამხამებს თვალსაო“!
სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის,—
ზვიადური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა.
და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ბნდებოდა,
კრემლებს ჰმაღავდა ლამაზი,
ხალხზე უკანა დგებოდა.
მიშველებასა ჰლამობდა:
„ნუ ჰკლავთ“! ეძახის გულიო.
ფიქრობდა ბრახმორეული:
ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფთხობინო სულიო.
ნეტავი იმას, ვინაცა
მაგის მკლავზედა წვებოდა,
ვისიცა მკერდი, აწ კრული,
მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!
ნეტავი იმას ოდესმე
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?!..
ქისტები გაწყრენ, იტკიცეს:
ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
მის შესაფერი სადილი.
დაკლულმა დაჰკლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი.
შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნალები თანჯრები.

მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენიანთ:
 „ცოდვია!“ — ყველა ჰჟიქრობდა.
 ხალხის გული და გონება
 სასინანულოდ მიჰქროდა.
 სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
 თავ-თავქვე ჩამოდიოდენ;
 ხომ მაგას არ მოვუკლავდით
 მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
 კარგი ვაქცაცი ყოფილა,
 ყველა ალლახსა ჰტიცავდა,
 იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
 თავის მიწა-წყალს იცავდა.
 მაგრამ მტერს მტრულად მოექე,
 თვითონ უფალმა ბრძანაო,
 ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
 გულში ჩაეურჭოთ დანაო.

წავიდნენ. ზვიადაური
 ზეზე გაწირეს ტიალად.
 თუნდა ძალღებმა ათრიონ,
 ფრინველთა ჯიჯგონ ზიარად;
 არ შაეწირა, ეგდოსო,
 ეგეც ეყოფა ზიანად.
 ამას იძახდენ ქისტები
 თავმოწონებით, ხმიანად.
 ამ ხმასვე იმეორებდენ
 ბნელი ხეგები მთიანად.
 ჩამოდვა სალამოს ჟამი,
 მთიდამ მზის სხივი ჩამოხდა,
 სიბნელე მოიპარება,
 სინათლეს სული ამოჰხდა.
 დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
 აღარ ელავდა ქვიშაო;
 აღარსადა სჩანს, გამქრალა
 თეთრი თმა შავის მთისაო;
 ნალვლით ნაქარგი, ნაქსოვი
 სახე იმ სალის კლდისაო,
 რო მუდამ მგლოვიარეა,
 ცრემლი ანკარა სდისაო.



სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას—ტირილი დისაო,
ტყესა—ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს—ყმული მგლისაო.
ვაჟკაცსა—ომში სიკვდილი,
ხელში—ნატეხი ხმლისაო,
ომს—ლზინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.
ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგენა წყლისაო,
ნიაუად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო.
ცრემლი ნისლეების ჯარისა
ნაბძანებია ღვთისაო.
და წყაროს პირზე დიაცი,—
ტურფა, ლამაზი,—ქისტისა,
შუბლზე და მკრღზე წყალს ისხამს,
დრო და დრო გული მისდისა.
ბევრი იტირა ჩუმადა,
თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა;
ზვიადაურის სიკვდილი
თვალეებში ელანდებოდა.
სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხატრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით—ღმერთი აშინებს;
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდამ არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრად;
იმან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კისრად.
სიბნელეს უცდის, მივიდეს,
ღამით იტიროს მკვდარიო;

იმას აღარა ჰფიქრობდა,
 ჯოყოლა როგორ არიო.
 ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?
 რას სჩადის ჭკევაზე მცდარიო?!
 იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,
 სახლსაც შაუხსნეს კარიო!
 წამოდგა, იხედებოდა
 როგორც დამთხვარი ნადირი,
 ხედნებ-ხედნებით ამოვლო
 ხევის კლდიანი ნაპირი;
 წყვედიადში საზარლად ისმის
 წყალთ ანაძრახი საყვირი.
 ამოვლო კრძალვით საფლავთან,
 მკედარსა მუხლ-მოყრით დაეყრდნო,
 ქვითინებს გულამოსკენითა,
 ცრემლსა სიპი ქვა დაედნო.
 აიხსნა დანა, მიჰმართა
 ზვიადაურსა იმითა,
 ააჭრა ნიშნად, სახსოვრად
 სამი ბალანი პირითა,
 ჩიქილის ტოტში შეხვია
 ბროლის თითებით თლილითა...
 ეს რა ხმა ესმის, დგანდგარი?
 ყურებს გაუდის ჟივილი...
 საფლავებიდამ მოესმის
 მკედრების წყრომა და ჩივილი!
 თითქოს ბაღლებიც ატირდენ,
 გაუდისთ მწარედ წივილი!
 საერთო წყრომის ხმა ისმის,
 საერთო გულის ტკივილი:
 „რას შვრება უნამუსოვო“,
 გამწარებულნი ჩიოდენ,—
 „მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“
 სამართ შემოჰკიოდენ.
 აჩქარებული ღრუბლები
 ცის პირზე გადმოდიოდენ.
 გაიქცა, მირბის, იხედავს,—
 მკედარნი მისდევენ, სწორია.

„შინით სად გაგვეხვეწები,
 აქით თუ გაგვეშორია!“
 ხმა ისმის დანადევნები,
 მასვე იძახის გორია,
 გარშემო დაყუდებული
 განა ერთი და ორია.
 „უნამუსოვო“! მისძახდენ
 ტან დაწკებილნი დეკანი,
 ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
 იმ არე-მარეს მდებარნი.
 აგერ, საფლავით ამოდგა
 მისი მკვდარი ძმა ებარი,
 თავის ტოლებში უსწორო,
 ქისტეთს გათქმული მხედარი.
 თან მიჰკიოდა თავის დას,
 სიტყვა პირს მოსდის მჭეხარი:
 „ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
 რისხვა რად დამეც მეღვარი?
 მეორეს საფლავში ჩამდევე,
 ერთს სამარეში მდებარი!
 მაგით მიმტკიცებ ღობასა,
 შენი ქალობა ეგ არი?!“
 ბილიკზე მოსუნსულგბდა
 სასაფლაოსკე მყეფარი.

VIII

— სად მიხვალ, სადა, წყეულო?
 საითკე მიეჩქარები?!
 ვინ გაჰმევეს კაის ყმის ლეშსა?
 ძაღლო, დაგიდგა თვალები!
 შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
 ზვიადაურის ძვალები!—
 სთქვა ეს ალაზამ და ქვებსა
 ესროდა ხშირა-ხშირადა.
 მირბის და მისდევს შმაგადა
 კლდიანის ხევის პირადა.
 ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
 მას ბანს აძლევენ მთაწიკა,

სამდურავს ეუბნებიან
 ალაზას გიშრის თმანიცა.
 მოუახლოვდა თავის სახლს,
 სინათლე მოსჩანს იქითა;
 უნდა იძახოს: „მიშველეთ“,
 ხმა მიაწვდინოს შიგითა.
 მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
 ოფლი წყლად მოსდის შუბლზედა.
 მივიდა სულშეხუთული
 და გადაიქცა ზღუბლზედა.
 კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
 მუხლი გადევდო მუხლზედა.
 „ვაჰმეო“ — ეს კი იძახა,
 სიტყვა გაუშრა ენაზე.
 ქმარმა მოჰხვია ცოლს ხელი
 და მიათრია კერაზე.

— რა დაგემართა, დიაცო? —
 ჩაეკითხება მშფოთარე, —
 სხვა სადარდელი მაკლია,
 ახლა შენ მექმნა მოზარე?!
 რა დაგემართა, რა არი?
 მითხარ, გახსენი ბაგეო!
 ხომ არვინ მოიწადინა
 გადაეგორე მკლავზეო?
 მითხარ, არ გაჰმეგ იმის ჯავრს,
 ვანანებ ემავ წამზეო.
 ჩემის ნამუსის შემბლაღავს
 მალე მოვიყვან კკვაზეო,
 როგორც ვანანე მუსასა
 მიხდომა სხვისა კარზეო. —
 პასუხს ელოდა ცოლისგან,
 დასჩერებოდა თავზეო.
 და თანაც ხანჯარს ჰბლუჯავდა,
 ხელი ეკიდა ტარზეო.
 ქალი ვერაფერს ამბობდა,
 გაჰტკნარებოდა სახეო.
 თავს დასტრიალებს ჯოყოლა,
 ელის, რას ეტყვის ცოლია.



შუალამის დროს აღაზამ
თან თან მოიცა გონია.
უთხრა ჯოყოლას— „რას ამბობ?
თავი რად დაიღონია?
რად მოიგონებ იმასა,
რაიც არ მოსაგონია?
სულ ტყუილია... კაცისა
არსად მინახავს ქაჭანი,
ვინ გამიბედავს მაგასა,
რად მინდა ლეჩაქ კაბანი?!
სასაფლაოდამ დავბრუნდი,
შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
ცხენის მაკვირად ბედკრული
შიგ შევერიე დევებში.
დამიხვდა შავ-ნაბდიანი,
უზარმაზარის ტანისა:
ჯერაც თვალეზში მიელავს
სიმყრალე იმის კანისა;
დიდ-ყურა, კბილებ-ლაჯუნა,
უმსგავსო, ფერად შავისა;
ხელები გამომიწვალა,
დიდი ხელები თავისა,
მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
მოშაფურო ქუდი ტყავისა.
თან მითხრა: ჩემთან წამოდი,
ჩემთან იცხოვრე, ქალაო,
ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
არაფერს დაგიშალაო.
მე გამოვიქე, შევწინდი,
დევიც მომდევდა ღრიალით;
მთელი ქვეყანა იძვროდა
იმის ფეხებს ქვეშ გრიალით;
მზარავდა ეს ხმაც, მთა-ბარიც
წალმა-უკულმა ტრიალით,
ძლივს მოვალწიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით“.
ჯოყოლა ეტყვის: დევს გარდა
სხვა რამ საქმეა კიდევა,

ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი,
 ჩემი ფიქრები ირევა.
 ნამტირალევი რადა ხარ?
 ლაწვებზე ცრემლი გდენია;
 ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
 თორემ ვერ მომიმთენია!
 სადარდო, საგულისხმო რამ
 გრძნობა გულს გადაგფრენია.
 ჩემს თვალებს ვერ დაემალვის
 იმ გრძნობის ნაკვალევია;
 არ შაიძლება არ დაჩნდეს
 ნასვამი, დანალევია!..

— რა დაგიმალო, ჯოყოლავე,
 ან რად შემრისხავ თქმისადა?—
 ეტყოდა ცოლი და ნაზი
 თრთოლა მიეცა ხმისადა:—
 ცრემლები შემიწირია
 იმ შენის მეგობრისადა.
 ძლიერ შემბრაღდა ბეჩაფი,
 რომ უცხოეთში კვდებოდა,
 არც ნათესავი, არც მოძმე,
 რომ ვისმე შეჰბრაღებოდა!
 მაგრამ, როს ჰკლავდენ ხანჯრითა,
 ოღნავაც არა ჰკრთებოდა.
 იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
 მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!..

— მაგისტვის როგორ შეგრისხავ?
 ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
 იტირე?! მადლი გიქნია,
 მე რა გამგე ვარ მაგისა?
 დიაცს მუდამაც უხდება
 გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

IX

მეორეს დილას ალაზამ
 ძროხა გარეკა მთისაკე,
 ჩამოდრიოდენ ფრინველები,
 იზიდებოდენ მკვდრისაკე;

აღაზაც მიიპარება
 სასაფლაოს თავს კლდისაკე.
 იქილამ აფთხობს ყორნებსა,
 სვავთა მხარ-მოფარფაშეთა,
 ორბებსა გაუმაძღრებსა,
 მკვდრის ლეშზე მოყაშყაშეთა;
 ხელს ამუშავებს და ჰმალავს
 თვალებს, მზებრ მოკაშკაშეთა.
 კლდილამ გადისვრის კენჭებსა
 და თან წინდას ქსოვს ვითომა,
 ოსტატობს, ხალხმა ვერ შესძლოს
 იმის ფიქრების მიხდომა.

X

ბისოს მოვიდა ამბავი,
 ვით ნაქუხარი მეხადა:
 „მოუკლავთ ზვიადაური,
 ცით ჩამოსული სვეტადა,
 ფშავ-ხევსურეთის ფარ ხმალი,
 გამოსადეგი მეტადა!“
 შავის ამბისა გამგონეთ
 ზარი გამართეს დედათა.
 ბისოს ტიროდა ბებერი,
 მოსთქვამს, ქვეთინებს მწარედა:
 „ბედკრული რად ვარ ცოცხალი?
 მეც მიწას მიმბარეთა;
 მკლავნი მაჩვენეთ შვილისა,
 მოიტათ, ჩამაბარეთა!
 ჩემის შვილისა მარჯვენით
 გულს მიწა მომაყარეთა;
 ვაჰმე, რადა ვარ ცოცხალი?
 რისთვის-ლა ვსთელავ არეთა?!
 მკვდარნო, რად არ მეც აღრევე
 თქვენთან არ დამიბარეთა?
 როგორ ვიგონო თავის ძე
 ურჯულოს არე-მარეთა?!“
 ვაუკაცთ გაიგეს ამბავი,
 გასაგონარი ჭირითა,

ერთმანეთს გადაეძრახნენ
 ბოლმით შემკულის პირითა:
 რად გიკვირთ, როცა ჩვენს მფარველს
 ცხარის ცრემლითა ვსტირითა?!
 გამოიტანეს შუბები
 დუმით ნაპოხის ცხვირითა,
 ფარ-ხმალით მოკაზმულები
 ჯარს ამზადებენ დილითა.
 ეს ხომ ახალი არ არის,
 სისხლმა იდინოს მილითა.
 იძახის აპარეკაი:
 „საგძალი გინდათ კვირისა!“
 „ქულზე კაც უნდა წავიდეს“! —
 ბაბურაული ჰყვირისა.
 ალელვებულთა ჰორგენა,
 ხმა არ გეგონოსთ სტვირისა!

XI

— კარში გამოდი, ჯოყოლავ,
 წყნარად ნუ სწევხარ კერასა,
 რამდენი ხალხი მოერთყა
 იმ ჩვენის მთების წვერასა!
 ჩვენთან მოდიან სტუმრადა,
 ჩვენ გვიპირობენ წვევასა.
 შეგვანანებენ დელათა
 შვილთა აკვნების რწევასა.
 საქონელს ერეკებიან,
 რეულობაა როგორი?!
 აავსო ჯარმა, გაჰხედე,
 ჯარეგის თავი, სამ-გორი,
 დამთხვალთა მენახირეთა
 კლდეები მოსდევს ნაგორი.
 წადი, უშველე თავისებს,
 მტრის დასახვედრად მირბიან,
 შენც ისე წადი, ჯოყოლავ,
 როგორაც სხვანი მიდიან.
 — გავეყვე?! რას ამბობ, კეკა-თხელო?
 არ გამივლევინახლოსა!

მარტოკამ უნდა ვიომო,
 მთელმა ჯარეგამ მნახოსა;
 ვინ ერთგულია, ვინ არა,
 ქვეყანამ დაინახოსა.
 ქისტებს ორგული ვგონივარ,
 გამდგარი თავის რჯულზედა,
 ჰტიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ
 თავი გაჰყიდა ფულზედა,
 ქისტეთის მოლალატე ვარ,
 ხელაღებული სულზედა;
 მოაქეთ და ცოცხალს მადებენ
 საფლავის ქვასა გულზედა.

ამას ამბობდა ჯოყოლა,
 თან აბჯარს ისხამს ტანზედა:
 წელზე შაიბა ფრანგული,
 თოფი გადიგდო მხარზედა,
 ქისტს არ მაუდის ჯიშადა
 მუზარადის დგმა თავზედა.
 მარტოკა მიდის ცალს მხარეს,
 თავდადებული ცდაზედა,
 მტრის დასახვედრად სხვანიცა
 შამოეფინენ მთაზედა.

XII

ჩამოდის ხევსურთა ჯარი
 დროშა მოჰქონდა წინასა;
 მიჰმართეს სასაფლაოსა,
 მღუმარეს ქისტთა ბინასა:
 მოძებნონ თავისი მკვდარი,
 მოკრიბონ გმირის ძვალები,
 ზვიადაურის მტანჯველთა
 ძირში მოსთხარონ თვალები.
 დაუხვდათ ქისტის ჯარიცა,
 ხევ-ხევის პირას მალული;
 შამოესროლეს თოფები,
 მაჟრები შემოსალტული;
 გზას არ უთმობენ ხევსურთა

ბიჭები ამოსხარტული.
 ორივე მხრიდამ თოფებსა
 ზედ დაკიჟინით ისვრიან,
 ორსავე საქმე აწოხებს,
 ორნივე მედგრად იბრძვიან.
 ბლომად დალია ტყვიამა
 სისხლი,—მოდოვა ქუჩია,
 მაინც არ გატყდენ ქისტები,
 სდგანან ვით ციხე-ბურჯია.
 ბაბურაულმა ხევსურთა
 ხმალ-და-ხმალ ჩასვლა ურჩია.
 მივიდა საქმე ხმალზედა,
 ფარმა გზა მისცა საკაფი,
 საძვეარი აქვთ ხევსურთა
 ძვირი განძი და ალაფი.
 ფარო, ნუ ჰმტყუვნობ გორდასა,
 შენა ხარ მაგის ჯალაფი;
 თავქვე მორბინალთ ხევსურთა
 წინ კლდე დაუხვდათ წარაფი.
 კლდიდამ გადუხტა შეცრად
 ქისტი ხმალ-მოღერებითა,
 აკვირვებს ქისტის ლაშქარსა
 მტრის ჯარის მოგერებითა.
 ზოგს მოტყუება ეგონა,
 ამბობდენ მოჩვენებითა:
 — ეგ ვინ უხვდება ხევსურთა?
 ჩვენი მხარეა, ვინ არი?
 — ეგ უნდა ჯოყოლა იყოს,
 სწორედ, ნამდვილად ის არი! —
 სთქვა ერთმა, სხვანიც დასთანხმდენ,
 გაოცებულნი უცქერენ.
 როგორ არ უფთხის გროვასა,
 თუმცა ხმალ-ხანჯრებს უღერენ.
 მოჰკლეს კიდევცა, იქცევა,
 მკერდს ხანჯრის წვერით უწერენ.
 ქისტთ გაუხარდათ დილაც,—
 „მოჰკლან, თუ მოჰკლეს—ახია!
 ეხლაც მასხარად აგვიგდო,

წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
 სოფლისა გადრა ინდომა,
 ჩვენ-კი ტალახში გაგვრია.
 მარტოკა მტრის ჯარს დაუხვდა,
 სწორედ დავლათით დაგვრია.
 ხევსურთ ჯოყოლა გაწირეს
 მკვდარი, კლდის თავსა, კეტამზე.
 თითონ დაესხნენ ქისტებსა,
 ჩამოეფინნენ ფერდაზე.
 გახდა ხმალ-ხანჯრის ტრიალი,
 დაკრული მიდის მკერდამდე;
 ფარ-ხმალის ჩხერა, წკრიალი
 ცას ადიოდა ლმერთამდე.
 გაიქცა ქისტის ლაშქარი,
 კოშკებს მიჰპართა გრიალით,
 უკან მისდევენ ხევსურნი,
 თავზე ჩაჩქნების პრიალით;
 მოკრებეს სასაფლაოზე
 ზვიადას ძვლები ტრიალით:
 ზოგი სად ეგდო, ზოგი სად,
 ფრინველთ ნაჯიჯგნი ფრიალით.
 მოკრებეს ძვლები ხურჯინში
 და გამობრუნდნენ შინათვე,
 ასრულეს გულის წადილი,
 დანაპირები წინათვე.
 გამოირეკეს ცხვარ-ძროხა,
 გადმოავლიეს მთანია;
 ამოიყარეს მტრის ჯაგრი,
 სადარდო რალა არია?!
 უცხოეთს მაინც არ დაჰრჩათ,
 შინ მოაქვთ თავის მკვდარია,
 ფშავ-ხევსურეთის იმედი,
 ქავ-ციხე, რკინის კარია.
 მოძმენი დაიტირებენ
 თავის მკვდარს თავის წესზედა,
 მიაბარებენ სამარეს
 მამა-პაპათა გვერდზედა:
 ძვირად ღირს დანადინარი
 თავისის ცრემლი მკერდზედა!

XIII

— უცხოთ კაცისა მოზარევ,
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია.
წადი, იტირე, ალაზავ,
სამარეს მიაბარია.
თავს დაჰყრანტალეებს ყორიანი,
წვერ-ულვაშს უცრის ქარია.

— შენს მტერსა ისეთი ყოფნა,
რო ჩემი ყოფნა მწარია!
ალარვინ მივლის ახლოსა,
არვინ მიჭირა მხარია.
იქვე დავმარხე კლდის თავზე,
საფლავიც გავუთხარია;
სუყველამ ზურგი მაქცია,
ყველაყა განზე მდგარია.
სასაფლაოც კი შემიკრეს,
რო დამემარხა ცხედარი:
ჯოყოლამ გვიდალატაო,
მაგის აღვილი ეგ არი,
საცა მარტოკა ომობდა,
ჩვენთვისა ჩირქის მცხებარი,
თემის პირისა გამტენი,
ორგული, დაუდეგარი.
ცეცხლი მწვავს, ძმაო, ცეცხლი მწვავს
უალო, მოუდეგარი;
გულს მიკლავს, გონებას მირევს
ფიქრები გაუგებარი!

ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირად,
არჩვი ყელ-გადაგდებული,
თმა-ხშირი, მთვარე პირად,
ეკერებოდა გულ-მკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა.

XIV

ღამეა ბნელი, დელგმაა,
დგანდგნარებს არე-მარეო.
ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა,
უშველე, შაიწყალეო!

კარგი კარგია მაინცა,—
 ბეჩავი შაიყვარო!
 ტანჯულთა ლოცვა-მუდარა
 გულს ვარდად დაიყარო!
 თუ არ უშველი, საწყლები
 სულელები მიიბარო!..
 გეყო მაგდენი მუქარა,
 ღრუბელო, გადიყარო!
 მდინარე მოჰქუხს, მრისხანებს,
 ზედ ასქდებოდა ლოდებსა,
 დღესაც ისევე ბოროტობს,
 არ იცის, რისთვის ჰგოდებსა.
 არ ეშინიან ტანჯვებსა,
 იმან არ იცის სიკვდილი.
 ერთი რამ იცის მხოლოდა:
 ცრემლის ღვრა, მალა ყვირილი,
 მუდამ ჟამს უცინარობა,
 მარტო ტირილი, ტირილი...
 ქარი სცემს, დაბლა ხევებით
 ჩამოკიეინებს მთებითა;
 ქალი სდგას, მდინარეს დასცქერს,
 კლდეზე, გაშლილის თმებითა;
 სხივ მიხდილს ვარსკვლავს ნაგონებს
 მკრთალად მთრთოლარის ყბებითა.
 არ იღებს ხმასა... შემკრთალი
 ჰკრთის, რომ დასცქერის მდინარეს;
 რა საზარლად ხმაურობს,
 როგორ საზარლად მდინარებს!
 ლაშ-დაღრენილი, სასტიკი
 შავი ხეობა მძვინვარებს,
 „თავს ნუ იკლავო“! აბა, თუ
 ერთმა ურჩიოს მაინცა.
 დახუჭა ქალმა თვალები,
 მსწრაფლად მორევში ჩაიქცა.
 — რაღად ვიცოცხლო, რიდასთვის?
 ამას ჰფიქრობდა ქალია.—
 ქისტეთში ჩემი ერთგული
 კენჭიც კი არსად არია.

ორთავ შევცოდეთ ქისტებსა,
 მათ შამიჩვენეს ქმარია...
 მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს,
 უცხოსთვის ცრემლი ვღვარია.
 წაილო წყალმა ალაზა,
 ლამსა და ქვიშას შაპრია.

XV

იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა
 მოჰკლეს ხევსურთა ბრძოლაში,
 ლამ-ლამ ჰხედავენ სურათსა
 ზევისგან ნაგალს გორაში:
 კლდის თავს წადგება ჯოყოლა,
 სასაფლაოსკე იძახებს:
 „ზვიადაურო, ძმობილო,
 რად არ მაჩვენებ შენს სახეს“?!
 სასაფლაოდამ წამოვა
 აჩრდილი ფარ ხმალიანი,
 გულზე უწყვია დაკრფით
 მკლავები სამკლავიანი.
 მივა და მიესალმება
 თავის ძმობილსა მდუმარედ.
 იქვე ალაზაც ამოდის
 სახე მოწყენით, მწუხარედ.
 ენთება ცეცხლი მათს გვერდით,
 მკრთალადა ბეუტავს მთაზედა;
 იმათ ჰმასპინძლობს ალაზა,
 ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.
 ვაჟკაცობისას ამბობენ,
 ერთ-ურთის დანდობისასა,
 სტუმარ-მასპინძლის წესზედა
 ცნობის და და-ძმობისასა.
 როცა მათ ჰხედავს ერთადა
 კაცი, ვერ ძლება ცქერითა;
 მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამ
 კურუმად შავის ფერითა,
 დაეფარება სანახავს
 წერა-მწერელის წერითა.

ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერც შეულოცავს მლოცავი,
არც აიხდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა...

1893 წ.

ხოს ბეჭი

ხ ი ს ბ ე ზ ი

I

წვიმდა, ელავდა, ღვარები
 მთის ფერდობებზე დიოდენ,
 ჩავლით ჩაკიფეს ბალახი,
 დაბლა ხევებში ხვიოდენ.
 მოაგორებდენ ლოდებსა,
 ისმის დგანდგარი, ჩხერანი.
 მთისად მთა დატევებული,
 კლდე, კლდეს მობმული, ვერანი,
 ირჩევა ღამის წყვდიადში,
 საზარლად აყორებული;
 ხევში ბობოქრობს მდინარე
 მყვირალი, გალორებული.
 გაღმა სხვა მოსჩანს ფერდობი
 დიდი, შავის ტყით ფარული,
 როსტომის მრისხანება აქვს
 და თან სინაზე ქალური.
 იქ ბევრი იცის ირემი,
 დათვი და ღორი მალული.
 მათ მონადირე აწუხებს,
 ქურდულად შემოპარული.
 იქ კაცნი როდი სცხოვრობენ...
 მოკამკამებენ წყარონი,
 ჩალა-ჩადუნას პირს ჰბანენ
 ტურფანი, გასახარონი.
 ნამი ჩამოდის წვიმისა,
 დაბლა ფოთლებზე ხმაურობს;
 ქვეით კი ისევ მდინარე
 მოსთქვამს და აურზაურობს.
 სხვა ხმა არსიდამ არ ისმის:
 არც მგელი ღმუის არსადა,
 მელის ხავილსა, ბუს კივილს

ვერსად იშოვით ფასადა.
 გადაიყარა ცამაცა,
 ვარსკვლავნი დაჩნდენ დასადა.
 სველია ნაწვიმობითა
 ბალახი, ტყე და ფოთოლი.
 კაცი ვინმე სჩანს ხის ძირას
 მობუზვით, როგორც ობოლი.
 თოფი აქვს მიყუდებული
 იქვე წიფელზე მარჯვესა,
 მკრთოლარე ცეცხლი უნათებს
 მქმუნვარეს პირისახესა.
 ზის მკერდ-მიპყრობით ცეცხლისკე,
 ჩიბუხს ეწევა დინჯადა,
 კარგია შესახედავად,
 წამოსადეგად, ბიჭადა.
 მარცხნით მკერდს სასწრაფო უჩანს,
 თითბრისა მასრებიანი,
 მარჯვენისკე—საპირისწამლე
 თეთრი, იმ სპილოს ძვლიანი;
 წელზე ხანჯარი არტყია,
 ძმად საგულისხმო, ფხიანი.
 ზის თავისათვის მარტოკა,
 ფიქრობს ხვალინდელს ცდისასა:
 მოჰკლავს თუ არა ნადირსა,
 ფიქრით არკვევდა იმასა.
 ეს დღე ტყუილად იარა,
 ვერსით რას გახდა ღონესა;
 შეხვდა ნადირსა—ვერ მოჰკლა,
 ვითომ ესროდა სწორესა;
 ორჯელ ესროლა ირმებსა
 ახლოს, არც ისე შორესა,
 უჭირველებივ დაიქცნენ,
 თავს ევლებოდენ გორებსა.
 სალამო ხანზე თხრაშია
 თავს წამოადგა ღორებსა...
 ესროლა, მაგრამ დაუცდა,
 თავში იშენდა ტორებსა.

მიტომ მკმუნვარებს ვაქცავი,
ფიქრისას აგებს ყორესა.

II

„ეი, ძმობილო, ძმობილო!“
გალმიდამ კაცმა იძახა.

შემკრთალმა მონადირემა
პირჯვარი გამოისახა:

— ღმერთო, შენ ჯვარი დამწერე,
ნუ გამხდი საეშმაკოდა,
მიშველე, ლომისის ჯვარო!—
შეშინებული ამბობდა.

„წამო, ძმობილო, ნუ ჰკრთები,
კაცი ვარ, პირჯვრის მწერელი;
ნუ გეგონები ალ-ქაჯი,
ბოროტის საქმის მრჩეველი.

წამო, აქ წამო ჩემთანა,
გამაირბინე ჩქარაო;
მე ხომ გეძახი, ესა ვარ,
სხვამაც ეს დამაბარაო.
აბა და რაღას სტორტმანობ,
შე დალოცვილო, კმარაო!“

უნდოდა მონადირესა
ჯერ დაეძახა:—არაო.

— ვაჰ, თუ ცუდად რამ მომიხდეს—
სთქვა... მიდის... გაეჩქარაო.
თოფი გადიგდო მხარზედა,
ხანჯარი მოიგვარაო.

„მოხვალ, თუ არა, ძმობილო?
სთქვი შენის ფიქრის ძალაო!“

— მოვდივარ, თუნდა შამჭამო,
დღე ველარ ვნახო ხვალაო.—
თან უფრო ნაბიჯს უმატა,
ფეხმარდად გაემალაო.
ბევრგან ხევებზე ჩასვლაში
კლდეებსაც შეეხალაო.
და აგერ ქვეით გამოჩნდა
აყვავებული ქალაო.



— აბა, ვინა ხარ? ვინ მიხმობ? —
აქედამ დაახლოაო.

„წამოდგე“, — ახლოდამ ესმის:
„ჩემო ძმობილო, ბალო!“

III

ავლო პატარა აღმართი,
გადაიხედა ქვეითა;
ყურს უგდებს გაოცებული,
ყაყანი ესმის ხევითა.
მშვენიერია ტაფობი,
განათებული ცეცხლითა,
შემხდარი, შეზავებული,
ნაკურთხი უფლის ხელითა.
აქ მას რამდენჯერ უვლია...
ამას რას ჰხედავს თვალითა?
ირგვლივ ირწყვება ტაფობი
ვერცხლის და ოქროს წყალითა.
ხეებს სანთლები აკრია, —
ცასა სწვდებიან ალითა, —
ყვაფილნი ათასნაირნი
დაკიდებულან თავითა
დიდრონის ხეებიდამა
ლალ-იაგუნდის კავითა.
დაჯარებული ხალხია
მწვანეს ხავერდზე დაბლო.
ჰკვირობს: — აქ ეს ჯამაათი
საით რამ მოიყვანაო?!
მართალსა ვხედავ, თუ ესა,
ესტყუვდები, მომეზმანაო?
„წამოდი, ახლოს წამოდგე,
არ მოგვენდობი განაო?“
ერთმა მას ხელი მოჰკიდა
და წაიყვანა თანაო, —
ტურტად შამკობილს ტაფობში
თამამად ჩაიყვანაო...
ჩამოსვეს ხალიჩაზედა,
ღვინოს აწვდიან თანაო,



გადაჰკრა მონადირემაც,
 დიდხანს არ დაახანაო.
 რა ლეში არის სუფრაზე,
 საით ვინ მოიტანაო?
 სულ თავში გოგოც ვინმე ზის
 ტურფა, ლამაზი რამაო.
 ჭკვიდამ არია სტუმარი
 იმის ნისლივით თმამაო.
 წამოდგა ქალი ფეხზედა,—
 თითქოს იელვა ცამაო,—
 ჰაერში გაიკრიალა
 მისმა ზარივით ხმამაო:
 „ნება გაქვთ პური მიირთვათ,
 ეს მოგახსენათ მთამაო!
 და შენც, სტუმარო ღვთისაო,
 ამას გთხოვ, იყო ფთხილადა;
 ძვალეები არ დაგვიკარგო,
 რაც მოგერგება წილადა“.

IV

აქამდის დაუქმებულნი,
 შეუღდგენ პურის ჭამასა,
 ხორცს არიგებდენ სწორ-სწორად...
 დახსოვნა უნდა ამასა:
 ძვალეებს კი, მცირე ნაფხვერსა,
 იქვე აწყობდენ ერთადა,—
 არ დაეკარგათ ცოტაც კი,
 ამად ფთხილობდენ მეტადა.
 ღვინოსა სვამდენ თასებით,
 მაღლი ახსენეს მიწისა,
 ვინაც ქვეყანას განაგებს,
 სვეს სადღეგრძელო იმისა.
 „შენც გადღეგრძელოს, ქალო“,
 ბოლოს დასძახეს ისიცა.
 აქ მონადირემ იცრუა:
 წილად ბეჭი ჰხვდა ირმისა,
 „ხელ-უკულმ“ წყალში გადაგდო,
 დღესაც წყალს მიაქვს, მიდისა!

ძვლები გოგოს დაუწყვეს,
 იმ ცისკარივით მნათობსა;
 როგორაც ცასა უფალი,
 იქაურობას ამკობსა.
 მივიდნენ ძვლების სათვლელად,
 ქალთან მიქუჩდენ ყველანი...
 ხარ-ირმის ბეჭი დააკლდათ,
 სად მიეფარა ვერანი?
 ეძიეს აქეთ-იქითა,
 ამაო იყო ძიება.
 აერკოლებს მონადარესა,
 თითქოს შეჰპროდეს ციება.
 „ვაჰ თუ გაიგეს,—ჰფიქრობდა:—
 შემრისხონ, გამამწარონო;
 მომკლან და აქვე დამმარხონ,
 ზედ მიწა მომაყარონო.
 შემკრთალს ზედ არც კი შეხედეს,
 ბეჭი გათაღეს ხისაო,
 და სხვა ძვლების ბეჭებში
 ძვლად ჩათვალეს ისაო.
 ქალმა დაწერა ძვლები,
 რაც ერგებოდა ვისაო:
 „ამას მოჰკლავსო ჭოლიკი
 გაზაფხულს ქალის პირადა,
 სადაც ბევრი დგას ჩადუნა,
 ლერწამი იცის ხშირადა“.
 „ეს თიბათვეში მოკვდება
 ბერის ბერიკას ხელითა,
 როცა მუჯჯაზედ ჩავალის
 მწვანის ბალახის თელითა,
 ჩაივლის, ჩათამაშდება
 მადლ-მორეთლის ველითა“.
 „ამას—ბერიძის ხირიმი
 დგნალში, წითლის კლდის ძირასა;
 ექნებათ კაი დღეობა
 ბეჩავის ცოლ-შვილს კვირასა“.
 აიღეს ბოლოს ხის ბეჭი...
 ვისად დასწერენ იმასა?



„ეს ყვირილობას მოკვდება,
სწორედ პარასკევ დილასა.
ბალიას ანაწერია,
რაკი გადიღებს წვიმასა“.
ახსენეს მისი სახელიც,
უხარის მონადირესა,
სწავლობს დღითა და საათით
გოგონას დანაპირებსა.
დაწერეს ათასობითა,
დაასაჩუქრეს ღუნია.
უკვირს ეს მონადირესა,
ძირს თავი დაუღუნია.
იმ დღის ნავალს და ნატანჯსა
თვალთ მოეკიდა ლულია
დასძინებოდა ტკბილადა
და დაუსვენდა გულია.
არ დავიწყნოდა ბუნებას
თვისი წესი და რჯულია:
გათენებულა, მზის სხივმა
მთას მოჰკრა, — მართლის სულია.
ბალახს აღელვებს ნიავი, —
დამწვარი, დადაგულია.
გამოელვინა, აყოლებს
თავის გარშემო თვალსაო.
ველარსად ჯამაათს ჰხედავს,
ველარც იმ ტურფა ქალსაო.
აქ სადლა არის? ვინ ნახავს
იმ ოქრო-ვერცხლის წყალსაო?
რა იქნა ყვავილთ კონები?
კაცს მოსტაცებდა თვალსაო!
აღარსად ნაცეცხლარია...
მართლაც ტაფობი დიდია.
ხეებზე ყვავილთ მაგივრად
წვიმის ცვარები ჰკიდია.
გარშემო მწვანობს ბუერა,
შუბყა, კენკეშა, დიყია,
და მაყვალს თავით-ბოლომდე
გაედვა ფოთლის ხიდია.

გაჰღვიძებიყო ყველასა,
 ტურფად გალობენ ჩიტები,
 პირს ჰბანენ ბუნების მგოსნებს
 ციური მარგალიტები.
 ბალახი ჰკოცნის ბალახსა,
 დილის ნიაფი ყველათა,
 როგორც რომ დედა მშობელი,
 თავს დასტრიალებს მცველადა;
 ფერად-ფერადნი ყვავილნი
 თითქოს გაშლილან ხელადა,
 სამოთხეს მოგაგონებენ,
 მოციმციმებენ ველადა.
 ტრფობისა ცეცხლი ციური
 ბაგეს უღვივისთ ცხელადა.
 მთის ძირში სძინავს შავს ნისლსა.
 სჩანს უზარმაზარ გველადა.
 დაბლიდამ მთებსა შეჰყურებს,
 შუბლ-მოქუშული, ცერადა.
 მთები კი წარბსაც არა სძვრენ,
 თითქოს დამსხდარან მღერადა,—
 ქედები აულერიათ,
 მუშტებსა ჰმოქვენ კვერადა.
 „დინჯად იყავით, ჰკვიანად“,
 ამას გვეტყვიან რჩევადა.
 ლოცვა კურთხევა უფლისა
 მოდის ხევიდამ ხევადა.
 ტურფა რამ შექჰნა ბუნება?
 ასე რამ გააფერადა?!..
 გაღმა ხეს სჩიჩქნის კოდალა,
 ნისკარტს სცემს, დააკრიალებს,
 ცად გადმოსულა არწივი,
 ბუმბერაზადა ტრიალებს.
 ტყე სასოებით სულს იქცევს,
 წყნარად ფოთოლი შრიალებს.
 მდინარეც დაწყნარებულა,
 გუშინდლებრ აღარ ღრიალებს.
 შემოქმედს მადლი შესწირა
 ბალიამ პირჯვრის წერითა.

ის წუხანდელი ამბავი
 გულში აქვს ღრმადა, ზევითა
 გასწია საშინაოდა—
 დინჯად, ყალივნის წვევითა.
 ფიქრობს, არავის უამბოს
 რაც ნახა, რაცა სმენია:
 ადვილ სათქმელი არ არის,
 უთუოდ დასათმენია.

V

— რა ჰქენ, ბალიაგ? სად იყავ?
 იქნებ ტყუილა იარე?
 გვიამბე მთა-ტყის ამბავი,
 ნანახი გაგვიზიარე.—
 ამას ჰკითხავდენ სოფლადა
 ბალიას: დიდი, მცირია.
 კარგა ხანს პასუხს არ მისცემს,
 მოუკუშია პირია.
 — რა ვქენ, ძმობილო, შენს მტერსა,
 ტყუილ-უბრალოდ ვეთრიე,—
 ბევრგანა ენახე, ბევრჯელა
 სიათაც გამოვესრიე.
 ვერას მოვკიდე, წითელი
 ვერ გავადინე ერთსაცა,
 ბევრი ვევედრე ხატებსა,
 სანთელი უნთე ღმერთსაცა,
 მაგრამ მაინც და მაინცა
 უქმად დამირჩა ვედრება.
 უღვთოდ, იტყვიან, და მართლაც,
 ალბათ, არ თუ რა იქნება;
 რომ გამემარჯვა, ალბათა,
 უფალმა არ თუ ინება!
 გულში კი ფიქრობს: მაცადეთ,
 ჯერ ჩამოგვიდგეს სთველია,
 ნახავთ, თუ არ გავიმარჯვებ,
 არ მომემართვის ხელია.
 — იქნება ხელ-შაკრული ხარ,
 ან იქნებ თოფი შაგეკრა

და იმით ალი, მაცილი
 თოფის ლიშანზე დაგეკრა!
 შეალოცვინე მკითხავსა,
 მიზეზს გაგიგებს იგია;
 მაგისთანა დროს, ხომ იცი,
 შეალოცვინება რიგია. —
 ამას ურჩევდა ბალიას
 მარტიაშვილი გიგია.

— თოფი გექნება შაკრული,
 ლიშანსა ვხედავ სწორადა.

ეგრჯელ მაგრე მომსვლია,
 წასვლა რად გვინდა შორადა:
 ერთისად დამიმიზნებავ,
 მომჩვენებია ორადა.
 უწმინდურს რასმე მოჰკლავდი:
 ძაღლსა, ყორანს, ან ციცასა;
 შეალოცვინე, სჯობია,
 მე დამიჯერე ბიძასა.

— ეგ მართალია, ძოდან სამ
 აქ ცოფიანი დარბოდა;
 ის კი მე მოვკალ, სხვა არა.—
 ბალიაც ამას ამბობდა.

— დოჯურის ძაღლი? ჰო, კიდევ
 იმიტომ ხელი შაგკვრია,
 უწმინდურისა მოკვლამა
 ეგ იცის, მუდამ ძაგრია.

შეალოცვინა თოფისთვის,
 რჩევა არ დაუწუნია,
 თუმცა-ღა სანადიროდა
 თოფი არ გაუბრუნია:
 სათიბ-სამკელი აღონებს,
 ბრუნავს ზაფხულის სუნია.
 მოელის ყვირილობასა,
 უთმენლად უცემს გულია.

VI

სთველია. ბრძამიანშია
 ხარი-ირემი ყვიროდა,

თითქოსა დედა შვილზედა,
 გულ-ამოსკენილი ტიროდა.
 ბალიაც პირდაპირ იჯდა,
 ირმის ყვირილით ხარობდა:
 ანგრევედა არე-მარესა,
 სატრფოს მომლოდნე წვალობდა.
 მთა-ბარის დაქცევასა ჰგავს,
 განა ბულბული გალობდა!
 ხარ-ირმის ვნებათ ღელვავა,
 ფურსა ირემსა ჰყვარობდა!

წამოეპარა აქედამ,
 ირემს მიუჯდა ახლოსა;
 ყვირილი ესმის და ცდილობს,
 უნდა გარჩევით ნახოსა.
 რქებს იტრიალებს, ხის ტოტებს
 ამტვრევს რქით, დაბლა ამხობსა.
 უმიზნა, ჩახმახს მოსწია,
 შემოაყენა ფეხზედა,
 უნდა დასხლიტოს ჩახმახი,
 თითს არ მოჰყვება წესზედა.

ამ დროს მეორე მხრიდანა
 თოფისა ესმის გრიალი...
 უყურებს, დაბარგანავდა
 ხარი-ირემი ტიალი.
 დაეცა მუხლის კვერებზე,
 იბრძვის, ადგომას ცდილობდა.
 რქას იბჯენს, ებრძვის სიკვდილსა,
 გმირი ველარა გმირობდა!
 ბალია გამტკნარებული
 თვის დამარცხებას ჰკვირობდა.
 ცდილობდა ხარი ადგომას,
 ეხარებოდა სიკვდილი;
 სატრფოს დაედებს თვალებით,
 სურს ესმას მისი კივილი.
 ვერ გაძღა სიყვარულითა,
 სწადის იმასთან სირბილა,
 ხან მაძღრად ყოფნა მთის ყურეთ,
 ბევრი შიში და სიყმილი.

ყველას რად უყვარს სიცოცხლე?
 რად ეჯავრება სიკვდილი?!
 ნატყვიარი სჭირს სუკზედა,
 სიცოცხლის წამი ჰჭრებოდა.
 საბრალო არის კაი ყმა!
 უნუგეშოდა კვდებოდა!..
 თავისი სატრფოს სურათი
 ჰაერში ეხატებოდა;
 საამო წამი ყოფნისა
 სამუდმოდ ეკარგებოდა.

გადმოეტანა ვაჟკაცი
 მოლხენით, აბჯრის ჟღერითა
 და დააბჯინა კისერში
 ირემს ხანჯარი წვერითა.
 მოსჭრა თავი და გადადვა,
 ჩამოუტყავა ფეხები
 ბალია ეხლა გონს მოდის,
 გულს უკლავს დანახედები.

VII

თქვენს მტერსა ისეთი ყოფნა,
 რომ ამას მოსწყდა წელია:
 წავიდა ყურებ-ყურებით,
 ნაბიჯი ჰქონდა ნელია;
 მივიდა მონადირესთან
 და გაუწოდა ხელია.

— მუდამც ხელ მოგემართების! —
 წინწინ ამისი მთქმელია.
 შუბლზე კი გაჭარხლებულსა
 ოფლი ჩამოსდის ცხელია:—
 რაზე დამლუპე? რა მიყავ?
 საით რას ასჩნდი-გასჩნდია?
 მე ეხლა შენთან, ძმობილო,
 უაუოდ ჩხუბი მწადია.
 მეც მოვეპარე ირემსა,
 იქით რომ, აგერ, ფლატეა;
 ამოვძვერ, ამოვიპარე,
 ბექობზე ავებლატია;

გამოფუმიზნე თოფიცა,
 რა წინ საფარი ავიგე,
 შემოვაყენე ჩახმახი,
 გული ბუდეში ჩავიგე.
 ველარ გავიგე და ამ დროს
 შენის თოფის ხმა გავიგე.

— ეგ რისტვის გიკვირს, ძმობილო?
 ალბათ, მეც წილი მდებია;
 მეც შენებრ ტყეში დავძვრები,
 შემოვიარე მთებია.
 მოდი, ჯერ ტყავი გავაძროთ,
 მერე გავიყოთ სწორადა,
 რა? ვითომ ძმანი ვყოფილვართ,
 გავინაწილოთ ორადა.

რა ეთქმის? ესეც დასთანხმდა,
 ნადირს დაუწყვეს ტყავება.
 ბალიაც აღარას ამბობს,
 ახლა კი ენა დაება.
 მხოლოდ ეს ჰკითხა — ვინ არის,
 აქ საით გადმოხვეწილა?
 პასუხად ესმის ბალიას:

— „ბოდბისხეველი წიწილა“.
 ამ დროს მოესმათ გრიალი,
 ირემმა გადმოირბინა.
 — აბა, ესროლე, ძმობილო,
 შენი ჯერია წინ-წინა.—
 ამას ეტყოდა ბალიას
 ბოდბისხეველი წიწილა.

ირემი ახლოს მოუდგათ,
 ქორ-ბუდიანი ხარია.
 ესროლა თოფი ბალიამ,
 იქვე მის მარჯვეს მდგარია.
 დაუცდა, თუმცა ფიქრობდა,
 უთუოდ მოვკლავ, მაშაო!..
 გაიქცა, ირმის ფეხის ხმას
 ტყემ მიაძახა: „ვაშაო“!..
 უმწერლოდ მწერიც არ კვდება,
 რატომ არ იცი, ვაჟაო?

წავიდა, გაქრა ირემი,
 დაუცდა თოფი, დაუცდა,
 იმედი უკილაკავო
 გაცრუვდა, როდი აუხდა!
 მობრუნდა წიწილასაკე
 გაწბილებულის სახითა,
 ჰხედავს, რომ ისიც გამქრალა
 თავის გრძნეულის მახითა,
 ირემი გატყავებული
 იქვეა სრულად მილიანად.
 ეს საკვირველი ამბავი
 გულზე დააჩნდა ზიანად.
 „სად წახველ, სად დამემალე?“ —
 სახელს ეძახდა ხმინანად...
 „რა მემართება? რას ვხედავ?“
 ბოლოს ესა სთქვა ჭკვიანად.
 ეძახა, ბევრი ეძახა
 დაბლაით, მერე ხიდამა, —
 მხოლოდ ნიაფი დუდუნებს,
 სხვა ხმა არ ისმის ტყიდამა.
 ციაგი გადმოსწოლია
 დაბლა ხეობას მთიდამა.
 „ეს ჩემი საქმე ყოველი
 მომდინარეობს ღვთიდამა“.
 ამაზედ დადგა ბოლოსა,
 მტკიცედ იფიქრა იმანა;
 მაინც საჯაროდ ამის თქმას
 უფალი იწყენს დიდადა:
 ამომთხრის ძირ თოჩიანად,
 საქმე წამივა ცუდადა;
 რაც ვნახე, რაც გავიგონე,
 გულსვე ეხუროს ქუდადა;
 იქნებ ყისმათი რამ არის,
 საქმე რად მოვრთო მრუდადა?
 არ ვიტყვი, მაინც არ ვიტყვი,
 თუნდა გამკაფონ ხუთადა.

VIII

ყაყანი ისმის სოფელში,
 ხალხი გროვდება ერთადა,
 რალაც საჭირო საქმეა
 და საგულისხმო მეტადა.
 ყველა ბალიას ეზოში
 მორბის: ქალი და კაცია,
 და იარაღში ჩამჯდარი
 იქვე ტრიალებს ბალია.
 ხან მონადირეს უცქერენ,
 დაბლაც მიუბრბისთ თვალია...

იქ ირმის ლეში აწყვია,
 იქვე ძვეს თავ-რქა ირმისა;
 დიდს რქას უქებენ ძალიან,
 ყველას სურს ნახვა იმისა.
 სახელს ულოცვენ ბალიას
 მოჯარებული კაცები:

— მუდამამც გაგემარჯვება,
 ნუმც ცარიელი დაპრჩები.
 საით იარე? სად მოჰკალ?
 დიდი ყოფილა ფრიადა —
 ბალიამ თავისი საქმე
 ძალიან გაახვიდა:

— ოჰ, რაც ამ ტიალს დაესდიე,
 ორჯელ, თუ სამჯერ გამექცა;
 კინალამ კლდეზე გადვარდი,
 კინალ სახლ-კარი დაშექცა:
 გაქცეულს ვეტივებოდი
 გახელებული თან მეცა.
 ირმისა დადევნაშია
 ერთს დათეს წავაწყდი ნაწოლსა;
 ამოდგა, ამომეტოტა,
 მესროდა ქეას და ნათოსსა,
 მაგრამ მალევე გაიქცა,
 თოფს ვერ გაუძლო ნასროლსა;
 გაიქცა თავქვე ღრიალით.
 სისხლი სდიოდა ორგნითა,
 არც ის დარჩება ცოცხალი,

თუმც ბევრი მწყევლა ბორგენითა.

ყური არ ვუგდე, წავიდა,
 მე ირემს ვეშურებოდი, —
 გამიეშმაკდა, დარბოდა,
 რა მდევრად ვეგულებოდი.
 ბოლოს მოვასწარ და მოვკალ,
 ვესროლე, დავაგორია,
 ბედამის წყარო რო ჰქვიან,
 საღც ბრძამიანი გორცა.

— ყოჩალი არი ბალია,
 სწორედ ამ სოფლის ფასია,
 მაგას ერთს ვაქვაცობაში
 ვერ შავედრებით ასია.

სწორედ ამ დიდების დროსა
 საქმე რამ მოხდა ნავსია:

ლემს ედვა ზევით თავთანა
 მხარი, — ეს ყველამ იხილა,
 ამ მხრიდამ ბეჭი გადმოხტა,
 თხილივით გამოიჟილა.
 დაეცა დაბლა ხალხის წინ,
 აუჩქარებლად, წყნარადა.
 არავის ხელი არ ეხლო,
 წადინით, თავის-თავადა.
 სახე იქ მყოფის ერისა
 გადაილესა შავადა.

ბალიაც გაშრა, გაფითორდა,
 მკვდარს დაემსგავსა თავადა.
 ველარ უყურებს ბეჭს თვალით
 პირდაღებული... ბნელია.

სხვებმა გასინჯეს ბოლოსა,
 იმას არ ეხლო ხელია.
 მაშინვე სახლში შევიდა,
 სისხლი გაუშრა, ხმელია.
 გასინჯეს, — მართლა ხისაა,
 ნაოსტატარი კაცისა.

პირჯვარს იწერენ ყველანი,
 „ვიშ-ვიში“ ისმის ხალხისა.

— აქ რაღაც ღვთის ძალა არის,

ყველა მთქმელია ამისა.—
 გვითხარ—რა იყო? რა მოხდა?
 შენ უკეთ გეცოდინება,
 აგვიხსენ, თუ გწამს უფალი,
 ხალხი შენ გელოდინება.—
 გარედამ კაცი უძახის
 ბალიას, პირქვე მწოლელსა.
 „არ ვიცი“, ისმის იქილამ:
 „ქკვა აღარა მაქვს დონესა!“
 — მაინც გვითხარი, ღვთის მადლსა,
 საქმე რად მოხდა ასეთი?
 ან ეს ხის ბეჭი რა არის?...
 ვისაგან არის ნაკეთი?
 „არ ვიცი“, კიდევ მოესმათ
 და თანაც კვნესა ზედაო.
 „წაიღეთ, ხორცი თქვენია,
 მე არ მექმევა, ვხედაო.
 თუ ასე მოესტყუვდებოდი,
 რისთვის გამზარდე, დედაო?!“
 ბეჭს გულმოდგინედ სინჯავდა
 მოქურბული ერია:
 „არ არის მაგის მოკლული“,
 თურმე ზედ არა სწერია?!
 ეს წაიკითხეს... ამასაც
 ეძახდენ:—მოდი, კმარაო!
 არა მომხდარა ისეთი,
 არ დაჩნდა, დაიფარაო.
 აღბათ მოკლული იპოვნა,
 ტყუილი ჩავვაზარაო.
 ხალხმა სიმართლის გაგებით
 ძალიან გაიხარაო.
 მონადირემ კი ტყუილით
 სიცოცხლე გაიმწარაო.

—
 თოფი გაყიდა ბალიამ
 და აღარც დადის ტყეშია.
 ამბობს, რომ „აღარ მექმევა
 ძმებო, ნადირის ლეშია!“

ივანე კოტორაშვილის ამბავი

ივანე კოტორაშვილის ამბავი

(ქარახელის ნაამბობი)

I

გული აღარ სძგერს ძველებრივ,
 აღარც რო ჩქამობს ნალარა,
 აღარ ღირს ჩალის ფასადა
 ჩემი სიტყვა და ჭალარა.
 მეტყვიან: ყრილობაშია
 რატომ დავდივარ აღარა;
 რისთვის წავიდე, უმისოდც
 გული ნალველმა დაღარა.
 მე გარეთ რაღა გამიყვანს,
 ძველის ამბების მნახველსა;
 ვინღა დაეძებს ამ დროში
 კაცობას, ანუ სახელსა; —
 კახი ჩვენ გვეუცხოვება,
 ჩვენც ვეუცხოვეთ კახელსა.
 ახლანდელების ყრილობას
 რაღა ყრილობა ჰქვიანო:
 ვინ იცის, რას გადასცემენ,
 ვინ იცის, რას ჩაღიანო;
 ლანძღვა-გინების „ალავერდს“
 ურთ-ერთთან გადაღიანო.
 ვითომ იმასა ფიქრობდენ,
 უფრო რა არგებს სოფელსა, —
 ან ემბრობოდენ სიტყვასა
 მათთვის კეთილის მყოფელსა?!
 არა. თუ კბილ-მოსაჭიდი
 გაუჩნდა ერთსა სხვასთანა,
 მირბიან თავ-გადაგლეჯით



სუღია-ნაჩალიკთანა.

ჩივიან, ფიქრად ისა აქვთ,

ერთმა მეორე ვათელოს

და ამით კაი ბიჭობა

ვითომ „თავის მტერს“ აჩვენოს.

ღიახ „მტერს“ — ქათმის მომკვლელსა,

ან ერთი კვერცხის გამტეხსა, —

თუ ნება მიეც, უროთი

თავში ჩაურჭობს სიტეხსა.

აი, ეს თქვენი ღროება,

აი, ეს თქვენი ნამუსი.

ჩემი ღრო ახლანდელთანა

სადარად არის აფსუსი.

ერთა ქალაი გავზარდე,

მის მეტი არც-რა მყოლია,

ისიც მე როდი მიგონებს,

ემშაკმა აიყოლია.

მე კაცსა ვრთავდი კაცის ფერს,

ის კი სხვამ დაიყოლია —

ერთმა ვილაცა უტვინომ,

ჯიში არ აქვს და გვარია.

იმის ქცევამა უფროცა

ქკვა-გონებიდამ ამრია.

მე იმას ველარ ვიშვილებ,

ახლა ის ჩემთვის მკვდარია.

ის სახლში როგორ მივილო,

როგორ გავულო კარია!

წავიდეს, იუღის კერძი,

წყალმავე ზიდოს წყალია.

ეჰ, მორჩა ძველი ღროება,

უკეთურებამ დაღია.

სად გაქრა ასე უცბადა

მისი გზა, მისი კვალია?!

ცხოვრებამ ფერი იცვალა,

დაბრუნდა ცოდო-ბრალია.

სად გაგონილა ძველს ღროში

ასეთი ყოფა-ქცევაო,

დედ-მამის დაუკითხავად



კაცისად გადასევაო
ქალისა, მეტი-ლა გინდა
ჭკვა-გონის გადარევაო!
ძველად ერთ-ურთი გვიყვარდა,
დანდობაც იყო მეტია;
ახლა ხალხს ღმერთი გაუწყრა,
თავზე დაესხა რეტია:
თუნდა იაზმა ასხურე,
თუნდა დაარტყი კეტია;
იმისთვის ორივე ესა,
თუ დაიჯერებ — ერთია.
კაცს ეხლანდელს დროს ქვეყნისთვის
თავი ვერ გაუმეტია.
გულის და გონების კარი
ურდულით დაუკეტია,
და კაცად იმასა სთვლიან,
ვისც ფული მოუხვეტია.
ჩემ დროს სად იყო ამდენი
ფული და იმის ჩხრიალი?
მაგრამ პურ-ღვინოს, გეშველოს,
ყელში ჩაჰქონდა ხრიალი.
ზოგი სიბერით კვდებოდა
და არ ენახა ტიალი
ფული, — ეგ თქვენი ხატ-ღმერთი,
ეგ თქვენი წყლულის მალამო.
სად გაჰქრი, ძველო დროებავ,
ძველო ძმობავ და სალამო?!
ძველს დროში თოფი და ხმალი,
გული — კლდე გაუტეხელი,
და ერთმანეთთან სავალად
წყალს ხიდი ჩაუტეხელი. —
აი, იმ დროის ელფერი,
მისი მადლი და დიდება!
ახლა რას ვხედავთ მის ნაცვლად,
ან გული რისგან მიკვდება?
გულში ჩამკვდარა სილაღე,
მის ნაცვლად ჯავრი დიდდება.



— ეგ მართალია, ბიძია,
მაგრამ ამბობენ იმასა,
რომ ძველს დროს თუმცა ფულითა
არა სჭედავდით ქისასა,
ბარაქას ვერვინ ასწყავდა
ბარისასა და მთისასა,
ვერ უდიოდა ქვეყანა
მოწყალეობასა ლეთისასა,
თან რომ იტყვიან სიმცირეს
წინანდელ კაცთა ჭკვისასა:
თურმე ცულს ქვისას ჰხმარობდენ
და საკვეთელსა ხისასა,
ხარს მიათრევდენ დანასთან
და არა ხართან იმასა.
— დღეს სადღა ჰნახავ, რას ამბობ,
იმ ჩემის დროის რკინასა?
სუყველამ ფერი იცვალა,
სუყველა იშლის ბინასა.
სად ჰპოვებ ახლა ძველებურს
მჭედელსა, ხმლისა მკერავსა,
ან ტყვია-ხმლის შეუვალს
ლურჯის ბეჭთარის მკერავსა?
დღევანდელს ჩირთი-ფურთებსა
დაარქვით ჭკვა და გონება.
თუ ჭკვამ იმატა, მაშ ხალხის
გული რიღასთვის ღონდება?!
მის გული, ძველად ამაყი,
თანდათან რაღა მონდება?
შორს რად მივდივართ: აგერა
ძველი ბეღელი, ნგრეული;
წაიღე ბარი, წერაქვი,
და გაუსინჯე სხეული:
კაცი იქნები და ცოტას
ააფხენი კირით ნაგებსა!
ბევრს სხვას გიამბობ, თუ მისმენ,
ძველთა გმირობის ამბებსა.
— თუ მაგრე კარგნი იყავით
და მტკიცე გქონდათ პირია,



რისთვის დაჰლუპეთ ქვეყანა, —
გამოუთხარეთ ძირია?
— დავსუსტდით, მტერთა სიმრავლემ
გატეხა ჩვენი მხნეობა
და, როგორც ჰხედავ, მოწამლა
ქართველთა კეთილდღეობა.
ერთს გეტყვი: ერის უფროსთა
სკირდათ ავი რამ ზნეობა.
ბოლოს ჟამს გლეხნი ვიბრძოდით,
მტერს არ უშვებდით სახლშია,
და ამ დროს წარჩინებული
გამოჩნდებოდა ხალხშია.
უყურებთ — შაზიკულია
ზინზილით ათას ფერითა
და მოძმეთ გასაწვრთნელადა
მობძანდა ხელში კვერითა.
ჩვენ გვიკვირს, ეგ ზინზილები
მიიღო ვისა ხელითა?
უსირცხვოდ შემოგვიტევედა:
„დაემორჩილოთ სჯობია!“
ჩვენც ვემორჩილობდით... ის თურმე
ქვეყნის მუხანათს სძმობია.
ჩვენც რომ უსმენდით ჩვენს ძმასა,
ადვილად ასაცნობია.
ღმერთმა ერეკლე აცხონოს,
ბერი გადაჰხდა ომები,
ღმერთმა ისინიც აცხონოს,
ვინც იმას ახლდა ლომები; —
არ იყო ქართველთ სამტეროდ
ადვილად შასალომები!
როცა ომს გავათავებდით,
დაისვენებდა ლაშქარი,
მოვიდის, შუა ჩაგვიჯდის,
როგორც ძმა, როგორც ამქარი.
გვითხრის: „ფშავლებო, მასმინეთ
ის თქვენებური მღერანი“.
გვერდით უდგია თავისი
შავარდენივით ზერანი.

გულს რამდენს უკლავს ალალს კაცს
 წუთისოფელი ვერანი!
 როგორ გაცუდდა საწყლისა
 ფიქრი და გულის ძგერანი!
 ჩვენც დავიწყოდით ღრეობა,
 მწკრივად დავსხდოდით ყველანი.
 მტრის ლემს კი ამ ღროს სწიწკნიდენ
 სვაენი, ორბნი და ძერანი.

II

ერთი გვერია ჯარშია,
 სწორედ ქარ-ცეცხლი, მეხია.
 რამდენჯერ მარტოს მტრის ჯართან
 მას ომი აუტეხია,
 მაგრამ, ვით ეშმაკს უფალი,
 ის ვერვის გაუტეხია.
 არა ღროს იმას გმირობა
 არსად არ დაუკვებია.
 როცა საფიხნოდ* დავსხდოდით,
 ვსთქოდით, რაც გადაგვხედია:
 ვის სად რამდენი მოგვეკლა
 თათარი, ანუ ლეკია, —
 კოტორაშვილსა ივანეს
 თავიც არ მოუქეჩია.
 „შენც რამა თქვია“, უთხროდით,
 პირი რას მოგიკუმია?!“
 ყურს არ იბერტყდის, მდუმარებს,
 ვით ძროხის ხორცი უმია.
 იჯდის ქუდ-ჩამოფხატული,
 დინჯად ჩიბუხსა ჰსუტავდის
 და ხშირს წარბებს ქვეშ თვალები
 ცეცხლის ალივით ჰბუტავდის.
 შავგვრემანაი ნისლს ჰგვანდის
 გაბუტულს, ხევში მძინარეს,
 ან კლდისგან შევიწროებულს
 აღელვებულსა მდინარეს.

*) საფიხნოდ — სასაუბროდ.

ვერა ნახავდი ივანეს
 მხიარულსა და მცინარეს.
 თმა-წვერი ესხა ისეთი,
 როგორც ეკალი, ჯაგარი,
 ხელს მოჰკიდებდი — უღრეკი,
 როგორაც რკინა, მაგარი.
 მუდამ იცვამდა თხის ტყავსა
 გარექცევ, ბეწვი ჩნდებოდა.
 ხმალს სქელი თასმით იბამდა,
 რაც კი წელთ შამოსწვდებოდა.
 ხანჯარი წვერ-შემოხრილი,
 ფარი ილლიას სწვდებოდა.
 ეს იყო მისი ქონება
 სრული შინა და გარედა.
 ღარიბი იყო ივანე,
 დედა ემდურის მწარედა.
 ან სად ეცალა სახლისთვის,
 სულ ტყე-ტყის პირად ძვრებოდა,
 სადაც მტერს დაიგულებდა,
 მყისვე თავს დაეველებოდა.
 ის დრო, ხომ იცი, კაცს მარტოს
 გარეთ არ გაეველებოდა.
 დიახ... ის ტყავი... ივანე,
 ღმერთმა გაცხონოს სულითა,
 განათლებულო, სცოცხლობდი
 მართლა ვაჟკაცის რჯულითა.
 გვიყვარდა. შავეხუმროდით,
 უწოდით ტყავსა კალთაზე,
 ან გავთხიფოდით ლაფითა,
 მაგრამ არ გაწყურის ამაზე.
 ძლივ მაშინ გამაიცვალის,
 ძლივ მაშინ გავაცინოდით,
 როცა მუგუზლით ვდაღავდით,
 ან ლაფში ჩავაწვინოდით.
 „ამიშვით, თქვენი ჭირიმე!“
 გვეხვეწებოდა ძირითა.
 მაშინ ძლივ ვათქმევინოდით
 სიტყვა საამო პირითა.

არას დასდევდა ტანთ-ჩაცმას,
 არც რო სახელსა ჰყვარობდა.
 როცა ლეკებსა ჰეუჟავდა,
 მარტო მაშინა ხარობდა.
 მეფისგან ჰქონდა ნაძღვნევი
 ივანეს სამი ხალათი,
 მაგრამ ივანეს ბეჭებმა
 არა იცოდა ამათი,
 შინ ეწყვენ, იმჭვარტლებოდენ,
 საცა ეკიდა კალათი.
 ერთხელ ერეკლეს უნდოდა
 ჩაეცმევინა ძალათი;
 ივანეც თავის მეფესთან
 იყო თამამი, ხალბათი.
 — რატომ არ იცვამ, ივანე? —
 სთქვა მეფემ, გახდა კამათი.
 — მე რა ხალათის ღირსი ვარ,
 დღე-მუდამ ვძრები ჯაგებში,
 შენი ჭირიმე, მეფეო,
 შინ მილაგია ბარგებში.
 ვინახავ გველის თვალღივით,
 თვალ-გულის საამურია.
 გავცევითო, რამლა მაგონოს
 ხელმწიფის სამსახურია?
 ერეკლემ ვაჟკაცის სიტყვას
 დინჯად დაუგლო ყურია.
 და გაიღიმა, გაუგო,
 სადაც ივანე ღონობდა,
 ან თავის გასამართლებლად
 რომ მარჯვე სიტყვას გონობდა.
 აღარა უთხრა, გაბრუნდა,
 წავიდა თავის ქნევითა,
 თავის კარავში მიბძანდა
 პატარა კახი ქვეითა.

III

გიამბობ, კიდევ გიამბობ,
 ყური დამიგდე კარგადა,

თუ არ მიიჩნევ ნაუბარს
 გულის და გონის ბარგადა.
 სრულ ვერ გაიმბობ, ივანეს
 რაც საქმე ჩაუდენია.
 ცოტას-კი გეტყვი: მრავალი
 ტყვეობას გადურჩენია,
 ქართველი კაცის მას სისხლი
 მტრისთვის არ შაურჩენია,
 ბევრის სიკეთის მოქმედსა
 თავი არ დაუჩენია.
 არ უყვირნია სხვებსავეით —
 „ეს მადლი დამითესია“,
 ყოფილა ჩუმად თავისთვის,
 როგორც ვაჟკაცის წესია.
 სხვებს უთქვამთ, მტრისთვის ივანეს
 რაც ცეცხლი დაუკვესია.
 დღე და ღამ სოფლის დარაჯსა
 ერთხელ არ დაუკვნესია.
 დაჩლუნგებული მახვილი
 ისივაც გაუღესია.
 რა ნდომა ჰქონდის ომისა,
 როგორაც ლოთსა ღვინისა;
 ომის წინ ჟრჟოლა მოუდის,
 ტანს ურხევს მოვლა ჟინისა.
 წესი არ იყო საფერხედ
 ცხენ-ჯორის ყოლა იმისა.
 ქვეითა იყვის მგელივით,
 ქორ-შავარდენზე მარდია —
 ოღონდ მტერს ეტყეებოდეს,
 სხვა არა ჰქონდის დარდია.
 ან ცხენი რისთვის უნდოდა,
 ტყეში ათასი ბარდია.

IV

ერთხელ ყვარლის თავს ვიყვენით
 ჯარად დამღვარნი მთაზედა.
 ლეკებს აეკლოთ კახეთი,
 იმათ მივდევდით კვალზედა.

ადგილს ვემწყვდით ჭიდროსა,
 ქანჩახებს შორის უგზოსა.
 მოგვპარებიყვნენ ლეკები,
 ფიქრსა ფიქრობდენ უღვთოსა.
 დაღლილ-დაქანცულთ გვეძინა,
 ნამი ნაბღებზე გვეცვრეოდა,
 მარტო ივანეს ეფხიზლა:
 ლაშქრობას ძილი სცხვენოდა.
 მტრის მოპარება ამ დროსა
 ვაჟაკს ძალიან სწყენოდა.
 მანამ ჩვენ გავიმართენით,
 იმას ხელთ ხმალი ჰშვენოდა.
 ლეკების სისხლი თხის ტყავზე
 ჭიაფრად გადაჰფენოდა.
 შავთოთქორა მტრის ჯარი
 და შეეჩერა სერზედა.
 ანგელოზს ჰგვანდა ივანე,
 რო დაგეკვლია ფერზედა.
 ერეკლემ მაშინ ჩაუდგა
 თავის ბეჭედი ხელზედა...
 ჩვენც მივეშველეთ და მტერი
 წინ გავირეკეთ ხევზედა.
 ხმალ-ხანჯრის ელვა-პრიალი
 ჰშვენოდა დილით, მზეზედა.
 დაგროვდა ლეკის თავები
 უმრავლეს ქვიშა-ბზეზედა.

V

ერთხელ მოსულან ლეკები,
 ის დაღისტნელი ძაღლები,
 არხლით ტყვედ წაუყვანიათ
 კაცი, ქალი და ბაღლები.
 თურმე ერთ-ურთზე გაბმული
 მიუღდისთ ჩვენი ტყვეები,
 პირ-ილტოსაკე გადვიდენ,
 გავლეს ჩაბანოს ტყეები.
 გაიგო კოტორაშვილმა,
 ცეცხლი დაენთო სახეზე.



„არ გათრეინებთ რჯულ-ძალთა“ —

ზედ დაეწერა კვახეზე.

გაუდგა მდევრად მარტოკა,

ოფლი დიოდა შუბლისა.

იმან თავის დრო იცოდა,

დრო ტყეების და ჩხუბისა;

ჟკილოდ როდი დაიწყის

ქნევა ხმლისა და შუბისა!

მისდევდა შორი-ახლოსა —

თვალს ადევნებდა შორითა;

ნახა, რომ ლეკის ლაშქარი

თავქვე დაეშვა გორითა.

ილტოზე როცა ჩავიდენ,

შეუდგენ ლოცვა-ბანასა,

რას მოელოდენ მდევარსა

და ვაგლახს იმისთანასა.

ტყვეები დაბუზვილები

წვანან წყლის პირად ჩალასა.

ივანე ახლოს მიუჯდა

იმ ხელ-მოსახმარს ხანასა.

ხმლით დაერია ლეკებსა,

მისთიბდა როგორც ყანასა.

გაჟლიტა ყველა და ერთიც

ალარ გადურჩა მძლევრადა;

არ დარჩა ერთი წამლები

ამბის დალისტნის ველადა:

ალარ ეღირსა არც ერთსა

დაჯდომა თავის კერადა.

ტყვეებს დაუხსნა ხელები,

მისცა ლეკების აბჯარი,

თავისთვის არ გაუწირავს

დანაც-კი, გან თუ ხანჯარი:

აბა რა გაამდიდრებდა,

გუნება ჰქონდა ამგვარი!

გაჰქრა თვით უღრანს ტყეშია,

გაფრინდა, როგორც კანჯარი.

ლონესთან ჰკუაც დიდ ჰქონდა,

გული ხომ ედვა ლომისა,

მეტად ლამაზად იცოდა
 წესი და რიგი ომისა.
 მას არა ჰქონდა წესადა
 მტრისად მოეჭრა მარჯვენა;
 ან-კი სად დაეტეოდა
 მას ერგებოდა რამდენა?!
 მტერს რო მოკვლიდის, იტყოდის:
 „ველარა ვჯიჯგნი: მცხვენია,
 მკვდარს რო მარჯვენა მოვაჭრა,
 რა ჭკვაში მოსახდენია!
 რა ბიჭობაა, უსულოს
 ლეშს კიდევ სისხლი ვადინო,
 რა გაიგება, უფალსა
 იქნებ ამით რამ ვაწყინო?!.“
 ერთი შეემთხვა მას საქმე,
 მინდა ამ ამბით გაცინო.

VI

მკათათვე არი, ხომ იცით,
 გაჩაღებული ზაფხული;
 მთა-ბარი ამწვანებული,
 ველი ყანებით შამკული.
 ადგა ივანე, წავიდა
 და იორშია ბანაობს,
 ერთს დიდს მორევში დაცურავს,
 ტივის ხესავით ქანაობს.
 ივრის პირს დიდი ლოდია
 ჩამოთრეული მთიდანა,
 შავ-ფერა, ჩამონახეთქი
 მაღალის შავის კლდიდანა.
 ამოხდა, ქვაზე ჩამოჯდა,
 მარტოკა შალვრის ამარა;
 შუადღის ხანიც მოვიდა
 და ცამაც მოიკამარა.
 იქავე ტყეა. ეხლა ტყე
 ხომ აღარ არის ხშირია,
 ერთი გორობა ჩამოსდგამს,
 ჭალას უბჯენავ ცხვირია.



სოფლიდამ ვერ მიაწევდა
იქამდის დანაყვირია.
კარგა შორია. ცხენისთვის
თითქმის ერთ მუხლად სარბენი.
იმ ცხონებულსა, ვაიმე,
საქმე გადაჰხდა რამდენი!
კაცს, ალბათ, არ თუ ასცდება
რასაც დაუწერს გამჩენი.
ის ნიადაგა ცხონდება,
იმ საქმეების ჩამდენი.
თურმე იმ გორზე ლეკებიც
მამლის ჯოგვიით მსხდარიყვნენ,
სადავლოს უთვალთვალეზდენ,
რჩევა-თათბირზე მდგარიყვნენ:
ვინ დაეტანჯათ, ეწვალათ,
ელხინათ იმის ბრალითა —
და ამ დროს არ დაინახეს
კოტორაშვილი თვალითა!
ჩვენის ივანეს დაჭერა
ერთს ლეკს აელო კისრადა.
ტიტვლის ტყვის შესაპყრობადა
კიდევ წასულა ფიცხადა.
უკანით მიჰპარებია,
დაუტაცია ხელეზი.
რილათ აიხსნას ივანემ
მკლავს დახვეული გველები?
„ლეკო, შენ მიჭერ?“ ეს-კი სთქვა,
ხმაღს ბეჩავს ვინღა მისცემდა;
ხმაღი შორს იღვა, ფარიცა,
თუმც იქით გული მისწევდა.
ესღა იღონა: წამოხტა —
და გამოიქცა შინაო,
ლეკი-კი ზურგზე აკრია,
კისერში გაეკბინაო;
კბილით ეგლიჯა კისერი
და სისხლი ჩაედინაო.
ცოცხალ-ცოცხალი ლენა
სოფელში მოგვიჩინაო.



ზურგით რომ ვხსნიდით მეკობარს,
 მაშინ-კი გაიღმინაო.
 რა აცინებდა ბეჩავსა,
 სისხლი კოჭამდი სდენოდა,
 რჯულ-ძალს ძალლივით ეგლიჯა,
 მხარ-ბეჭზე ჩამოსდენოდა;
 მაგრამ ივანეს მის კბენა
 ოდნავაც არა სტკენოდა.
 ლეკი ცოფიანს ძალს ჰგავდა,
 სისხლიანს კბილებს აღრჭენდა
 და თვალებს გაფაციცებით
 აქეთ და იქით არბენდა.
 რა აშინებდა ბეჩავსა?—
 იმას არავინ არბევდა.
 გოცნებული გვიცქერდის,
 იღმიჭებოდის ცუდადა,
 ის თუ ეგონა—მოგკლავდით
 და გავბერავდით გუდადა.
 სწორა ნაფიქრი ხანდახან
 კაცს აუხდება მრუდადა!
 უფრო ივანეს უცქერდის,
 თავით ფეხამდე ჰზომავდა;
 თავის თავსა და იმასა
 თითქოს თვალითა სწონავდა.
 თვალებით „შემიბრალეთო“
 გვეუბნებოდა ყველასა.
 ლუნთს კი არ აგდებს, მარტოკა
 აცმაცუნებდის წვერასა.
 ლეინა ჰგვანდა მაშინის
 ხაფანგში გაბმულს მელასა.
 ივანემაც სცა ნუგეში:
 „ნუ გეშინიან, ძმობილა,
 არ მოგკლავს კოტორაშვილი
 ივანე დედი-შობილა!“
 და არც რომ მოჰკლის, როს მტერი
 გვივარდებოდა ხელადა,
 გულში კი მაინც ჰშურობდა,
 ეკიდებოდა ხმელადა...



არ გვაცემინა ლეკისად,
შემოგვიტია მკვახედა:
„მოჰშორდით, თავი ანებეთ,
აეს ფიქრს ნუ გაიძრახებთა!
რა ქნას, თავისას ცდილობდა,
სხვა რომ არ ჰქონდა სახსარი,
კბილები იყო მაგის ხელთ, —
მაგის ხმალი და ხანჯარი“.
ჩვენც გაუგონეთ... მაგრამ კი
ბაღლები სჩხვლეკდენ ჯოხებსა
და აფარებდენ თვალებზე
ზოგი ქუდს, ზოგი ჩოხებსა.

მთელი ქვეყანა იქ შეკრბა
სოფლიდამ, დიდი, მცირია.
ქალებს ივანეს საცქერლად
მოელამაზათ პირია.

შაჰფოფინებდენ ვაჟაკსა,
რაკი მოსწონდათ გმირია!
მაგრამ ვაჟს რას ათამაშებს
მათი დაკრული სტვირია!?!
ვერც კი ჰხედავდა, სად იყვნენ,
სხვაგნით ეჭირა ცხვირია.
ამ შემთხვევაში ნამდვილად
იყო უცოდვი მწირია.
არ დაგიდევდა ქალთ ტრფობას,
ჩალად არ ჩაგიხედავდა;
დიაცთ მიმყოლსა ვაჟებსა
ძლიერ ცუდ თვალზე ჰხედავდა...
ბოლოს კი ცოლიც მოვგვარეთ,
გადავეკიდეთ სოფელი:
„უძეოდ რად იკარგები,
რად ჰხდები ღვთისა მგმობელი?“
და როგორც იქნა გავხადეთ
ერთის ვაჟის მშობელი.

ცოლი ჰფიცავდა თვითონა,
როდი ჰმაღავდა ამასა:
„თუ არ მე, ახლა ეგ ბაღლი
არ ექნებოდა მამასა.

ძალათი დაეწევე ქმართანა,
 ვლანძღე, ვარცხვინე ბევრჯელა:
 თუ მართლა ვაჟი კაცი ხარ,
 დაწევი ჩემთან ერთხელა.
 თუ არა—შინავ გამგზავნე,
 იმ ჩემის მამის სახლშია,
 ანა დ' კვეთილში ჩამავდე,
 ველარ გამოვჩნდე კარშია“.

ეს იყო მისი გუნება,
 იყო ამგვარის ზნისაო,
 კოტორაშვილი ივანე,
 ლეგა მიმინო მთისაო.

VII

დედამ უჩივლა მეფესთან:
 „მეფევე, დამიგდე ყურიო,
 ივანე, შენი ნაქები,
 მამშევეს, არა მაქვს პურიო.
 ტანთ არ მაცვია და ფეხთა,
 ამან მომიკლა გულიო.
 განა ეს სამართალია?
 რასა სწერს თქვენი რჯულიო?
 შენცა გამსახურობს, სოფელსაც,
 მე დამწვარ-დადაგულიო
 ვზივარ შინ მშიერ-მწყურვალი
 მთელ კვირაობით, თვეობით.
 მიშველე რამე, ხელმწიფევე,
 აგრემც იხარებ ძეობით.
 რად მინდა შეილის სახელი,
 თუ არა ეთლებ-ეხრვისა:
 დედასა სიმშილითა ჰკლავს,
 მტერს კი თამამად ებრძვისა.
 უბრძანე, შენ დაარცხვინე,
 უდროოდ ნუ ჰკლავს დედასა,
 თორემ საძრახად გახდება,
 არავინ ეტყვის ქებასა.
 ვარ ერთი ტიალ-ოხერი,
 მაგ ერთის შეილის ამარა,



ეგეც არ მიგდებს მოხუცს ყურს,
 ხომ სული ამომეპარა?“

განა ისე რამ უჭირდა,
 მაგრამ ფლიდობდა ბებერი,
 შვილის შინ ყოფნა უნდოდა,
 არ გაელაღა მას მტერი,
 ივანე არვის მოეკლა,
 არვის მოეჭრა მარჯვენა,
 ამიტომ ასე ბეჩავად
 თავი ერეკლეს აჩვენა.

დიდად დაფიქრდა ერეკლე
 ივანეს დედის მოთქმითა
 და საქმის გარემოება
 მალე შაიტყო მოწმითა.

ბებერს-კი უთხრა: დედილო,
 რა სასჯელს უწერ შვილსაო?
 თუნდ თვალებს დაეთხრი, თუნდ ერთსაც
 აღარ შავარჩენ კბილსაო,
 რაღა შენ აგრე გეპყრობა,
 და დღეს გიმწარებს ტკბილსაო.

— არა, მე მოვკვდე და შვილს კი
 ვერ ვნახავ თვალებ-დათხრილსა,
 ის კი შინდოდა, რომ ტანზე
 არ შაარჩენდი მახვილსა.
 როცა იარაღს ჩამოჰყრი,
 რილათი ირბენს გარეთა?
 მგონია ქალაქში არის,
 გთხოვთ ეხლავ დაიბარეთა.

მეფეც დათანხმდა და ბებერს
 მყის გაუჩინა ულუფა,
 თანაც აჩუქა ფულითა
 საესე მოზდილი ყულუფა.

„წადიო“ მეფემ უბრძანა:
 „ეხლა ჩვენ ვიცით იმისა,
 ჩვენ ავასრულებთ შენს თხოვნას,
 როს ქამი მოვა დილისა“.

და მართლაც, მეფემ დილითა
 მოაყვანინა ივანე;



მეფე გამწყრალი დაუხვდა,
წინანდლები არა მლიმარე.

„ბიჭო, შენ, კოტორაშვილო,—
დაუწყო მეფემ წყრომითა, —
ღედა რომ გაჰზდის თავის შვილს
ვაებით, წვით და შრომითა,
განა იმიტომ, შვილმა-კი
არ დაუფასოს ამავი?
ხელი არ აკლდეს და თვალი,
ჰქონდეს სახნავი ალაგი,
დედას-კი სიმშლით ჰკლავდეს,
ეს ცხადია, თუ არაკი?!
აქამდის მოწყალე გყავდი
და მაწყენინებ ახლა-კი.
დღეს დედაშენი აქ იყო,
იბასრებოდა ცრემლითა
და მთხოვა იარაღები
შემოგხსნა ჩემის ხელითა,
რომ ეგებ ყური მიუგდო
და არ აწუხო ბებერი.
არა თხოულობს თათუხსა,
არ აკლდეს პურად მას ქერი!“

— როდის დავაკელ, ბატონო,
განა ეგრეც ვარ ლატაკი?
პურიც შინა აქვ, წყალიცა,
საგებ-სახურად ფარდაგი.
იმას სხვა დარდი აწუხებს,
მეც-კი მაწუხებს ათასი.
განა ბალღი ვარ, კაცი ვარ,
თავი ჩაუდვა კალთაში.
შენც სამსახურსა სთხოულობ,
ქვეყანა უფრო მეტადა.
ლეკებისათვის გამხდარან
ჩვენები მოსახვეტადა.
მაგრამ ჩემ ძმებსა ურჯულოს
ვერ მივსცემ დასაკენეტადა.

„სრულად აჰყარეთ აბჯარი,
დანაც თუ უძე ჯიბეში.

მეც რომ სამსახურს მაყვედრებს,
 თითქოს მეტია ბიჭებში,
 და ფეხსა ჰყუდებს უბირი
 ერეკლეს ჩანაბიჯებში!!“

— კოტორაშვილი აბჯართა
 სხვას-კი მისცემდა არვისა,
 შენ კი მეფე ხარ, ნება გაქვს
 მოჭრაც უბრძანო თავისა.
 მზასა ვარ... მაინც სიკვდილზე
 ნაკლები აღარც ეს არი,
 სულ კი უბრალოდ დამადე
 დღეს სამარცხეინო ბეგარი.
 რატომ მალედე არ მოვკვდი,
 თავს არ დამეცა მედგარი?!

ერეკლე სცდიდა ივანეს,
 იმან ეს როდი შაიტყო,
 წავიდა უიარალო,
 პირზე ნალველი დაიტყო.
 სწრაფად გავარდა კარშია,
 თავბრუ ესხმის და რეტია,
 უიარალო ვაჟკაცი
 დიაცზე რით-ლა მეტია?
 სიმწარისაგან ივანეს
 თითები დაუკვნეტია,
 მაგრამ საგმობლად ხელმწიფე
 მაინც ვერ გაუმეტია.
 მირბის, არ იცის საითა,
 როგორც გიჟი და ცეტია.

ერეკლემ კაცი აფრინა,
 აბჯრისთვის იხმობს შინაო:
 უნდა სხვა ხმალიც აჩუქოს,
 ის ხვარასნული რკინაო.
 მაგრამ ივანემ ბოკონზე
 ტყის პირპირ შაირბინაო.
 წავიდა, იალნოს ძირზე,
 ტყე-ტყე მგელივით დიოდა
 გაბენტრებული ჯავრისგან,

წყლული ჰკლავს, გული სტკიოდა.
 „რაღა ვქნა, რა მეშველება?“
 დადის, სულ ამას ჩიოდა
 და ბაღისავით ცრემლები
 თვალებზე ჩამოსდიოდა.
 წამოწვა ერთის ხის ძირას,
 დაბლა იორი ხეიოდა,
 იმ დღეს სულ უნაწილოა,
 პურიც აღარა შიოდა...

VIII

აგერა ხედავს პირდაპირ,
 სერ-სერ მოდიან ლეკები,
 ბელადს მოსდევენ უკანა,
 როგორაც ძაღლსა ლეკვები.
 იმ სერსა იქით და აქეთ
 უღვია დიდი ბეჭები.

უცბად ცამ ფერი იცვალა,
 დადგა ღრუბლები გორადა,
 აქოთდა, ასტყდა, აყვირდა,
 წარღვნასა ჰგვანდა სწორადა.
 ისეთი დელგმა მოვიდა,
 რომ დაამსხვრია მთა-ბარი,
 ცა თუ ზღვად იქცა, იტყოდი,
 და დღეს გაეღო ზღვის კარი.
 მუშტის სწორს სეტყვას ისროდა,
 ხეებს ჰკაფავდა ტოტებსა,
 ცა მწყრალი ყინულისასა
 მიწას ესროდა ზოდებსა.
 დასქდა ღვარები, აყეფდენ,
 მკაცრი ასტეხეს ყაყანი,
 მთელს სამყაროსა გლოვისა
 შავი ეხურვის საბანი.
 სისხლით გაბასრულს ლემს ჰგვანან
 ხეები ღვართთ ნაბანი.

იქ გაღმა, სერზე ტყეშია,
 ჯერაც სდგას ძველი საყდარი.
 ერთი კარი აქვს მარტოკა,

სხვად შესავალი არ არი.
 ლეკებმა საყდარს მიჰმართეს,
 დგომა არ სწადისთ მინდვრადა,
 ლამე იქ უნდა ათიონ,
 ლეკებს ესა აქვთ ფიქრადა.
 კოტორაშვილს-კი დარდი ჰკლავს,
 იგონებს თავის ფრანგულსა,
 და კბილის ღრქენით, მწყრომარე,
 მწარედ იმჯილავს თან გულსა.
 „არა უშავსო“ — წამოდგა,
 მოძებნა სიპი თხელია,
 იმით გამოჭრა კომბალი,
 კარგა მოზდილი, სქელია.
 და ამ ჯოხითა ორმოცს ლექს
 დღე დააყენა ცხელია.

ბინდის დროს კარზე მიუხდა
 და დაუყვირა მედგრადა:
 „გამოდით, ვინ ხართ საყდარში,
 სულ გამოლაგდით გარეთა.
 გეყოფათ ტკბილი ცხოვრება,
 ახლა დღე გაიმწარეთა!“
 თავი გამოჰყო ჯერ ერთმა,
 ივანეც არის მარჯვედა.
 უცხუნა თავში კომბალი
 და დააწვინა მკვდარია,
 ასწვადა ხმალი და დადგა
 სალის კლდის მინაგვარია.
 რამდენმაც თავი გამოჰყო,
 სუყველა ქვიშას გაჰრია,
 როგორც არწივმა წერონი,
 მტერი ერთ-ურთში არია.
 რამდენიც მოკლა, იმდენი
 ლეში ჭალაში ჩაჰრია.
 ასეა, უიარაღომ
 იღბლით ურჯულოთ დაჰრია,
 ასეა, ვისაც უფალი
 სწყალობს და მასთან არია.

ბევრი ვიუბენ და შენცა
სამაგალითოდ გქმარია.
აჰყარა იარაღები,
იმ დილით კაი დარია.
აჰკიდა ჯორას, დაბარგა,
წინ თვით დაუძღვა ხარია,
და მეფის კარზე მივიდა,
დინჯად ეზოში მდგარია.
იძახის: „მეფევე, აბჯარი
წაილე, მოიხმარია,
მაინც ხომ გიჭირს, მიილე,
მე ხომ არ შამიწყნარია.“
ლმერთმა აცხონოს ივანე,
ხომ აღარ არი, მკვლარია.

1896 წ.

სისხლის ძიება

სისხლის ძიება

(ამბავი ჩერქეზთა ცხოვრებიდან)

I

ცაზე ჰყვავიან ღრუბელნი,
 მზის სხივებს ჰსვამენ დილითა.
 მთებს აუხსნიათ პირბადე
 შვილებით, შვილი-შვილითა;
 გულგრილად იცქირებიან
 გაუმაძღარნი ძილითა;
 ქათიბს უღეჭავს ნიავე
 ბროლ-მინანქარის კბილითა.
 ერთმანეთს გადაჰხვევიან
 შალშავ, იონჯა წბილითა.
 უკვდავებასა სთესავენ
 ირგვლივ ყვავილნი პირითა.
 მიყრილ-მოყრილან კლდეები
 პირქუშნი, სახე მწირითა,
 არც დადნენ, არც დაიშალნენ
 დაუღუღარნი კირითა,
 არც ყურს გვიგდებენ თავხედნი,
 თუმც იმათ ქებას ვყვირითა.

თქვენ რომ გიცქერით, მთა-ქედნო,
 გული რბის ელეთ-მელეთა,
 გაიმბეთ ჩვენი სიგლახე,
 თქვენ-კი არ დაიჯერეთა!
 სიმტკიცე ცოტა ჩვენთვისაც
 რატომ არ მოიწველეთა?!
 ნაჟურნო სალის კლდისანო,
 უფსკრულში ჩაახველეთა!

ძუძუს რომ მოსწოვთ უსირცხვოდ,
 მაშინ მიუბრით დედასა,
 წახვალთ და ველარცა ჰნახავთ,

ეგ არი, ერთხლის მეტადა.
 დაეკიდებით მინდვრებსა
 ცით ჩამოშვებულ სვეტადა.
 ახარებთ ქალსა და კაცსა
 საამოდ, შესახვრებადა.
 ჩამოუმწყაზრავთ თვალ-პირსა,
 დაგეცემიან კრებადა...
 თან მოაქვთ თიხის კოკები
 კლდის ცრემლის ასაკრებადა.
 თქვენ რომ იცინით ბარადა,
 მთაში გიტირისთ დედები.
 გეძებენ თავის შვილებსა
 მკერდ-უდრეკელი ქედები.
 ამაოდ ჰრჩებათ გულისთქმა,
 უქმადა ცრემლის დენანი.
 თავს დაჰლულუნებსთ ნიავი,
 ვით ბებერს მუხას ქედანი.

II

მთის ბილიკს მოსდევს მხედარი
 აღვირ-ჩაყრილის ცხენითა,
 აღვიძებს ბალახს მთისასა
 ხამუშ-ხამუშის სტვენითა,
 ძლიერ დაჰლლია საფერხე
 მთა-ლეღებზე რბენითა.
 ცხენს დეზს გაუქნევს, დინჯადა
 გაუტყლაშუნებს მათრახსა;
 შემოდგა მთისა ყელზედა,
 მადლობას სწირავს ალღახსა.
 გასაგრილებლად შუბლისა
 უკან გადიწევს ფაფახსა.
 მიდამოს თვალი გადავლო,
 ნახა თავისი სოფელი,
 ლხენით აევსო სულ-გული,
 იქ ელამაზა ყოველი.
 განა მარტოკა კაცთ გვიყვარს
 თავისი მიწა მშობელი?!
 არც მოდის უსახელოდა

სისხლის დავლაზე მშრომელი,
 სისხლიანი აქვს ხმლის ვადა,
 ეგრევ ხანჯრისა ტარიცა,
 უქმად არ უტარებია
 ქრელად ნაქარგი ფარიცა.
 შეუსრულებავ პირნათლად
 მას დანაპირი ვალიცა:
 დაუკიდნია ტახტაზე
 წუხელ ნაშოვნი ხელია,
 ჯერ მას თავისი ბიჭობა
 არვისთვის გაუმხელია.
 უნდა საჩუქრად მიიღოს
 ხმალი, ფული და ცხენია.
 რაცა ჰქმნა—სასახელოა,
 ოდნავაც არა რცხვენია.

III

აგერ სასახლე და ციხე
 დიდის ჩერქეზთა მთავრისა:
 იტყვიან ასლან-ბეგადა,
 მოქმედად ბევრის ავისა.
 ყველაზე მტრულად მერჩოლი,
 არვისთან მქონი ზავისა.
 გულამღვრეული მუდამ-ყამს,
 სახითა ფერად შავისა.
 იტყვიან, ვითომ ასლანმა
 გასცა სამშობლო თავისა.
 ბევრის ცხვარ-ძროხის პატრონი,
 უმეტეს ცხენის ჯოვისა,
 მარჯვედ ფარ-ხმალის მომხმარე,
 მარჯვედ მგდებელი თოკისა.
 უკვდავება-ლა აკლია,
 იმას მივწვდებით როდისა?!
 რად არი გაუმაძლარი
 ნეტავ ბუნება ზოვისა?!
 განაგებს ჩერქეზთ სამთავროს,
 ყველა ძრწის იმის შიშითა,

ბევრი აიკლო სახლ-კარით,
 ბევრი ატირა ვიშითა.
 ერთი ქიჩირბე არ ჰმონებს,
 გათქმული ვეფხვის ჯიშითა.
 მისი ბოლმა ჰკლავს ასლანსა,
 ჯავრი იყაროს ვისითა?!
 ბევრჯელ ეცადა შეეპყრო,
 სდია მრავალის ბიჭითა.
 არ იქნა, ხელად ვერ იგდო,
 გაუსხლტა ერთის ბიჯითა.
 მრავალს ავალებს მის მოკვლას,
 ქრთამი აღუთქვა ფიცითა;
 თავის მკვლელებს ჰხოცს ქიჩირბე,
 გაურბის ლურჯის კვიცითა.
 დადის და ყველას არიგებს
 სიტყვით ძმურით და მტკიცითა:
 „რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,
 უღელს რად იდგამთ კისრადა,
 სხვისა ნაყმევი, ნალახი
 გამოადგება ვის რადა?!
 უბატონობა რით არ სჯობ,
 ნეტავ, ბატონის ყოლასა?
 რით არ სჯობია რაინდი
 ღამის საღალღობ ცოლასა?
 ომში მოკლული ვაჟკაცი —
 მეჩეთში მყვირალს მოლასა?“
 წელან რომ ვნახეთ მხედარი,
 ეგ არი მისი მკვლელია.
 უნდა მთართვას ასლანსა,
 ვითომ ქიჩირის ხელია;
 უნაგრის ტახტას ეკიდა
 გმირის მარჯვენა ცხელია.
 ის როდი იცის, მთა-ველი
 ამოღ დაუთელია.
 დემურს ის მკვდარი ჰგონია,
 ქიჩირი ისევ მთელია.
 რკინა არ კვდება მოწამლვით,
 კბილს რად ილაღავს გველია?!

IV

დღე ილულავდა თვალებსა,
 ცივმა დაჰბერა ნიავმა.
 სამგლოვიარო ჩაიცვა
 მთამ ბრწყინვალემა, მზიანმა,
 ვერც დააბერა, ვერც მოჰკლა
 დიდმა დარდმა და ზიანმა,
 აკურთხა უკვდავებითა
 განგების ძალმა ჭკვიანმა.
 ქორ-შეგარდენთა ბუდემა,
 ჩერქეზთ ქვეყანამ მთიანმა
 ბევრი გაზარდა ვაჟაკი
 თავის წყლულების საპოხლად,
 თავისა სადიდებელად,
 მტრისა გულ-მკერდის საპობლად.
 ნეტავ ვინ დასძრავს ბაგესა
 არწივთა ბუდის საგმობლად?!

სახლში მივიდა მხედარი,
 ცხენ-და-ცხენ მიდგა კარზედა.
 არც პირი დაუბანია,
 არც ულოცნია წყალზედა.
 დაღრიჯა ცხენი სადავით,
 უხმობს შინ მყოფებს გარეთა:
 „გამოჩნდი, ვინ ხარ სახლშია,
 ცხენ-კაცი ჩაიბარეთა!“
 მხედარი თავმოწონებულს
 ჰგავს მთას შემომხდარს მთვარესა,
 უნდა აცნობოს ქვეყანას,
 სად იყო, რომელ მხარესა, —
 რომ მოაქვს ქიჩირის ხელი,
 დაფასებული ძვირადა.
 ამიერიდან მის საქმე
 ექნებათ გასაკვირადა
 ჩერქეზეთს დიდთ და მცირეთა, —
 პატივისცემის გვირგვინი
 ედგმის მის სახლის ღირეთა.

ქალი გამოდგა ქოხიდან,
 შუქი გამოჰყვა პირითა.
 ქალი ვამსგავსე ამ დროსა
 ნამს, ვარდზე მბრწყინავს დილითა.
 თუ შურთხი არი ლამაზი,
 მსტვინავი მაღალ მთაზედა?
 ან თუ შავარდნის წიწილა,
 მწოლარე დედის ფრთაზედა?
 ან თუ ვარსკვლავთა კრებული
 უხვ-სხივიანი ცაზედა?
 ან თუ აღმასი ფრანგული,
 დაღირებული მკლავზედა?
 ან თუ ზღვა არი მშფოთარე,
 აყვირებული ზღვაზედა?!
 იქნება სამოთხე იყოს,
 ქვეყნად მოსული ციდანა?
 — ვაჟკაცის გულის ქირია,
 გადამგდებელი ჭკვიდანა.
 ცხენს ჩამოართმევს, ვერ ჰბედავს
 ჯერ ამოღებას ხმისასა,
 მოკრძალებით დგას ყვავილი,
 ხათრს ინახავდა ქმრისასა.
 ცხენი რა ნახა ნაოფლი
 და დატანჯული მეტადა,
 აძრახდა ნაწყენის ხმითა
 ცით ჩამოსული სვეტადა:
 „ან ცხენს რადა ჰკლავ, ან თაევსა,
 რად იარები უკლოდა?
 შენი რა ჰმართებს ქიჩირსა,
 რად ეკიდები უღვთოდა?
 შენს მეტმა არავინ სდია,
 ფიქრი დაურჩათ უგზოდა!
 ქიჩირის ხელის მოტანა
 შენს მეტ არავის უნდოდა?!“
 — დიაცთ ჭკვა ენაზე გაკრავთ,
 ფიქრი თმებშია წასული.—
 ამ დროს მოვიდა მეზობლის
 ბიჭი პირ-გადამახული.



— რა ჰქენო? — ჰკითხა: — მოხვედი
ნასახელარის თავითა?

— რა ვქენ და მოვკალ. — როგორა?
ხელში ჩაიგდე საითა?

— იქით, რომ სახლში ჩავუხტი
ლამით მძინარას ბანითა.

გამიგო, მაგრამ დავასწარ,

ყელი გამოვქერ დანითა.

შევღებე მის სახლის კერა

მისავე სისხლის ღვართა.

აჩხავლდა სახლში ბებერი,

მე კი ვადმოვხტი კართა;

ცხენს დავაფრინდი, წამოვედ,

ვცემე მათრახის ტართა.

მოჰქროდა ჩემი მიმინო,

ფეხებს იბანდა ქართა.

იქნება ტერელოელნი

უკან მომდევდენ ჯართა.

რას გაიგებდენ ბეჩავნი,

საით მოვქროდი ლამითა?

მოვქერ მარჯვენა, თან მომაქეს,

ნათქვამს ვამოწმებ ამითა. —

და სისხლიანი მარჯვენა

უჩვენა სახე-მცინარმა.

ქალი უკუდგა, შეაკრთო

სისხლმა, მარჯვენას მჩინარმა,

ხელებს იფარებს თვალებზე,

არ ნახოს ნათელ-მჩინარმა.

— ჰა, ყოჩაღ! — ბიჭი იძახის,

თან ხელსა ჰსინჯავს თვალითა, —

დავლა ვიწოვნავ ძვირფასი,

ნასახელარო გვართა.

— ახ, კაცნო, — ქალი: — რანი ხართ,

როგორის გულის მქონენი?

სულ სისხლის, სულ ვაჟკაცობის,

სულ სხვის დამცრობის მდომელნი.

თქვენ ჰსინჯავთ, გული მიღებთა,

თვალთ ელევნიან ღონენი.



— მაშ არ მიქნია კარგადა?
 აბა, უყურე სულელსა:
 ქიჩირს კი ცოტა მოუკლავ,
 ცოტასა სჭრიდა ხელებსა?
 რამდენს შენფერას აღენდა
 თვალთაგან ცხარე ცრემლებსა?
 ახლა თითონაც იგემოს
 გემო ნალესის ხმალისა:
 თუ სხვაზე ძალა კარგია,
 ჰა, ესეც სიტკბო ძალისა.
 მის სახლიდანაც შეესმას
 უფალს ტირილი ქალისა.
 დე, იხსენიონ წყევლითა
 ღონე დემურის მკლავისა.
 ვისც ავი დაუთესია,
 მომკალი არი ავისა.
 სწორს სხვის საწყაოს ირიდებს,
 ყალბი კი მოსწონ თავისა.
 მიწუნებ ქიჩირის მოკვლას,
 შე უდავლათოს გვარისა?!
 — რისათვის მომეწონება
 უგვანი ქცევა კაცისა?
 აქამდის ყველა აქებდით,
 ყველას აგყავდათ ცამდისა:
 „ლაშქარს ქიჩირი ერთია
 და ჩვენ ათასნი სწორადა,
 ქიჩირის ხმლითა ნაცემი
 გაიკვეთება ორადა.
 რაზეც ქიჩირი გაივლის,
 მტრის თავებია გორადა,
 სხვა არვინა ჰყავ ჩერქეზეთს
 ქიჩირთან ასაწონადა.“
 ახლა ყველანი აუტყდით
 ასლანის ჩაგონებითა,
 გადაიმტერეთ ძალადა.—
 სთქვა ქალმა დაღონებითა.
 — შენ არა იცი, უკკო ხარ,
 არც ცისა, არცა ქვეყნისა.

— არ მინდა, თვალებს მიშინებს
 ნახვა ქიჩირის ხელისა.

ვაქაცსვე ჰშვენის ეჭიროს
 ხელი მოკლულის მტერისა.

— ეგ კარგი. ასლანსაც ჰკითხე,
 მარჯვენას როგორ ელისა!

დემურს შინ მიაქვ მარჯვენა,
 ჰკიდებს აბჯართან ერთადა,
 სადაც ფარ-ხმალი, დამბაჩა
 ეკიდნენ გვერდის-გვერდადა.

V

ბნელმა დაჰფარა ქვეყანა,
 დრომ მოატანა ძილისა.

ვინ იცის, ტკბილად ვის სძინავ,
 ვინ იცის, ვინა ტირისა?

ვის ლოყა ვის ლოყას ეკვრის,
 ვის სუნთქვა უყვარს პირისა?

მშვიდობა სუფევს სოფლადა,
 მამალიც არსად ჰყივისა.

დემურსაც სძინავ, ცოლს არა,
 მის გული რასლაც ჩივისა.

ქმარს გამოუძვრა ნაბდიდან,
 რაა წადილი იმისა?

კრაქი აანთო, ჰსურს ნახოს
 მოკრილი ხელი გმირისა.

მიდის ცახცახით, უცქერის:
 ყურებში ხმა რამ უწივის,

თითქოს ხმა ესმის ნაცნობი,
 სამართ ვინმე უკივის.

გული ჰბგერს გაჩქარებითა,
 ვითომც კვერს სცემდნენ გრდემლზედა.

ყურს უგდებს გულის ჩქროლასა,
 თან იხედება გვერდზედა!

დემურსა სძინავ ტკბილადა
 ნაბად-წარხურვილს მკერდზედა!

ქალი უცქერის და ჰკრთება,
 სხივი ეკარგვის ყბებისა:

„ვაჰმე, რას ჰხედავთ, თვალებო,
 ბეჭედი დედი-ჩემისა!
 მისი სახელიც სრულადა,
 ნიშანიც ოქრომჭედლისა!
 ესეც აბედით დამწვარი,
 ჩვენ რომ სიყრმის დროს ვცელქობდით,
 ვინ უფრო გავძლებთ სიმწვავეს,
 მამაცობაზე ვდგებოდით.
 გრძელ და დიდს სთვლისა ღამესა
 ცეცხლა-პირასა ვსხდებოდით.
 ვაჰმე, შენ, ძმაო აღხასტავ?!
 ცამც დამქცევია თავზედა“.
 ერთი ხელითა ხელს იპყრობს,
 მეორეს ივლებს თმაზედა.
 „ღლე გავიმწარდეს, დემურო,
 ძმა მომიკალი რაზედა?!
 შავად მენახოს, ქმარაო,
 შენი ვარსკვლავი ცაზედა,
 შენი უმსგავსი მარჯვენა
 მტერსამც მიეკრას ქავეზედა!“
 ტკბილადა სძინავ დემურსა,
 არ იძვრის ქალის ხმაზედა.
 გულზე მიიკრა ძმის ხელი
 და გამოვარდა კარზედა.

მირზის შმაგევიით სოფელში
 და მიქვითინებს მწარედა.
 მირზის, იქ მირზის, ტერელოს,
 ძმა უნდა ნახოს მკვდარია.
 ქიჩირის სახლში იკითხოს,
 იქ უნდა მოხდეს ზარია.
 მკვდარ ძმას დის ცრემლი უხდება,
 ბანს მოსცემს მთა და ბარია.
 ცოლის ქვითინი არა მწამს: —
 უბრალო ნიავ-ღვარია;
 მალედევე გამოიღარებს,
 რაკი დაჰბერავს ქარია.
 დემური ცოლსა კითხულობს,
 დიაცი არსად არია.



აღარსად მარჯვენა მოჩანს
 იმისი ნადავლარია.

VI

ორშაბათ დილა გათენდა
 თავის რჯულით და წესითა.
 იცინის მთა-ბარს ბუნება,
 ლამის ნატანჯი კენესითა.
 მთაზე შაჯარდა ნისლები
 გზა-გზა ცრემლების თესვითა.
 ვინ ბრუნავს ქიჩირის სახლ წინ
 პირ-ნაღველ-გადაღესითა:
 „ეს ვინ დამასხა თავს ლაფი?“ —
 არწივი ამბობს ყუფითა. —

„ვინ შემარცხვინა თავხედმა
 სირცხვილით მეტის-მეტითა?
 სახლში მომიკლეს სტუმარი,
 როგორ-ღა ავდგე მკვდრეთითა?
 ჩემს გონებულა სხვა მოჰკლეს,
 ვიცი, ეს ვისიც ბრალია.
 თუ ვერ ვიყარო მტრის ჯავრი,
 წელზე რად მარტყავ ხმალია?!“

დილას თარეშით მოსული
 ცხენზედვე ჯდება კვალადა,
 შვილს ორი ბურკვა ხალისა
 დედამ უსაგძლა ძალადა.
 თვალებს აელვებს ქიჩირი,
 წარბნი ჰქცევიან კვამლადა.
 ფეხს უცემს ლურჯი მერანი,
 ესწრაფვის გასამალადა.
 წავიდა. მჭრელი ფრანგული
 უბრჭყვინავს ბუნით ვადამდე.
 ხმალს სცემს, ნაქები ბაზალა
 მიჩნეული აქვს ხატამდე.
 მინამ სტუმრის მკვლელს არ მოჰკლავს,
 უნდა იაროს სანამდე.
 კითხულობს, იძევეს საქმესა,
 უნდა შეიტყოს ამბავი.

არვინ უჩნდება, გულს უკლავს,
 იმის შემრცხვენის მნახავი.
 მაინც წინ მოდის დიკლოსკე,
 გულში იმედის კრთომითა.
 გული ეძლევა მხედარსა
 მტერთან შეყრისა ნდომითა.
 შეუდგა მთასა ტყიანსა,
 მიჰყვება ბილიკს ვიწროსა,
 არ დაჰსწმენდია გუნება,
 ჰგავდა დაჭრილს ვეფხვს იმ დროსა.
 ხანდახან გაიხმაურის,
 ცხენს შეუჯავრდის მკვახედა,
 თითქოს ჰსურს ჯავრი გულისა
 ამოიყაროს მაზედა,
 ნახა, რომ ვინმე დიაცი
 ქვითინით მოდის გზაზედა.
 წინ შეეხეჩა და ჰკითხა:
 — ქალო, ცრემლსა ჰღვრი რაზედა? —
 შუა იჭრება ქიჩირი
 იმის თვალების ფხაზედა.
 — აქ შენ რას დახვალ, რას ეძებ?
 რა დაგიკარგავ მთაზედა?
 — ჯავრი მაწუხებს ვაჟკაცის, —
 თქვა ქალმა მოთქმის ხმაზედა. —
 ხომ იცი, უდარდელადა
 ცრემლი არ დაიდინების,
 ვით კაცი უმიზეზოდა
 სხვისგან არ შაიგინების?
 — რა დარდი? ვინ ხარ, სად მიხვალ?
 მითხარ, ღვთის მადლსა, სწორია.
 — ტერელოსაკე, მხედარო,
 მანძილი კიდევ შორია?
 სადაური ხარ? ნუ მიწყენ,
 რომ სიტყვა გაგისწორია.
 — ტერელოელი დარლა ვარ,
 თუ სადმე გაგიგონია.
 — კარგი მაშ, იქ კაცი მოჰკლეს,
 მართალია თუ ქორია?



— ალხასტა? მართალი არი,
ის ქიჩირბის ძმობილი,
კარგი სამტროდ და სამშოდა,
არსად სიცილით ცნობილი. —
ქალმა კვლავ იწყო გოდება,
რა მოისმინა თხრობილი.

— ქიჩირის ნაცვლად მოუკლავ
ვისმე გონება-მჩატესა.
კაცი ვით ჰკლავდეს, მოსაკლავს
არ უხედავდეს სახესა?

ვაჰ, რო ქიჩირმა არ იცის,
ავს დაუგებდა მახესა.
თავის ნამუსის შეშხალავს,
თავის ოჯახის შუმრცხენელსა!

— მაშ ქიჩირბეი სადღაა,
არვის ამბობენ მნახველსა?

— ის ოსმალეთში გაიქცა,
ასლანის შუშინებული.

მოსძულდა იმასაც თავი
ყველასგან შუშინებული.

შენ ალხასტასი რალა ხარ?—

ჰკითხავს კვლავ დაფიქრებული.

— მე? და ვარ უკვლო, უბედო,
შავ-ბნელს დღეს დაბადებული.

— დემურის ცოლი ჰყოფილხარ,
ჩემთანა ფიც-ვერცხლ ნაქამი.

— ძმობა, ყოფნა და სიცოცხლე
იმაზემც არი არამი!

იმან არ მოჰკლა ჩემი ძმა,
განა ეკუთნის სალამი?!

— იმანა? რა ვქნათ, შემცდარა,
მოტყუებულია ბნელობით,
თორემ სხვად არა ეძრახვის,
ვაჟკაცი არი ხელობით.

გულში სინათლე ჩაუდგა
ქიჩირს ამ ამბის ცნობითა.
რაკი მტრად ის დაიგულა,

თითონ გააძღებს მტრობითა.
 ქალთან კი ამ დროს იმანა
 სიტყვა არ დაძრა გმობითა.

— მოტყუებულა? შექამოს
 თითონ ის ტყვიამ მწარემა,
 ჩააცვას წყევის სუდარა
 მთელმა ჩერქეზთა მხარემა.
 ცოლის ძმის მოკვლის ნაცვლადა
 თავი მოეკლა ბარემა?

ქიჩირის ხელის მაგივრად
 მოაქვს ცოლი-ძმის მარჯვენა,
 ვითომ მე ვიყავ ასლანი,
 მომიტანა და მაჩვენა.

შენი, ღვთის მადლსა, ის მინდა,
 გზა მიმასწავლო წესზედა.

— ძალიან კარგი. წამომყე,
 შევდგეთ იქ მაღალ სერზედა,
 გასწავლი ქიჩირის სახლსა,
 მას კოშკი უდგა გვერდზედა.—
 ქალიც დასთანხმდა, მისდევდა,
 ფეხს იბიჯებდა ფეხზედა.

— აგერ, გაჰხედე პირდაპირ,
 ძირს რო ჩამოსდგამს გორია,
 თეთრად რო მოჩანს—ქიჩირის
 ციხე-გალაენის ყორია.

მდინარე ტერელოსია
 გაწოლით, როგორც მორია.
 ამ გზას ჩაჰყვები, ძირს ჩახვალ,
 მერე სულ ვაკე, სწორია.
 ღმერთმა ძმის სული გიცხონოს,
 ცრემლებიც წაიხოცია.

მეც მეჩქარება, მშვიდობით!
 შენთვის გზა დამილოცია.—

თქვა რა ეს, აჩქარებითა
 მხედარმა გზა-გზა გასწია,
 თითზე იკბინა მწარედა,
 ფათახს წარბებზე დასწია.

მიდის ტყე-ტყე და მიუბნობს:

— წადი, კაცს ენდე სოფლადა,
 X შენს მოსაკლავად ის მოდის,
 ვინც გიცნობს კარგის მყოფლადა.
 ვაი შენ, ფიცის გამტეხო!
 შენებრ არ მოვალ ფარულად.
 მელა არა ვარ, არც ტურა,
 ქათმებს ვეპარო მალულად.
 ძლიერა წყრება ქიჩირი,
 დემურის სისხლი სწყურია.
 თავის წამწყმედის წაწყმედა
 მისი წესი და რჯულია.
 ფიქრს დაეწმინდა თვალები,
 წელან ბუნდი და რთულია,
 ვინაც მტერს მტრულად არ დაჰხვდეს,
 მისი სახელი კრულია.

მიდის, გადავლო ხევები,
 სერები ტევრიანები.
 ნამზღლევიანი ღელენი
 X თითქოა ქვევრიანები,
 დიალაც, მხოლოდ სისხლითა
 სავსენი, ბევრიანები.
 მთით ჩახდა, მინდორს მოება
 ბალახიანსა, მწვანესა.
 აქ, ამ ადგილას ჩერქეზნი
 არც როს არ სთესენ ყანებსა.
 ყვავილნი მუროიანით
 ნაზად აბზენენ თვალებსა.

X გაუსუქებავ მინდორი
 ჩერქეზთ და რუსთა ძვალებსა.
 ჟინეველა დაიწყეს ღრუბელთა,
 ბალახს დაუწყეს ღვიძება,
 მცენარეთ თავი აიღეს,
 უფალს შესწირეს დიდება.
 თუ არა ნამი ციური,
 არ გაელვიძათ იქნება?!

აქ, ამ ადგილას, იტყვიან
 ამბავს, საკვირველს რამესა:
 Y ვითომ აქ სისხლის ზღვა მდგარა,



Xის შავსუტოს მთვარესა.
 ზღვა დაეყენა ბრძოლასა
 ჩერქეზთ რუსებთან მწარესა.
 მას აქეთ მუდამ ყვავილნი
 ამკობენ ამა მხარესა.
 ყვავილნი სანთლად ნათობენ,
 გმირთ სულებს გაახარებსა.
 მოხუცი მოწიწებითა
 დასთვლიან გმირთა გვარებსა,
 ყრმანი უსმენენ გულს ჟრჟოლით,
 თან ჰბლუჯვენ ხანჯრის ტარებსა.

VII

დაბინდდა. კაცი კაცისგან
 ძლიეს იცნობოდა მაშინა,
 ჰხედავს რო ცხენმა შამბიდან
 ყურები გამოაჩინა.
 მაზე მორთული მხედარი
 ქიჩირს წაუდგა თვალ-წინა.
 „გამარჯვებო“, უცხომა
 შემოუძახა ამასა.
 გულს ნესტრად მოჰხვდა ესე ხმა
 ქიჩირსა იმავე წამასა.
 წინ მიეგება უცნობსა,
 როგორაც შვილი მამასა.
 — კი გაგიმარჯოს, მაგრამა
 ამას ვისას სთელ ყანასა?
 ვინ ხარ? სახელი რა გქვიან,
 რად სჩადი მაგისთანასა?
 — მე დემური ვარ.— და გული
 ამის მოქმელს ასმევს შხამასა,
 რაღაც ნაცნობი ხმა ესმის,
 ჰგრძნობს ცუდსა მოსაზმანავსა.
 — შენი სახელიც მითხარი,
 ბიჭო, ამაყად მყვირალო!
 — მე მკვდარი მქვიან, ძმობილო,
 ჩემის მარჯვენის მზირალო!
 დილაღ მკვდარი, მაგრამა

ხმაღს კი ვიხმარებ კიღეღა;
 ეცაღე თავის დაღვასა,
 შენი ღღეღები იღეღა.—
 და ხმაღმა ჭიღირისაღმა
 ღღემურის თავზე იღეღა.
 თავი გაღორღა მიწაზე
 ზანღად ტუღჩების ღღებიღა,
 ხმაღსა ტანიღ კი ჩაღეღრა
 დაღღერებულსა კეღფიღა;
 სისხღი ჩამოსღღის ღღემურსა
 ტანზე ჭიღაფრად, ჩღეღფიღა,
 ბაღახს ჰღღებს ცოღღის მღღებნეღი
 გულზე ხეღღების კრეღფიღა.
 ცხენი კი გაღფთხა, გაიღქცა
 პატრონის წყღღღღის მნახავი,
 გულის ვაღღების და დარღღის
 ჭიღხვინიღთ გაღმომსახავი,
 უცნობს ენაზე მოთღქვამი,
 ჭიღირის ხმღღისა მღღრახავი.

ჭიღირმა თავი აიღღო,—
 ხეღღი არ უნღა მტრისაღ.
 პირღაპირ ღღიკღღოს გასწიღ,
 კარგი მცოღღნეღა გზისაღ,
 გაღმათავა მინღღორი,
 ღღიკღღოს მოვიღღა ღღამიღა.
 მიღღბის ასღღანის ეზოში
 ხეღღში ღღემურის თავიღა.
 ასღღანის კარეღღის წინა
 თავს არღღობს ხისა ტარიღა.
 დაბრუღღნღა ტერეღღოსაღე
 ამსრუღღებეღღი ვაღღისა,
 თავსა ჰგრღღნობს ბეღღღნიერაღღა,
 აღღარ მღღღამეღღი ავისა.
 არავის უიში არა აღქვს,
 მინამ ღღურჯაი ჰყავისა...

VIII

იმ ღღამეს დარბაზს ასღღანი
 სამავნეღღოსვე ჰფიღქრობღღა,

დემურის მოუსვლელობას,
 ცოტა არ იყოს, ჰკვირობდა.
 ბოლოს მოიხმო მსახური,
 ჰკითხა სადარდო გულისა,
 ჰკითხა ამბავი წარბ-შეკვრით
 კაცისა დაკარგულისა.
 — ამბავი სწორედ შევიტყე,
 სხვა მოწამენიც არიან:
 კვირას მოსულა დემური,
 გაუმარჯვნია ძალიან.
 მაგრამ ვერ გნახა, ბატონო,
 რადგან ჯერ არა სცალიან.
 — გაუმარჯვნია? ქიჩირბე
 მართლა მოუკლავ დემურსა?
 — სწორეა, რჯულს გეფიცებით,
 თქვენგან ნუ მნახვენ გვემულსა.
 — თუ მართალს ამბობ, ამ საათს
 თავს ჰნახავ პატივცემულსა.—
 ასლანი მუქით ოქროსა!
 ჯიბიდან აძლევს მონასა.
 — რაღა სჯობ, ჩქარა მოვიდეს,
 ვერცხლის და ოქროს შოვნასა!
 რაც მას აღეუთქვი, სულ მივცემ,
 არ ვულალატებ ხსოვნასა.
 — საქმე სხვაფრივა, ბატონო,
 მიბრძანებთ? გეტყვით წმინდადა.
 დემურის ცოლსა მის მოკვლა
 გულს შესწდომია ფინთადა, —
 ქიჩირბეს ხელი წაუღავ
 და გაპარულა ბნელაში.
 დემური დილას წავიდა,
 ხანს ჰლევს ცოლისა ძევაში.
 დიაცის ფიქრი წყეულ არს,
 ვინ შევა იმის კვლევაში!
 — ეგ სხვა საქმეა, მაგრამა
 ვეჭვობ, თუ შესძლო საცადი.
 ძნელია, ბრიყვო, მის მოკვლა!
 მრავალ ქირს არი ნახადი.



IX

თქვენს მტერსა ისეთი დილა,
 მაშინ გათენდა ჭირისა.
 ზოგი ჩუმადა ვიშ-ვიშებს,
 ზოგიც ხმამალლა ტირისა.
 „ვინაა დემურის მკვლელი?“
 ნათესავთ გუნდი ჰყვირისა;
 ხანჯრებსა ჰკბენენ, მრისხანედ
 ცეცხლს აკვესებენ პირისა.
 არავინ არი გამრკვევი
 ამ საქმის გასაკვირისა.
 ასლანსაც გარისხებულსა
 დანა არ უხსნის კრიჭასა.
 იცოდა, სრულად ვერ ენდო
 მიტომ წუხანდელს ბიჭასა.
 „ამას ქიჩირბე იზამდა,
 ცოდვას ნუ იტყვით სხვისასა!“
 სახლის მოაჯირს წამდგარი
 ხალხს გადმოსძახებს იმასა.
 დემურის თავი შეჰხვიეს
 ჩერქეზთა ტილოს ქისასა.
 ტანის საძებრად წავიდნენ,
 კვალსაც იძევენ მტრისასა.
 რას იპოვნიან მშრალაზე
 ნაეალს ნაგეშის მგლისასა?!

X

გავიდა ცოტა რამ ხანი
 და გამოირკვა ყოველი,
 წინა-დღეს გაჯავრებული
 აღარა ჰპორგავს სოფელი.
 აღვილად აუგს არ ამბობს
 კაცი ქიჩირის მგმობელი.
 „მოსისხლის სისხლი აუღავ“,
 ხველა ამისი მთხრობელი.
 „ძალიან კარგად უქნია,
 დედა უცხონეთ მშობელი!“

მტყუენის და მართლის სამზღერისა
საქმეა გამომცნობელი!

XI

თავის წესს არ ჰშლის ბუნება,
ლამე დღეს, დღე სცელის ლამეთა.
მუხლმოკეცილნი სხდებიან
შავი ნისლები მთა-ველთა;
მრავალთა წყალთა იდინეს,
ჩამოუარეს ვაკეთა;
მრავალმა გამოთხოვების
აკოცა ლამაზს ბაგეთა.

ზოგი გაჩნდა და სხვა მოკვდა,
საფლავს მწოლარე ვნახეთა.
მტრობა, ტრფობა და სიძულე
ერთურთს უგმობენ სახეთა.
ის ჰრჩება მხოლოდ ქვეყანას,
რაც რომ ჩვენგანმა აკეთა.
ბევრჯელ გაიშრო მთამ ქედი,
ბევრჯელ მოირთო თოვლითა,
ბევრჯელაც ვნახე ცვრიანი,
ვით შუბლს მუშაკი ოფლითა.
წყალი არ მოჰშლის წყლობასა,
რაც უნდა ბევრი ჰნაყოთა!..

ასლანის გული სავსეა
ისევ ქიჩირის ჯავრითა.
ვერცა რას ფარ-ხმალით გახდა,
ველარც რას თავის მსჯავრითა.
ბოლოს სიფლიდეს მიჰმართა,
ეს-ლა იხმარა ღონედა.
გაფხავებული მახვილი
მოსაქნევია ღონედა.
ენაზე მჭრელი არა არს, —
ძველებსაც უთქვამთ სწორედა.
ვაჰ, კაცნო, ბევრჯელ ბრმანი ხართ,
ხშირად უღირსთა ჰმონებთა!
ხშირად ქვას უენ-პიროსა
ქვეყნის შემქნელად ჰგონებთა!

XII

კაცი მივიდა ქიჩირთან
 ერთხელ მაცდურად მცინარი,
 თაფლი და შაქარი არი
 მის პირით ამომდინარი.
 ჭალარ-შერთული მაჰმადა
 გათქმული არი ვონებით.
 არც უსახელოდ შთენილა
 ცხვრითა, ძროხით და ქონებით.
 აქებს, აღიდებს ქიჩირსა
 ხატებთან შენაწონებით,
 ჰპოხს გულ-ჩათხრობილ რაინდსა
 გულუხვად საღბო ქონებით.
 მიჰმართა მის გულ-გონებას
 სხვადასხვა რიგის ფონებით.
 სულ ბოლოს იგი უამბობს
 ჭკვიანად, გონებ-გონებით:
 — მართალი არი, ქიჩირო,
 ვერვინ გაშინებს ძალითა,
 ვერვინ დაგიძრა წამწამი
 შემოქნეულის ხმალითა.
 მაგრამ არც კაი დღეში ხარ
 მუდამ საფრთხეში ყოფნითა.
 მუდამ ხმალ-ამოღებული,
 ფეხზე შემდგარის თოფითა.
 თავის შინ ქურდულად დახვალ,
 ქურდულად პურის მქამელი.
 საცა გაივლი, მტრებითა
 სავსე გგონია მთა-ველი.
 მშვიდობის მიწა არა გაქვს
 ცოცხალ კაცს ორი მტკაველი.
 — სხვისა მონებას, მაჰმადო,
 ეგრე მირჩევნის ტარება.
 როდი მაშინებს სიცოცხლის
 სიკვდილად გადაცვალება.
 ერთი დღე ყველას მოგველის,
 დღე იყოს, მზეცა ბრწყინავდეს,



ჩვენ არაფერი გვესმოდეს,
ცივ სამარეში გვეყინავდეს.
ნეტავი იმას, ვინაცა
მკვდარი გასწირავს სახელსა,
და ყველა იმის ხსოვნასა
გულს ინთებს, როგორც სანთელსა.
ცოცხალი ცოცხალსა ვგვანდე
თავის გუნების პატრონად.
მოგკვდები, ერთი დღე მმართვეს,
მიწა მექნება ბატონად.

— ვინა თქვა მონად იქნები? —

გაჰხდები პირველ კაცადა.
რაც რომ ასლანი ფიცულობს,
ღმერთი აქცია ხატადა.
ორს ვაჟსვე ხელი დაადვა:
„ღმერთს შევავედრებ ამათა,
თუ მე რამ ვავნო ქიჩირსა,
ოღონდ მოვიდეს ზავითა.
თუ კიდევ არ დავსაჩუქრო
საჩუქრით მრავალ-გვართა“.
მერე ამ დროსა: ხმა დადის,
რომ გაგვამტვეროს, აგვიკლოს,
მოზღვავებულა ურიცხვი,
გამოჩენილა ხვარიგლოს.
ჩერქეზეთს ახლა სჭირია
ვისაც გული აქვს გმირული,
თავზედა ქუდი ჰხურია,
წელზე ჰრტყავ ხმალი მისრული, —
გასწიროს მკერდისხლიანი
მტერი კარებზე მისული.
რად უღირს, იცი, ასლანსა,
რომ მიუხვიდე ზავითა; —
ჩერქეზთ ლაშქარში ერიო
თავის ხმლითა და ფართა.
— რაც უნდა ის ქმნას, მე მოვალ,
ქმნას თავის გულის ნებისა,
არც ვისგან საჩუქარს ველი,
არც მდომელი ვარ შვებისა.



დაძრახვით ნურვინ დამძრახავს,
სმენაც არ მიყვარს ქებისა.
ღიად, წამოვალ, თუნდა თქვან:
ქიჩირი რასა შვრებისა?!
მე კი ჩვენს ჩერქებთ რჯულზედა
სახლში მიუვალ ძმურადა!
თუ არ დაირცხენის თითონა,
დაე, მომექცეს მტრულადა.
არც ეს მექნება სანაღვლოდ,
არც თავი დაკარგულადა.
საღმრთო წესს როგორ დაარღვევს,
ისეც გაფუჭდა სრულადა?!
— სულ ტყუილია, დალატსა
ტყუილად ჰფიქრობ, ძმობამა,
რა სიხარული აჩვენა
აქამდის შენმა მტრობამა?
ემ ჩემს ჭალარას დაენდე,
შენმა და ჩემმა ცნობამა!—
არ შეუცვალა მთქმელს ფერი
ტყუილის გამოცხობამა...
— კარგია, კარგი, მოხუცო,
სიტყვას რად ჰხარჯავ მრავალსა?
თავადაც კარგად გავიგებ
თავის თავგადასავალსა.
ხვალ ღამ, ან ხვალ-ზევით დილით
შინ ვეახლები მთავარსა.
ბევრს რად ჰფიცულობ, მის ნახვა
განა ეგრეცა მზარავსა?..
— როს დაგინახავს თვის კარზე,
გაუხარდება, იცოდე.
მოვაო, ვეტყვი... მშვიდობით!
ღროა, რომ გზაზე ვიდოდე.
— მშვიდობით, წადი!.. კარგს ამბობ,
ცოტას რომ არა ჰჟლიდობდე.—
რა გაისტუმრა მაჰმადა,
თქვა ეს ქიჩირმა ჩუმადა,
რაც ლომის ღმინი იქნება,
იღიმებოდა უმადა.

გულს დაეკითხა ათასჯერ,
ფიქრსა ჰშლიდა და აგებდა.
ბოლოს იფიქრა—წავიდეს,
თუ კი ქვეყანას არგებდა.
თვალთ წინ დაუდგნენ მოძმენი,
ომი ფიცხელი მტერთანა,
აოხრებული ქვეყანა,
გასწორებული მტვერთანა.

XIII

—რისათვის იყო სულელი,
რაზე საუბრით გირთავდა? —
მაჰმადას წასვლის შემდგომა
დედა ქიჩირსა ჰკითხავდა.
— ასლანი ზავსა თხოულობს,
უნდა ვეწვიო, დედილო.
— რას ამბობ? როგორ ენდობი,
გონება-გამოშრეტილო!
ბალღი ხარ, ახლაც მოსტყუვდე,
რომ მგელს ეძლევი პირშია.
ვინ მისცემს, სად გავაგონილა,
ბიჭო, ბედაურს ვირშია?!
ზავისა იმან რა იცის,
გველ-ბაყაყების ბუღემა,
ჩერქეზთა ქვეყნის გამცემმა
და ჯოჯოხეთის ზღუღემა?
რაკი წახვალ და არ იშლი,
რჩევას არ მისმენ მითაცა,
მაგ სიბრიყვესთან ბარემა
მოდღი და ჰქმენი ისაცა,
ჯერ კი მე მომკალ და მერე
იარე, როგორც გენებოს.
უშენოდ შენსა მშობელსა
ცოცხალს ნუმც ჰნახვენ ტერელოს.
— რაც ციხე აქამდის ვაგე,
ახლა დავშალო, კარგია?
სხვას ყველას ვბოვებთ, სახელს ვერ,
თუ ერთხელ დაგვიკარგია.



დიამც სიცოცხლე დავკარგო,
 ის ჩემთვის მეტი ბარგია.
 არამი არი ჩემზედა,
 მაინც არაში მარგია.
 მტერი რო მოდის, მაშ რა ვქნა,
 შინ დავიმალო, კარგია?
 რას ეგვანება ქიჩირი,
 რომ არ ერიოს ჯარშია?
 სხვა რაც უნდა თქვი, მაგრამა
 ეს რომ არ მოდის ჭკევაშია?!
 სიკვდილი ბევრად სჯობია
 ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია.
 რა სიცოცხლეა, რომა თქვან
 ჩემი ლაჩრობა მთაშია!
 დიაცებრ მანდილიანი,
 დედავ, გინდივარ რაშია?

XIV

ის იყო, ასლანის ეზოს
 დილის მზის სხივი ჰფენოდა,
 ცხენზე მჯდომარე ვაჟკაცი
 ეზოში ვინმე ჰშვენოდა.
 დამშვიდებულის სახითა,
 თითქოს არც როს რამ სწყენოდა;
 უხმობდა მეგობრულის ხმით,
 ასლანის გასვლას ელოდა.
 ორი მსახური სტუმარსა
 გამოეგება ხმიანად.
 ცხენს ართმენ, მიესალამენ
 ორივე თავაზიანად.
 შინისკენ მიიპატიყენს
 აუჩქარებლად, ჭკვიანად.
 იმათში არაფერს ჰხედავს
 ქიჩირი დამაზიანად.

მაგრამ იქით და აქედან
 გადმოხტენ აბჯრიანები;
 ზოგნი თოფ-შემოყენებით,
 სხვანი ხელ-ხანჯრიანები.

ხმა როდი გასცა ქიჩირმა,
 სდუმს ვით ქვა, ვითა ლოდია.
 არც წყევლა უთქვამს, არც ლოცვა,
 მან არ ატეხა შფოთია;
 თუმც მკერდში გული უქანავს
 ბოღმა-ნასვამი, ლოთია.

სტაცეს ხელი და შებოჭეს,
 ქიჩირი ქვასებ მდუმარებს:
 ხელსაც არა სძრავს სამტროდა,
 არც ილხენს, არცა მწუხარებს.
 უყურებს, ღობეს იქითა
 ქალი ვინმე ჰღერის მდულარეს.
 ბოლოს გამოჩნდა ასლანიც,
 შავს ღრუბელსა ჰგავ მქუხარეს:
 — მგელო! გაგაბი ხათანგში,
 არ დაასვენებ კბილებსა?
 რომ ჰკეხედი, —ასლანისასა
 სულ გაწყვეტ შეილი-შვილებსა,—
 ჩემს ჯილაგს ემუქრებოდი
 ამოფხვრას ფესვიანადა.
 ვერ ამოგფხვერი?! იგემე,
 მიცანი წესიანადა!
 სხვა ყველა დავიმორჩილე:
 მალლა ცა მეხიანადა.
 შენ არ მიხრიდი მხოლოდ ქედს,
 მოგექე ხერხიანადა?!
 აგანთებ, აგაპრიალე
 ცამდე თავ-ფეხიანადა!

მხოლოდ ეს უთხრა ქიჩირმა:
 — ერთს გეხვეწები დიდადა,—
 ნუ გააგონებ ქვეყანას,
 თავს ნუ აჩვენებ ფლიდადა.
 ნუ გააგონებ ჩერქეზთა,
 რომ მომატყუე ზ ა ვ ი თ ა,
 ნუ წაჰრყენი მოძმეთ ბუნებას
 შხამ-საწამლავეთ ავითა.
 ეს ჩვეულება მტკიცედ გვაქვს:
 წმინდად შენახვა კერისა,

პირობის დაურღვევლობა,
 ძმად შინ შენახვა მტერისა:
 — ეგ რომ წესად გვაქვს, ისა-ლა
 სისხლით დაბანა სისხლისა;
 მტრობისთვის მტრობა უზომო
 წესია ჩვენის მიწისა.
 რა ცოდვა არი, რა მადლი,
 ასლანმა უკეთ იცისა!

XV

ყველამ გაიგო სოფელში
 შეპყრობა ქიჩირბისა!
 კაცთა, ქალთა და ყმაწვილთა
 მოდენის იქმნა დღე ისა.
 მოქუჩდა ხალხი, მოგროვდა
 ეზოში ყოველ მხრიდანა,
 მხოლოდ სვაეები ზარობენ,
 არ მოგელავენ მთიდანა.
 ყველას ის უნდა, იხილოს
 თავზარ-დამცემი მტერისა.
 გამირების მოყვარულია
 თვალი და გული ერისა.
 გალაღებული ასლანი
 გულში ტკბილადა მღერისა!
 მან ბრძანა, როცა იხილა
 ბრბო, ერთმანეთზე მდგომელი:
 „თქვენ, კაცნო, ყველასაგანა
 თითო კონა ფიჩხს მოველი.
 მოზიდეთ ბევრისგან ბევრი,
 გავწურთნო ესე ცხოველი,
 მარტო ღვთის ბატონად მცნობი,
 სხვა ყველას წინა მდგომელი!“
 მოზიდეს შეშა უზომო,
 ცეცხლიც დაანთეს დიადი;
 შიგ უნდა ჩაწვან ქიჩირი,
 როგორც კვერი და ხმიადი.
 ქიჩირმაც იგრძნო კარგადა
 თვის სატანჯელი ფრიადი.

მაგრამ ის წარბსაც არა ჰხრის,
სდგას ვით სალი კლდე ზვიადი.

მიუდგა ქიჩირს ასლანი

ახლოს თავ-მოწონებული:

— მოგწონს, ქიჩირო, სასჯელი
ეს ჩემგან მოგონებული? —

ახლა ძლივს სუნთქავს ნებითა
გულზე დარდ-მოფონებული.

— მომწონს და არც შემაშინებს
ათასჯერ მეტიც იყოსა.

თუ გავტყდე, ღმერთი მრისხავდეს,
წყალმა და ღვარმა მრიყოსა.

— არ გეშინიან? სწორედ თქვი,
მხოლოდ დაგიხსნის მუდარა.

— ძაღლებს არას სთხოვს ქიჩირი,
მოკვდეს, მით არა უნდა-რა.

— მაშ თუ არ გზარავს სიკვდილი,
კიდევ იმღერებ, არაო?

— ძალიან კარგად, — ქიჩირი
ვითომ თავის შინ მჯდარაო.

მონებს უბრძანე, ჩონგური
რო მომიტანონ ჩქარაო.

მალე ჩონგურიც მოართვეს,
ჩამოჯდა, მოიხარაო!

თოკით შეკრული მკლავები
სახმარად მოიგვარაო.

ჯერ გადაჰხედა გროვასა
ცეცხლის მფრქვეველის თვალებით.

ცეცხლი ცეცხლს დასწვავს, რა უშავს,
გარს შემორტყმული ალებით.

თვით იტანჯება, რომ იწვის,
სხვას კი გაათბობს წვალებით.

გაჩაღდა ცეცხლი და ბოლი
შეიკრა როგორც ბარდია,

ცას შავ ღრუბელად გადეკრა,
თითქოს ტირილი სწადია.

ხალხში ხმას არავინ იღებს,
ქიჩირს შესცქერენ შტერადა.

ქიჩირმა ლარებს ჩამოჰკრა
 და გაიხედა ცერადა.
 იქ ნახა ქალი ლამაზი
 რომ იღვრებოდა ცრემლადა,
 იგივე, ვინაც წელანა
 მის შეპყრობის დროს ტიროდა.
 ქალის ტირილსა ქიჩირი,
 ცოტა არ იყოს, ჰკვირობდა.
 იცნო და პირმა შესცინა,
 დატყვევებულს ვეფხვს იამა.
 გამოათხიზლა ყველანი
 ჩონგურის სიმთა წკრიალმა.
 აჰკრა ხელი და ჩამოჰკრა,
 თან ზედ დამღერა ხელადა.
 დღესაც ამ ლექსების ცოდნა
 ყველა ყრმას ადევს ბეგრადა.

1.

ფლიდია ესე სოფელი,
 ფლიდთა საყრელი ხელისა;
 კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსთ-კი
 კალთას აფარებს, ჰშველისა;
 მართალი წუთისოფელში
 შვებას ამაოდ ელისა!

2.

სამშობლოსათვის მამაცი
 არის მადლი და დიდება.
 მალე დაჰლუპავს ქვეყანას
 ლაჩართა გადაკიდება.
 ვინ იყო ქვეყნის ორგული,
 ვინ ჰშველდა გიაურებსა,
 გააწყვეტინა ჩერქეზნი,
 აჰმევედა მგლებს და ტურებსა,
 დააჰკრა საკუთარის ხმლით
 ცურები ჩერქეზთ ფურებსა.
 იმის ძმებს მტერი ჰმუსრავდა,



თვით ჯიბეს იყრის ფულებსა.
მიკვირს რომ ასეთ უმსგავსთა
ქვეყანა რაღა ჰყურებსა?!

3.

სულდგმული დღესაც ვსულდგმულებ
მამა-პაპათა რჯულითა.
ნაგრძნობი ჩემის გულისა
არ მიწონია ფულითა.
მიყვარს ჩერქეზთა ქვეყანა
წმინდა ჩერქეზის გულითა,
მიყვარს მთები და ველები
გულ-მკერდით დაქარგულითა;
ვინ იცის, ვინა ვცხონდებით
და ვინ წავწყმდებით სულითა!

4.

ბიჭობა ათასნაირი,
ათასის სახის მქონეა.
ვისაც სიკვდილი აშინებს
ის ბიჭად არა მგონია.
თავის გაწირვა ადვილად
ვაჟაკთა სულის ღონეა.
ვაჟაკთ დაიცვეს ქვეყანა,
გამრავლდეს იმათ ჯიშია;
ფლიდთა, სულ-მდაბალთ ჯილაგი
რომ გასწყდეს ისა სჯობია.
გველის წიწილა გველია,
ხოლო ვირისა—ვირია.
კუნელზე ყურძენს არ ჰკრეფენ,
არცა-რა გასაკვირია.
უმსგავსთა, ფლიდთა მომსპობად
ვახმეს ფოჩი და ძირია.

XVI

ბაღლები შემოპხვევიან,
შესჩერებიან ქიჩირსა.
ასლანის ორი ვაჟიცა



გვერდითა დგანან მის პირსა.
 ცეცხლი კი უფრო გაჩაღდა,
 ალი ალსა სცემს, ტრიალებს.
 საზარი სანახავია, —
 სიკვდილის ბჯღალი ტრიალებს.
 „აი, ბიჭობაც ეს არი!“ —
 კვლავ დაიძახა მხედარმა,
 ილლიას სათითაოდა
 ბალები იკრა მკეხარმა,
 არა ამოოდ მომთქომმა,
 არ უსაფუძვლოდ მკვებარმა.
 „აი, ბიჭობა, ნახეო!“
 და დაიღუპა ცეცხლშია
 სამის სულდგმულის სახეო.
 ამითი როდი გათავდა
 ამ ცეცხლის ზღვასთან ომია.
 ქალი გამოხტა გროვიდან,
 ციდან მოსული მგონია,
 ისიც თან მიჰყვა ქიჩირსა,
 თქვეს: „ეგ დემურის ცოლია!“
 ცოცხალ-მკვდრად დარჩა ასლანი,
 გაშტერებულა ღუნია;
 სულს ჰხუთავს, ბუნებას ჰშხამავს
 ცეცხლში დამწვართა სუნია.

XVII

მეორე დილას იპოვნეს
 იქვე სხეული ბებრისა;
 საკრეფად წამოსულიყო
 ქიჩირის ძვალთა მტვერისა.
 ეკრიბა კაბის კალთაში
 თუ რამ ცეცხლს ფერფლი რჩენოდა;
 ეძებდა შვილის ნიშანსა,
 ეგებ რამ გამოსჩენოდა.
 რომ ვერაფერი ეპოვა,
 მასაც სიცოცხლე სცხვენოდა.
 დანა დაეცა გულშია
 და სისხლი გადმოსდენოდა.

XVIII

ასლანზე რაღას იტყვიან,
 სადაა? როგორ რჩებაო?
 — ძალიან ამბავს ამბობენ:
 უნამუსოდა კვდებაო.
 ჭირი რამ შეჭხვდა უწამლო,
 მთაზე თოვლივით დნებაო.
 ლოგინად ჩავარდნილია,
 ფეხზე ველარა დგებაო.
 დამბლად დაეცა, ჭკვით შესცდა,
 შუა მოხრილა გრკალადა.
 არც რჩება, აღარცა კვდება,
 ცოცხალი არი ძალადა.
 პურზე, საჭმელზე იძახის,
 როცა მიართმენ, ასეა:
 „წაიღეთ, შორს გამაცალეთ,
 გველ-ბაყაყებით სავსეა!“
 ვინც სალმით მივა იმასთან,
 ჩერქვით მთავარი ივია,
 ბოდიშის ნაცვლად მიუგებს:
 „მე როდი გამიყილია!“

ათასჯერა წვიმს, სეტყვაა,
 მთებზე ნისლევი ჰკილია,
 ბევრი რამ ხდება ქვეყნადა,
 შიგ ცოდვა-ბრაღი დიდია;
 ბუნება წარბსაც არ იხრის,
 მაინც მშვიდი და მშვიდი.

1897 წ.

ვარიანტები.
შენიშვნები. ბიბლიოგრაფია.

პარიანტები. უნიუზნები. ბიბლიოგრაფია.

ამ ტომში მოთავსდა ვაჟის 17 პოემა: 1. მოხუცის ნათქვამი. 2. გიგლია. 3. მონადირე. 4. გოგოთურ ჭ აფშინა. 5. სულა და კურდ-ღელა. 6. ალუდა ქეთელაური. 7. კობალა. 8. ეთერი. 9. დაჭრილი ვეფხვი. 10. ილო. 11. ბახტრიონი. 12. მეჯლისი ლომისა. 13. თეთრო გიორგი, შვილი რა მიყავ? 14. სტუმარ-მასპინძელი. 15. ხის ბეჭი. 16. ივანე კოტორაშვილის ამბავი და 17. სისხლის ძიება. პოემები დათარიღებულია პირველ-ნაბეჭდის მიხედვით, ვინაიდან არსებული ხელნაწერები უთარიღოა. მაგრამ როგორც თვით ავტორი ამბობს (იხ. მისი წერილი: „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“, გაზეთ „სახალხო ფურცელ“-ში, 1914 წ. № 21-23)*, ყველა მისი პოემა, გარდა ერთისა, იმ წელს არის დაწერილი, რა წელსაც იბეჭდებოდა. მხოლოდ ერთი პოემა, სახელდობ „მოხუცის ნათქვამი“, დაბეჭდილია დაწერიდან მეოთხე წელს (1886), მაშასადამე მისი დაწერის თარიღია 1883 წელი.

სრული ხელნაწერი მოგვეპოება მხოლოდ სამი პოემის: გოგოთურ ჭ აფშინასი, სტუმარ-მასპინძელის ჭ სისხლის ძიების. პირველი ორი წარმოადგენს პოემების შავს, პირვანდელ რედაქციას, ხოლო უკანასკნელი (სისხლის ძიება) ავტორს გადმოუწერია პირველ-ნაბეჭდიდან და დაუმზადებია ცალკე გამოსაცემად. ტექსტში შეუტანია მკირეოდენი ცვლილება და შეუსწორებია შეცდომები, მაგრამ გადმოწერის დროს გამორჩენია რამდენიმე სტრიქონი. ნაკლები ხელნაწერები (ექვსი პოემისა) წარმოადგენენ აგრეთვე შავებს, ხოლო დანარჩენი რვა პოემის (1. მონადირე. 2. სულა და კურდღელა. 3. ალუდა ქეთელაური. 4. კობალა. 5. დაჭრილი ვეფხვი. 6. ილო. 7. თეთრო გიორგი ჭ 8. ხის ბეჭი) ხელნაწერები არ არის.

პოემების პირველ-ნაბეჭდი ტექსტი შედარებულია როგორც ავტორაფებთან, აგრეთვე ყველა არსებულ გამოცემებთან და ქვემოთ ნაჩვენებია ყველა ვარიანტი.

ტექსტში ცალკე სიტყვების განმარტება ავტორისაა.

შემდეგ ტომში დაიბეჭდება ვაჟის დანარჩენი პოემები.

*) ეს წერილი აქვე იბეჭდება დამატების სახით.

1. მოხუცის ნათქვამი (გვ. 5).

- A == უნივერსიტეტის მუზეუმში დაცულია პომის ავტოგრაფი (№ 5319). აკლია უკანასკნელი თავი.
- B == პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1886 წ. № 89. (25-IV).
- C == მოთავსებულია წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემაში „მოთხრობანი“ 1889 წ.
- D == ცალკე გამოცემა „შალვას ნანახი ხატი და მოხუცის ნათქვამი“ 1896 წ.
- E == მოთავსებულია წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემაში „თხზულებანი“ 1899 წ.

პომის მეოთხე თავი დაიბეჭდა ცალკე ლექსად გაზეთ „ივერია“-ში 1895 წელს, № 197, კრწანისის ბრძოლის ასი წლის თავზე.

ჩვენს გამოცემაში იბეჭდება პირველ-ნაბეჭდის მიხედვით (B), მკირეოდენის შესწორებით, რომელიც შევიტანეთ როგორც ხელნაწერიდან, აგრეთვე E გამოცემის ვაჟასეულ ეგზემპლარიდან, სადაც ვაჟას ხელით არის გასწორებული ზოგი სიტყვა. (ეს ეგზემპლარი გადმოგვცა ვაჟას ძმამ ალექსანდრე რაზიკაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

ხელნაწერს სათაურად აქვს: „მოხუცის ივერიელის მოგონება“.

- 5, 4* ზეზე] ფეხზე A.
- , 7 წინანდებულად] წინანდებულად E.
- , 16 ჩვენის რჯულის მტერს, მუხანათს] და საქართველოს მუხანათს A.
- , 20 მამალიც ყივის სხვაგვარად] მამალიც სხვაგვარად ყივის A; ჰყივის BCD.
- , 27 ჩინჩხვრების] წიწკრების A.
- , 31-32 მარტო ღვინო და ქალია...

ამგვარს ვაჟაკცებს ქალებიც] A-ში ეს ორი სტრიქონი ფანქრით წაშლილია და მათ ალაგას ფანქრითვე დაწერილია:

მხოლოდ ამ ორმა საგანმა

ხალხის არსება დალია.

*) პირველი ციფრი მაჩვენებელია გვერდისა, ხოლო მეორე — სტრიქონისა. სტრიქონები ყოველთვის ზემოდანაა ნაანგარიშევი.



- 6, 3 კაც იყოს, თუნდა ქალია] კაცი იყოს, თუნდ ქალია D.
 —, 2-9 სცხვენოდეს.... ბრაზია] A-ში ეს რვა სტრიქონი არ არის.
 —, 18 ქალი] ქალიც E.
 —, 21 ნამუსის] სვინდისის A.
 —, 23-24 არ დაბრუნდები ნეტარა?!
 რომ ამაყობდეს ღიაცი] რას ვაქნევთ გარყვნას ნეტარა?!
 რად არ ამაყობს ღიაცი BCDE.
 —, 32 ჯარს მოთავეობს მაჰმადი] წინ მოუძღვება მაჰმადი A.
 7, 1 ქვა-კირით არის ნაგები] იმას კი ვენაცვალეები A.
 —, 9 ტფილისსა] თბილისსა A.
 —, 12 აღელვდენ] აღელდენ D; აღელდნენ E.
 —, 13-14 სოფლიდამ სოფელს გასძახის ბუკის, ნალარის ხმებია] გრძნობის ამგზნები კოშკებში ისმის ნალარის ხმებია A.
 —, 14 E-ს აკლია ეს სტრიქონი.
 —, 21-22 თვალთ მომეჩვენა ვაჟკაციო ომი, შუბ-ხმალთა ტრიალი] მოკლულს ქართველ კაცს ვიდგენდი, მესმოდა თათრის „ქყურტიალი“ A.
 —, 21 თვალთ მომეჩვენა ვაჟკაციო] A-ში ეს სტრიქონი არ არის. ყველა ნაბეჭდში არის ვაჟკაციოთა. ვაჟასეულ ეგზემპლარში ვაჟას ხელით გასწორებულია: ვაჟკაციო.
 —, 29 მიძე] მიღევს BCDE.
 —, 35 ცხენის] ცხენი BCDE.
 8, 1-2 მეც მერგოს წილად ომს ყოფნა მფარველად მამულისაო] ვიყო მეც წვერი ჯარისა მფარველის მამულისაო A.
 —, 11 ნუგეში ეცა ყველასა] ნუგეში იცა ყველამა E.
 —, 12 მთიელთა] მთიულთა B.
 —, 13 მოისმა] შეგვესმა A.
 —, 25-26 რაც უნდა მტერი მოვიდეს, არვინ შეიმჩნევს კირადა] თუნდ ბევრის-ბევრი მოვიდეს, ასი ეყოფა იმათა A.

- , 29 მოუძლოდა] მიუძლოდა BCDE.
- , 31 მოჰქონდესთ] მოჰქონდეს CDE.
 იქვე სიტყვა „კულუხი“-ს განმარტება ხელნაწერში ასეა: „ფშავლებს აქვს სახატო ზერები კახეთში. ხატობის დროს მიაქვთ ღვინო აქედამ. ამას ჰქვიან „კულუხი“.
- , 33 შაკრბენ] შეკრბენ E; მოვიდნენ] მოდიან A.
- , 35 საგძალსა] საგზალსა BCDE.
- 9, 1 დაუბამ] დაუბამთ BCDE.
- , 4 მიმდინარს] მიმდინარ CD; ლაშქარსა] ამ ხალხსა A.
- , 5-8 თუ ვინმე გამოქცეული
 ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
 ლამი აჭამე შერცხვენილს,
 რომ სახლში ველარ მოვიდეს!]
 თუ ამათგანი მოვიდეს
 გამოქცეული შენს კიდეს,
 ლამი აჭამე იმასა,
 ცოლ-შვილში ველარ მოვიდეს A.
- , 10 მთიელებს] მთიულებს BCDE. ვაჟასეულ ეგზემპლარში ვაჟას მიერ გასწორებულია მთიელებს, როგორც ავტოგრაფშია.
- , 15 დააფთრებული] გააფთრებული BCE.
- , 19 ჩანდნენ] სჩანან A.
- , 24 მათი] იმათ A.
- , 27 სწორედ ის არის] სწორეთ ის არი A.
- , 28 მეფე ერეკლე] ვაჟაკი კახი BCDE. თავის ეგზემპლარში ვაჟას წაუშლია ვაჟაკი კახი და წაუწერია მეფე ერეკლე, როგორც ხელნაწერშია.
- , 29 ერთს] ერთ A.
- , 31 უკვენ] უკან BCDE.
- 10, 2 ჩვენკე] ნებ-ნებ A; ჩვენკენ CDE.
- , 3 და ჩვენც] ჩვენ კი A.
- , 5-8 აყვირდენ ფშაველ-ხევსურნი,
 მოხევე-გულამაყრელი:
 „შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
 შენნი ერთგულნი ქართველნი...]
 აყვირდენ ფშაველ-ხევსურნი,
 გულამაყრელი მოხევე:

- შენს წინ ვართ შენნი ერთგულნი,
 სად არის ქართველთ მოღვეე? A.
- , 16 მეფის ერი და ფერია] მეფის იერი, ფერია BCDE.
- , 19 ამბავსა] ამბავთა A.
- , 20 თავისთან] იმასთან A.
- , 24 რომ გასწყდენ] რომ მოკედენ ABCDE. ვაჟასეულ ევ-
 ზემპლარში ვაჟას მიერ გასწორებულია: გასწყდენ.
- , 27 ჰგვანდა] ჰგავდა BCDE.
- , 33 ქართლისა] ქვეყნისა A.
- 11, 5 სული დალია] მიწას გაჰრია A.
- , 7 თავის გვერდთ ედგა] ედგა მას გვერდით A; თვის
 გვერდით ედგა E.
- , 22 არ დააბრალონ] არ მიაწერონ A.
- — მეხუთე თავის უკანასკნელი სტრიქონის შემდეგ ხელ-
 ნაწერშია კიდევ ოცი სტრიქონი:
 ესეა, ვისაც მამული
 უყვარს, სჭირს მისი ტრფიალი,
 თავისთავს ზოგავს არც ერთხელ,
 თუნდ რომ ცდა იქმნას ტიალი.
 თუნდ რომ იცოდეს, რომ მტერსა
 ვერ მოჰკლავს, თვითონც მოკვდება,
 სიკვდილით იცემს ნუგეშსა,
 სვინდისის სასჯელს მოჰრჩება.
 ვის არ ურჩევნის სამარი
 დაუშრეტს გულის-ტკივილსა,
 როს ჰხედავ, შენი მთა-ბარი
 ხელში უჭირავს სხვის შვილსა.
 უნდა შვილები წაგართონ,
 ცოლს მოგიხდიან ლეჩაქსა,
 მაშ რისთვის გინდა მკლავები,
 თუ არ გაუსრეს გველს თავსა.
 თუ ვერ შეიძელ საცადი,
 გიკბინა სასიკვდილოდა,
 მოკვდი, გეხუროს ნაბადი
 მიწისა, გასათბილოდა.
- , 27 ქართლელ-კახელნი] ქართველ-კახელნი B.
- , 28 გათქმულნი] განთქმულნი BCDE.
- 12, 1 საყმედ] ყმადა BCDE.

- , 4-7 ეს ოთხი სტრიქონი („თუ ვერ... გასათბილოდა“) A-ს აკლია.
- , 7 ნაბადი, გასათბილოდა“.] ნაბადი მოსათბილოდა BE; ნაბადი გასათბილოდა D. აგრეთვე თავის ეგზემპლარში სიტყვაში მოსათბილოდა ვაჟას ასომ გადაუსწორებია ასოდ გ, ხოლო ო-ნის გადასწორება დავიწყებია.
- , 18 სისხლისამ] სისხლისა A.
- , 19 ქართველთა] ივერის A.
- , 22 ვსჩანდით] ვჩანდით CDE.
- , 25 გვაჭარბებს] გაჭარბებს CDE.
- , 28 შემოკვალთულნი] შემოკალთულნი BCDE.
- 13, 4 აბრაშუმზედა] აბრეშუმზედა E.

2. გოგლია (გვ. 17).

- A = პოემის ავტოგრაფი მე-VI თავამდის, სახელგამის კოლექცია.
- B = პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1886 წ. № 190, 191. (4-IX).
- C = გადმობეჭდილია წ.-კ. საზოგადოების 1899 წლის გამოცემაში „თხზულებანი“.

- 17, 17 მაუკვდე] მოუკვდე C.
- , 19 მინახავ] მინახავს C.
- , 22 ლურჯაზედ] ლურჯაზე C.
- , 26 ახადის] ახალის BC.
- 18, 1-4 A-ს ეს ოთხი სტრიქონი აკლია.
- , 4 შავჭამთ] შევჭამთ C.
- , 22 აბჯარნ] აბჯართ BC.
- , 30 დაემდურება] დაიმდურება BC.
- , 31 ისითა] ისეთი C.
- , 32 ხომ] ხო A.
- 19, 4 დაღეწილები] დაბლა მიწაზედ A.
- , 8-9 დაჭბრუნავდენ; ჩხაოდენ] დაბრუნავდენ; ჩხაოდენ B.
- , 10 ვაჰმეს] ვაჰმე A.

- , 15—22 რა გაიგება..... მტერმა დალია] ამ რვა სტრიქონის ნაცვლად A-შია ოთხი სტრიქონი:
სიზმარი, შვილო, ხანდახან
ავად ნანახი კარგია...
რა უყოთ, გადახდა გვინდა,
მტერმა დაგვადგა ხარჯია.
- , 34 მეზობლის ქალი] სოფ. ქალი A.
20, 2 როგორს] როგორ BC.
- , 4 ძალთი ძალლი] ძალთა ძალლი C.
- , 7 მტრისა] ლეკის A.
- , 12 ფშავის] ჩარგლის A.
- , 14-15 დაპრპიალებდეს] დაპრპიალებდა C; გააკვირვებენ] გააკვირვებდნენ B; გააკვირვებდა C.
- , 17-19 A-ში ეს ადგილი ასეა: (ცხენს ჩამოართმევს გიგლიას და შორს გამოჰყვება. თამარი და დედა გიგლიას უყვენ შისდევნენ. თამარი ტირის და ჩამოგეიდება გიგლიას ყელზედ—ჰკოცნის. დედა არ აკოცებს, დაულოცავს [გზას]).
- , 21 შამასწროს] შამასწვრას B.
- , 25 მშვიდობით! ჯვარი გეწეროს! მშვიდობით წადი, ჯვარი გეწეროს... AB.
ამის შემდეგ ხელნაწერშია:—გიგლია წავა.—აჩქარებით მიდის. გზაზე დედაკაცები უხედებიან და ეძახიან: „მშვიდობით წადი, ჯვარი გეწეროს“.
- , 28-29 აქა-იქ ავლებს ლომივით
იმ ცეცხლმოდებულს თვალებსა]
მხედრის სიმღერა უხდება
მის ცეცხლმოდებულს თვალებსა A.
- , 30-32 გახდა..... დაგიღვეს] A-ში ეს სამი სტრიქონი არ არის.
- , 32 ცუდს] ცუდ C.
21, 1 ამოზუბუნდა ქარია] A-ში ეს სტრიქონი არ არის.
- , 6 აგერ] ვიცი A.
- , 8 მალი-მალ] მალ-მალე BC.
- , 10-11 ამბობენ, სუ როგორ გასწყდა
ფშაველებში ქუდოსანიო.]
ფიქრობენ: სუ როგორ გასწყდენ,
ქუდოსან აღარ არიო A.



- , 14 ტიროდა] სტიროდა BC.
- , 16 ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო] ავაჰმე, ჩემო სახლ-კარო C.
- , 18 ჩვენო] ჩემო C.
- , 24-25 თინიბექაანთ ბიჭები
 სუ ლუკმა-ლუკმა ასჭრესო.]
 თინიბექაანთ ბიჭებსა
 სამსავე თავები გასჭრესო A.
- , 26 გაჰკროდა] დაჰკროვდა BC.
- , 29 ტყეს] ხეეს A.
- , 34 ირევა მალლით და ძირით] ამოდის ხევებშიითა A.
- , 36 მხედრის] გორგის A.
- 22, 1 მიაქვე] მიაქე A.
- , 2 მიაქვის] მიაქვის A.
- , 5 სჭირდება] უნდება A.
- , 16 გვეყოფა] გეყოფა BC.
- , 18 ამდენი] ამდენის C.
- , 16—21 „დაო, გვეყოფა..... კვალადა] ეს ექვსი სტრი-
 ქონი A-ში პირველად ასე ყოფილა:
 „დაო, გვეყოფა ტირილი,
 პირ დაიბანე, თინაო,
 გიგლიამ შამაიარა,
 შუქ მაუძლოდა წინაო.
 უკვენ მისდევდა ლურბელი,
 ზღუდე შეეკრა შავადა...
- , 29 დაჰმართებს] დაჰლარებს C. A-ში არის ერთი წაშ-
 ლილი სტრიქონი, სადაც ამავე მნიშვნელობით ნახმა-
 რია სიტყვა დაჰმართებს:
 მთვარე ამოჩნდა ნალევი,
 სხივნი დაჰმართა ბარადა.
- , 30 ყინჩად] A-ში ამ სიტყვას აქვს განმარტება: კარგად,
 კობტად, ლამაზად.
- , 33 2) არ არჩევს] სულ ერთია, არ არჩევს ერთმანერთი-
 საგან A.
- 23, 1 ამოჩნდა] გამოჩნდა C.
- , 5 მისდევენ] მისდევდა BC.
- , 12 გულის-პირს] სიმშვიდეს A.
- , 25 ოსმანამ] A-ში ოსმანას ნაცვლად ყველგან არის
 მუსტაფა.

- , 27-28 ხმალი..... წელშია] C-ს ეს ორი სტრიქონი აკლია.
- , 31 მოარდა] მოვარდა C.
- , 33 აპრიალებს] ატრიალებს BC.
- 24, 3 შუაზედ] შუაზე BC.
- , 5 სისხლითა] წითლადა A.
- , 11 მამკვდარა] მომკვდარა BC.
- , 19 მიუვა] მოუვა C.
- , 29-30 წყეულმა ერთ წამს გიგლიას
თოფი დაგვიკრა მკერდშია.]
შინამც ნუ მივა ცოცხალი,
გორგის თოფი ჰკრა მკერდშია A.
- 25, 26 ცარგელისა] ბუნების A.
- , 29 ხევის პირზედა, ლოდებზედ] ხევის პირაზედ, ვაკეზედ A.
- , 31 გულს ხელს] გულ-ხელს B; გულ-ხელ C.
- , 35 როცა] რორცა AB.
- 26, 2 ზეით ჭიუხში წყრებოდა] ზევით ჭიუხში წყდებოდა C.
- , 6 სიბრალულისგან] მღელვარებისგან A.
- , 21 შავსმა] შეესმა C.
- 27, 5 გადმოიარა] გადმოიარა C.
- , 20 მაჰყავ] მაჰყავს C.
- , 32 ცრემლსა] ცრემლებს C.
- 28, 8 გვეშველებაო] გეშველებაო C.
- , 13 მყავ] მყავს C.

3. მონადირე (გვ. 31).

ავტოგრაფი არ მოიპოვება.

B = პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1886 წ. № 280 (25-XII).

C = გადმობეჭდილია წ.-კ. საზოგადოების 1899 წლის გამოცემაში „თხზულებანი“.

- 31, 8 მიკლავ] მიკლავს C.
- , 20 რიყრაჟზედ] რიყრაჟზე C.
- 32, 14 გაღუგდებს] დაუგდებს C.
- , 19 შავის] შავი C.
- , 28 კულში] კოდში C.

- , 33 ჩდილის თავს ქორაფიანი] ქორაფლიანი C. შე-
 საძლოა ყოფილიყო: ჩდილის თავ ქორაფიანი.
- 33, 12 ლთიშვილნი] ღვთი-შვილნი C.
- 34, 4 გამამლევიძა] გამომლევიძა C.
- , 5 რასწამს] რაწამს C.
- , 15 ირმებს სუკები ვწვადია] ირმის სუკები სწვა დია BC.
 „ივერიის“ ნომრის ვაჟასეულ ვგზემპლარში, სადაც ეს
 პოემა დაბეჭდილია, სიტყვები ირმებს და ვწვა-
 დია ვაჟას ხელით არის გასწორებული.
- , 22 ავსდევიყავ] ავსევიყავ BC.
- , 25 აქათ] აქეთ C.
- 35, 26 მოარდა] მოვარდა C.
- , 28 გამანადგურა] გამინადგურა B.
- 36, 9 რქათი] რქათა C.
- , 16 მითამ] მითომ C.
- , 17 თვალნ] თვალთ B.
- , 22 გადმოდგა] გამოდგა C.
- 37, 9 გაყინთული] გაყინთული C.
- , 14 ირმის] მისი C.
- , 20 ჩოქითა] ჩოქვითა C.
- , 26 ქრისტიანთაგან] ქრისტიანთაგან C.
- 38, 19 მისთვინაც] მისთვისაც C.
- , 22 მამიდვა] მომიდვა C.
- , 29 ცოლი, — და ქალსა ბატარას] ცოლი, და ქალი პა-
 ტარა C.
- 39, 4 მაუკლავ] მოუკლავ C.

4. გოგოთურ და აფშინა (გვ. 43).

- A = მუზეუმში დაცულია პოემის სრული ავტოგრაფი (№ 5319).
- B = პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1887 წ. № 181 (2-IX).
- C = მოთავსებულია წ.-კ.-ს საზოგადოების 1899 წლის გამოცემაში „თხზულებანი“.
- D = გადმობეჭდილია C-დან ი. კერესელიძის ცალკე გამოცემაში 1916 წ.

ავტოგრაფს სათაურად აქვს: „ფშაველი გოგოთური და ხევსური აფშინა (ძველებური ამბავი)“. ხელნაწერი წარმოადგენს პირვანდელ რედაქციას და შეიცავს ნაწილობრივ განსხვავებულ ტექსტს.

- 43, 3 ბლოელ აფშინა] ხევსურ აფშინას A.
- , 7 ჭერხო აავსო უნჯითა] ჭერხი აავსო ოქროთა A.
- , 9 თანაც იტყვიან] მაგრამ ამბობენ A.
- , 11 ნეკით გასტყვარცნის, აფშინა] როგორაც ჯირითს გასტყვარცნის A.
- , 13 მეფესაც უთქვამ] თვით მეფეს უთქვამს A; მეფესაც უთქვამს CD.
- , 18 მკლავი] ჯანი BCD.
- , 29 ბატონმა] მეფემა A.
- , 30 მეფის] იმის A.
- 44, 1 ვაჟკაცი] გოგოთურ A.
- , 2 გაეძლებ] გაესძლებ A.
- , 13 არ არი] არ არის A.
- , 19 ახსოვს] ახსომს B.
- , 22 გზად] გზას A.
- , 24 წიწკრად] წინწკრად CD.
- , 26 თავის] სახლის A.
- , 29 მოდის] მიდის CD.
- , 30 ჩამაუჯდება] ჩამოუჯდება CD.
- , 27-30 ირმეხსაც..... კერასა] A-ში ამ ოთხი სტრიქონის ნაცვლად არის ორი:
 - დღისით მუშაობს გოგოთურ,
 - ღამით უჯდება კერასა.
- , 33 შააქლარუნებს] დააქლარუნებს CD.
 - 44 გვერდის უკანასკნელი ორი სტრიქონის ნაცვლად A-ში არის ექვსი სტრიქონი:
 - თვითაც, ვით ზღვაზე ხომალდი
 - ტალღთავან,— იწყებს ნძრევასა.
 - ვაჟკაცსა გული რკინისა,
 - აბჯარნი უნდა ხისანი.
 - თვალნი ქორებულ მხედავნი,
 - ზედ მუხნი შავარდნისანი.
 - იქვე წაშლილია შემდეგი სტრიქონები:
 - ფარსმნის თავს ვეფხვი დავკიდე
 - სამჯერ სამორად მეტია.
 - ვაჟკაცს გულადზედ ჰურადი
 - სამის გაფრენით მეტია.
 - კაცი რო კაცსა ვერ იცნობს,
 - სიკვდილზე გადამეტია.

- 45, 1 ნათქომი] ნათქვამი ABD.
 —, 9 მის ქმარი] თუნდ ყბელი A.
 —, 30 სრულ] სულ CD.
 46, 6 აქვ] აქვს A.
 —, 7 როცა] რორცა A.
 —, 13 ჯერ არ-ოთ არი] არ-ოთ იქნება A.
 —, 15 შეღებვის] შეღების B.
 —, 18 დამდგარვარ] დამჯდარვარ A.
 —, 21 როგორაც ჯერინებს] როგორც ჯეირინებს CD.
 —, 28 რა სარჩოდ გამოგადგება] რა სარჩობას გაგიწევს A.
 —, 29 თათრების დაქრილ] თათრის დაქრილი A.
 —, 30 ლაშქრობით] ომშიით A.
 —, 33 თუ სარჩოც არა ჰხვეტია?!] ამ სტრიქონის შემდეგ A-ში არის ოთხი სტრიქონი, რომელნიც არსად დაბეჭდილია:
 თუ ერთხელ ასტყდა ღიაცი,
 იმის დადგომა ძნელია.
 ისე ეხვევა კაცის გულს,
 როგორაც ჯოყარს გველია.
 —, 35 მიაწვადა] მიაწოდა A.
 —, 36 ლაფნის საბმურით შაიბა] ლაფნის სამბური აბია A.
 47, 4 ჰგავ] ჰგავს A.
 —, 8 იმისა] იმასა CD.
 —, 9 ვიქნები] ვიქმნები A.
 —, 10 გამამართა] გამოემართა CD.
 —, 16 ბექ-ბუქში] ყველგანაც A.
 —, 24 იღვიძებს] აღვიძებს B.
 —, 25 მის არე-მარე] იმის მიდამო A.
 —, 27 სრულად დამდნარა] სჩანს, რომ გამოთარა A.
 —, 30 ზოვივით] ზვაევივით A.
 48, 8 ბაწარაულის] ამ სიტყვას ხელნაწერში ასეთი განმარტება აქვს: „ზმალია. ხვესური ხშირად ხმარობს ამ ეპიტეტს ხმლისათვის“. CD-ში: თოფია.
 —, 13 ვაქეკაცს არ უყვარს პარება] ამის შემდეგ A-ში არის ორი სტრიქონი:
 ჩქარა, თუ სიცოცხლე გინდა,
 შხის სინჯვა, ქვეყნად ტარება.
 —, 29 იარალთ] იარალნ CD.

- 49, 5 სახელიანი] კაცად მიყურებ A.
 —, 7 იარალთ] იარალს CD.
 —, 10 შაიხსენ] აიხსენ CD.
 —, 11 გადმამაწვადე] გადმომამაწვადე BCD.
 —, 14 ვერავის დაეკარ თვალია] ამ სტრიქონის შემდეგ A-შია:
 ჯალაფნი მიჯავრდებიან,
 ჩემი დიაცი მწყურალია.
 რალას ყოყმანობ, შაიხსენ,
 თორო დაგისზე ნათელი...
 —, 15 მაიხვენ აბჯარნი] იარალნ მაიხვენ A.
 —, 17 გათრიონ] გათრიოს A.
 —, 19—26 მისცა..... ჯავრობა] ამ რვა სტრიქონის ნაცვლად
 A-შია პირვანდელი ტექსტი:
 — რაკი არ იშლი, წაიღე,
 აჰა, სიათაც, ფრანგული...
 აძლეეს აფშინას იარალთ
 და ეცინება თან გული.
 აფშინამ მედიდურადა
 ცხენზე გააწყო ნადავლი,
 გოგოთურს რჩება აბჯრადა
 აფშინას ცხენის ნაკვალი.
 —, 27 ჩემნ] ჩემ A.
 50, 1 ჩაეუბნება ჭკვიანად] და თან დაჰვედრა მკეხრის ხმით A.
 —, 4 წამასჯდომიყავე] წამოსჯდომიყავე CD.
 —, 35 მოხვედ] მოხველ CD; ჭკვაზედა] ბეჩაო A.
 51, 3 დასწრწი] დაძრწი CD.
 —, 5 რო] ვით A.
 —, 6 ქურდი] ყრალი A.
 —, 11 რაად გინდარის] რაისად გინდა A.
 —, 16 საჟლეტად] საჟლეტი CD.
 —, 27 არა-დ] და არ CD.
 —, 35 მინდან] მინდა CD.
 52, 1 აბჯარნი] აბჯარი CD.
 —, 3 საცა შენი სოქვა] სადაც შენი თქვა BCD.
 —, 4 ჩემიც] ჩემი BCD.
 —, 7 რო ყველა] სუ ყველა A.
 —, 12 თვალ-მოცრემლეილი] თვალმოცრემლილი BCD.
 —, 15 სახჩი] სახლში A.

- , 19 მაჰხეიეს] მოჰხეიეს CD.
- , 23 მიიპატიეა გოგოთურ] მიიპატიეა არაყხედ A.
- , 24 ვაეკაცნი] ძმობილნი A.
- , 33 ჯინჰველა] კინჰველა CD.
- , 34 მაიტანს] მოიტანს CD.
- , 36 მუდამაც გულის წადილსა] ამ სტრიქონის შემდეგ A-შია:
 დალიეს ორთავ სამ-სამი,
 აფშინა დგება ჩოქხედა...
- 53, 2 წელანის] წელანა BCD.
- , 6 ხადილი] სადილი AB.
 უნივერსიტეტის წიგნთსაცავში „ივერიის“ წერა-
 კითხვისეულ კომპლექტში (№ 5305) ვაჟას ხელით გას-
 წორებულია ამ სიტყვაში ასო ს ხ-დ.
- , 11 იფიცნეს] იფიცეს CD.
- , 12 ერთის] ერთი BCD.
- , 14 ერთურთს] ურთ-ერთს CD.
- , 15 ცალკ-ცალკე] ცალ-ცალკე B.
- , 25—28 ჩქაფუნი მოდის..... კარისა] ამ ოთხი სტრიქო-
 ნის ნაცვლად A-შია ათი:
 მასში ერევა ჩქაფუნი
 იმ ხევსურეთის წყალისა.
 კენესა გაისმა კლდეთ შუა
 მხედრის, ჯავრისგან მთერალისა.
 მასში ერევა მოსული
 შორით რაკუნი კარისა.
 ლურჯამაც დაიხეხეინა,
 იცნო ადგილი თავისა.
 ცეცხლიც აბეუნტდა დარბაზში,
 ხმაც გავიგონე ქალისა.
- , 29 მწუხარე] მწყრომარე AB.
- , 34 შე უდავლათოს გვარისა] ამის შემდეგ A-შია:
 შენ სახეესურო არა ხარ,
 დიაც ჰყოფილხარ ბარისა.
- 54, 3 მოიდეს] მოვიდეს CD.
- , 9 გამუალ] გამოვალ BCD.
- , 10 ვყვანდე] ვყანდე CD.
- , 19 შეეძლო] შეეძლო CD.
- , 21 აბჯარნი] აბჯარიც A.

- , 31-32 ლუდის სმა არი, ღრეობა,
 ცხვრის თავები ჰყრავ ყორედა]
 ცხვრის, კურატების თავები
 ყრია აქა-იქ ყორედა A.
 55, 4 იყოს] იყვეს CD.

5. სულა და კურდღელა (გვ. 59).

ხელნაწერი არ მოიპოება.

- B = დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1888 წ. № 237. (10-XI).
 60, 10 ამაზრზენით] ამაზრზენი B.
 62, 11 იმათ] იმას B.

6. აღუდა ქეთელაური (გვ. 69).

ავტოგრაფი არ არის.

- B = პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1888 წ. (13—XII).
 № 262, 263.
 C = გადმობეჭდილია წ.-კითხვის საზოგადოების 1899 წლის
 გამოცემაში „თხზულებანი“.
 D = ცალკე გამოცემა ი. კერესელიძისა 1916 წ. ამ გამოცე-
 მაში არის შენიშვნები, რომელიც აქ გადმოცემული არ
 არის. შენიშვნები წარმოადგენს ამა თუ იმ გაუგებარი
 სიტყვის ახსნას.

- 69, 3 მოიდა] მოვიდა CD.
 —, 6 ავი-ზნიანნი] ავი ზნიანნი CD.
 —, 26 მაუტყდეს] მაუცვდეს CD.
 70, 11 ამხანიგ-მოკლულ] ამხანაგ-მოკლულ CD.
 71, 14 რა ვუთხრა] რა უთხრა B.
 72, 14 დევები] მდევები BCD.
 —, 15 აშლილან] აშლილა B.
 —, 17 მისდევენ] მისდევენ CD.
 —, 27 ჩასწლომია] ჩასწლომიან B.
 73, 1 ბაზალა] ამ სიტყვას აქვს ავტორის განმარტება: თო-
 ფია, როგორც პირველ ნაბეჭდში („ივერია“ 1888 წ.
 № 262), ისე მერმინდელ გამოცემებშიც—CD. ხოლო

ტექსტიდან სჩანს, რომ ბაზალა ხმალია. ამავე მნიშვნელობით არის ნახმარი ეგ სიტყვა აგრეთვე „სისხლის ძიება“-ში: 321, 31 — ხმალს სცემს, ნაქები ბაზალა...

- , 6 ზამთარ] ზამთარს CD.
- , 13 ურჯულოს] უსჯულოს CD.
- , 15 გასქრა] გაქრა B.
- , 25 მასწყურდეს] მოსწყურდეს CD.
- , 30 მოსახმარია] მასახმარია CD.
- , 33 სისხლშია] სახლშია CD.
- 74, 26 წვერს] წვერ B.
- 75, 10 ჰფიცვიან] ჰფიცვიან BCD.
- , 20 შაუძრახნიან] შაუძრახიან CD.
- , 24 ცხემლადა] ცრემლადა C.
- , 26 გარადა] გორადა C.
- , 29 გამოჰქცევიხარ] გამუქცევიხარ B.
- 77, 10 მაწყენის] ნაწყენი CD.
- , 13 ვტიროდი] ვსტიროდი CD.
- , 20 ჯაჭვი რვალისა] ჯაჭვი, რვალა BCD. უთუოდ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.
- , 28 რჯულითა] სჯულითა B.
- 79, 4 ქავადა] ქავათა D.
- , 12 არც მარგებს] არ მარგებს CD.
- , 30 სახვეწრით] სახვეწრი C.
- , 34 თითბრით] თითბრის C.
- 80, 14 იმასამც] იმასაც CD.
- , 31 გონთ] გონს CD.
- 81, 2 განლამც] განალმც CD.
- , 15 მითომ ერთნი] მითამ ერთი CD.
- , 24 მიგორავს] მოგორავს CD.
- , 27 მუცალსა] მუცასა CD.
- , 30 ხალხისკე] სახლისკე CD.
- , 32 ასრე] ასე CD.
- 82, 5 ამატირენი] ამამტირენი BCD.
- , 12 გამოირეკეთ] გამოირეკოთ B.
- , 18 გამგონე] გამგონეს CD.
- , 21 მკლავები] კლავები B.
- , 23 მაიმარჯვიან] გაიმარჯვიან B.

- 83, 29 ჩამონასხლეტნი] ჩამონასხლეტი CD.
- 84, 2 შაწუხებული] შეწუხებული CD.
- , 21 რა-რა] რასა C.
- , 22 უსახ-კარონი] უსახლ-კარონი CD.
- , 38 ნუ სწყევთ] თუ სწყევთ CD.
- 85, 16 მაისმა] მოისმა CD.

7. კოპალა (გვ. 89).

ავტოგრაფი არ მოიპოვება.

B = პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1889 წ. (26—II).
№ 43.

C = გადმობეჭდილია წ.-კითხვის საზოგადოების 1899 წლის
გამოცემაში „თხზულებანი“.

- 89, 9-10 ბეჩავებს..... დაწუროვილიყენენ] ეს ორი სტრიქონი
C-ში გამოტოვებულია.
- , 11 მასჩქეფდა] მოსჩქეფდა B.
- 90, 26 რაც მოჰრჩა] რა მორჩა B.
- , 32 შაქცევეს] შექცევეს C.
- , 36 მიულირიან] მოულირიან C.
- , 38 ღრუბლებმა] ღურბლებმა B; ღრუბელმა C.
- 91, 15 ჩქრიალი] ჩხრიალი C.
- , 25 ავსილი] აღვსილი C.
- 92, 12 მოსცმია] მისცმია C.
- 93, 3 მოგცა, ძალითა] მოგვცა ძალითა, BC. შესწორება შე-
ტანილია რედაქციის მიერ.
- , 17 ზროს მააქვე ხროს გააქვე C.
- , 22 ესეთნი] ესეთი C.
- , 30 ჰხედებათ] ჰხედება B.
- , 33 გაჭკრეტელს] დაჭკრეტელს C.
- , 34 ამაჰხდათ] ამოჰხდათ C.
- 94, 8 მირბი] მორბი C.
- , 19 ხელნი დაიფარნიან] ხელი დაიფარიან B.
- , 34 ათრთოლებთ] ათრთოლებს B.
- , 35 ჩამოსდით] ჩამოსდის B.
- , 36 არსაითა] არცაილა B.
- , 37 დახშული] დახშულა C.
- 95, 15 უმსგავსნი] უმსგავსნო B; უმსგავსო C.

- , 15 ბჯლიანნი| ბჯლიანნი C.
- , 18 გადარჩენიან| გადარჩენიათ B.
- , 21 მოაქვთ| მიაქვთ B.
- , 34 მოდიან ღრუბელნი| მოდიან ღურბელნი B; მიდიან ღურბელნი C.
- 97, 11 შამმოსოს| შემმოსოს C.
- , 16 მოატყუებ| მოვატყუებ C.

8. ეთერი (გვ. 101).

- A = მუზეუმში დაცულია პომის ავტოგრაფი (№ 5319), რომელსაც აკლია შუაში: 116,4 — 121,5 და ბოლოს — 128,24 — 131,4.
- B = პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერია“-ში 1890 წელს, სექტემბერში, №№ 192, 194, 195, 196 და 197.
- C = გადმობეჭდილია წ.-კითხვის საზოგადოების 1899 წლის გამოცემაში „თხზულებანი“.
- 101, 6 ქობია| ქობი სდგას BC.
 - , 10 ტყესავით... გარსა| ქობს გარეშემო ტყედ იდგა BC.
 - , 12 ხმიანობს| ხმიანობ A.
 - , 18 მოსქდის| მოსკდის BC.
 - , 18 მთიღამა| მთებიღამ A.
 - , 20 დამთხვარი| დამთხვალი BC.
 - , 20 შველი| მშველი C.
 - , 26 ამ| იმ A.
 - 102, 14 ნეტავ| ნეტა C.
 - , 16 შენსავით| ეგ შენი A.
 - , 18 19, ეს ორი სტრიქონი არ არის C-ში.
 - , 27 ძევს| სძევს BC.
 - 103, 1 სიმშილსა| სიმშილით C.
 - , 3 ხო მხედავ| ხომ მხედამ B, ხომ ხედავ C.
 - , 3 მომღევს| მამღევს BC.
 - , 4 ვაჭრეინებ| ვაჭრეეინებ BC.
 - , 5 საფიქრობელი| საფიქრებელი BC.
 - , 7 მაიქეც| მიიქეც BC.
 - , 32 ქვეყანა| ბუნება A.
 - , 35 წამწმების| წამწმები A.

- 104, 1 მიუგავს] უგვანდა A.
 —, 5 ... მძივს, ან ღილსა] ღილს, ან მძივს A.
 —, 28 ვერხვიანს] ვერხვიან BC.
 —, 30 მზირასა] მზიროსა C.
- 105, 3 მოსდეეს] მისდევს C.
 —, 9 შაასწროქ] შეასწორო BC.
 —, 11 შუბლზედა] ზუბლზედა C.
 —, 22 მთრთოლარის] მთრთოლვარის BC.
 —, 27 28, ეს ორი სტრიქონი A-ში არ არის.
 —, 29 გოდერძი] უცნობი A.
 —, 37 გცვაქ] გცვაქს A; გაქქს C.
- 106, 5 რაცა ხარ] რაც ხარო A.
 —, 23 მსხვერპლნი] მსხვერპლი BC.
 —, 30 გაგიქერია] დაგიქერია BC.
 —, 31 მითქომს] მითქვამს BC.
- 107, 2 და] ან A.
 —, 4 არა ვარ შენი მტერიოქ] არ ვარ შენი მე მტერიო BC.
 —, 8 ისიც რამ შესაშვენია] ისიც რომ შენაშვენია A.
 —, 15-16 მითხარ,— გულს ნუ მომიმატებ
 დარდსა და მწუხარებასა.]
 გზას ნუ შეუკრავ ღუმილით
 სხვა კითხვის განახლებასა A.
 —, 20 რაც-კი] სადაც B; საცა C.
 —, 24 აბძანდი] აბძანდის A.
 —, 27 გაეთერ] ჩაეთერ A.
 —, 30 არსებააქ] ქმნილება A.
 —, 31 აწყემსებს] ამწყემსებს BC.
 —, 33 ტიტველი] ტიტველა BC.
- 108, 2 და 5 გამამყევ] გამომყევ BC.
 —, 10 ტკბილნი] ტკბილი BC.
 —, 18 ტანთ არა აცვაქ] ტანთა არ აცვაქ BC.
 —, 20 იმის ყოველი] იმისი ყოვლი BC.
 —, 24 მსალბუნებელი] სალბუნებელი AC; სალმბუნებელი B.
 —, 25 გულწრფელი თხოვნა] წინადადება A.
- 109, 15 დასაფარადა] დასაფარავად BC.
 —, 29 მაგრამ სიმდიდრე, სიდიდე] ესა სჯობს ჩემთვის, მდიდრები A.
- 110, 1 ღრუბლები] ღრუბელი C.

- , 6 თვითვეულს| თვითვეულ C.
- , 9 ქვასა და ქვიშას| ქვას და ქვიშასა A.
- , 10 ...ნაბანსა!| ამის შემდეგ A-ში არის ორი სტრიქონი:
 ფასი არა სძე ძვირფასსა
 ამ ყვავილიანს საბანსა.
- , 23 მემრე| მერე BC.
- , 25 ვფიქრობ| მგონავ A.
- , 35 სწორად| სწორედ BC.
- 111, 1 თავზედ| თავზე A.
- , 7 მეფე შენა ხარ| შენა ხარ მეფე A.
- , 11 ცხენზე შავისომ| ცხენზედ შეგისვამ BC.
- , 12 დავიწერთ| დავიწერ BC.
- , 26 მალე მოგწყინდე| მოგწყინდე მალედვე A.
- , 31 ვიტკინო| ვიტკინო BC.
- , 33 შენთან... ჯარზედა?!| ამის შემდეგ A-ში წაშლილია
 ორი სტრიქონი:
 მე მალევე თავსა მოგაწყენ,
 სხვას გაიგორებ მკლავზედა.
- , 35-36 ამ ორი სტრიქონის ნაცვლად A-შია:
 მე რას გაიმბობ, შენ ისევ
 ჩემთანა ჰბედავ დობასა.
- 112, 1 გეადვილება| გაიადვილებ C.
- , 5 გარეთ| გარიეთ C.
- , 8 მომედოს| მომედვას A.
- , 21 მოცემის| დადების A.
- , 25 ისრე| ისე BC.
- , 26 შავიყენებდი| გაგიყენებდი C.
- , 28 მრავალი მიდგა მზასაო| მრავალი მიდგა გზასაო BC.
- , 33 ისევა| ირევა C.
- , 35. შუბის წვრად| შუბადა A.
- 113, 18 „ნეტავ| ნეტავ B; ნეტა C.
- , 20 ცისია!“| ცისია! BC.
- , 21 უბძანა| უბრძანა BC.
- , 27 აღტაცებითა| აღტაცებულმა A.
- , 28 გადაჰხვია| გადაჰხვია BC.
- , 29 რაკი| თუკი BC.
- , 31 იღუმალ| თმას იგლეჯს A.
- 114, 2 წინანდებულად| წინანდებურად BC.



- , 6 უკრავდენი უკრავდენ BC.
 - , 8 სთხოვდენი სთხოვენ BC.
 - , 12 გოდერძისი მეფისძეს A.
 - , 14 შესცქერსი უცქერს BC.
 - , 21 შახედნება შეხედნება BC.
 - 115, 3 მოსცემენი მისცემენ C.
 - , 8 დაპრჩინენი დარჩინენ BC.
 - , 11 სალაღებოი სალაღებო C.
 - , 14 ბუტუვენ ვარსკვლავნი ვარსკვლავნი ბუტუვენ A.
 - , 16 სძინაეი სძინავს BC.
 - , 19 შაკრული A-ში ჯერ ყოფილა შაკრული, მერე წაუშლია ავტორს და ზედ წაუწერია ნახელი; შერული BC.
 - , 24 ჩამოსასვლელად ჩამოსავლელად C.
 - , 29 დაჰსისინებდა დასძინებოდა C.
 - , 30-31 დაჰლალოდა წყეული აქ მომხდარ ხათაბალასა.] დაჰლალიდა წყეული მოხუცის ხათაბალასა. A. დაჰლალიდა წყეული მოხუცის ხათაბალასა. BC.
- ხოლო „ივერიის“ წერაკითხვისეულ კომპლექტში ვაჟას ხელით არის შესწორებული სიტყვები: დაჰლალოდა, აქ მომხდარ. *)
- , 34 აევსოთ ლეშითა მოერწყოთ სისხლითა A.
 - 116, 1 მოგელავება მოგელავება BC.
 - , 4 დაწყებული სტრიქონიდან: ლეშზე მჯდომარე ყაჯირი, ვიდრე 121 გვერდის მე-6-ე სტრიქონამდე: იმით რა წავაგებინე, — ავტოგრაფს აკლია.
 - 117, 22-23 ეს ორი სტრიქონი C-ში არ არის.
 - 118, 16 ხდება ხედება BC.
 - , 27 მივეცი მოვეცი B; მოეცა C.
 - 119, 34 თქვეს სთქვეს C.
 - 120, 1 ოქრომკედითა ოქრო-მკერდითა BC.
 - , 39 არცვისი არვის C.

*) იხ. უნივერსიტეტის წიგნთსაცავში „ივერია“ (წ.-კითხვის საზოგადოების კომპლექტი № 2652) 1890 წ. № 194.

- 121, 11 და გრძნობა| თვალთ-ხედვა A.
 —, 12 გეკუთენით] გეკუთით A.
 —, 13 გიკვირსთ] გიკვირთ C.
 —, 14 გსურსთ] გსურთ C.
 —, 16 მეფის] ნეფის A.
 —, 21 ნადირობად] ნადირობა A.
 —, 23 როცა ის] ის როცა A.
 —, 27 სამაენებლოს] სამაენებელს BC.
 —, 28 ვბედაო] ვბედავო BC.
 —, 29 მეფემ იწყინა] მეფე გაგვიწყრა A.
- 122, 1 გურგენი] ხელმწიფე A.
 —, 5 ორი] ერთი A.
 —, 6 ვიშითა] ვაითა C.
 —, 7 ველარ ჰბედავდენ] ვერა ჰბედავდენ C.
 —, 8 მეფესთან] იმასთან A.
 —, 9 მეფემ] ბოლოს A.
 —, 14 მაძე] მაწევეს BC.
 —, 25 გკითხავ, რას მეტყვით] გკითხავთ რჩევასა A.
 —, 26 გულით წრფელითა] გულის-წრფელითა A.
 —, 27 რომ ჩემს შვილს უჯიშო ცოლი] რომ ეგე ქალი გოდერძის A.
- 123, 3 ვფიქრობთ, ვიშოვნოთ წამალი] ვიშოვნით წამალს ნამდვილად A.
 —, 10 ლიშნადა] მიშნადა BC.
 —, 19, 20 გახსოვდეს, როცა თქვენს ძესა და ეთერს გაუხდებოდეს] გახსოვდესთ, როცა ეთერსა და თქვენს ძეს გაუხდებოდეს A.
 —, 21 მადლსა] ძალსა A.
 —, 23 გაზდილი] გაზრდილი BC.
- 124, 1 ტარგძელი] ტარ-გრძელი BC.
 —, 5 სცხოვრობდა ერთი ბებერი] ერთი ბებერი სცხოვრობდა BC.
 —, 7 გველი, შხამი და ბოროტი] გველი და შხამი, ბოროტი A.
 —, 19-26 ეს რვა სტრიქონი (შავია..... ურია) A-ში არ არის.
 —, 25 შეედრება] შეედრება C.
 —, 29 ცალიერს] ცარიელს A.



- , 31—34 ნაცვლად ამ ოთხი სტრიქონისა (ფეხები..... კვი-
ცისა) A-შია:
ფეხები ფსლიკვისა ჰქონდა,
ხელებად ბჯღლები ციცისა
და თმის მაგიერად სულძაღლსა
მოკლე ფაფარი კვიცისა.
ხელნაწერში ეს სტრიქონები წაშლილია და ასეა გას-
წორებული:
ჯოჯოსი ჰსხია ფეხები,
თავზედ ჯაგარი ღორისა.
მბრძანებლობს გადიდებული
მთათა და კლდეთა შორისა.
- 125, 16 საძნელო] საქნელი C.
—, 27 ჩამამყმუი] ჩამამყუი AB.
—, 34 მცხვენის] მრცხვენის BC.
- 126, 3 კარგად იცი შენაცა] შენაც იცი კარგადა A.
—, 13 რაწამს] რამწამს A; რასწამს C.
—, 33 რო] რომ BC.
- 127, 3 ასულეებული] A-ში ასულეებული წაშლილია და
ზედ აწერია და წყლულეული.
—, 15 დევთაგან ნახმარს] დევთ ხმარებულსა A.
—, 17 მაცილთი] მაცალთი BC.
—, 20 ვინც თავის] რომელნიც A.
—, 21 გამოჩნდა] გამოჩნდენ A.
—, 21 განაწბილადა] განაწმიდადა C.
—, 22 შიგვე ლაფია] შიგვეა ფერფლი A.
—, 29 გრძნეულთა] გრძნეულის C.
—, 35 დავწოვ] დავწვავე C.
- 128, 24 სიტყვიდან ბებერი 131 გვერდის მე-5-ე სტრიქო-
ნამდე მოდიან გროვა-გროვათა A-ს აკლია..
- 129, 7 ჩოროს] ჩორლას C.
—, 9 მოსძახდენ] მისძახდენ C.
—, 11 მოსდევედა] მისდევედა C.
—, 15 გულით] გული C.
- 130, 5 ჭურჭლებში] ჭურჭელში C..
- 131, 8 უკრვენ] უკვრენ BC.
—, 12 ელავედენ] ელავედნენ C.
—, 13 ჰკაზმავედენ] ჰკაზმავედნენ C..



- , 15 ნაფშრუჟი] ნაფრუჟი A.
- , 16 უპირობდენ] უპირობდენენ C.
- , 24 დასამარცხების] დამარცხებისა C.
- , 30 მაუძღვებოდა] მოუძღვებოდა A.
- 132, 2 მოროყინობდენ] მოროყინობდენენ C.
- , 3 მოკელაობდენ] მოკელაობდენენ C.
- , 4 მოსჩანან] მოსჩანდა C.
- , 11 ფერცხლითა] ვერცხლითა BC.
- , 20 მწყობრს] მწყობრ BC; გამაუძღვება] გამოუძღვება A.
- , 36 ურიცხად] უღირსად C.
- 133, 9 აკლიდენ] აკლიდენენ C; ადგილას] ადგილსა BC.
- , 10 ამოსდიოდა] ჩამოსდიოდა BC.
- , 19 ვით ცვილი ჩამომდნარიყო] ჩამომდნარიყო ვით ცვილი A.
- , 21 ეძებდენ] ეძებდა BC.
- 134, 6 გავიყარენით:] გავიყარენით. ამ სიტყვის მომდევნო რვა სტრიქონი BC-ში ასეა დაბეჭდილი:
- არ ვიყავ შენი საფერი...
 ღმერთმაც დამწყევლა ამითა,
 რომ ფუფუნება ვარჩიე
 ცხოვრებას თავის ჯანითა!
 არ ვარო შენი საფერი,
 გეობნებოდი ბეჩავი,
 ვიცოდი, ადრე თუ გვიან,
 შევიქნებოდი ბედ-შავი.
- ეს ადგილი A-შიც ასეა დაწერილი, მაგრამ ავტორს პირველი ოთხი სტრიქონი ფრჩხილებში მოუქცევია და ბოლოში გადაუსვამს.
- , 35 როგორ] როგორც C.
- 135, 5 მაჩვენეთ] მიჩვენეთ BC; გეთაყვა] გენაცვლე A.
- , 6 მამკვლელის] მომკვლელის A.
ფეხი არ დაუცურდეს.

ბანჯღვლიანი 214,8; 218,11 ბან-
ჯგვლიანი.

ბარ-ი 109,11 დაბალი ადგილი
(საწინააღმდეგოა: მთა) **საბაროდ**
171,23 ბარში; **უბაროდ** 173,1
ბარის გარეშე; **ბარული** დღი-
ური ნ. დღიური.

ბარაქა 165,25; 290,5 სიუხვე, სი-



იეფე, ბლომად რომ მოიპოვება, ხვავი (მოსავლისა).

ბარგ-ი 294,20 ნიეთი; 295,2 ტვირთი.

ბარგან: დაბარგანავდა 277,23 გაქან-გამოქანდა, ტორტმანი დაიწყო, დაბორძიკდა.

ბარდანი 145,4 დიდი თოვლი.

ბასრ: გადაუბასრავ (სისხლით) 19,25 მოურწყავ; იბასრებოდა (ცრემლითა) 304,16 იღვრებოდა, ბევრსა ღვრიდა.

ბატარა 38,29; 174,10; 181,2 პატარა.

ბატონი 38,21; 79,27; 80,5; 82,16; 173,34; 191,17 „ხატების“ ეპითეტია, კერძოდ ლაშარის ჯვრისა. ამისი საწინააღმდეგოა ყმა: ფშავლებს და ხევსურებს „ხატი“ ბატონად ჰყავდათ წარმოდგენილი და თავისი თავი კი ყმად. ერთი რომელიმე „ხატის“ (მაგ. ლაშარის) თაყვანისმცემელნი მის საყმოდ ითვლებოდნენ. **ბატონის კარზედ** 178,15 „ხატის“ ეხოზი.

ბაჩალი 184,28 სოფელია ფშავში, იორზე, ჩარგლის უკან.

ბაწარაული 48,8 „ხმალია“ (ვაჟა).

ბახტრიონი 189,30 სოფელია კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირას, რომელიც ძველად ციხე-ქალაქი იყო.

ბგერს 319,29 ცემს.

ბეგი, ბეი ბატონი (თურქებში). ეს სიტყვა ემატება ხოლმე სახელებს: **ასლან-ბეგი** 313,18, **ქიჩირ-ბეგი**, შემოკლებით **ქიჩირ-ბე** 314,3; **ქიჩირ-ბეი** 323,2.

ბედამის წყარო 282,8.

ბედენა გარჩევა, განსხვავება; **არაბედენებს** 22,4 „არ არჩევს“ (ვაჟა); **არ გვიბედენებს ძალაო** 187,18 ძალას არ ექნება ჩვენთვის განსხვავება.

ბენტერი: გაბენტრებული 305,37 გაშტერებული.

ბერ-ი 93,5,27 კოპალასეპითეტია.

ბერა 44,34 ცერი.

ბერდია 80,17 კაცის სახელია.

ბერიკა 272,28 კაცის სახელია.

ბერიძე 170,4; 272,38 კაცის სახელია (ჰო, სახელი!).

ბექ-ი 149,2; 197,6; 306,15 გორაკი, ჩამოხრამული წყლისაგან ან მეწყერისაგან; **ბექ-ბუქი** 47,16 ბექები; **ბექობი** 278,36 ბექიანი, ბექი.

ბექთარი 96,26; 179,10; 290,22 ომის დროს ჩასაცმელი საქურველი.

ბელელ-ი 79,32; 179,9; 180,3 პურის ან ლუდის შესანახავი შენობა „ხატში“, ე. ი. მთიელთა სალოცავში.

ბელელა 94,8; 96,14 სახელია დევისა, რომელიც დევთა მეუფედ არის წარმოდგენილი 98,5.

ბეჩავი 46,26; 108,16 საწყალი.

ბეჭ: ჩაბეჭვა 75,25 ძაფების ერთი მეორეზე მიყვანა ქსოვის დროს ე. წოდ. ბეჭით.

ბიბინი 61,9; 136,23 ხმა არწივის ფრენისა, ან ცხენის ქენებისა.

ბინა 190,6 ბანაკი.

ბირ ნ. აბირება.

ბისო 255,13 სოფელია ხევსურეთში.

ბლო 43,3 „სოფელია ხევსურეთ-ში“ (ვაჟა).

ბობოქრობს 102,29; 267,12 შფოთავს, ყვირის გაანჩხლებული.

ბოდბისხევა 279,22 სოფელია ქიზიყში.

ბოზბაში 155,17 ცხვრის ხორცისაგან გაკეთებული წვნიანი საჭმელი (დუმას, ფილტვს და ღვიძლს წვრილად დაკეპენ).

ბოკონი 305,33.

ბოყირი 24,9 „დაწიოკება“ (ვაჟა); წიოკი, აშლა, აყრა, არევ-დარევა; **ავგიბოყირდა** 84,11 ავციწიოკდა.

ბორბალა 23,11; 200,3 „მთა არის, საცა ალაზანს სათავე აქვს“ (ვაჟა) და რომელიც დაჰყურებს კახეთს, ფშავს, თუშეთს და ხევსურეთს.

ბორგენა 63,21; 256,15; 282,1 გაცეცხლებული ადამიანის ან ცხოველის ხმაურობა, მოუსვენარი შფოთვა.

ბოტ: 1) **აბოტებს** დიდ ბიჯს ადგამს; **გაიბოტა** ფეხები განზე გადაგა; **აქედან: ნაბოტარი** 211,16 დიდი ნაბიჯი (კაცისა, ცხოველისა);

2) **ბოტი** მამალი თხა; **აქედან: ნაბოტარი** დაკოდირი თხა; ამას გარდა: „ნაბოტარი—ირემს ყვირილობის დროს საშინელი მქისე სუნი მოსდის; სადაც კი გაივლის, ბალახებზე ან მცენარეებზე, აბნევს ამ საზარელს სუნსა“ (ვაჟა) 35,12.

ბოლმა 147,22; 336,6 ჯავრი, დარდი.

ბოქ: **შებოქეს** 336,7 შეკრეს, შეკოქეს.

ბუუტვა ოდნავი ნათება; **ჩანაბუუტი** 120,11 ჩანათებული.

ბრალად 166,33 საწყლად, შესაბრალისად.

ბრძამი 24,33; 33,19; 74,37; 77,24; 276,35; 282,9 „მთის მცენარეა, ურო ბალახსავით“ (ვაჟა); დაბალი მცენარეა, რომელიც ზამთარშიაც მწვანეა.

ბრჯღალი 32,9; 82,24 ან **ბჯღალი** 124,32; 241,5; 245,11 ბრჭყალი, კლანჭი (დიდი ცხოველისა ან დიდი ფრინველისა).

ბუზნ: **დაბუზნეს** 221,11 დაბეგვეს, მოთელეს.

ბუბუნე ყვირილი ხარისა; **დაიბუბუნებს** 44,35 დაიყვირებს როგორც ხარი; **ამობუბუნდა** 21,1 ხარივით ამოვიდა.

ბუდე 167,9 ერთმანეთში გასული, გახლართული, დაუყარცხნელი.

ბუერა 33,16; 273,35 „ბორხვენა, მცენარეა ერთ-ფოთლიანი“ (ვაჟა); თითქო იგივეა, რასაც გურიის ზოგ კუთხეში ოხოკუას ეძახიან.

ბუვი 89,16; 92,21 ბუ.

ბუკი 131,8 საყვირი.

ბუნი 53,7; 176,19; 321,30 ხანჯლისა ან ხმლის ქარქაშის ბოლო.

ბუნდრად 80,13 ბუნდად [თუ შეცთომა არ არის].

ბურანი 193,22 მდგომარეობა, როდესაც ჯერ კიდევ ნამძინარევი კაცი მთლად გამოფხიზლებული



არ არის, ან კიდევ როცა კაცი ფხიზილიდან ძილში კარგად არ არის შესული.

ბურღო 194,22 აწეწილი თივის გროვა.

ბურკვა-ი შეკუმშული ნაწილი (ცომში, მატყლში); **ბურკვა** 321,23 ხელში შეზედილი (ხალი).

ბურტყლი ვადინე 219,3 ბეწვი გაცალე.

ბურჯი 116,29 სვეტი (საყრდნობად).

ბუტყა 98,8 ხოკო.

ბუხუნი: დავიბუხუნე 35,25 „აჩქამება ისე, როგორც ფური ირეში გადაეძრახება ხარ-ირემს“

(ვაჟა). შდრ. ყვირილი და კივილი.

ბლატ ნ. აბლატება.

ბლუჯვა 252,33; 326,11 მაგრად ხელის მოკიდება.

ბბან: დაბბანება 76,24, **ჩაბბანება** 34,8 ჩასვლა მნათობისა, (მზისა, მთვარისა, ვარსკვლავისა, რომლებსაც ჩვენი ძველები თაყვანსა სცემდნენ და მორიდებით იხსენიებდნენ, რისი კვალიც დღესაც დარჩენილია მთის ხალხში: ითქმის **დაბბანება** ან **ჩაბბანება** და არა ჩასვლა, **ამობბანება** და არა ამოსვლა).

ბჯღალი ნ. ბრჯღალი.

ბ

1 გ: **გავიგე** 279,6 გავიგონე.

2 გ: **ამოგება** (ჭირითა) 133,28 ამოვდება.

გაარმებული 140,8 არმად ქცეული (ნ. არამი).

გაბალთვა 45,27 ნაკუწ-ნაკუწად ქცევა, გაჭრა.

გადაბასრვა (სისხლით) 19,25 გადასრვა, შეღება (?).

გაბენტრებული 305,37 გაშტერებული.

გაბიდოური 178,6 გვარია ფშავში.

გაბუღებული 167,10 ერთმანეთში გასული, გახლართული, დაუვარცხნელი.

გაგება 279,6 გაგონება.

გაგერშვა 50,2 ვაჩგევა.

გაგმირვა ხანჯლის და მისთ. გაყრა ტანში; **გავიგმირები** 173,28.

გადათხეული 196,15 გადაკარგული.

გადამეტი 43,18 ჭარბი, ზედ-მეტი.

გადასახედი (ფშაური გამოთქმით: **გადასახვედი** 34,30 გადასავალი.

გადაფრენილი 235,12 გადამხტარი.

გადაღვერა 35,10 გადაცლა კანისა, ქერქისა.

გადაყრა 103,19 გადატანა; **გადიყრა** 268,2 გადაიწმინდა.

გად: ცვალება 331,34 შეცვლა.

გადაძრახება 256,1 გადალაპარაკება.

გადმორევა გადმოვარდნა; **გადმეერივა** 186,28 გადმოვარდა.

გადმოსრევა გადმოსროლა; **გადმეესრია** სროლით გადმოვარდა.

გადმოტანება 278,11 მოშურება.

გადრა 259,2 გადარება, შედარება.

გავაზი 116,6 შევარდენი.

გავერანებული 136,3 გაველურებული, გაპარტახებული.
გათხევა: **გავთხიჯოდით** 293,29 გავეთხუპნიდით ხოლმე.
გალაღებული 337,21 გახარებული.
გამოგება 126,31 გამოთქმა, სიტყვის ამოღება.
გამოჟიღვა 282,19 თხილისა, კაკლისა, წაბლისა და მისთანათა გამოსვლა ჩენჩოდან, დამწიფებისას.
გამორჩეული 107,21; 196,17 გამოსხლეტილი.
გამოსხლეტილი 105,15 მოსხლეტილი, უეცრად გამოვარდნილი.
გამოტყვრომა: **გამასტყვრა** 70,13 ერთბაშად გამოჩნდა, გამოსკდა.
გამოჩმანვა 126,18.
გამოჯრა 170,16 გამოხურვა.
გამტკნარება: **გამტკნარებოდა** (სახე) 252,36 ფერი წაჰსვლოდა, გაფითრებულიყო; **გამტკნარებული** 233,3; 277,29 ფერწასული.
განაღამც 108,31 ან **განღამც** 81,2 არა თუ.
განაძოდება ნაძოდად ქცევა. (ნ. ნაძოძი).
გაჟნთვა: **გაჟნთული** 37,9 გაჟღენთილი.
გარა 75,26 ქსელში სახმარებელი ჯოხი, შუაზე გასაყრელი.
გარეთ: **შენს გარეთ** 112,5 შენს გარდა.
გარეკვევ 293,8 ბეწვი რომ გარეთ იყოს მოქცეული.
გარწედა 101,7 გარეშემო, ირგვლივ.

გატყვარცნა 43,11 გატყორცნა.
გაფხავებული 330,29 გალესილი, ძალიან მჭრელი.
გალმინება 300,2 გალიმება.
გაწირვა 117,21; 165,15; 170,29; 183,19; 201,19; 259,6; 297,31 დატოვება, დაგდება.
გაწკეპა ცემა; **გაწკიპე** 220,26 სცემე.
გაქარხლებული 278,27 გაწითლებული, ქარხალივით გამხდარი.
გაქერა: **თავი რას გაგიქერია** 106,30 თავი რას გიქირავს ისე, რომ (საღლაც) გაიყურები?
გაქვრეტილი (ისრიით) 93,33 გახვრეტილი.
გახდომა: **გაუხდებოდეს** 123,20 მოუვიდეს (იგულისხმება ჩხუბი); **გაჰხდოდათ** 132,12 მოჰსვლოდათ (ჩხუბი).
გახედნება 195,13; 206,9 გახედვა.
გახვეწა გაქცევა; **გაგეხვეწები** 251,1 გაგექცევი.
გახმიანება: **გაგეხმიანო** 125,17 ხმა გაგცე.
გეზი 235,8 მიმართულება.
გელ: **მოგელავება** 116,1 მოქნევა; **მოგელავენ** 337,16 მოექანებინან; **დაგელება** 185,21 ქნევა.
გენია 112,8 დიდი ცეცხლი.
გერგეტი 93,23 მთაა, რომელიც ახლა ჩვეულებრივ ყაზბეგად არის ცნობილი. გერგეტის სახელი შეჰრჩა მხოლოდ ამ მთის ქვეშ მდებარე სოფელს.
გვამი 136,4 მუცელი; **გვამითა** მუცლიდან, შიგნიდან.

გველის-პირული 12,30; 75,23 ხმალია ერთგვარი.

გველის თვალი 294,21 თვალი (ქვა), რომელსაც თითქოს განსაკუთრებული სამკურნალო და სხვა ძალა ჰქონდეს.

გვეშული 328,16 ნაცემი.

გზას შაყენება 112,26 გზას გაყენება.

გზიანი (სიტყვა) 69,10 ჭკვიანი.

გი 48,1; „შემოკლებული გინდა“ (ვაჟა); ასეთი ფორმა ხვესურებმა იციან. ნ. გინდარის.

გიაური 243,29; 329,28 ურწმუნო, ურჯულო (მორწმუნე მაჰმადიანთა თვალსაზრისით).

გიგია 276,8 კაცის სახელია.

გიგლია 17,1 კაცის სახელია.

გიდი 20,9 ჰა, გიდი! დანატრების სიტყვებია.

გივი 189,17 კაცის სახელია.

გინდარის 51,11 გინდა; განდარისთ 181,21 გინდათ.

გიშერი აქატი, შავი ქვა; **გიშრის თმა** 104,11 შავი თმა.

გლარზენა 206,26 ზღაზენა (დიდი ტანის მქონე რამეზედ ითქმის).

გმინ: ამოგმინდება 35,4 გმინვით ამოვა.

გნოლი 105,25; 114,34; 153,12 ფრინველია კაკაბზე მომცრო.

გოგოთურ 43,1 კაცის სახელია.

გოგოლაური ერთი თერთმეტ თემთაგანი (ანუ გვართაგანი) არის ფშავში.

გოდერძი 25,7 კაცის სახელია; აქედან: **გოდერძათ** ქალი.

გომი 198,22 ბოსელი (გომად შე-

იძლება ფშავურში გამოითქვეს აგრეთვე გვაში, რომელიც მუცელს აღნიშნავს).

გონ: წარა-უგონთა 25,21 „წარამარად“ (ვაჟა), უაზროდ.

გონებულა: ჩემს გონებულა 321,17 მე ვეგონე და...

გონის მოცემა 253,2 გონებაში ჩავარდნა.

გორ-ი: **გორ-გური** 34,32 გორები.

გორობა 130,1; 298,35 გორი, გორები.

გორდა 23,33; 258,16 ხმალია ერთგვარი.

გრდემლი 319,30 სამკვდლოში სახმარებელი რკინა, რომელზედაც სდებენ გახურებულ ლითონს (რკინას, სპილენძს და სხვ.) და კვერების ცემით სათანადო სახეს აძლევენ.

გრილი 21,28; 22,10; 23,7 ჩრდილი.

გრკალი 5,11; 342,10 რკალი.

გრძნეული 122,34 გრძნებით მოქმედი; ჯაღო-ქარი.

გუგა 228,30 ბაკმი, ორეოლი (?).

გულა 97,26; 155,15; 181,20 თხის ან ხბოს მთლიანი (ოთხში ამოღებული) ტყავი, რომელიც ჭურჭლად არის გაკეთებული უმთავრესად საგძლისათვის მეცხვართა და მოგზაურთათვის. „მთლიანი“ო, ვამბობთ, მაგრამ კისერთან წაჭრილია თავის ნაწილი; წინა და უკანა ფეხი ერთმანეთზეა გადაბმული და სამხრებად გაკეთებული, რის გამოც გულა ადვილი სატარებელია ზურგით.

გუდანი სოფელია ხევსურეთში; გუდანის ჯვარი 70,20; 80,6 მთავარი სალოცავია ხევსურეთში.

გულ-ი: გულ-გადადიღული 226,7 გულ-გადადიღილი; გულ-ზვავი 182,33 მედიდური; გულ-ლაღობს 233,25 ლალი გული აქვს; გულის კბენა 182,9 გულის წუხილი; გულის კოვზი 242,19; გულის ფიცარი 126,22 მკერი; გულს

უნადინოდ 25,32 წადილის აუსრულებლად; მგულავს მეგულე-ბა; მგულავდეს 184,24 მეგულეობდეს.

გუმანი 69,17; 77,15. ფიქრი, ეჭვი. გურჩი 52,16 ფილთა-ქვა, როდინის ქვა.

გურჯი 226,31 ქართველი (თურქულად, სპარსულად).

გუშაგი 7,15 დარაჯი, ყარაული. გცვავ 105,37 გაცვია.

ღ

ღ' 44,16; 78,30; 95,11; 98,8 და, არა-ღ' არა და, გული-ღ' გონება გული და გონება.

ღაბარგანავდა 277,23 დატორტმანდა, ბორძიკი დაიწყო.

ღაბუზნეს 221,11 დაბეგვეს, მოთელეს.

ღაბუზუნება ნ. ბუბუნი.

ღაბუზუნება ნ. ბუზუნი.

ღაბძანება (მნათობზე) 76,24 ჩასვლა. ნ. ბძან.

ღაგალ: ნ. დაგლა.

ღაგელეზა 185,21 ქნევა, ხმარება. ნ. გელ.

ღაგლა 200,12 მიწაზე დანარცხება.

ღავლათი ქონება, შეძლება, მოხერხება; 179,26 მაღლი; 259,5 ვაქეცობა, მხნეობა; ღავლათიანი 69,8 შეძლებული, ბედნიერი; უღავლათო 53,34; 318,20 უხეირო, უჯიშო.

ღავწოვ 127,35 ღავწვავ.

ღაზარნიშული ნ. ზარნიში.

ღაზრიალება 101,23 დაძახება ზარის ხმასავით.

ღაზრობა მოყინვა, ყინვისაგან მოწვა.

ღათათბირება: დაათათბირებს 47,6 მოატყუებს (?).

ღაკვლევა 296,18 გასინჯვა, დაცქერა, დაკვირვება; დაჭკვლივ 45,23 დააკვირდი.

ღაკრიალება 101,21 კოდალას კაქუნის ხმა.

ღალაშქრვა 131,16 ომში შებმა.

ღალახვა 187,10 ფეხის დადგმა.

ღამთხვარი 101,20 დამურთხალი, შეშინებული.

ღამცრობა 122,18; 205,21 დამცირება.

ღამწყალოზნება 80,1 დალოცვა („წყალობა მოგვესო“ და მისთ).

ღამხოზა: ღამხოზ 36,7 „დაენარცხა, დაასკდა დედამიწას“ (ვაქა).

ღანაგალი 200,12 დაგლილი, მიწაზე დანარცხებული.

ღანაფერი 131,29 შეფერილი, ფერ-

დადებული (თუ: მიმსგავსებული, მიფერებული?).
დანტქმა დახრჩობა (წყალში): **დავინთქენით** 12,34.
დაოსდა 146,10 დაიქანცა.
დაპრპიალებდეს 20,14 ელავდეს, ლაპლაპებდეს.
დარაია 45,14 აბრეშუმის ქსოვილი.
დარევა: დავლათით დავგრია 259,5 დავლათით გვაჯობა.
დარლა 246,5; 322,35 კაცის სახელია ქისტეთში.
დასჭობა 138,19 დარქობა.
დათვევა 189,10 გამოკიდება.
დათეშა 96,13.
დათოღება 31,10 ჩახვევა.
დაუშრომელი 165,17; 175,6 განუწყვეტელი.
დაფევა 71,17 ჭრილობაში მჭერი-სა ან სხვა რამის ჩადება; **ჭურქლის პირის დაცობა**.
დაფერება 84,28 დამსგავსება.
დაფრენა: დავაფრინდი 317,13 დავახტი.
დაღეტება ნ. ლეტება.
დაღრეჯა მოწევა (ლაგმის საშვალეებით) ცხენისა 23,26; 315,21, ჩახმახისა 36,5.
დაფუნტება 221,35 დაჯდომა (ძაღლისა და მისთანათა).
დაშნა 49,3 სწორი ხმალი.
დაძაბუნება 121,33 დავლახაკება, წახდენა.
დაძგნობა გაძღება, ატანა; **დაიძგნო** 137,21 აიტანა, შეძლო დაკავება; **დაიძგნო თოკმა** არ გაწყდა, გაუძლო, შეძლო დაეკავებინა მასზედ ჩამოკიდებული რამ.
დაძმარება 211,21 შეწყუხება.

დაწირვა 72,12 დატოვება, გაწირვა (ბევრისა).
დაწრწოდა: დასწრწი 51,3 დასძრწი.
დაჯარა 158,4 მოხურა.
დაჯარება: დაჯარდით 81,37 ერთად მოიყარეთ თავი; **დაჯარებული** 270,23 ერთად თავმოყრილი.
დგანდგარი 260,34; 267,7 გრიალი, დიდი ხმაურობა, ზანზარი.
დგნალი 35,10; 272,34 ხეა წნორის მსგავსი.
დგრიალი 148,30; 228,18 დიდი ხმაურობა.
დედა ადგილისა ნ. ადგილის დედა.
დედა 184,31 დედა-კაცი; **დედანი** 203,24 დედაკაცები; **დედა ადგილისა** ნ. ადგილის დედა.
დედილამ 172,9; 174,1,25; 175,31 ან **დედილას** 169,8; 170,25 საფიცებელი სიტყვაა ტკბილად მიმართვის დროს დედისა ან დედად მიჩნეული ადამიანისადმი. (შდრ. მამილამ).
დედი-შობილა 300,34 ტიტველი (ისეთი, როგორიც იშვა დედისაგან).
დევი 124,11 მღვეი.
დეკა 147,4; 165,21; 251,8 მთის შქერი (რომელმაც გართხმა იცის მიწაზე); **აქედან: დეკიანი** 32,29.
დეღვმა 73,7; 124,14; 260,33; 306,20 დიდი წვიმა, კოკისპირული.
დემური 314,35 კაცის სახელია.
დენა: ვიდინოთ 84,36 ვიაროთ (ხევსურულია).

დვრინავს (ქედანი) 226,9 ლულუნებს.
დიაშც 335,1 დე-ა-მც, დე!
დიაცი 51,28; 54,30; 166,7; 233,21; 320,38 დედაკაცი, ცოლი; **დიაც-უმაწვილი** 24,9 ქალები და ბავშვები.
დიდება 54,33; 80,15 მსხვერპლის შეწირვის დროს ხევის ბრის მიერ წარმოთქმული ლოცვა.
დიკლო 322,3; 327,22 სოფელი თუშეთში. (პოემის მიხედვით ასეთი სოფელი ჩერქეზეთშიც იგულისხმება).
დინ: 6. დენა.
დიუი 101,11; 147,6; 273,36 მაღალი ბალახია, რომელსაც ფცქენიან და ქამენ; აქედან: **დიუიანი** 26,16.
დონჯი გაიყარნიან 94,17 წელზე

ხელებს შემოიწყობდნენ ხოლმე.
დონდლე 50,20 მოშვებული, ზანტი, არაფრის შემძლე.
დონედ 330,30 დუნედ, ნელა.
დოსტოღრივ 10,3 „ტყვიასებ შეუპოვრად, პირდაპირ“ (ვაჟა).
დოჯური 276,23 კაცის სახელია.
დროული 171,17 ხნიერი.
დუდუნი 102,12 წყნარი და საამო ხმით საუბარი.
დუნია 273,10; 341,22 ქვეყანა.
დუშმანი 137,3; 141,5; 169,37; 173,27; 194,30; 239,18 მტერი.
დუცი 147,6 ბალახია.
დღეისად 138,37 დღეისთვის.
დღიური ერთი დღის მოსახნავი მიწა; **ბარული დღიური** 191,31 მეტია, ვიდრე დღიური მთაში, ვინაიდან მთაში ერთი უღლითა ხნავენ, ბარში კი 6—8 უღლით.

ბ

ბ 5,6 ეს; **ბ მაგისტანა** 203,25 აი მაგისტანა.
ბა ისეთი ჯგუფია, რომ ფშაურ კილოში (და აქედან ვაჟას ენაში) ია უნდა მოგვეცეს: ვიჯდეა < ვიჯდია 31,5; მწარეა < მწარაა 33,32; 109,10; აგრეა < აგრია 33,33. ასეთივე მაგალითთებია: გადმოვსთელია 34,27, შაირცხვინია 49,28; შამიბრალია 50,6; დავასრულია 74,34; ღონია 97,1; 111,8; ღამია 108,19; ხვალა 111,12; შერია 114,11; მთვარია 122,22; დავგიფარია 121,34; შეიწყალა 123,26; გა-

გვაკვირია 135,34; მოარჩინია 135,36; მცირია 138,32; 275,14; 301,14; დაუჯერია 216,2; ყორია 324,25; იამა 339,10 (= ეამა) და სხვ.
ებარი 251,12 კაცის სახელია ქისტეთში.
ეთერი 101,1 ქალის სახელია.
ელდა 37,1; 161,6 ზაფრა.
ელეთ-მელეთ 311,22 იქით-აქეთ(?).
ემ 109,20; 333,17 ამ.
ერთურთი 53,14; 78,29; 132,17; 139,20; 181,9; 236,22; 289,4 ერთმანეთი.
ერთხელის 199,1 ერთხელ.



ერი 167,14 იერი.
ეხეთი 212,29 ასეთი.
ეული 206,18 უპატრონო, მარ-

ტოდ-მარტო.
ეხი 24,28; 96,24 „გამოქვაბული
კლდე“ (ვაჟა).

ჟ

-ვ-ვე: ადრევ 34,24 ადრევე; უჭირ-
ველებივ 268,32 უჭირველებივე.
ვდა 69,25; 132,10; 181,26; 244,1;
313,2; 321,30 ხმლის ტარი.
ვალ: მივალის 188,14; 192,2 მი-
დის; მოვალის მოდის (ნ. ვლევა).
ვარამი 102,6 დარდი, მწუხარება;
13,21 დაღონებული, მწუხარე.
ვაჰ 23,23; 71,12; 84,32; 137,29;
145,19; 171,5 ვაი; ვაჰმე 5,10;
19,10; 21,17; 103,10; 109,33;
168,3; 252,13 ვაიმე.
[დაწერილობამ შეიძლება ზო-
გიერთი ვინმე შეცთომამში შეი-
ყვანოს. აქ რომ ჰ სწერია, იგი
ვაჟას გამოთქმაში უთუოდ უფ-
რო ა იყო, მაშასადამე, ვაჰ და
ვაჰმე მისთვის, ვაჰ და ვაჰმე
გამოითქმოდა. ზოგ სხვა შემთხვე-
ვაშიაც, ალბათ, ჰ მისთვის იმა-
ვე ბგერის გამოსახატავად იყო;
მაგ. „ვაჰზრდი, გალაღებს ვაჟ-

კაცი“ 169,30 = გააზდი, გალა-
ღებს ვაჟაკი].
ვეზირი 123,32 მინისტრი.
ვერან-ი 267,9; 292,2 უპატრონო,
გაოხრებული; 178,1 საალერსოდ
ხმარებული; გავერანებული
136,3 გაპარტახებული.
ვერანა 34,27 „სოფელია“ (ვაჟა).
ვერსით 268,27 ვერსაიდან.
ვინამ 77,17 ვილაცამ.
ვინძლო 225,15 აბა შენ იცი! (წა-
სახალისებელი ან წასაქებელი
სიტყვა, რომელსაც ზმნა ყოველ-
თვის კავშირებით კილოში მოს-
დევს; მაგ. ვინძლო ეცადო 125,18.
ვისად 272,18 ვისთვის.
ვიში 122,6; 137,2; 314,2 კენესი-
სა, მწუხარების ხმა; ვიშ-ვიში
282,37 გაკვირვების ხმა; ვიშ-
ვიშებს 329,3 ოხრავს, კენესის.
ვლევა რონინება; ნუ მავლევ 49,3
ნუ მარონინებ. (ნ. ვალ.)

ც

წავთი 10,27 „შეხედულება“ (ვა-
ჟა).
1 წარ-ი 168,15 ტირილით მოთქმა.
2 წარ: მწარავს 122,16 შიშის ზა-
რსა მგვრის.
წარნიში ოქროს ფიგურებით მორ-
თულობა ფოლადზე (ფარისა,

ხმლისა, ხანჯლისა); დაწარნი-
შული 202,34 ოქროს ფიგურე-
ბიანი.
წაყება რხევა (ღიდ-ტანიანი კაცი-
სა): მოეწაყება ცხენზედა 47,36
რხევით მოდის ცხენზე და-
ჯდარი.



ზევა 172,28; 176,2; 197,16 კაცის სახელია.
ზევითა 149,8 ზევიდან.
-ზეით: **ცხენზეით** 17,23 ცხენზე რომ იყოს, იქიდან; **დედათ ჯარზეით** 184,31 დედაკაცების ჯარიდან.
ზენაით 47,32 ზემოდან.
ზერდაგი 76,4 მოწითალო ცხენი.
ზევაი ამაყი; **გულ-ზევავად** 182,33 მედიდურად, ამაყად.
ზევერი 36,28 მოზვერი (?).
ზევიად-ი 338,2 ამაყი, მედიდური.
ზევიადა 259,19; ან **ზევიადაური** 236,12; 255,15 სახელია კაცი-სა, გვარიც.

ზიკ: **ზაზიკული** 291,13 ან **ნაზიკი** 79,14 მორთული; **ზიკზიკა** 50,8 ძალიან მორთული.
ზინათი 201,22 სამკაული.
ზმან: **მომეზმანა** 270,28 სიზმარშინახე.
ზოდი 306,27 მთლიანი რამ.
ზოვი 47,30; 101,18; 116,24 ზვავი.
ზოზენა: **ამაზოზენი** 60,10 უსიამოვნო გრძნობის მომგვრელი.
ზრო 93,17 ისრის წვერი.
ზღვენი 81,11 ძღვენი, შესაწირავი.
ზღუბლი 45,17; 252,16 ზღურბლი; კარის ქვემო ნაწილი, რომელსაც გადავაბიჯებთ ხოლმე.

თ

თავად 22,25; 179,17; 236,27; 282,27 თვითონ; **თავადაც** 333,23 თვითონაც.
თავისა, თავისი ან **თვისი** შეიძლება ყველა პირს განეკუთვნებოდეს და არა მარტო მესამეს. მაშასადამე, მნიშვნელობით იგი შეიძლება იყოს არა მარტო მისი ან მათი, არამედ აგრეთვე: ჩემი ან ჩვენი და შენი ან თქვენი; მაგალითად, ჩემია აქ: 106,21 და 169,11; შენია აქ: 120,30; მისია აქ: 179,29.
თათრის შვილები 200,1 თათრები.
თათბირი ნ. დათათბირება.
თათუხი 304,21 საუკეთესო ხორბლის ერთი ჯიშია.
თალალი 17,2 ქალის სახელია.
თანოზა: **მთანოზ** 32,15 მთელის, მირცეს.

თან-თან 103,7 თან-და-თან.
თარ ნ. თრავ.
თაქება ცემა, რტყმევა; **ვუთაქებთ** 220,31; **უთაქეს** 221,8.
თემი 84,38; 204,26 გვარი (გვაროვნული წყობილების გაგებით. ძველად ფშავი თერთმეტი თემისგან ანუ თერთმეტი გვარისაგან შედგებოდა, როგორცაა გოგოლაური, გოგოჭური, ცაბაური და სხვ. ვაჟა-ფშაველა ძირად გოგოჭური იყო).
თეო 69,31 ადგილი ცხვრის ბინის განაპირას.
თერ ნ. თრევა.
თეჟა 197,2 ნაბადი.
თვალ-ი: **თვალის შეგდება** შემჩნევა, დანახვა; **თვალად მოსვლა** 172,10 მოწონება; **ცა თვალს**



უცემდა 176,24 ელავდა; **თვალი გველისა** ნ. გველის თვალი.
თვარელი 146,34; 148,1 კაცის სახელია.
თვისი ნ. თავისა.
თვის-ტომი 169,10 თავისიანი, თავის გვარისა.
თინა 25,14 ქალის სახელია.
თინბექ 21,5 კაცის სახელია; **თინბექა** (კნინ.)
თირება: **ვათირებთ** 169,26 ვაწყნარებთ; **სათირები** 115,11 დასაყვავებელი, დასაჩუმებელი.
თოთქორ: **შეთოთქორა** 296,15.
თორო 48,16; 106,6; 181,7 თორემ.

თორღვა 34,1 კაცის სახელია.
თრავ: **მოსთრავს** 234,16 მოეთრავა; **მოსთრავდა** 211,5 მოეთრავოდა.
თრევ: **აეთერ**, **წაეთერ**, **გაეთერ** 107,25-27 აეთრიე, წაეთრიე, გაეთრიე.
თქა: ნ. ჩათქმა.
თქერა 177,34 ცხენის კენებისაგან მოდენილი ხმა.
თქვ: **მოთქომი** 26,30 მთქმელი.
თქრიალი 22,1; 33,8 ხმა ფეხებისა.
თხეფა, **გათხეფა** 203,9 გასვრა, გათხუპნა; **გავფხიფოდით** 293,29 გავთხუპნიდით ხოლმე.

ო

ო 18,10; 22,15; 198,13 ის.
იადონი 117,4; 138,25 იადონი და ბულბული აქ დაპირისპირებულა ერთი-მეორისადმი: „ვარდს ხშირად ბულბული უმღერს და ნარგიზს იადონი ჰყავს“, ასე რომ ისინი სხვადასხვა ჩიტებად არის წარმოდგენილი. ფშავში თითქო ასეც უნდა იყოს, თუმცა ჩვეულებრივ ბერძნ. იადონი იმავე მგალობელ ჩიტს აღნიშნავს, რასაც სპარს. ბულბული.
იაზმა 289,8 აიაზმა, ნაკურთხი წყალი სასხურებლად.
იანო 305,35 ადგილია კახეთში.
-ით -იდან: **აქით** 11,26; 74,21; 113,7; 242,29 (აქიდან) ქალაქით 12,8 (ქალაქიდან), მალლით 26,5 (მალლიდან), სხლოვნითა

34,24; საითა 35,3; საით 133,36; 201,1 (საიდან), ცით 61,36; 107,34; სამართ 64,33; 134,29; 250,34; ფშავით 46,10; ზენაით 47,32; შორითა 50,18; 125,23; 176,25; ბაგითა 80,34; მალლით 89,7; ბექითა 149,1; 242,5; ზევითა 149,8 (ზევიდან); მინდვრითა 104,2; ბალანით 105,5; მითი 115,24; გორითა 125,27; 242,25; ქალითა 121,22; ტყით 132,26; ხელითა 122,27; ჩვენითა 167,26 (ჩვენგან), გორითა 176,29; ამლითა 177,11; რომკით 177,9; პირით 182,31; პირითა 250,20; დედათ ჯარზეით 184,31; ახადის გორითა 188, 30; თუმით 189,13; იქითა 190,18; შინაით 195,2; სწორჩით 196,17



(სწორებიდან); შიგით 252,6; ვერსით 268,77; ხევითა 270,8; ველითა 272,32; დაბლით 280,18; ძირითა 293,36 და სხვ.
ილეთი 35,30 „შნო“ (ვაჟა).
ილტო 296,33 მდინარეა კახეთში.
იმიერ 174,3 საიქიოს.

იმით 19,18 იმიტომ.
ირმის ნაფრენი 92,15 ირმის ნახტომი.
ისითა 18,31 ისეთი.
ისრე 112,25 ისე.
იფნი 92,27; 166,2 კოპიტი.

ბ

კაბა 105,28 ზემოდ ჩასაცმელი (როგორც კაცისა, ისე ქალისა).
კაი ყმა 79,15; 278,5, კარგი ყმა სახელოვანი ვაჟკაცი, გმირობის ჩამდენი, რაინდი.
კამარ: მოიკამარა (კამ) 298,32 მოიწმინდა.
კანტალა 70,5 ქურდის ეპითეტია.
კანჯარი 297,36 გარეული ვირი.
კაპუნი (ტუჩებისა) 199,10 ნძრევა, კანკალი.
კარ-ი: ბატონის კარზედ 178,15 „ხატის“ ეზოში, სამლოცველოსთან; მის კარს 179,5 მის კარზე; კარი-კარ 176,4 კართით კარად, კარ-და-კარ.
კარახელი 287,2 კაცის სახელია.
კატუნი 214,9; 215,15; 217,25; 218,30 გარეული კატა.
კაც-ი: უკაცურთ კაცობა გვმართებს 170,21 მამაკაცები რაკი არ გვეყვანან, ისე გვმართებს მოქცევა, როგორც მამაკაცებსაო.
კაწა-კუწი 217,28 კბილების ერთმანეთზე დაცემინების ხმა.
კახი 287,15 კახელი.
-კე -კენ: ხალხისკე 81,30 (ხალხისკენ), ჩვენკე 106,29; 130,13;

158,31; მტრისაკე 189,36; 198,9; იმათკე 197,8; ცეცხლისკე 268,12.
კელაობა კოჭლობა; მოკელაობდენ 132,3 კოჭლობით მოდიოდნენ.
კენკეშა 273,36 მცენარეა, რომელსაც მთაში ქაშენ.
კენჩხა 70,30 თავის ქალა.
კეტამი 259,7 კლდის თავი (?).
კეფა ნ. ჩაკეფა.
კვალთვა: შემოკვალთულნი 12,28 კალთებ-ამოკაპიწებულნი.
კვახე 297,2.
კვეთა: მიკვეთს 121,25 მიშლის.
კვეთილი 302,7 ყოფილი ქმარი რომ გაყრილ ცოლს აუკვეთს სხვაზე გათხოვებას.
კვერ-ი 1) ჩაქუჩი 131,9; 274,22; 291,16; 319,30; აქედან კვერვა, მკვერავი 290,20 გამომჟღავნი; 2) მრგვლად გამომცხვარი რამ, მაგ. პურისა 337,34; 3) მუხლის თავი 36,12; 277,25.
კვერთხი 217,4 ჯოხი.
კვირია 171,31; 180,27 კაცის სახელია.
კვლევა შინჯვა, დაკვირვება; რომ დაგეკვლია 296,18 რომ გაგე-

შინჯა, რომ დაჰკვირვებოდი.
კვნეტა: მკვნეტელი 110,31 კბი-
ლებით მგლეჯელი.
კვინწა 154,22 პატარა ნატეხი,
მაგ. მარილისა.
კივილი 277,34 ფურ-ირმის საპა-
სუხო ხმა ყვირილობის დროს.
შდრ. ყვირილი.
კილაკავად 179,21 ზოგიერთი ნი-
შნების მიხედვით (?); **უკილა-
კავო** (იმედი) უქვეელი (?).
კილდონი 214,8; 215,11; 217,25;
218,31 ფოცხვერი.
კილო 131 27 ისრის ჩაჭრილი პი-
რი, რომლითაც იგი ლარს ედებდა.
კინალ 35,29; 281,26 კინილა, კი-
ნალამ; **კინალართ** 35,28 id.
კინკლავი მცირედი ჩხუბი, არა-სე-
რიოზული; **გაეკინკლავენ ერთ-
მანეთს** 197,34.
კირკიტი: ჩაკირკიტება 125,7 ჩაც-
ქერა, თვალების მიპყრობა მოუ-
შორებლად.
კლანჭვა 130,34.
კმაზვა კაზმვა; **შამაკმაზვინა** ცხე-
ნია 186,26.
კნაწა-კნუწი 217,30 ძვლების მსხვერ-
ვის ხმა.
კოვზი (გულისა) 242,19.
კოპალა 52,6; 89,1; 93,2 ერთ-
ერთი სალოცავია ძველი ფშავ-
ლებისა; მისი ეპითეტია ბერი,
ლახტი უჭირავს; **კოპალას ქვა**
ქვაა გზის პირად ფშავის არა-
გვზე მალაროს კარს ახლოს.

კორა 36,7 „გასახედი თოფისა“
(ვაჟა).
კრიჭა 329,12 ნაველა, პატარა ლა-
რი, რომელზედაც საუქვავეი ჩა-
მოდის ხვიშირიდან და სარეკე-
ლას საშვალებით წისქვილის ქვა-
ში ცვივა; ყბა; **კრიჭა შეეკრა**
პირს ვერ ხსნის სალაპარაკოდ.
კრული: სულ-კრული 186,2 სულ-
წყეული.
კრწანისი 12,8 ადგილია, რომე-
ლიც ახლა ტფილისის ქალაქის
ფარგალში შემოდის, აბანოების
ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა ნა-
პირას.
კული (წყლისა) 32, 28 სადაც წყა-
ლი იწყება, სათავე მდინარისა;
(მთისა) 116,23 ადგილი სადაც
მთა მიაწყდება.
კულალა 141,4 კულ-მოკლე, უკუდო.
კულუხი 8,31 „ტაბლა“ (ვაჟა);
საეკლესიო ან „სახატო“ მამუ-
ლებიდან შემოსული ღვინო ან
ხორბალი.
კუმეტი 154,31 შავი (თვალეზზე).
კუპრი: ქალ-კუპრი 18,10 საწყევა-
რი სიტყვაა.
კურატი 80,1; 81,2 სამსხვერპლოდ
გამზადებული ხარი, რომელიც
არც დაიკოდება და არც უღელ-
ში გაიბმის.
კურღელა 59,1 კაცის სახელია.
კურუმი 262,34 კორომი, კორუმი,
ჯგუფად მდგარი ხეები და სხვ.

მ

- ლაღვა** 103,20 (გა)რეკა; **ულალ-ვენ** 59,11 ურვეენ, უბერიებენ.
1 ლამ-ი 9,7; 262,6 სილა.
2 ლამ: **ლამობენ** 33,10 აპირებენ; **ელამვის** 145,9 უპირებს; **ელამებოდა** 21,27 ეპირებოდა, ლამობდა.
ლაფი 127,22; 173,32; 321,11 ტალახი.
ლაფანი 46,36 „ცაცხვის, ან თელის ქერქის შიდა პირი“ (ვაჟა).
ლაქარდიანი (ენა) 240,9 ტკბილად-მოუბარი, პირ-მოთნე, მოფერებით მოლაპარაკე.
ლალ-ი ამაყი 32,6; მხიარული; აქედან: **გალალებს** 169,30 გახარებს; **სილალე** 17,4; 289,36; **გალალებული** 337,21 გახარებულ; **არ გაელადა** 303,6 არ გაელალებინა, არ გაეხარებინა.
ლაშ-ი (ჩვ. მრავლობითში) **ლაშე-ბი** 129,25 ან **ლაშნი** 97,10 პირი, ტუჩები; **ლაშ-დაღრენილი** 261,29; **ლაშებ-ქულაპუნა** 218,11; **ლაშ-პირი** 90,27.
ლაშარ-ი სალოცავია ფშავლებისა; **ლაშარელა** 175,15 მოფერებითი სახელია ლაშარისა; ჩვეულებრივ **ლაშარის ჯვარი** ითქმის: 20,5; 52,35; 175,9; **ლაშარის გორი** 177,5 ან **ლაშარის ჯვრის გორი** 176,29 გორია ფშავში, სადაც პატარა სამლოცველო ნიშია; **სალაშარიჯვროდ** 201,21 ლაშარის ხატში წასასვლელად. (ნ. ხატი და ჯვარი).
ლაშქარი: **დალაშქრვა** 131,16 ომში შებმა;
- ლაქანი** 240,23 დაწნული ლოგინი, რომელშიაც ლეიბად თივა აქეთ ჩაყრილი.
ლახვა 92,10; 117,29; ფეხის დადგმა, დაბიჯება; **ვლახოთ** 167,36 ფეხი ვადგათ.
ლახტი 93,5 რკინის ჯოხი.
ლეგა 60,20; 77,24; 242,31; 302,12 რუხი, ნაცრისფერი.
ლევა: **ნალევი** (მთვარისა) 23,1 მცხრალი.
ლეინა 299,37; 300,29 კაცის სახელია ლეკეთში.
ლეკი 199,1 საერთო სახელია დაღესტნელებისა.
ლელ-ი 33,19 ქაობის მცენარეა.
ლელა 84,13; 186,16 ქალის სახელია.
ლესი 130,18,28; 281,11; 282,16; 283,37 ხორცი (მოკლული ან მკვდარი ცხოველისა).
ლენ: **ნალენი** 35,34 „ხმელი ხის ტოტი“ (ვაჟა).
ლიბო 73,15; 127,37; 137,31; 166,5 საძირკველი.
ლიშანი 123,10 ნიშანი, მიზანი; **თოფის ლიშანი** 276,2.
ლომ: **შასალომები** 291,30.
ლომისის ჯვარი 269,9 სალოცავია მთიულებისა, მლეთეს ახლოს, მთაზე.
ლუგუმი 195,26 უმარილო, უგემური.
ლული 273,14 რული, თვლენა; **ღღე ილულავდა თვლებსა** 315,1 ლამდებოდა.
ლუნუმი 177,33 კაცის სახელია.

მ

მა 75,32 მაშ.
მათურა 18,18; 187,17 სოფელია ფშავში; **მათურელი** ერთი თერთმეტ თემთაგანია ფშავში (ნ. თემი).
მამილამ 184,26 საფიცებელი სიტყვაა მამისადმი ან მამად მიჩნეული კაცისადმი მიმართული სიყვარულით. (ზღრ. დედილამ).
მამო, 33,6 ხარისადმი მიმართული სიტყვებია (მაგ. ხენის დროს).
მამრი 168,25 მამა-კაცი, მამათა სქესისა.
მამუკა 54,26 „სახელია კაცისა“ (ვაჟა).
მანამ 64,25; 76,24 სანამ.
მანდილი 104,4 ქალის თავსახურავი.
მაჟარი 257,34 ძველებური თოფია ერთგვარი.
მარილი: **ნამარილვე** 145,5 მარილზე ნამყოფი.
მარჯვეს 268,9; 279,32 ახლოს; **მარჯვედვე** 70,3 ახლოსვე.
მასრა 268,17 ქილა (იმერული გავებით, ე. ი. ძველად თოფის წამლის ჩასაყრელად სახმარებელი, ახლა კი, როგორც ნაშთი, მხოლოდ შნოსთვის ჩოხის მკერდზე ჩაყოლებული ძვლისა ან ხისაგან გაკეთებული გულ-ამოღებული ნივთი.
მალლაით 89,7 მალლიდან.
მაშინის 51,15; 193,25 მაშინ.
მაცილი 94,14; 276,1 ეშმაკი; **მაცილთი** 127,17 ეშმაკებისა.

მაცნე 69,3 ამბის შემტყობინებელი.
მახვ: **პირ-გაღამახული** 316,38.
მახინცაური 178,1 გვარია.
მაჰმადი 6,32; 227,9; 331,31 კაცის სახელია.
მგლური (ნაბიჯი) 177,21.
მედგარ-ი 203,28; 251,18; 305,14 საწყვეარი სიტყვაა. იხმარება მეხთან ერთად: **მეხი-მედგარი**, ან **მეხი** და **მედგარი**, ან დამოუკიდებლივ, როგორც მეხის სინონიმი ან მისი ეპითეტი; **მედგარა** 103,2.
მეკობარი 300,1 შხირი, მეკობარი, დავლის საშოვნელად წასული.
მელი 212,13; 217,37 ფშავში ითქმის როგორც **მელი**, ისე **მელა**; **მელა** კნინობ. ფორმაა.
მენა 37,4; 62,31; 77,13; 84,12; 107,1 მე; **მენაც** 184,29 მეც.
მეჩეთი 314,26 მიზგითი, მაჰმადიანთ სამლოცველო სახლი.
მეჯლისი 130,6; 211,1; 214,1 წვეულება, პურობა.
მზირი 104,30; 172,32; 189,13; 194,26 სისხლის ასაღებად ან დავლის საშოვრად წასული; ჯაშუში, თვალ-ყურის მადევნებელი, ჩასაფრებელი.
მთოვარი 115,5 თოვლსავეთ ჩამოსული, რომელიც თოვს.
მიდამო 35,16 მიდამო, იქეთ და აქეთ.
მივალის 188,14; 192,2 მიდის.

- მით 338,16, მითაც 334,26 ან
 მითც 34,13; 242,38; 243,4 მა-
 ინც.
 მითამ, 36,16; 73,32; 91,28; 106,17;
 126,20; 182,17 ან მითომ 81,15
 ვითომ.
 მითაც, მითც ნ. მით.
 მინა 124,28 შუშა.
 მინამ... სანამდე ნ. სანამდე.
 მინანქარი 311,10 მინანქარი, ემალი.
 მინდარის 38,35; 79,9; 134,35
 მინდა.
 მინდი 54,26 „სახელია კაცისა“
 (ვაჟა); მინდია id.
 მინდოდაური 43,4 გვარია.
 მისანი 123,2 მკითხავი.
 მისრი ან მისრეთი ეგვიპტე; მისრუ-
 ლი 119,35; 332,28 ეგვიპტური.
 მიურიდი 227,13 ანუ მურიდი მორ-
 ჩილი, მიმდევარი, მოწაფე, გან-
 საკუთრებით შამილის მიმდე-
 ვარი.
 მიქუჩება 272,6 მიგროვება.
 მიწვადება 46,35 მიწოდება.
 მიჯარება: მისჯარებიან 72,13 მი-
 სწყობიან, მილაგებულან ზედ;
 მიჯრა მიწყობა, მიღება ზედი-
 ზედ.
 მლაშობი 33,4 მლაშე ადგილი.
 მოარდა 23,31; 35,26 მოვარდა.
 მოგელავება ნ. გელ.
 მოეზაყება ნ. ზაყ.
 მოვალის 193,25 მოდის, მოვა.
 მოზვერი 32,7 ახალგაზდა არწივი.
 მოზმანება: მომეზმანა 270,28 სი-
 ზმრად ვნახე.
 მოთქომი 26,30 მოქმელი.
- მოკამარება (ცისა) 298,32 მოწ-
 მენდა.
 მოკელოზდენ 132,3 კოქლობით
 მოლიოდნენ.
 მოკვდავი 137,17 მომაკვდავი (ასე-
 თი ფორმითაც გვხვდება: 140,4).
 მოლა 173,6; 246,3; 314,26 მა-
 ჰმადიანთ სასულიერო პირი.
 მომართვა ხელისა: ხელ მოგიმარ-
 თოს 184,10 მისალმების სიტ-
 ყუებია
 მორევა (იღბლისა): „ვერვინ მა-
 ჰრივა იღბალი“ 73,11.
 მორევი „შავი გამოდის გველები
 დევთა სისხლისა მორევითა“ 94,3.
 მოროყინობდენ 132,2 ნ. რო-
 ყინი.
 მორჩომა 102,24 „მოვრჩებოდი ამ
 ბებერს“—გადავურჩებოდი, ვაგ-
 თავისუფლდებოდი ამ ბებრისა-
 გან.
 მოსაქიდი 287,32 მოსაქიდები.
 მოხთრავდა 211,5 მოეთრეოდა.
 მოტყუება: არ მომეტყუება 135,9
 არ შევეცთები.
 მოფონება მოშვება (მოჭირებულ-
 სა), შემსუბუქება; მოვიფონებ-
 დი 174,24; მოფონებული 338,8
 მოშვებული (მოჭირების შემდეგ).
 მოქანჩვა ქანჩით მოჭირება; 9,32
 მოწვევა.
 მოქევეჭვება ნ. ქევეჭვი.
 მოქუჩდა 79,29 მოგროვდა.
 მოლრეჯა (ცხენისა) 188,11 მოწვე-
 ვა (ლაგმით).
 მოყვასი 193,3 მეგობარი.
 მოყმე 23,32 ვაჟკაცი, გმირი.
 მოყურიადე 240,8,30 ჯაშუში.

მოცადი 145,25 ვინც ცდილობს.
მოცლილი 237,35 მოწყვეტილი.
მოქიდება 112,14; 287,32 მოკიდება (ხელისა).
მოხმა მოტანა (ბევრისა); მაიხვენ აბჯარნი 49,15 მოიტანე აბჯრები.
მრავალი 76,24 ან მრავალ ფორმით: მრავალანი 34,8 ხომლი, პლეადა (ჯგუფად თავ-მოყრილი ვარსკვლავებია). ნ. ბძან; მრავალივ 186,20 მრავლად.
მრეობა 64,22 ძალმომრეობა.
მსრავი 6,33 მსრველი, მეღეტელი.
მტკნარ: გამტკნარებული 277,29 გაფითრებული, ფერ-წასული.
მტრისად 187,25 მტრისთვის.
მუზარადი 8,22; 131,12; 178,29; 257,18 ჩაჩქანი, რკინის ქუდი ომში სახმარებელი.
მუმბარეზი ჩხუბის გუნებაზე მყოფი, საომრად განწყობილი, მოჩხუბარი; მუმბარეზობა 185,15.
მურო 325,26 ანუ ურო ბალახია.
მუსა 243,23 სახელია მაჰმადიანებში გავრცელებული (უდრის მოსეს).
მუცალი 70,13 კაცის სახელია.
მუხანათი 5,16; 291,22 მოლაღატე, დაუნდობელი.
მუხლის კვერები 36,29; 277,25.
მუხლადი 108,7 მალი, სწრაფი.
მუჯა 272,29 მინერალური წყალი, მარილიანი, რომელსაც ნადირი ძალიან ეტანება.
მქისე 70,32; 341,13 უსიამოვნო (ყურისათვის).
მქონან 108,35 იოქმის ისეთ სიტ-

ყვასთან, რომელიც ძველებურ მრავლობითში დგას; მაგ. „მკლავნი მქონან“, მაგრამ: „მკლავები მაქვს“.
მყეფარი 32,25 არწივის ეპითეტია.
მყვირალი 17,20; 26,12 კაცის სახელია.
მყინვარე 47,29 მარად უდნობი ყინული მთაში.
მყის 126,18 უცბად.
-მც, -მცა ნაწილაკია, რომელიც ფშურში მოსალოდნელი კავშირებით კილოს ნაცვლად თხრობითს მოითხოვს. იხმარება ნატვრით წინადადებაში: აგრემც 37,25; სახელიანიმც ხარი 74,16; ჩემსამც სამარეს ამკობენ 165,20; მტრისამც დედასა ჰკბენს 166,35; შენიმცა მწყალობელია 168,28; მულამამც გაგემარჯვება, ნუმც ცარიელი დაპრჩები 281,17,18; მულამც ხელ მოგემართების 278,25; ცამც დამქცევეია თავზედა 320,12 და სხე.
მცენ: ამცენებხ 52,32 აცენებხ.
მცვრეული ცვრად დადებული.
მციარე: დაამცრო 122,18 დაამცირა.
მძოვრი 107,2 მძორი, ლეში.
მწერელი ვის ხელშიაც არის, ხალხის წარმოდგენით, კაცის სეგბედი, ადამიანის წერა; აქედან: უმწერლოდ 279,37.
მწვეტი წვეტიანი.
მწყაზარი 33,9 კობტა, მოხდენილი; ჩამოუმწყაზრავთ 312,6 ჩამოულამაზებიათ.

მწყალობნება ნ. დამწყალობნება.
მკვარტლის წყალი 32,28 მდინა-
რეა (?).
მხარ-კვერიანი 202,20 არწივის

ეპითეტია, მხარზე ნიშნის ქონე-
ბის გამო.
მჯილი: იმჯილავს 307,9; ჩაიმჯი-
ლავს 26,29; გულს იმლილავლ
167,23 გულში მჯილს იცემდა.

ნ

ნაბოტარი ნ. ბოტ.
ნაგალი 148,10; 262,10 დაგლილი,
დანარცხებული.
ნავალი 101,31; 116,22 ფეხის
კვალი.
ნაზიკი (ხმალი) 79,34 მორთული.
ნაზირი ზედამხედველი, უფროსი;
ნაზირ-ვეზირნი 122,10.
ნათოსი 22,3; 281,32 „წყლისაგან
გამორიყული ხეები“ (ვაჟა).
ნათოფარი 201,20 თოჯინიდან ტყვია-
მოხვედრილი.
ნაკუწი 187,7 ნაფლეთი.
ნალახი 51,32 თვიურიანი დედა-
კაცის გავლილი ადგილი, ან მის
სამყოფ ადგილას ნადები რამ;
314,19 ნაცემი.
ნალევი 23,1 მცხრალი (მთვარე).
ნალეწი 35,24 „ხმელი ხის ტოტი“
(ვაჟა).
ნამარილევი 145,5 მარილზე ნამ-
ყოფი.
ნამზვლევვი 325,18 ჩამოგლეჯილი
მიწა, ჩამომსკდარი.
ნაპოხი 256,6 გაპოხილი, ცხიმ-წა-
სმული.
ნარგიზი 116,35 ყვავილია.
ნაჟური 311,27 ნაწური.
ნასრევი 82,38 ნასროლი.

ნატერფალი 192,18 კვალი (ფე-
ხისა.)
ნაფრენი 92,15; 249,3 ნახტომი.
ნაფურუკი 131,15 ნაზელი, შეზე-
ლილი.
ნაფხვერი 271,23 ნამსხვრევი, ნამ-
ცეცი.
ნაქერალა 197,1 მთაა, რომელზე-
დაც თუშეთიდან კახეთს გადმო-
სავალი გზა ძევს.
ნაჩალიკი 288,1 უფროსი.
ნაძოძი 70,15 ნაფლეთი; ვაუნა-
ძოძა 74,36 დაუფლითა.
ნაწილი: უნაწილო 306,8 უქმელი.
ნაქრევი 49,20; 186,31 კრილობა,
წყლული.
ნახადი 328,38 რომელსაც გადა-
უხდი ან გადაჰხედია.
ნახლართიანი 194,31 დახლარ-
თული.
ნდ: მინდარის 79,9 მინდა; გინდა-
რის გინდა, უნდარის უნდა.
ნებ-ნება 145,8 ნელ-ნელა.
ნელ: შანელეზული 78,6 შეზავე-
ბული.
ნენე 225,10 ქალის სახელია.
ნესტარი 326,20 ნეშტარი, ლა-
ხვარი.

ნეტარ 6,23; 17,8; 45,26; 102,36;
183,35; 168,12 ნეტავ.
ნთქრევა 44,38 ზანზარი, რყევა.
ნიადაგ 299,9 აუცილებლად, რა-
საკვირველია.

ნიაგ-ღვარი 169,35; 320,34 ნია-
ღვარი.
ნობათი 149,25 საჩუქარი.
ნუნუა 236,10 კაცის სახელია.

ო

-**ოთ** ალბათ. **ჯერ ვერ-ოთ** გადა-
ავლიეს 17,5 ალბათ ჯერ ვერ
გადაავლიეს; **არ-ოთ** გასწირავს
91,32 ალბათ არ გასწირავს; **არ-
ოთ** 46,13 რასაკვირველია არა;
პური-ოთ გშიან 176,10 ალბათ

პური გშიან.
ონარი 18,11 ხერხი, მოხერხება.
ოს: დაოსდა 146,10 დაიქანცა.
ოსმანა 23,25 კაცის სახელია.
ოლომც 49,7; 110,12; 190,36;
191,5 ოლონდ კი.

პ

პანკისი 201,10 ხეობაა კახეთში,
ალაზნის თავში.
პაპა 80,30 ბაბუა.
პატა 220,6 პატარა, ცოტა.
პირ-ალმე 145,6; 234,6 ზევით რომ
მისდინხარ.
პირ-ბადე 165,2 პირის მოსაბურა-
ვი ბადე.
პირ-თავქვე 176,17 ქვემოთ რომ
მოსდინხარ.
პირ-ილტოსაკე 296,33 ილტოს მხა-
რეს, ილტოსკენ.
პირიმზე 33,15; 165,26; 188,19;
263,7 „ყუავილია“ (ვაჟა).
პირის ქნა 186,21 დაპირება (რომ
დააპირებენ).

პირის წამალი 26,19 წამალი, რო-
მელიც გასროლის წინ კაჟიან
თოფს ფალიაზე უნდა დააყარონ.
ნ. საპირისწამლე.
პირ-მზითი 145,3 სამზეო, მზიანი
ადგილი.
პირ-ქუში 115,2; 117,6 წარბ-შე-
კრული, მწყრალი, შავად რომ
გამოიყურება.
პოხვა წასმა ცხიმეულისა (ერბოსი,
კარაქისა, ქონისა, ზეთისა); აქე-
დან: **იპოხება** 92,4; **იპოხენ**
199,30; **საპოხლად** 315,12.
პრპიალი: დაპრპიალებდეს 20,14
ელვარებდეს.
ბჰყვრიალი 212,33 ბჰყვრიალი.

ქ

ჟამი 108,17 დრო.
ჟენტ | ჟინთ: გაჟინთული 37,9 გა-
ჟღენთილი.

ჟიკჟიკი ციმციმი; **ჟიკჟიკებს** 36,13
„პბრწყინავს“ (ვაჟა)
ჟილვა: გამოიჟილა 282,19 გამო-

ვიდა ჩენჩოდან (თხილი, კაკალი, წაბლი).
ჟინვანი 7,3 სოფელია დუშეთიდან თორმეტობდე კილომეტრის მანძილზე, სადაც ერთდებოდა ფშავისა და მთიულეთის არაგვი.
ჟინჟვლა წვრილი წვიმა, ცრა; **ჟინ-**

ჟღვლა id. **ჟინჟღვლა** 34,6. **ჟიჟრიბანდი** გარიჟრაჟი; **იჟიჟრიბანდა** 192,21.
ჟონვა 33,4; 47,26 წვეთ-წვეთად ჩამოსვლა წყლისა.
ჟუჟვა 294,3 წყვეტა, სულ-ერთიანად მოსპობა.

რ

რა 75,22 რაკი.
რაად 36,28; 51,11; 77,6; 79,9 რატომ, რისთვის.
რაკი როგორ; **რაკი დაუშლის** 196,29 როგორ დაუშლის, ვერ დაუშლის; **რაკი არ** 186,3,17,18 როგორ, და მერე როგორ, ჰაი-ჰაი რომ (უარყოფა აქ არ არის, პირიქით).
რაკუნე 53,28 კარზე რეკის ხმა.
რამა 135,5 რამე; **რამამ** 78,1 რალცამ.
რატუ 45,34; 51,7 რატომ.
რალა 303,19 რაკი.
რაცხვა თელა; **რაცხს** 119,25 თელის.
რახტი 22,9 აღვირის მორთულობა (ვერცხლისა და სხვ.)
რევა: **მრეობა** 64,22 ძალმომრეობა; **ჩარია** 307,33 ჩაყარა; **დაჭრია** 307,35 მოერია.
რვალი 76,4; 77,20 ჩვეულებრივ

სპილენძია, მაგრამ ფოლადის მნიშვნელობითაც იხმარება.
რიალი 201,2 მორბენალი ხალხის ან ცხენების ხმაურობა.
რიგი 77,8 მკვდრის სულის მოსახსენებლად გაწეული ხარჯი; აქედან: **ხარიგო** 138,9.
რისად 199,22 რისთვის.
რო 31,5; 45,2; 130,23; 222,15 რომ; 51,5; 177,15 როგორც.
როს 140,21; 173,25 როდესაც; **როსც** 134,6 id.
როყინი 132,30 უშნო სიარული (კამეჩისა, აქლემისა).
როშკა 177,9 სოფელია ხევსურეთში; **როშკით** როშკიდან.
რძალი ნ. ქალი.
რწეული 48,3.
რჯულება რჯულზე მოქცევა; **გურჯულებულს არჯულებ** 80,25.

ს

საბუე 199,1 სოფელია კახეთში.
საგონი 102,34 საგონებელი, საფიქრებელი.
სადიური 185,9 სადაური.

სათირები 115,11 დასაყვავებელი, გასაჩუმებელი.
საით 133,36; 201,1 ან **საითა** 35,3; 317,4 საიდან.

აკარგუმო 82,32 კაი ყმის სადღე-
გრძელო.
საკაცე 201,31 უძღური კაცისა ან
მკედრის წასაღები.
საკლავი 80,27; 166,25; 170,19
სამსხვერპლოდ გამზადებული სა-
ქონელი (კურატი, ცხვარი).
სალამი მშვიდობა; საღმით იყვნო-
ლით 179,23 მშვიდობით იყვენით.
სალაღები 115,11 გასახარებელი.
სალბუნი მალამო; მსალბუნებელი
108,24 მომშუშებელი (ქრილო-
ბისა).
სალეკო 18,1 ვადმოსავალია, სა-
იდანაც ლეკები ესხმიან ფშავლებს
და სხვებს.
სალტა 174,23; 234,20 სალტე,
ირგელივ მოსაჭერი რგოლი.
სალუდე 54,25 შენობა სამლოც-
ველოს ეზოში, სადაც ლუდს ხარ-
შვენ; სალუდე ქობი (სალუდის
ქობი) 129,25 მალალი ქვაბი, რო-
მელშიაც ლუდს ხარშვენ.
სამ 51,15; 276,19 სადღაც, სადმე;
ყინჩად სამ 23,30 კარგად რო-
გორღაც; შორს სამ 26,13 სად-
ღაც შორს; ბევრს სამ 185,13.
სამართალი ვქნათ 82,2 გავასამა-
რთლოთ, გავარჩიოთ სამართლის
წესით.
სამკლავე 17,12 მკლავზე (იდაყვი-
დან მაჯამდე) გასაკეთებელი რკი-
ნის საფარი ომში; სამკლავიანი
191,16; 204,20.
სამლო 180,1 მსხვერპლის შეწირვა
გამარჯვების გამოსახოვად.
სამყოფო 141,9 საჯალაბო; საერ-
თო საცხოვრებელი (უმთავრესად
ქვემო სართულში).

სანათა 168,169 ქალის სახელია.
სანამ... მანამ 52,27,28 მანამდე...
ვიდრე; სანამდე... მინამ
321,33,34 რითმის გულისათვის
პოემაში შეცვლილია წყობა, თო-
რემ მოსალოდნელი იყო: „უნდა
იაროს სანამდე, მინამ სტუმრის
მკვლელს არ მოჰკლავს“, რაიცა
ჩვენი ქართულით იქნება: „მანამ-
დე უნდა იაროს, ვიდრე სტუმ-
რის მკვლელს არ მოჰკლავს“.
სანგალი 197,5 საფარი (მტრისგან
თავდასხმის დროს).
საპირისწამლე 268,18 ხისა ან რქის
ქურქელი, რომელშიც ინახებოდა
თოფის წამალი ფალიაზე დასა-
ყრელად (ტალიანი თოფისათვის)
გასროლის წინ.
საპოხი 182,8 ცხიმი რამ წასასმე-
ლად (ქონი, ერბო, ზეთი).
სარეკელა 199,11 წისქვილის ქვას
რომ ჯოხი ადევს, რომელიც ქვის
ბრუნვისაგან ხტის, ნაველას ან-
ძრევს და მარცვლებს აყრეინებს
ხოლმე.
სარიგო ნ. რიგი.
სახო-მიხდილი 228,31 იმედ-და-
კარგული.
სახწრაფო ჩანთა მასრებისათვის.
სათილო 28,2 საოხრე (საწყევარი
სიტყვაა).
საფევი 77,24 ქრილობაში ჩასატა-
ნებელი; პირ-საფევი პირსაცო-
ბი, პრობკა.
საფერი 134,7 შესაფერი.
საფერხე 198,22; 312,22 საჯდომი
ცხენი.



- საფიხვნო** 69,9 შესაკრებელი ადგილი სოფლის ჭირ-ვარამზე მოსალაპარაკებლად; **საფიხნოდ** 292,17 „სასაუბროდ“ (ვაჟა).
- საქონი** 102,32 საქონელი.
- სალარი** 198,13 ცხენი, რომელსაც თეთრი ზოლი ჩამოუღდის შუბლზე.
- საყმო** 80,7; 175,7; 179,29; 192,10 მთიელთა წარმოდგენით მათი სალოცავი (ლაშარის ჯვარი, კოპალა, გუდანის ჯვარი, ლომისის ჯვარი და სხვ.) ბატონია, ხოლო ისინი—ყმები; მოსახლეობა საზოგადოდ საყმო. ნ. ბატონი.
- საყორნის თავი** 26,3 მთაა; **საყორნის ყელი** 18,2; 23,15; 27,13.
- საჩეხი** 200,11 კარავი; გადმოფარებული რამ (დერეფანი და მისთანა).
- საცდელის ცდა** 185,22,23 ბრძოლაში თავის გამოჩენა.
- საძნოვარი** 82,10 საძნე.
- საწილო** 121,1 ხვედრი, წილი.
- საჯარე** 166,21; 178,27; 180,3 შესაკრებელი ადგილი სალოცავში.
- სვილი** ქვავეი; **სვილის ფერი** 23,32 შავგვრემანი.
- სთველი** შემოდგომა; **სთვლობით** 101,16 სთველზე, შემოდგომაზე... ხოლმე.
- სიათა** 47,3; 49,4; 145,19; 234,10; 275,20 ძველებური თოფია ერთგვარი.
- სიგრძივ** 72,9 სიგრძეზე.
- სივხივი** 116,2 სწრაფად დაშვებული ფრინველის მოდენილი ხმაურობა.
- სილალე** 17,14; 289,36 სიხარული.
- სინჯვა: სიზმრებსა ვსინჯავ** 187,32 სიზმრებს ვხედავ.
- სიპი** 92,25; 148,8; 166,9; 236,13; 307, 11 ფიქალი, ფიცარივით ბრტყელი ქვა.
- სისხამი** 102,26 ძალიან ადრე, სულ ახალ-გათენებული.
- სიტყვის გამოგება** 126,31 სიტყვის გამოთქმა.
- სიყმილი** 277,38 შიმშილი.
- სიწუნტე** 199,19 სიბინძურე.
- სოვი** 31,24; 32,14; 116,3 სვავი.
- სპასალარი** 118,6 ჯარის უფროსი, სპასპეტი.
- სპასპეტი** 117,8 სარდალი, ჯარების უფროსი.
- სპეროზია** 196,25 კლდიანი მთაა თუშეთიდან კახეთს გადმოსავალთან.
- სრა** ძვირფასი სახლი, სამეფო სახლი; **სრა-სახლი** 116,27; 136,17 სასახლე.
- სრვა: ჰსრავდნენ** 61,25 წყვეტდნენ, ჟღერდნენ.
- სრევა** 71,5 სროლა; **გამოვესრივ** 275,20 გამოვისროლე; **გადმეესრია** 83,3 გადმოვარდა; **სრეული** 91,23 ნასროლი.
- სრულ** 103,12; 198,28 სულ.
- სტანაო** 189,31 (= სტანავ-ო) ახლავს-ო.
- სუ** 21,10; 22,2 სულ; 49,1 გაჩუმდი!
- სუღარა** 118,4; 132,23 მკედრის გასახვევი ტილო.
- სუღია** 287,1 მოსამართლე.
- სულ: ასულება** 127,3 სუნის ადევ



ნა, ამყრალება; **სულ-თქმა** 178,21
სუნთქვა; 179,30 ოხვრა; **სულის**
განათლება (ბევრზე **სულთ** გა-
ნათლება 107,14) ცხონება.
სულა 59,1 კაცის სახელია.
სულჯანი ნ. უსულჯანო.
სუმელჯი 187,3 კაცის სახელია;
აქედან: **სუმელჯაურნი** 177,10
გვარია.
სუნ: **ასუნებულა** 35,9 სუნი და-
ჰყრია.
სუტვა (ჩიბუხისა) 292,28 წვევა; **შა-**
ესუტოს 326,1 შავსვას.

სცან 82,24 სცემონ, დაარტყან.
სწორ: **სწორჩიით გამორჩეული-**
196,17 ტოლ-ამხანაგებში გამო-
სლექტილი.
სწორობა 129,34 შეჯიბრება (?).
სკობა ნ. დასკობა.
სხარტ ნ. ამოსხარტული.
სხვაკან 84,23 სხვაგან.
სხვიშვილი 170,32 მოჯამაგირე.
სხლოვანი 34,24; 204,29 „სოფე-
ლია“ (ვაჟა), იორზეა, ვაჟა-ფშა-
ველას დედა იქიდან იყო გამო-
თხოვილი.

ტ

ტალი 69,21; 226,26 კაჟი.
ტან: **გადმოტანება** 278,11 მოშუ-
რება.
ტარი 22,31 თითისტარი, ჩერია.
ტატანი: **ცის ტატანად** 26,14; 191,20
ჰორიზონტზე.
ტაფი 35, 16; **ტაფობი** 270,15,33
ჩაეარდნილი ადგილი ტყეში, თა-
ნაც მოსუფთავებული (უხეო).
ტახტა 314,31 კეხის ნაწილი, ამო-
შვერილი წინ და უკან.
ტბათანა 201,26 მთაა ალაზნისსა-
თავეში, სადაც ზაფხულს ატარე-
ბენ ის თუშები, რომლებიც ამ-
ჟამად ბარში (კახეთში, სოფ. ზე-
მო-ალვანში) არიან ჩამოსულები.
ტევა: **უტიოთ** 198,24 შევეუტიოთ;
გამოუტიოთ 198,27 გამოვუშვათ.
ტევება გამოდგომა: **გაქცეულს ვე-**
ტევებოდი 281,27.
ტევერი 325,17 ხშირი ტყე.

ტერელო 317,17 სოფელი უნდა-
იყოს.
ტერფი 92,16 ფეხის ქვემო ნაწილი,
რომელიც მიწას ებიჯება.
ტეშ: **დატეშა** 96,13.
ტიალი 31,23; 132,29; 206,3;
234,11 ამოგდებული, სულ და-
ქცეული (საწყევარი სიტყვაა);
მრავლობითში: **ტივლები** 115,26;
გატიალებული 116,14 გამწყდა-
რი, გაჩანაგებული, არარად ქცე-
ული; **თოვლ-ტიალა** 213,13 წყე-
ული თოვლი.
ტკაცვა: **იტკიცეს** 247,29 იწყინეს,
საწყენად დაურჩათ.
ტოლ ნ. დატოლება.
ტოტი 83,13; 220,31 წინა ფეხი-
ცხოვლისა (მაგ. ძაღლისა, მგლი-
სა, ლომისა, ცხენისა); აქედან:
ნატოტარი 211,16 დანაბიჯები.
ტრფიალი 112,16; 122,29 სიყვა-
რული.

ტყემა 35,13.
 ტყვრებიან 79,18 სკდებიან; ტყვრე-
 ბოლა 26,4 სკდებოლა.

უბირი 305,3 უვიცი, უმეცარი.
 უგზო 221,16 უხეირო, უჭკო.
 უგონ: წარა-უგონთა 25,21 „წარა-
 მარად“ (ვაჟა), უაზროდ.
 უერთოდ 187,10 უმიზნოდ, უშე-
 დეგოდ (?)
 უკეთური 171,1 უხეირო, ცუდი.
 უკვენ 38,25; 75,32; 84,1; 91,1
 უკან; უკვენა უკანა; უკვენა
 ფშავი 19,26; 21,30 ფართო
 მნიშვნელობით: მთელი ფშავის
 ხეობა არაგვზე ორწყალს ზემოთ;
 ვიწრო მნიშვნელობით: ამ ხეო-
 ბის სულ ზემო სოფლები ლაშა-
 რის ჯვრის უკან.
 უკვლო 323,23 ან უკლო 169,9;
 203,19 უხეირო, უვარგისი; უძე-
 ოდ გარდაცვალებული; უკვლოდ
 316,28.
 უკილაკავო (იმედი) 280,3 უსათუო.
 უკილოდ 297,7 უწესოდ, ურიგოდ.
 უკუნი 149,18 მეტად ბნელი; უკუ-

ტულაპი 48,35; 241,20 ფეხქვეშ
 გასაშლელი ძველი რამ.
 ტყრიალი 131,10 ძლიერი ცემის ხმა.

უ

ნეთი 53,17 მეტად ბნელი ღამე.
 უნაწილო 306,8 უჭმელი.
 უნჯი 43,7 განძი.
 ურთერთთან 287,22 ერთმანეთთან
 (მღრ. ერთურთი).
 ურო 24 (მესამე შენიშვნაში) ბა-
 ლახია (= მურო).
 ურძანი 147,5 ჯაგის მცენარეა,
 რომლისგანაც ჯოხებსა და მათ-
 რახის ტარებს აკეთებენ.
 უსურმაგი 185,6 საჭმელად მიუ-
 ლებელი ცხოველი (ცხენი, კატა,
 ძაღლი და მისთ.)
 უსულჯანო 222,2 უღონო, სუსტი,
 უძლური (ვისაც სული და ჯანი
 გამოლეული აქვს).
 უფრორე 169,25 უფრო.
 უღრანი 129,17 უდაბური.
 უშიშა 74,17 კაცის სახელია.
 უწყავება 184,21 აუწყველობა.
 უჯიშო 122,26 უგვარო, ცუდი
 გვარისა.

ფ

ფალია 200,22 ნაწილი ძველებური
 ტალიანი თოფისა, სადაც წა-
 მალს აყრიან.
 ფამფალი: დაჰფამფალებდა 73,9.
 ფანდური 44,33 სიმებიანი დასა-
 კრავია, ჩონგურზე მომცრო.
 ფარიკაობა 61,34 ვარჯიშობა ია-

რალის ხმარებაში.
 ფარტენა 202,16 დაჩეჩილი მა-
 ტყლის ქულა.
 ფაფახი 312,29; 324,37 ბეწვიანი
 ქუდი (უმთავრესად კრაველისა).
 ფაფხურა 51,4 მკვებარა, ვისაც
 ფახი-ფუხი უყვარს.

ფაჩუნი: **უფაჩუნებენ** 140,22 ურტყმენ, ნელად სცემენ ხელით.
ფევა (და)ცობა ახდელი კურკლის პირისა; ნაჭრევის ამოვსება მგვრით ან რითიმე; ნატყვიარს ბრძამით იფევედა 74,37.
ფეთება 126,4 წრეს გადასულობა.
ფერ: **ფერა** მსგავსი; **ლომის ფერანი** 178,9; **ჩემ-ფერა** 32,6; 171,1 ჩემნაირი; **დაეფერა** 217,18 დაემსგავსა.
ფერხი: **საფერხე** 198,22; 312,22 საჯდომი ცხენი.
ფერცხალი 132,11 გვერდი.
ფეშქაში 190,10 საჩუქარი.
ფთიანი 69,16 ფრთიანი; ცხენზე: მალი, სწრაფი, რომელიც თითქო ფრინავსო.
ფიალი 133,3; 168,17 ფიალა.
ფინა 156,8 ფინია (ძალი).
ფირტი 31,31 ფილტი.
ფიტი 183,2 ფიქა.
ფიც-ვერცხლის ქაშა 50,23; 323,26 ძმად შეფიცება, რომლის დროსაც ვერცხლს ჩათლიან სასმელში და დაღევენ.
ფიხონი: **საფიხნო** 69,9 შესაკრებელი ადგილი სოფლის ავ-კარგზე მოსალაპარაკებლად; **საფიხნოდ** 292,17 „სასაუბროდ“ (ვაჟა).
ფლატე 278,34 ჩამონგრეული მიწა.
ფონ: **მოფონება** მოშვება (მოჭირებულისა); **ეფონებოდა** 134,22 ეშვებოდა.
ფოფინ: **შაჭოფინებდენ** 301,17 ტრფობით შესცქეროდენ.

ფოჩი იხმარება ძირთან ერთად და მის საპირისპიროდ: **ძირ-ფოჩიანად** 280,29; **ძირი და ფოჩი** 340,29; ამიტომ იგი უნდა იყოს ზემო ნაწილი ყვავილოვანი მცენარისა, რომელიც ყვავის.
ფრანგული 12,30; 45,11; 26,26; 69,12; 175,11; 179,15; 257,15; 307,7; 316,11 ერთგვარი ხმალია, რომელიც საშუალო საუკუნეებში „საფრანგეთიდან“ (ე. ი. იმდროინდელი ვაგებით: ევროპიდან) შემოდიოდა, უმთავრესად გენუიდან.
ფრაშ-ფრაში 78,15 ფრენის ხმა (დიდი ფრინველისა).
ფრენა ხტომასაც ნიშნავს; **დავა-ფრინდი** 317,13 დაეახტი.
ფსიტი 114,35 არჩვი.
ფური 145,18 დედალი ირემი.
ფშა მდინარის პირას გამომდინარე წყარო, ზაფხულში გრილი და ზამთარში ნელ-თბილი (ამ თვისების გამო წისქვილებს მთაში ფშიან ადგილას აგებენ ხოლმე, რომ წყალი არ გაიყინოს და წისქვილი არ დადგეს); **ფშიანი** 165,13.
ფშავი ჩვეულებრივ ფშავი ითქმის ქვეყნის შესახებ (კაცზე: **ფშაველი**), მაგრამ პოეტურად შეიძლება **ფშავეთიც** ითქვას (174,34) და **საფშავეთიც** (62,29).
ფშრუკვა (სახელდახელო) ზელა; **ნაფშრუკი** 131,15 ნაზელი.
ფხა პირი (მჭრელი იარაღისა:

ხმლისა, ხანჯლისა, დანისა და სხვ.); აქედან: ფხიანი 69,12; 268,21 კარგად მჭრელი; გაფხავებული 330,29 კარგად გაღესილი, ძალიან მჭრელი; ფხა-

შეუშლელი 119,36 სანაქებოდ მჭრელი.

ფხვერ: ნაფხვერი 271,23 ნამსხვერევი, ნამტვრევი.

ქ

ქადა 176,12 ერთგვარი ტკბილი პურია, რომელსაც გულად ერბოში მოკიდებული და წინასწარ მომუშული შაქარ-ნარევი ფქვილი აქვს.

ქადაგი 178,26,34 კაცი (ან ქალი), რომელსაც ვითომ წინასწარმეტყველების ძალა შესწევდეს და მოწოდებული იყოს „ხატის“ სურვილი ამცნოს ხალხს.

ქავი 72,6; 79,4; 80,35; 116,29; 236,25; 320,20 ციხე; ქავ-ციხე 259,33;

ქათიბი 47,14 ზემო ტანსაცმელი, გარემოზე ბეწვ-მოვლებული (ქალისა); 221,12; 311,9 ბეწვეული ტანსაცმელი.

ქალი 1) დედაკაცი; გაუთხოვარი ქალი; აქედან: ქალ-კუპრი 18,10 საწყევარი სიტყვაა; ქალი და რძალი 74,10 ან ქალ-რძალი 172,5 ქალები საზოგადოდ (როგორც ერთ რომელსავე გვარში დაბადებული, ისე ქორწინების გზით იმავე გვარში რძლად შემოყვანილი); 2) 33,14 „ნადირთ პატრონი“ (ვაჟა), რომელიც სვანურად დალის სახელით არის ცნობილი.

ქალმანი 127,30 ქალამანი.

ქანჩ-ი ჯოხი, რომელზედაც გადაახვევენ, უფრო მოჭირების მიზნით, შეკრული რამის (ვთქვათ საცალოების) თოკს ან თასმას; აქედან: მოქანჩვა მოჭირება, მოწვევა; მოვქანჩე 9,32 ძალზე მოვსწიე.

ქანჩახი 296,2 კლდიანი ალაგი.

ქაჯთი 127,17 ქაჯებისა.

ქელი 171,7 კისერი.

ქელანი 183,15; 226,2; 312,17 გარეული მტრედი.

ქეჟქევი კობტად სიარული (ცხენისა); აქედან: მოქეჟქევებს 47,39.

ქეთელაური 69,1 გვარია.

ქისტები ხევსურთ მოსამზღვრე ხალხია მთაში; ქისტშივილი 75,29 ქისტი.

ქიჩირი 314,30 კაცის სახელია; აქედან: ქიჩირ-ბე, ქიჩირ-ბეი. ნ. ბეგი.

ქლინძა 125,2; 214,34 ხრიკი, ეშმაკობა.

ქობი 129,26 ქვაბი.

ქოთ-ი 129,18 არე-დარევა, არე-დარევის ხმა; აქოთდა 306,18 აირ-დაირია, აყვირდა.

ქონ: მოგქონ 49,27 მოგაქვს (ითქმის ნარიან მრავლობითში და-



სმულ სახელთან: მოგკონ იარაღ-
ნი, მაგრამ: მოგაქვს იარაღე-
ბი); აგრეთვე: მქონან 108,35
(მკლავნი; მაგრამ პოეტი იტ-
ყოდა: მაქვს მკლავებიო).
ქორაფი 32,33 ხეა.
ქორ-ბუდიანი 279,30 დიდ-რქია-
ნი და ძალიან დატოტვილი.
ქოფაკი 51,6; 83,18 ძალი.

ქოჯო (მრავლ. ქოჯონი) 131,26
კონა.
ქუდოსანი 21,11 მამაკაცი, ქუდს
ვინც ატარებს.
1 ქუჩი 69,20; 165,15 ერთგვარი
წმინდა ბალახია მთისა: ერთად
ამოდის.
2 ქუჩი: მოქუჩება მოგროვება.

ღ

ღაგ-ღუფი 219,32 ღმუილი (მგლე-
ბისა); დაღავღუვა (ვეფხვმა)
179,5.
ღალა 165,25 ნაღები (რძისა);
178,8 მამულზე დადებული გა-
დასახადი ჭირნახულით.
ღაჯუნა: კბილებ-ღაჯუნა 253,19.
ღელე 325,18 უღელტეხილი; და-
ვაკება მთაში; ადგილის სახელია
ფშავში სოფ. ახადის ქვემოთ,
ლაშარის ჯვრის პირდაპირ. იქ
ხატობა იციან თამარის სახელო-
ბაზე.
ღეტება ხეტება; მიეღეტები 130,9;
დაეღეტება 125,6.
ღველფი 237,23 ნაკვერჩხალი და
ნაცარი ერთმანეთში არეული.
ღვერა ფცქენა, ქერქის ან კანის
გაცლა (ხისა ან ბალახისაგან);
გაღუღვერია 35,11 ქერქი გა-
დაუცლია.
ღვთიერ 118,16 ღვთის მიერ.
ღვთიშვილნი 75,8; 93,1, 118,16
ან ღვთიშვილნი 34,19 საზოგა-
დო სახელია სალოცავებისა (კო-
პწლა, ლაშარის ჯვარი, იახსარი
და სხვ.).

ღვია 165,21 ბუჩქის მცენარეა;
ღვივრიანა 147,4 ღვივიანი (? თუ
შეტომა არ არის).
ღვრივა 34,19.
ღთიშვილნი ნ. ღვთიშვილნი.
ღილი 104,5; 110,4, 115,19 ფო-
ლაქი.
ღილღო ქისტეთის ერთი კუთხეა;
აქედან: ღილღველი ამ კუთხის
კაცი.
ღილღ: გულ - გადაღილღული
226,7 გულ-გადაღელილი.
ღიმა 92,17 ბრტყელ-ფოთლიანი
მცენარეა.
ღირ: ეღირებიან 115,25 ესწორე-
ბიან, ემიზნებიან, პირდაპირი
მიმართულება აქვთ აღებული.
ღმინი 333,37 ღმილი; გაიღმინა
300,2 გაიღიმა.
ღნავილი 129,6 ღრიალი.
ღრეობა 54,31; 166,30; 201,3;
292,5 სიმღერა და მოღებენა სმა-
ქამის ღროს.
ღრეჯა: დაღრეჯა (ცხენი) 315,21
მოსწია (ლაგმით).
ღრინი 153,23 ღრენა, რომ იღრი-
ნება.



ღრმა-ღელე 9,7 ადგილია ტფილის-აეკლას შუა.
 ღული 177,18 სოფელია ხევსურეთში.
 ღუნთი 300,27 ცხარე ცრემლი (?).

ქ

ყაპყატო 104,7 ტკეჩი.
 ყაშ-ყაში დიდი ფრინვლის ხმა (არწივისა, ორბისა, სეავისა); აქედან: მოყაშყაშე 255,6.
 ყარიბი 167,6 უცხო.
 ყაფაღობა 121,24 შეჯიბრება მიზანში ამოღებაზე.
 ყაჯირი 116,4 დიდი ფრინველია (სულხან - ორბელიანით: ძერძერუკი).
 ყბედობა ბევრი ლაპარაკი; დაგიყბედია 120,15 გითქვამს.
 ყელ-ი ერთად-ერთი გასაველი, სადაც გზის შეკვრა ადვილია; საჯორნის ყელი 18,2 და სხვაგან; მთების ყელები 83,27 გადასავალი.
 ყელყელება: კლდე უყელყელებსთ მკერდზედა 10,28.
 ყეფა (არწივისა) 32,20; აქედან: მყეფარა (არწივი) 32,25; ყორნისა) 73,8.
 ყვარა 49,22 სოფელია ივრის ფშავში.
 ყვარელი 295,3 სოფელია კახეთში.
 ყველაად 187,26 ყველაფრად; ყველადა 102,23 id; ყველაყა 260,14 ყველანი.
 ყვირ: 1) აყვირება ითქმის როგორც

ღურბელი. ვაჟა-ფშაველა ხშირად ასეთი ფორმით ხმარობს; წარბ-დაღურბლვილი 174,5 მრისხანედ გამომყურე.

სტვირის დაკვრაზე (104,35), ისე საყვირისაზე (13,4); 2) ყვირილი იცის ხარ-ირემმა შემოდგომაზე, როცა იგი ფურს ეძებს (277,4,13); ყვიროდა 276,35; ყვირიან 34,18; ყვირილობა 273,1; 276,33 დრო ხარ-ირემბის ყვირილისა შემოდგომაზე, როცა მონადირეები მოსაკლავად ეტანებიან. შდრ. კივილი და ბუხუნი.
 ყინჩად 22,30 ლამაზად, კარგად.
 ყირაზე შედგომა 105,6 თავ-ფეხ შექცევით დადგომა (ე. ი. თავი ქვეშ და ფეხები ზევით).
 ყირიმი 31,2 ნ. ხირიმი.
 ყისმათი 280,33 ბელი.
 ყმა 1) მოყმე, ვაჟაკი 27,11; 2) მოსავი „ბატისა“ (მაგ. ლაშარის ჯვრისა), რომელიც ბატონადაა მიჩნეული 21,13; 70,20; 81,13 (ნ. ბატონი); საყმო რომელიმე სალოცავის მოსავი ხალხი.
 ყმაწვილი 24,9 ბავშვი.
 ყმუილი: ჩამამყმუი 125,27.
 ყოვი 115,13 ყვაი.
 ყოილი 182,25 ყვაილი; ყოოდენ 47,13 ყვაოდენ.
 ყორან-მთა 31,13; 34,30.

ყორე: აყორებული 267,11 ყორედ
აყუდებული.
ყოტი 129,22 ბაყაყი.
ყოფჩა 44,28 სოფელია ფშავში.
ყრა ნ. ჩამოყრა.
ყრანტალი ყვავის ხმა; დაჭყრან-
ტალებს 60,10; 260,5.
ყროლი 108,33 ცული.

ყრუა 106,2 ყრუ (კნინობ. ფორ-
მაა).
ყულუვა 303,32 პარკი (?)
ყუნტ: დაყუნტება 221,35 და-
ჯდომა (ძაღლისა და მისთ.); და-
ყუნტებული 222,18.
ყუნჭი 49,12; 171,2 კუნძი.
ყურ: გულ-აყურებით 183,28 გულ-
აჩუყებით, გულ-ამოსკენით.

შ

შაგეთი 135,18; 173,16 საიქიო,
მკვდრეთი; მეშაგეთება 126,2
საიქიოსავით მიჩანს.
შავრა 7,33 „ცხენის სახელია“
(ვაჟა).
შალდაყი 92,5 შამბი, მაღალი ბა-
ლახი.
შალშავი 311,12 მოცვი.
შამბი 101,7; 326,14 მაღალი და
გაუვალი ბალახი; შამბი ძირზე-
და 103,29 ძირზედ მდგარი შამ-
ბი, მოუჭრელი.
შამყრელი 172,15 შემყრელი, შე-
მკრები.
შანა 174,8 ყელზე შემბული შენა-
ლოცი რამ (ეთქვათ, ფული).
შანზე 184,28 კაცის სახელია.
შარი 121,30 განგებ დაბრალებუ-
ლი რამ, ცილი.
შასმული მთვრალი.
შათილი 69,3 სოფელია გადაღმა
ხევსურეთში; შათილიონი 71,7
შატილელი.
შაწყენა 77,10 მგლოვიარედ ყო-
ფნა.
შაჭირვება 203,3 წყენა.
შახდომა შეხდომა, შეფერება; შა-
გინდების შეგეფერება.

შახდომლება: შახდომლებენ
174,8 შეიშვენებენ, დაჭშვენდე-
ბათ.
შებოქეს 336,7 შეკრეს, შეკოქეს.
შეზიკული 291,13 მორთული.
შეთოქირება 296,15.
შეკვრა (ხელისა) 275,35; 276,24;
(თოფისა) 275,36; 276,9; ისეთი.
მდგომარეობა, როცა თავის სა-
ქმეს ველარ ასრულებს (ხატისა-
გან ვითომ).
შემოკვალთვა 12,28 შემოწევა.
შემოხედნება 114,12 შემოხედვა;
შახედნება 114,21 შეხედვა.
შენაწონებით 331,10 შედარებით.
შენობა 169,5 შენი ვინაობა.
შერე 114,11 კაცის სახელია.
შესუტვა: შეხსუტოს 326,1 შე-
ესვას.
შეფოფინება 301,17 ნ. ფოფინი.
შეძრახება დალაპარაკება, გამო-
საუბრება.
შეწონება 331,10 შედარება; შე-
წონვა id; ვერ შეაწონვი 53,35
ვერ შეედარები.
შეხეჩება 322,17 მოულოდნელად
თავს წადგომა, შეფეთება.



შეხვრება 312,5 შესმა (ხმაურობით).

შენა 22,17 „სახელია ქალისა“ (ვაჟა).

შვილი: ხევსურთშვილები 77,31 ხევსურები; ფშავლისშვილები 177,25 ფშავლები; თათრისშვილები 200,1 თათრები.

შთენილა 331,7 დარჩენილა.

შიგით 116,33 შიგნით.

-შიით: ჩულშიით 35,14 (ჩულში რომ იყო, იქიდან); ხურჯინშიით 52,21. ნ. -ჩიით.

შიმელა 35,10,21 ნორჩი ხე.

შინში 82,15 დეიდაშვილი (ზოგან აკრეთვე ბიძაშვილიც).

შიშინი ხმა ცეცხლზე მიფიცხებულის შესაწვავი ხორცისა; **დავა-შიშინე მწვადები** 34,17.

შნოება 106,10 შნო.

შოთი 129,28 გრძელი, ვიწრო და ბრტყელი პური.

შორითა 50,18; 125,23, 176,25 შორიდან.

შუნი 92,11 დედალი ჯიხვი (ჯიხვი მარტო მამალსა ჰქვია).

შუპყა 101,11; 273,36 ბალახია.

შურთხი 69,30; 316,5 გარეული ინდაური.

შხება 103,19 დიდი წვიმა; 24,16 დიდი სისხლის ღერა.

ჩ

ჩაბანო 296,34 ადგილია.

ჩაბეჭვა 75,25 ნაქსოვის დატყევნა, ქსელში ძაფების ერთი მეორეზე მკიდროდ მიყვანა ე. წ. ბეჭის ჩარტყმით.

ჩადუნა 147,5; 221,34; 267,24; 272,25 გვიმრა.

ჩათქმა, ჩანთქმა ჩაყლაპვა; **ჩაუთქამ** 193,19 ჩაუყლაპავს; **ჩაენთქა** 206,3 ჩაყლაპა.

ჩაკევა ჩალეწა, ჩამსხვრევა; **ჩაკიფეს** 267,4.

ჩაკირკიტება 125,7 თვალების მიპყრობა მოუშორებლად, ჩაცქერა.

ჩალა-ჩადუნა 267,24. ნ. ჩადუნა.

ჩალალვა 236,17 ჩაგზავნა.

ჩამამყმუი 125,27 „რას ჩ. გორითა, როგორც მშიერა მგელიო“.

ჩამომწყაზრება ნ. მწყაზარი.

ჩამოყრა: **ჩამოყრით დროშის ქერასა** 182,2 უფლებას წაგართმევთ დროშა ატარო.

ჩანთქმა ნ. ჩათქმა.

ჩანჩქარი 133,13 ჩანჩქერი, ძალიდან გადმომდინარე წყალი; ნ. ჩქერ.

ჩარ: **ამამეჩარა** 127,4 გამეხირა (ქვევიდან ამოსვლისას); **გვჩარავ** 170,20 გაჩრილი გვაქვს.

ჩარა 175,35 საშუალება.

ჩარგალი 20,2 „სოფელია“ (ვაჟა), ვაჟა-ფშაველას სოფელია.

ჩაფარი 185,29 მცველი.

ჩაჩქანი 17,13; 62,36; 50,11; 176,22; 179,11; 259,17 რკინის ქუდი ომში სახმარებელი, მუხარადი.

ჩახდომა ჩასვლა; მთით ჩახდა 325,22 მთიდან ჩავიდა.
ჩემდ 136,8 ჩემთვის.
ჩემს გონებულა 321,17 მე ვეგონე და...
ჩემფერა 32,6; 171,1 ჩემნაირი, ჩემისთანა.
ჩვარი 105,37 ძონძი, დახეულ-დაფლეთილი (ტანისამოსი).
ჩვენითა 167,26 ჩვენგან.
-ჩი -ში; კერაჩი 31,5 (კერაში); კარჩი 34,6; 54,9; ნეხეჩი 48,27; სახჩი 52,15; შუბლჩი 52,17; კაცჩი 186,9; თუშჩი 202,23.
-ჩიით -შიით: სწორჩიით 196,17 (სწორებიდან). ნ. -შიით.
ჩინთი 62,16 სოფელია არაგვის მარცხენა ნაპირას ჟინვანს ქვემოთ (სანდრო რაზიკაშვილის სიტყვით).
ჩინჩხვარი 5,28 წვრილი შეშა.
ჩირთი-ფუთები 290,23 უხეირო რამ (ტანისამოსი და სხვ.).
ჩიქილა 51,27; 66,6; 172,12; 203,14 აბრეშუმის თავ-მოსახვევი დედაკაცებისა.

ჩიჩქი 235,30 პატარა ნაქერი ხორცისა.
ჩმახვა: პირები შაჩმახიან 178,33 პირებს შეიქმუხნიდენ ხოლმე (?).
ჩოღრო 129,7 უსწორ-მასწორო (გზა), ავარდნილ-ჩავარდნილი.
ჩრა: გვჩრავ 170,20 გაჩრილი გვაქვს.
ჩული 35,14 ბუდე (თოფისა).
ჩქამ-ი 70,4; 129,4 183,34 ხმაურობა, ხმა; **ჩქამობს** 287,4 ხმას იღებს; **აჩქამებს** 20,26 ახმაურებს; **აჩქამდა** 33,30 ხმა გაიღო; **აჩქამებულა** 92,8.
ჩქაფუნი 53,25 ჩქეფის ხმა.
ჩქაფ-ჩქაფი 226,12 წყლის ხმაურობა.
ჩქერ: მომჩქერალი 60,15 ჩანჩქერად გადმომდინარე.
ჩხავილი იცის მელამაც (149,23), ტურამაც (215,23); ამიტომ ტურები ჩხავანეებად არის წოდებული (215,19).
ჩხერა 267,7 ხეების ერთმანეთზე შეხეთქების ხმა.
ჩხვლეკა 301,10 ჩხვლეტა (მსხვილი რამით, მაგ. ჯოხით).

6

ცა თვალს უცემდა 176,24 ელაგდა. ნ. ცარგვალი, ცით.
ცაბაური 178,6 ერთი თერთმეტ თემთაგანია ფშავში. ნ. თემი.
ცად: მოცადი 145,25 ვინც ცდილობს, მაცადინი. ნ. ცდა.
ცარგვალი 25,26 ჩარხი ცისა.
ცდა 23,24; 71,12; 173,18; 257,20 შებმა, თავის გამოჩენა ომში;

ვეცადეთ ჩვენი საცდელი 201,11; **წინადაც უცდავ თათრები**, როს დრო ყოფილა ცდისაო 177,31-32 წინადაც ჰქონია ბრძოლა თათრებთან, როცა ბრძოლის დრო ყოფილა.
ცენ: ამცენებს 52,32 აცენებს.
ცერად 105,12; 243,32 გვერდზე; არა პირდაპირ, მრულად.

ცეტი 85,1 უკო, მჩატე ქუთისა.

ცვ: აცვაჲ აცვია.

ცვილი თაფლის ფიქა გადამდნა-
 რი, რომელსაც ზოგან „წმინდა
 სანთელს“ ანუ „თაფლის სან-
 თელს“ ეძახიან (რადგანაც ცვილს
 უმთავრესად სანთლის ჩამოსაქნე-
 ლად ხმარობენ).

ციაგი 280,21 მზის შუქი.

ცით 61,36 ციდან.

ციკანი 81,1 თიკანი.

ციცა 124,32; 276,16 კატა.

ციფის ბალახი 34,3 ლენცოფა
 იგულისხმება (?).

ცხედარი 59,26; 260,16 მიცვალე-
 ბული.

ცხემლა 75,24 საქსოვში სახმარე-
 ბელი იარაღია (ძაფი ვააქეს და
 გამოაქეს).

ცხენა 124,18 პატარა ცხენი. ნ. -ა.

ცხროება 195,30 კანკალი.

ცხუნება: უცხუნა 307,24 დაჰკრა.

ძ

ძალი 93,18 ლარი.

ძალის-ძალითა 168,22 ძლიეს-ძლი-
 ვობით.

ძალღ-ი: ძალღ-უმადური 198,16
 ძალღსავით უმადური; ძალთი
 20,4; 198,25 ძალღებისა.

ძეგლიგი 71,33 „თოფია“ (ვაჟა).

ძვირი 105,27; 139,8 ძვირფასი

ძირ-ი მოღგმა; ფშაური მიღგა ძი-
 რია 189,15 ფშაური მოღგმისა
 ვარ; ძირად 170,30 ჩამომავლო-
 ბით; ძირითა 293,36 ქვეიდან,
 ძირიდან.

ძლივ 293,31 ძლიეს.

ძმა: ძმისა 52,35,38; 236,10 სა-

აღერსო სიტყვაა.

ძმარ: დაძმარება 216,21 დალოენ-
 ბა, შეწუხება.

ძნა: საძნოვარი 82,10 საძნე.

ძნელა 109,32 ძალიან, მეტად;
 ძნელად 175,31 id.

ძოღან 80,18; 276,19, რამდენიმე
 დღის წინად.

ძრახ: ძრახვა (გულისა), ზრახვა;
 ეძრახებიან 194,13 ელაპარაკე-
 ბიან; აძრახდა 316,25 ალაპარა-
 კდა; შაუძრახნიან 75,20; 78,20;
 შესძახებენ, მიძახებენ ხოლმე.
 ძროზა 104,9,27; 115,32 საერთო
 სახელია ხარისა და ფურისა.

წ

წადინი 282,23 წადილი; გულს
 უწადინოდ 25,32 გულს რომ არ
 სწადია.

წამ-უწუმს 37,7 წამდაუწუმ.

წარა-მარად 38,6; ვწარა-მარაობთ
 75,7.

წარაფი 258,19 დაბალი კლდე,
 წავრძელებული.

წარა-უგონთ 25,21 „წარა-მარად“
 (ვაჟა), უაზროდ.

წახმა წაღება (მრავლისა, ნარიან
 მრავლობითში მღგარ სახელთან);

წახვევ აბჯარნი 54,1 წაილე აბჯრები.

წბილ-ი: პირ-წბილად 130,14 გა-წბილებულად, შერცხვენილად.

წბილა 105,8; 311,12 ბალახის წვრილი ღერი.

წევნა 10,24 შეწევნა, დახმარება.

წერა: წერის მოხდა ნაცვლება; ლუ-ხუმი მოგხდის წერასა 181,39 ლ. დაგენაცვლება; წერა-მწერე-ლი 262,36 ვის ხელშია ც არის, ხალხის რწმენით, ადამიანის სვე-ბედი; ანაწერი 33,33; 273,3 ხვედრი, წერისა, წინასწარ ბედ-გადაწყვეტილი.

წელანის 53,2; 181,19 წელან.

წვად: ამაიწვადა 200,24 ამოიღო; მიაწვადა ხელი 45,35 მისწვდა ხელით, გადმამაწვადე 49,11; ასწვადა 307,26 აჰხადა.

წივიან (ნალები რიყეზე) 47,35.

წითელი 275,21 იგულისხმება სი-სხლი; წითლა 76,9 „ცხენი“ (ვაჟა).

წილ-ნაყარი 180,10 წილის მქო-ნე (?).

წილობა 238,7 შვილები, ჩამომავ-ლობა.

წინ მაიმძღვარეს ქარია 177,16 ქარივით გამოექანენ

წინ-წინ 278,26; წინ-წინა 52,26; 279,26 უწინ, უმაღლ.

წინწელი 23,20 „ნაპერწყალი“ (ვაჟა).

წირვა: ნუ სწირავთ 25,3 ნუ სტო-ვებთ; გაუწირავს 297,31 დაუ-ტოვებია; გასწირავს 332,4 და-ავადებს. ნ. კიდევ გაწირვა, და-წირვა.

წიწილა 279,28 კაცის სახელია.

წიწკარი 44,24 ტოტის წვერები, წვრილი ტოტები.

წიწოლა 203,9 კაცის სახელია.

წკავ-წკავი 140,31 შეშინებული ძაღლის ყეფა.

წკეპა 24,14 ხმა, მოდენილი ხმლის დარტყმისაგან ფარზე; ცემა; გა-წკიპე 220,26 სცემე.

წკნავრი 89,19; 129,6 წვრილი ხმის გამოცემა ზოგიერთი ცხო-ვლისა (კატა და სხვა).

წკრიალი პატარა ზარის ხმა; 216,21 (რქებისა).

წკრთალი 98,9; 132,31.

წლაკუნი: აწლაკუნებდა პირსა 212,2.

წონ: ვერ შეწონვი 53,35 ვერ შეედარები; არ ეწონება თავია 72,32; შენაწონობით 331,10 შე-დარებით.

წრთოლა: ნისკარტი სისხლში წრთებო 27,12 ნისკარტს სისხლ-ში უყოფს.

წრიაპი 146,12 „რკინისაა, ფეხის გულზე ამოსადები, რომ ფეხი დაიმაგროს გვერდობზე კაცმა“ (ვაჟა).

წრწ: დასწრწი 51,3 დასძრწი.

წუნკი 220,15 ბინძური.

წუტი 220,22 ბინძური.

წურ: ფრანგული ამეეწურა 179,15 ხმალი ამოეღო (ქარქაშიდან).

წყენა 138,26 სიკვდილით გამო-წვეული მდგომარეობა მგლოვი-არე ჭირისუფლისა; შაწყენის 77,10 მგლოვიარედ (?).

წყლის კული 32,28 სათავე წყლისა.

წყლული 71,17; 140,2; 148,20; 226,36; 289,25; 315,12 ჭრილობა, ნაჭრევი.



კ

კანკური ერთგვარი ქლიავია, რომელსაც ზოგან კორკიმელს ეძახიან.

კარხალი: გაქარხლებული 278,27 გაწითლებული.

კერხო 43,37; 75,36; 84,8 ზემო სართული ხევსურული სახლისა.

კიაურა 34,11 სოფელია კახეთში.

კიაფერი 296,14; 327,11 მცენარეა, რომელსაც ნაყოფი მტევნებივით ასხია და წითელი წვენი აქვს.

კიდ: მიქიდავს 7,30 მიკილია; **კბილ-მოსაქიდი** 287,32 კბილ-მოსაკიდებელი.

კიდრო 296,1 მიკიდრო, იწრო.

კიე სოფელია ხევსურეთში; **აქედან: კიელი** 177,17; **მაგრამ ეს ადგილი: გადმოხვეწილი კიელით**

236,11 გულისხმობს, რომ „კიელი“ სოფლის სახელადაა გაგებული, რომელიც რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს.

კილოზი 140,23 კილოფი.

კიმაღ 199,4 სრულიად.

კინქარაუდი 177,12 გვარია ხევსურეთში.

კირ: გიკირს 308,11 გკირდება; **კირით ამოგება** 133,28 კირით ამოგდება.

კიუხი 26,2; 69,29; 89,21; 234,36 „წვეტიანი კლდე“ (ვაჟა).

კოლიკი 272,23 კაცის სახელია.

კორმეშავი სოფელია ხევსურეთში; **აქედან: კორმეშელი** 177,17 ამ სოფლის მცხოვრები.

კულაპუნა: ლაშებ - კულაპუნა 218,11.

ს

ხადილი 53,6 წვეულება, ნადიმი.

ხავილი 267,32 მელისა და მისთანათა ხმა; **შველისაც, აქედან: ახავლება.**

ხათაბალა 115,31 ცოდო-ბრალი, უბედურება.

ხალ-ი 181,19; 321,23 ქუმელი (ე. ი. მოშუშული ხორბლის ან ქერის ფქვილი), რომელიც სამგზავროდ მიაქვთ ხოლმე და ძალიან გავრცელებულია მწყემსებში. მას ოდნავ დაასველებენ ხელში ალებულს, შეიკვრება და ქამენ. გამოცხოზობა აღარ უნდა, რადგანაც

დაფქვამდია მარცვლები მომწვარი).

ხალათი 294,6 საპატიო ტანსაცმელი, უფროსისაგან ბოძებული; **ბლუზა.**

ხალბათი 294,14 ხალვათი, თავისუფალი; **ხალბათობს** 240,12 თავისუფლად უჭირავს თავი.

ხამუშ-ხამუშად 312,21 ხანგამოშვებით.

ხანი 63,16 ყენი; ყენი.

ხანხალი 168,22 უძლური კაცის რხევა ფეხზე წამოდგომის ცდის დროს.

ხანჯარი 177,2; 268,20; 269,26 ხანჯალი.

ხარ-ი ვაჟკაცის ეპითეტია: ღონიერი, ძლიერი, 25,30; 26,26; 177,14; „ხარი“ ამას გარდა გარეულ ცხოველთაგან მამალ ირემზედაც ითქმის (**ხარი ირემი**, **ხარი-ირემი** 39,4; 105,5; ან უბრალოდ **ხარი** 34,18; 39,4; 279,30) და მამალ ჯიხვზედაც (**ხარ-ჯიხვი** 149,9).

ხარა 17,11; 45,12 „თოფია“ (ვაჟა).

ხატი ჩვეულებრივი გაგებითაც იხმარება ეს სიტყვა (225,19), მაგრამ უფრო ხშირად იგი აღნიშნავს როგორც სამლოცველო ადგილს მთის ხალხში (ასეთ ადგილებში ჩვენებური ხატი, ე. ი. გამოსახულება რომელიმე თაყვანსაცემისა არც კი მოიპოვება), ისე იმას, ვის სახელზედაც ლოცულობენ (ასეთებია მაგ. კობალა, იახსარი, ლაშარის ჯვარი და სხვა): 38,4; 52,5,38; 103,33; 107,32; 166,24; 170,17; **ხატობა** 79,26; 173,10 სალოცავის დღეობა; **ხატები ფშავეთისა** (174,34): ლაშარის ჯვარი, თამარ-ნეფე, კობალა, კარატე და სხვ.

ხახმატი 54,23; 177,19 სოფელია ხევსურეთში; **ხახმატის ჯვარი** სალოცავია (გიორგის სახელზე).

ხბორები 115,8; 155,12; 159,22 ხბობები.

ხელ: **გადასახელი** (ფშაური გამოთქმით: გადასაკედი) 34,30 გადასავალი.

ხელნებ-ხელნებით 250,9 ცქერა-ცქერით.

ხევი 37,11; 130,1; 197,6 პატარა მდინარე; ასეთი მდინარის ბასენი, ხეობა. აქედან: **ფშავის ხევი** 171,21 ფშავის ხეობა; **ხევხუვი ხევეები**.

ხევის ბერი 79,35; 166,29; 212,12 ხევის უფროსი, რომელიც უმთავრესად სარწმუნოებრივი წესების შემსრულებელია. „ხევისბერი“ ფშაურად იგივეა, რაც ხუცესი ხევსურულად და დეკანოზი ხევსურულად და მოხევეურად. იგი მთავარი პირია ადგილობრივ იერარქიაში. აქედან: **ხევისბრობხ** 180,21 ლოცვებს ამბობს.

ხევსურთ შვილები 77,31 ხევსურები. ნ. შვილი.

1 **ხელ:** **გიახელ** 313,11 ვჰამე (ზრდილობიან საუბარში).

2 **ხელ:** **ხელ მოგიმართოს** 184,10 გაგიმარჯოს (მისალმების სიტყვებია); **ხელის შამქცევი** 172,13 ხელის შემბრუნებელი, პასუხის გამცემი, სამაგიეროს გადამხდელი; **ხელად** 104,20; 105,20 ხელში.

ხერ: **შეხეჩა** 322,17 მოულოდნელად შეეყარა.

ხვ: **მაიხვენ აბჯარნი** 49,15 მოიტანე აბჯრები; **წაიხვენ აბჯარნი** 54,1 წაიღე აბჯრები. ნ. მონმა, წახმა.

ხვალ-ხევით 333,25 ხუგ.

ხვარიგლო 332,24 სოფელი უნდა იყოს.

ხვიცილი: ცხენისა 19,13; ქარისა 85,13; ხვიოლა არაგვი 89,14; ხვივიან მთანი 47,33.

ხვლანჯვა 131,1 ხლართვა.

ხვრეპა 95,28 სმა ხმაურობით; შეხახვრეპად 312,5.

ხირ: შხირია 171,2 ჰყუღია.

ხირიმი: 7,29; 75,26; 272,33 ანუ ყირიმი 31,2 თოფია (რომელიც ძველად ალბათ ყირიმიდან შემოდის ჩვენში).

ხირჩლა 54,27 კაცის სახელია.

ხლართ: ნახლართიანი 194,31 დახლართული.

ხმა ნ. მოხმა, წახმა, ხე.

ხმალ-შეუვალი 96,26 რომელსაც ხმალ ვერ ჭრის.

ხმელი 47,7; 103,31 ხმელეთი; ხმელად 75,20 უგულოდ (?).

ხმიადი 337,34 უსაფუეროდ გამოცხობილი პური.

ხმიანება: ახმიანება 129,3.

ხო 145,32 ხომ.

ხომურა 20,30 „მდინარეა“ (ვაჟა)-ხოროსანი ქვეყანა სპარსეთის ჩრდილოეთით; ხოროსნული 73,2 ხმალია.

ხორხომელა 61,36 წვრილი სეტყვა.

ხოშარა 18,18; 167,22 სოფელია ფშავში. ხოშარის გორი 169,16.

ხოშარეული 177,14; 184,32 გვარია (?).

ხრეწხრიწ: ხმა დაგიხრიწია 218,19 ხმა ჩაგხლეჩია.

ხრო 33,7; 145,5 ხროვა.

ხსონ: მახსონდა 173,9 მახსოვდა.

ხუცეხი 80,3 ანუ დეკანოზი ხეესურეთში იგივეა, რაც ფშავში ხევის ბერი, ე. ი. სარწმუნოებრივი წესების შემსრულებელი. „ხუცესი“ ხეესურეთში მღვდლის მაგივრობას ეწეოდა. ნ. ხევის ბერი.

ხშირა-ხშირას 104,34 ხშირ-ხშირად.

ჟ

ჯაგი 104,17 ეკლებიანი ბუჩქი.

ჯადო 125,7 ვითომდა გრძნების მქონე რამ ნიეთი.

ჯავარი თავისთავად დაჭვრეთილი (ხე, რკინა); ღარბივით რო აჩნია და აჭრელბუღია, მაგ. კაკლის ხე, ნეკერჩხალი და სხვ. ცაცხვი ტან-ჯავარიანი 92,1.

ჯავრის შეკმა 187,9 ჯავრის მონელება ისე, რომ სამაგიერო ვერ გადაუხადო.

ჯალაფი 258,17 ოჯახი; ჯალაფნი 48,34 ოჯახი, ოჯახის წევრები.

ჯამაათი 270,25, 273,25 შეკრებულება.

ჯანი 137,28; 147,30, 193,35; 262,33 წამოშლილი ნისლი, საავდროდ გამზადებული ღრუბელი.

1 **ჯარ:** დაჯარა 158,4 დახურა.

2 **ჯარ:** ჯარზედ ჯდომა 111,33 შეკრებილებაში ჯდომა; დაჯა-



რებული 270,23 ერთად შეყრი-
ლი, ჯარად გაკეთებული; მოჯა-
რებული 281,16; შაჯარდა
ნისლები 321,7.

ჯარა 22,31 სართავი იარაღია.
ჯარეგა 236,24 სოფელია ზემო
ქისტეთში.

ჯაჭვი 77,20 ტანზე ჩასაცემელი ჯა-
ვშანი.

ჯერანი 11,9; 46,21; 104,1; 177,36
ჯეირანი.

ჯვარი 52,5 (ხახმატისა), 52,35
(ლაშარისა), 70,20 (გუდანისა),
84,38 სალოცავი, როგორც არ-
სებად წარმოდგენილი, ისე ად-
გილი, სადაც მის სახელობაზე
ნიშია და ლოცულობენ. „ჯვა-
რი“ ჩვენ რომ გვესმის, იქ არც
კი მოიპოვება. ეს სიტყვა მთაში
სინონიშია ხატისა.

ჯილავება ბნელაში მუგუზლის
ქნევა გზის გასანათებლად; აჯი-
ელავებს 177,36.

ჯილაგი 336,19 მოდგმა.

ჯინა 54,10 ჯინი, წნელისაგან მო-
ქსოვილი გრძელი ძარი, რისამე
ჩასაყრელად. ან ჩასაწოლად.

ჯიში 118,8 გვარი.

ჯოგი ითქმის საზოგადოდ გროვა-
ზე, ხროვაზე, მაგ. მგლებისაზე
(23,6; 146,21), მამლებისაზედაც
კი (299,12). შინაურ ცხოველ-
თაგან ჯოგი მთაში მარტოოდენ
ცხენებისაზე ითქმის (313,27),
ხარებზე და ცხვრებზე კი არა-
სოდეს.

ჯონქა 33,25 „მეტი სახელი ირ-
მისა, ალერსის გამომხატველი“
(ვაჟა).

ჯოყოლა 236,20 კაცის სახელია.

ჯუბა 104,2 შიგნით ჩასაცემელი
ქალისა; აქედან: ჯუბიანა 108,34;
174,12 ქალის ეპითეტია.

ჯულურა 174,4 კაცის სახელია.

ჯორღე 80,36 კაპებიანი რამ, მრავალ-
ტოტებიანი.

დამატება

ვაჟა-ფშაველას წიგნილი:
„კრიტიკა ბ. ივ. მართავასი“.



კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი.*

I

კარგა ხანია რაც ბ. ივ. ვართაგავა ჟურნალ „განათლება“-ში ჰბეჭდავს ჩემი ნაწერების შესახებ კრიტიკულ წერილებს ამ სათაურით: „მთის შვილის ვაჟას სიმღერა“. ვინც „განათლება“-ს ჰკითხულობს, უეჭველია, ამ წერილებსაც წაიკითხავდა, მაშასადამე, ამ წერილების ღირსება-ნაკლულევანება თვით მკითხველს ეცოდინება და ჩვენი განმარტება იმისთვის საჭირო არ არის. კრიტიკის კრიტიკა ანუ, როგორც იტყვიან, ანტიკრიტიკის დაწერა არ განმიძრახავს; ეს წერილი გამოიწვია სრულიად სხვა გარემოებამ: სახელდობრ ამ წლის აპრილის ნომერში მოთავსებულმა ბ. ვართაგავას წერილმა ზემოაღნიშნულ საგანზე. „განათლება“-ში კრიტიკული წერილების ავტორი არჩევს პოემებს — „სტუმარ-მასპინძელს“ და „გველის-მჰამელს“, თანაც ისეთ კითხვებს გვიყენებს, რაზედაც ჩემ მიერ პასუხის გაუცემლობა ყოვლად შეუძლებელია.

რა კითხვებია ეს კითხვები?

ბ. ვართაგავას ძალიან გულით უნდა გაიგოს, ამ პოემებში რა ეკუთვნის ხალხს და რა მე, როგორც ავტორს. სურვილი საფუძვლიანია და ღირსი დაკმაყოფილებისა. ამ სურვილს კრიტიკოსისას მე დავაკმაყოფილებ, თუმცა ეს მეტ შრომად მიმაჩნია და თანაც მწყინს: ბ. ვართაგავამ, თუ მას კარგი კრიტიკული ალლო აქვს, უნდა ჩემ დაუხმარებლად გაიგოს რაა ამ ნაწარმოებებში ხალხური და რა ინ-

*) ვაჟა-ფშაველამ ეს წერილი გამოაქვეყნა 1914 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელ“-ში (№№ 21, 22, 23) ივ. ვართაგავას „კრიტიკული ვტიუდი“-ს საპასუხოდ, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „განათლება“-ში 1913 წელს დეკემბრის ნომერში (№ X) და 1914 წელს იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის ნომერებში ამ სათაურით: „სიმღერა მთის შვილის—ვაჟა-ფშაველასი („თხზულებანი“ ტფილისი, 1899 წ. „ცრემლები“ ტფილისი, 1909 წ.)“.

ვინაიდან ვაჟა-ფშაველას ეს წერილი წარმოადგენს მეტად საინტერესო მასალას მისი შემოქმედების შესასწავლად და ეხება საკითხს, თუ როგორ წარმოიშვა და დაიწერა ვაჟას ესა თუ ის პოემა, რედაქციამ სასურველად სცნო მისი დაბეჭდვა პოემების წიგნში დამატების სახით.

დივიდუალური. უნდა ყველამ კარგად იცოდეს, — ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება.

ამის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია. ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ თქმულებებზეა აშენებული სწორედ ისე, როგორც ზევით მოგახსენეთ, როგორც ამას ჩვეულან რჩეულნი ამა ქვეყნისანი, დიდი ნიქის პატრონი მწერლები. ავტორები „ფაუსტს“, გიოტეს გარდა, ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ვერავინ შესძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შესძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა.

ესევე დაემართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“ და სხვ.

ესევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“...

მე, თქვენი უმორჩილესი მონა, რა სახსენებელი ვარ ამ გოლიათებთან, მაგრამ ერთი გარემოება მაძლევს უფლებას ჩემი თავიციმათთან ერთად ვახსენო — ეს გახლავთ მსგავსება ქმნისა, შემოქმედებისა. დიად, კატა თუმც ვეფხვი არაა, მაგრამ სხვა ცხოველებზე მეტად ვეფხვს უფრო ის ჰგავს.

რა მაქვს დასამალი და დასაფარი? არაფერი. „სტუმარ-მასპინძლის“ და „გველის-მჭამელის“ ვინაობას კი არა, მთელ ჩემ ნაწარმოებს გავაცნობ მკითხველებს და ვეტყვი, რაა იქ ხალხური და რაა ჩემი საკუთარი, ნაყოფი ჩემის გონებისა და გრძნობისა; ამით, რა თქმა უნდა, ბ. ვართაგავაც დაკმაყოფილდება და შთამოებასაც აღარაფერი ექნება ერთს მეორესთან საკინკლაო, როგორც ამ კინკლაობას ჩვენში დღეს „ვეფხისტყაოსანი“ იწვევს. თუ რასმე ვიცრუებ, თანამედროვენი დამიგმობენ ამ სიცრუეს. ფშავ-ხევსურეთში და სრულიად საქართველოში მარტო მე ხომ არა ვარ წერაკითხვის მცოდნე, მარტო მე ხომ არა ვტრიალებ ხალხში და მარტო მე ხომ არ ვაგროვებ ძველის-ძველ ამბებს.

ჩემი შემოქმედების ისტორიის დაწერა ადვილია, ხოლო ვაი თუ ამ განმარტებამ აენოს ჩემს ნაწარმოებებს, — ამით ვაწყენინებ თვით მკითხველს, რომელსაც ფანტაზიის წყალობით შექმნილი ტიპები ნამ-



დვილ ყოფილ ადამიანებად ჰყავს წარმოდგენილი. საწყინო, რა თქმა უნდა, აქ არაფერია, რადგან სალი ფანტაზია ისეთს არაფერს შეჰქმნის, სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს, არ შეეფერებოდეს.

ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვა, ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შეეკმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი: „ძველის-ძველი ამბავიო“, „ზღაპარიო“, „თქმულებაო“, იმ მოსაზრებით დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური თქმულების შითვისება. როგორც ამის უფლება არა აქვს არავის, ისე — თავის ფანტაზიის ნაცოდვილარის ხალხისთვის მისაკუთრება, ხალხურ ამბად გასაღება.

ამ ნაკლს გავასწორებ მხოლოდ მაშინ, როცა დაიწყება ჩემის ნაწერების ცალკე წიგნებად გამოცემა, — მაშინ აღვნიშნავ რომელია მართლა ძველი ამბავი და რომელი მთლად ჩემგან დაძველებული, ძველ ამბად მონათლული.

ერთი რამ უნდა აღვნიშნო. ამის თქმა ფრიად საჭიროდ მიმაჩნია, რადგან ამ ნათქვამმა ჩემ კრიტიკოსებს შეიძლება გაუადვილოს გზა კვლევა-ძიებისა და შეაგნებინოს კემშარიტი შემოქმედების თვისება, ვითარება, როგორც კერძოდ ჩემი, ისე საზოგადოდ. ჩემი პოემები, თითქმის ყველა, სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი, თვითეული მათგანი სხვადასხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს, სხვა სრულიად დაშორებულა მაზეთ, ე. ი. ზოგი ნაწარმოების არაკი ძალიან თავისებურად არის შემუშავებული და ზოგი ნაკლებად შემუშავებული, ნაკლებად თავისებურია, და, წარმოიდგინეთ, ნაკლებად სახელოვანიც. დიდი სახელი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავებულმა ამბებმა მოიპოვეს საზოგადოებაში. ამ პოემების ჯგუფს ეკუთვნიან „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის-მჭამელი“.

II

მაშ დავიწყრთ მათი შესწავლა ისე, როგორც გვთხოვს ბ. ვართაგავა. „სტუმარ-მასპინძელი“, მაგალითად, არის აშენებული შემდეგ ამბავზე: ზვიადაური ხევსური შემთხვევით ჩაუვარდება ქისტებს ხელში. რა შემთხვევით, ეს მე არ გამიგონია, მაშასადამე, ჯოყოლას შეხვედრა და მის მიერ ზვიადაურის შინ მიპატივება და შეპყრობა, ეს ავტორის საკუთრებაა. ქისტებს, — მოგვითხრობს ძველი ამბავი, — ჰყავთ ახალი მკვდარი, ვილაცა ხევსურისაგან მოკლული. თანახმად ჩვეულებისა საჭიროა სისხლის აღება. თვით მიცვალებული თხოულობს



ამას და რათა დააკმაყოფილონ იგი, დააშოშმინონ გარდაცვალებული თანამოძმის ალტყინებული გრძნობა შურისძიებისა, ქისტები ჰკლავენ ზვიადაურს დარლას (ამბით ქისტის სახელი არ გამიგონია) საფლავზე. ამ დაკვლის დროს დიდი ვაჟაკობა და გულადობა გამოიჩინა ხეესურ ზვიადაურმა. რაში გამოიხატა ეს ვაჟაკობა? ვაჟაკობა ზვიადაურისა იქიდანა სჩანს, რომ ის არ დალაჩრდა, თუმც ხანჯლის წვერით ყელში სჩხვლეტენ ქისტის საფლავზე ხარივით წარმოქცეულს სამსხვერპლო ზვიადაურს და როცა ქისტები იტყოდნენ: — იყავ საიქიოს მონა-მოსამსახურე დარლასი, უზიდე წყალი, გაუბანდე ჯლანი, რაც სამსახური მოითხოვოს შენგან, თავგამოდებით, ერთგულად აუსრულეო, — ეს უკანასკნელი, ვიდრე სულს დაჰლევდა, ხრიალებდა ყელში: „ძალდ იყოს თქვენის მკვდრისადაო“. რომ შეშინებულიყო ზვიადაური, ამ სიტყვებს ველარ იტყოდა და მაშინ შეწირული იქნებოდა, გახდებოდა ქისტის მონა საიქიოს, მაგრამ, რადგან იგი უკანასკნელ ამოქმენამდე არ შედრკა, არ გატყდა, არ მოიხარა ქედი წინაშე მტრებისა და სიკვდილისა, იგი დარჩა თავისუფალ ხევსურად, ვაჟაკად, ხოლო დარლა გაწიბილებული, დაუკმაყოფილებელი. აი მთელი ამბავი, რომელზედაც მე ავაშენე „სტუმარ-მასპინძელი“. მაშასადამე, ჯოყოლა, ალაზა და ამ უკანასკნელის გლოვა ზვიადაურისა, აგრეთვე გალაშქრება ხევსურებისა ზვიადაურის ნეშტის გადმოსასვენებლად და სხვა, ყველა ეს ავტორის ბრალია, მისი ფანტაზიის ნაცოდვილარი.

„გველის-მჭამელის“ არაკი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა, შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დაალონა მინდია, თავის მოკვლამდე მიიყვანა; თავის მოსაკვლელად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა. მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით, სჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა სატიკერის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავად იძახის რის წამალიც არის და მინდიაშე ამ მცენარეთა ენა ჰარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაქიმება. მისი წამალი უებარია. ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის, მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უქმელობა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მხედარმთავრული ნიჭი გველის-მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა, — ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის. ამბავი მინდიას სულის არავითარ დრამატიულს განცდას არ წარმოგვიდგენს ხალხის თქმით. ბ. ვართავავას ვერ გაუგია, ვერ მიმხვდარა „სტუმარ-მასპინძელში“



და „გველის-მქამელში“ რაა ხალხური და რაა ავტორისაგან შექმნილი და ამის გამო ამ ორმა ნაწარმოებმა მოიტანა ქვეშ კრიტიკოსი და დღესნამდე ვერ ამდგარა ფეხზე. იქნებ ამ ჩემმა განმარტებამ შეაძლებინოს ფეხზე დადგომა და ღირსეულად მათი დაფასება. მას ძალიან გულით უნდა გაიგოს, როგორი წესი მაქვს წერისა, — ერთბაშად ვსწერ, თუ რამდენჯერმე გადავსწერ ერთხელ დაწერილს, რაც ხშირად შესწორებას მოსდევს. უნდა მოგახსენოთ, ძალიან დიდ ნაკლადაც რომ ჩამეთვალოს, არც ერთი ჩემი ნაწარმოები ერთხელის მეტად არ გადაწერილა შავად დაწერილიდან და ნაკლებად მქონია შემთხვევა დაწერილი ადგილები შემესწორებინოს. ყველა ჩემი ნაწერები, ვარდა „შვლის ნუკრის ნაამბობისა“, „მოხუცის ნათქვამისა“ და „დარეჯანისა“, იმ წელს არიან დაწერილნი, რა წელსაც იბეჭდებოდენ, ხოლო პირველი ორი მეოთხე წელს დაიბეჭდა და მესამე — მოზხრობა „დარეჯანი“, მესამე წელს, დღიდან დაწერისა. წერის დროს ზოგიერთს ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შეუყუენებია, ცოტა რამეს, ერთ ორ ტაქსს, ზოგისას დასასრულს. „სტუმარ-მასპინძელში“, მაგალითად, იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს ალაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმარის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისთვის, როგორ შეჰხედრიყო ალაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემიწირია იმ შენის მეგობრისთვისაო“. „გველის-მქამელის“ დასასრულმაც ერთ თვემდე ყოყმანში ჩამაგდო.

III

„აღუდა ქეთელაური“, რომელიც აგრე ძალიან მოსწონს ბ. ვართავასს, არის აშენებული სრულიად უბრალო მარტივს ამბავზე, უბრალო შემთხვევაზე. აღუდა ქეთელაურს ქისტებმა ცხენი მოჰპარეს. ქურდებს მდევრად გამოუდგება, ერთს მათგანს თოფით მოჰკლავს — ხოლო მოკლულის ამხანაგი ვაჟკაცურად დაუხვდება, თუმცა ესეც მსხვერპლი ხდება აღუდასი, მაგრამ მოჰხიბლავს მას თავის ვაჟკაცობით და როცა ჩამოვარდება საუბარი მუცალის მოკვლაზე, ხანდახან შესანდობარს დაჰღვეს აღუდა ქისტისას, — ლუდს ან არაყს. მარჯვენის მოჭრა-მოუჭრელობაზე ზეპირგადმოცემა არაფერს გვეუბნება. ხალხური თქმულებისა მთელი თავი და ბოლო ეს არის.

პოემა „ბახტრიონი“ არის დაფუძნებული იმ ძველს გარდმოცემაზე, რომელიც მოგვითხრობს, რომ მთელი პანკისის ხეობა და მატან-მარლისის ადგილების ნახევარი ფშაველ-ხევსურებისთვის არის



ნაჩუქარი მეფისაგან, რადგანაც ბახტრიონის ალებით საქართველოს დიდი სამსახური გაუწიესო. ხელში კალამი ამალებინა აგრეთვე ბახტრიონის გმირებზე ნათქვამმა სახალხო ლექსებმა:

„ბიჭი ვარ გოგოლაური (ფშაველი),
რას მყურობ ტალავარზედა?!
წინ-წინ მე გადაფტრინდები
ბახტრიონს გალავანზედა;
ხმლითა ვცემ თათრის ბელადსა,
ზედ მივალ ფალავანზედა“.

„ხმალს ჰხვერავეს (სინჯავს, ათვალიერებს)
გაფრინდაული (თუ ი ზეზვა),
თათრები ვხოცე ამითა.
დიდი ალვანის მინდორი
აევსე თათრის ძვალთა.
მგელსა დაცვითე კბილები,
ტურას ლოყები ქამითა“.

„ზეზვა რა სანახავია,
თათრებო, თქვენის ხელითა?!
ზეზვა გენახათ მაშინა,
როცა მოგდევდათ ცხენითა,
მოგდევდათ, მოგაწუხებდათ,
მოგჩხვლეკდათ შუბის წვერითა“.

„პანკისს იყრება ლაშქარი,
ბელადსა ღონდებიანო,
ზეზვავ გაფრინდაულო,
ლურჯას შენ გიქებდიანო.
ჯავრობენ თუშიშვილები,
ხევსურნი არ გვინდიანო.
— მაგას რად იტყვით, თუშებო,
ომი ჩვენც ქვე გეწადიანო.
წინ თუშნი, უკვენ ხევსურნი,
ფშაველნ ნელ-ნელა დიანო...
ფშაველნი, უკვენ ხევსურნი,
ბახტრიონს გადადიანო:
დალიეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვენა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა,

თუშებიც ჩამოდიანო,
სად ეყარენით, თუშებო,
სადიაცენო თმიანო?!”

ეს ლექსები ფშავშია გაგონილი და, როგორც კილო ამტკიცებს, ფშავურ ნიადაგზეა ამოცნებული და ადვილად შესაძლებელია ფშავლებს თავისი თავი თუშებზე და ხევსურებზე სახელოვანად ჰყჷანდეს დასურათებული. ჩემთვის მარტო ის ფაქტი კმაროდა, რომ მთის ხალხი, სხვადასხვა თემები, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდნენ, არ ინდობდნენ, ამ ყაყამად შაერთდნენ, ერთსულოვანობა გამოიჩინეს და ძმურად მიეშველნენ ბარს გაჭირვების დღეს. განახორციელეს თხოვნა-მუდარა იმავე ხალხური ლექსისა:

„თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშქარი გავაზიაროთ;
ერთმანეთს მხარი უჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ“-ო.

გამიგონია აგრეთვე ამბად ისიც, ვითომ ფშავში თათრებთან ზრძოლაში თითქმის სულ გაუღეტილიყვნენ მამაკაცები და ხატში, სალოცავში დედაკაცებს მოენთოთ სანთელი, ხოლო როდის მოხდა ეს ამბავი, ზეპირგადმოცემა არ აღნიშნავს იმ ხანას. მთელი მასალა, რითაც მე ავაშენე ბახტრიონი, ეს გახლავთ.

ჩემზე ეს ზემორე აღნიშნული ხალხური ლექს-თქმულებანი მოქმედობდა განსაკუთრებით „ბახტრიონის“ წერაში და არა რომელიმე მწიგნობრული ამბები.

„გოგოთური და აფშინა“ ძველი ამბის ღირსებას მოკლებულია თითქმის სრულიად. ეს გოგოთური, პომის გმირი, სცოცხლობდა მე-XIX საუკ. პირველ ხანში, სცხოვრობდა სოფ. ყოფჩაში. ყოფილა გოგოთური ფრიად ახოვანის ტანისა, ლამაზის სახისა და დიდი ჯანის პატრონი, მაგრამ მშვიდი და ლმობიერი. თუ არ გაუჭირდებოდა ძალიან, იგი ღონის გამოჩენას საჭიროდ არა სთვლიდა. იყო მონადირე და ომში ყოფილა თუ არა თავის სიცოცხლეში, ეს არ ვიცით. იმის მოტანილი ბრტყელი, საფლავის ქვის მსგავსი, ლოდი დღესაცა გდია კოპალის სალოცავთან და ისეთი მძიმეა—ორ კაცს გაუჭირდება ამ ქვის გადაბრუნება. ჩემს ჯეილობაში მეც ბევრჯელ ვეჯაჯგურებოდი ამ გოგოთურის მოტანილს ქვას და ვცდილობდი გოგოთურზე მეტი ღონე გამომეჩინა. ეს ცდა, რასაკვირველია, ამაო იყო.

არავითარი შეტაკება გოგოთურს ხევსურ აფშინასთან არ მოჰსვლია; ჰქონდა მას ერთი შემთხვევა, როგორც ზეპირგადმოცემით გამიგია, ხევსურებთან შეჯახებისა: გოგოთურმა ქურდობაში დაიჭირა

ორი ხევსური. ორივე შეკონა და მოიყვანა თავის სახლში. ცოლს დაუძახა — ცეცხლზე წყალი შედგი და ძაღლების სალაფავი გააკეთეო. ამის გამო ლაპარაკიც კი მოუვა ცოლთან. ბოლოს ცოლი ასრულებს გოგოთურის ბრძანებას — წყალს გააცხელებს და შიგ ქატოს ჩაჰყრის. გოგოთური ამ სანოვაგეს ჩაახსამს ძაღლის გეჯაში, წინ დაუდგამს ხევსურებს და ეტყვის: „ცქლიფეთ ეს ძაღლის სალაფავი, რადგან თქვენ ამის ღირსები ხართო“. ხალხური თქმულება ხაზს უსვამს იმ გარემობას, გოგოთურს ეჯავრება საშინლად ავაზაკობა, ქურდობა, სხვის დაჩაგვრაო. ეს არის მხოლოდ ხალხის ნათქვამი და აქედან დაიბადა ის „გოგოთური და აფშინა“, რომელსაც თქვენ ჰხედავთ და ჰკითხულობთ წიგნებში.

ხევსურების მდგომარეობამ შეჰქმნა კომბინაცია აფშინას სახით. ერთის კაცისაგან ორი კაცის შეპყრობა და შეკონვა ადვილი არ არის მაინცა-და-მაინც. ამან გამოიწვია ჩემს ოცნებაში ის სურათი, როცა გოგოთური მთელ იარაღს აფშინას აბარებს, აძლევს და შემდეგ უიარაღო იარაღით დატვირთულს აფშინას მთლად გაატიტვლებს. სასჯელი დანაშაულისათვის ნამდვილი გოგოთურისა, რაც მან ქურდ ხევსურებს მიუსაჯა, თავისებურია, დამაფიქრებელი და შემარცხენელი, გაძასწორებელი, სინანულის აღმძრავი. ვფიქრობთ, ამგვარის სასჯელის შემდეგ ქურდმა აღარ უნდა გაბედოს ქურდობა. გოგოთური ხევსურებს არა სცემს, თუმც ესეც შეუძლიან, რადგან ხევსურები იმის ხელში არიან, არცა ჰლანძღავს, მხოლოდ ეუბნება: თქვენ, ქურდებო, ღირსი ხართ, როგორც სხვის ოფლის მკამელნი, სხვის ქონების მიმთვისებელნი, ძაღლის სალაფავს სჭამდეთო. ამ საშუალებამ დაბადა ჩემში აფშინას სინანული, ლოგინად ჩავარდნა, ხევის ბერად შედგომა და სამუდამოდ ქურდობაზე ხელის აღება მას შემდეგ, რაც მას გოგოთურმა იარაღი აჰყარა. ეხლა თქვენ გააღლეთ თვალის ხაზი, განმარტეთ და დაასკვნით, თუ შემოქმედება როგორ აკოწიწებს თავის ბუდეს, რა ჩხირკედლობას ეწევა.

თუ რა პირადმა განცდამ, რა შემთხვევამ დამაწერინა „გოგოთური და აფშინა“, ან ვინა მყავს გოგოთურად, ვინ აფშინად დახატული, ეგ ჩემი საიდუმლოებია და საფლავში თან ჩავიყოლებ, მაგას არ ვიტყვი და არც საჭიროა, რადგან თქმა არაფერს შეჰმატებს საქმეს და უთქმელობაც არაფერს დააკლებს... პოემები, რომელთა არაკიც ბევრით არ განსხვავდება ხალხური თქმულებისაგან და არ არიან ხეირიანად გარდაქმნილ-გადაღებულნი, არიან „სულაკურდლელა“ და „ივანე კოტორაშვილი“ (უკანასკნელი, რამდენადაც მახსოვს, „კვალში“ დაიბეჭდა) და ამის გამო სუსტობენ.



ამის გამო, ვგონებ, ყველა პოემების არაკის მბობა ჩემ მიერ მეტი უნდა იყოს. რაც შეეხება იმას, თუ მე რამდენად შევძელ საქართველოს მომავალი ბედის თუ უბედურების განსჯერება, ამაზე ბ. იბ. ვართაგავას უნდა მოვახსენო შემდეგი: ამგვარი კითხვის პასუხი არ შეიძლება ერთმა ლექსმა, ან მოთხრობამ გამოხატოს, არამედ მთელმა პოეტის ცხოვრებამ, მის მოღვაწეობამ, მთელმა იმის ნაწერებმა. როგორ გგონიათ? არ მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არა მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?... ურწმუნოთა შრომა ამაოა, შეუძლებელიც, გგონია: იმ ხიდს, რომლის გადებაც მუშამ შეუძლებლად იცნო, თავის-დღეში გასადებლად არ შეუდგება. ნუთუ ჩემი ნაწერები ამ მომავალს ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე, ჩვენს ბედზე არას ამბობენ? ვერაფერი პოეტი ვყოფილვარ, თუ ეს მომავალი არა სჩანს იქ, არა სჩანს ის, რაც „დროთა სვლამ“ უნდა განახორციელოს. დიად, იმ დროთა სვლამ, რომელიც თქვენ უმნიშვნელო, ფუჭსაგატი სიტყვები გგონიათ. თუ მე ნიჭი მაქვს ქეშმარიტი შემოქმედებისა, უეჭველად წარსულის თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვებია. ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულს ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმალავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?“

— იქნება ვგულისხმობდე. — ვუპასუხე.

„სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო“, დაინიჟა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მკვერმეტყველი პროფესორი რომ მოგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუტყვლიდნენ.

თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი...

ხოლო თავისუფლება ისეთი მცნებაა, იმას ბევრი კომენტარიები არა სჭირდება.

ერთი რამ უნდა მოვახსენო პატივცემულ ჩემს კრიტიკოსს: მაინც-და-მაინც წინ სირბილი და მომავალი ჩვენის ცხოვრების სურათის დახატვა არ არის საჭირო; ამისთანა შრომის შესრულება არავის გვირგვინს გენიოსობისას არ დაადგამს. თქვენ ნუთუ დარწმუნებული



არა ხართ, რომ მომავალს აწმყო ჰბადებს! თქვენც კარგად იცით, წიწილებს კრუხი სჩეკს და როგორც წიწილების გამოჩეკა, კვერცხების გაულაყებლობა კრუხის ერთგულებაზეა დამოკიდებული, აგრეთვე კვერცხების ღირსებაზე. საწიწილე კვერცხები არ უნდა იყოს ძველი, შეციებული და აგრეთვე ნაფუტკნისა. ჩვენც, პოეტნი, მწერალნი და საზოგადოდ მოღვაწენი, რომელნიც ეროვნულ რეალურ თუ გონებრივ ღირებულებას ჰქმნიან, უნდა იყვნენ გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დღევანდელი დღე უკეთესი იყოს ქვეყნისათვის. დღევანდელი ხალხი, ცალკ-ცალკე და საერთოდ, საჭირო აზრით და გრძნობით აღიჭურვოს. მოქმედებაც თვითეული ჩვენგანისა იყოს აზრ-შეწონილი. დღევანდელს თვითეულის ჩვენგანის მოქმედებას უნდა იქ მივყვანდეთ, საცა საჭიროა ჩვენი მისვლა. თვითეულის ჩვენგანის მოქმედება, მაშასადამე, ის გზა უნდა იყოს, რომელმაც უნდა რომში მიგვიყვანოს. ეს რომი ჩვენი მომავალია და თუ რომში მიმავალი გზით არ წავედით, სწორე გზით, რომს აესცდებით. სწორე გზა აწმყოა. ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულს მომავალსა ჰქმნის; ვინც ბევრსა ჰხნავს და სთესავს, იმას ბევრი პური მოსდის; თუნდაც მოუსავლობა იყოს, მაინც სხვაზე მეტი მოუვა.

სამოთხე იმისია, ვინც დიდ მადლსა სჩადის; აწმყო სააქაო, ხოლო მომავალი საიქიო. სულის მოგება კი მხოლოდ სააქაოს შეიძლება. მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიზანშეწონილად ემსახურება.

ვაჟა-ფშაველა.

გამოცემოლოგისაგან.

წინამდებარე ტომი უნდა გამოსულიყო მეორე ტომად, მაგრამ ვინაიდან გადაწყდა ვაჟა-ფშაველას ნაწერების სრული კრებულის გამოცემა, მოხდა მასალის გადაჯგუფება და მეორე ტომად განზრახული პოემების პირველი წიგნი გამოდის მესამე ტომად. მეოთხე ტომში დაიბეჭდება დანარჩენი პოემები. შემდეგ ტომებში შევა ვაჟას მხატვრული პროზა და ეტნოგრაფიული, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები. ამ ტომების მოთავეების შემდეგ დაიბეჭდება ვაჟას ლექსები ორ წიგნად, პირველ და მეორე ტომებად.

სახელგამი.

1930 10/X.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზიები

1. მოხუცის ნათქვამი	5
2. გიგლია	17
3. მონადირე	31
4. გოგოთურ და აფშინა	43
5. სულა და კურდღელა	59
6. ალუდა ქეთელაური	69
7. კოპალა	89
8. ეთერი	101
9. დაჭრილი ვეფხვი	145
10. ილო	153
11. ბახტრიონი	165
12. მეჯლისი ლომისა	211
13. თეთრო გიორგი, შეილი რა მიყავ?	225
14. სტუმარ-მასპინძელი	233
15. ხის ბეჭი	267
16. ივანე კოტორაშვილის ამბავი	287
17. სისხლის ძიება	311

წიგნილები

ვარიანტები. შენიშვნები. ბიბლიოგრაფია. (ა. აბაშელის)	345
ვაჟას ლექსიკონი (პროფ. ა. შანიძის)	405

დამატება

ვაჟა-ფშაველას წერილი: „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“	449
გამომცემლობისაგან	459



სახელმწიფო ბაზრამცემლობა

ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22.

გზადდება დასაბეჭდად
ვაჟა-ფშაველას თხზულებათა
მეოთხე ტომი
კოემატი

1. ახუნდი.
2. ნანგრევთა ზოგის.
3. ბრძენი ვიკი.
4. გველის-მჭამელი.
5. ქაღლიკა ხიმიკაური.
6. უიღლო იღლიანი.
7. მაჟიდის დანაბარები.
8. სული ოგლისა.
9. ნახვარი წიწილა.
10. სიტყვა.
11. ღილა და კვიკისა.
12. ცოლის სიყვარული.
13. მთავის უკთობა.
14. დედა-შვილები.
15. სვინიღისი.
16. კაცი მართალი.
17. საზოგადო ამბავი.
18. მანდილი.

ამ ტომში დაიბეჭდება აგრეთვე რამდენიმე ზამოუკვეყნებელი
კოემა.

შენიშნული შეცდომები:

71 გვერდზე, მე-18 სტრიქ. ზემოდან დაბეჭდილია წვანეს, უნდა იყოს მწვანეს (ასო მ ამოვარდნილია ბეჭდვის დროს ეგზემპლარების ნაწილში); 249 გვ. 17 სტრ. — მკრდზე — მკერდზე; 369 გვ. 15 სტრ. — ავტორის — ავტორს.

345 გვერდზე ჩამოთვლილ პოემების სრულ ხელნაწერებს უნდა მიემართოს „ივანე კატორაშვილის“ ხელნაწერი, რომელიც, შეცდომით, ნაკლულ ხელნაწერებშია ჩათვლილი.

ვინაიდან თავდაპირველად განზრახული იყო ამ წიგნის მეორე ტომად გამოცემა, მე-15 ფორმამდე ყოველი ფორმის წინა-გვერდზე აღნიშნულია: „ტ. II.“. უნდა გადასწორდეს მე-III-დ.

ექვსი პოემის (ეთერი, დაქრილი ვეფხვი, ილო, ბანტრიონი, მეჯლისი ლომისა და თეთრო გიორგი) თავ-ფურცლები შეცდომით აწყობილია განსხვავებული შრიფტით.